ISSN 0132-6[illegible]
ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ცისკარი

3

1980



ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ცისკარი

274

გამოცემის ოცდამესამე წელი

3

მარტი

1980

თბილისი

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო

ელექტრონული ბიბლიოთეკა

# შინაარსი

## პოეზია, პროზა


3. ოთარ შალამბერიძე — ლენინი. ლექსი


## აფხიარცა


4. გამარჯობა, აფხაზეთო შენი
6. ბაგრატ შინქუბა, ივანე თარბა, შალვა წვიჟბა, ალექსი ჯონუა, მუშნი ლასურია — ლექსები; თარგმნეს: ოთარ შალამბერიძემ, გივი ძნელაძემ, ვაჟა უზუსიძემ, ზეზვა მედულაშვილმა, ემზარ კვიტაიშვილმა
11. ჯუმა ახუბა — კალათა. მოთხრობა, თარგმნა გიორგი მაჭუტაძემ
17. გიორგი გუბლია, კონსტანტინე ლომია, ნელი თარბა, მუშნი მიქაია, ნიკოლოზ კვიწინია — ლექსები; თარგმნეს: იორამ ქემერტელიძემ, ტარიელ ჭანტურიამ, ჯარჯი ფხოველმა, ავთანდილ გურგენიძემ, ემზარ კვიტაიშვილმა
21. ნიკოლოზ ჰაშიგი — ვაჟკაცს რა არ შეემთხვევა... მოთხრობა, თარგმნა გიორგი მაჭუტაძემ
31. სარიონ თარკილი, ბორის გურგულია, პლატონ ბებია, ტაიფ აჯბა, ვიტალი ამარშანი — ლექსები; თარგმნეს ელდარ კერძევაძემ, ავთანდილ გურგენიძემ, ანზორ აბულაშვილმა, სიმონ შამფრიანმა, გივი გეგეჭკორმა
34. ჯემალ ქირია — მარადი მხედარი. რომანი
70. ნარგიზა სოფრომაძე — ლექსები
73. ქრისტინე ჰინჭარაული — ლექსები
74. მერაბ აბაშიძე — მოთხრობები
80. გიორგი გიგაური — ლექსები
81. ამირან ახობაძე — ლექსები
82. გულო კობიაშვილი — მოთხრობები
87. სულიკო დიასამიძე — ლექსები
88. ოვანეს კარაიანი — ლექსები
91. ლევან სანიკიძე — უქარქაშო ხმლები. გაგრძელება


## ლენინიანა


116. ვლადიმერ ბონჩ-ბრუევიჩი — დედა. თარგმნა ეთერ თვარაძემ
119. ფილიპე მახარაძე — საჩუქრები ბელადს


## წერილები


123. ირაკლი ციციშვილი — წარსულის აწმყო და მომავალი
132. ევგენი ბართაია — ნოველა და ახალგაზრდობის პრობლემა
139. ვახტანგ პაიკიძე — „ხიდი წყალზე გადასასვლელი საშუალებაა“


## გახსენება


148. იოსებ მეგრელიძე — დაუვიწყარი შალვა ნუცუბიძე


## ხელოვნება


153. ლია ბედოშვილი — ინტერვიუ სკულპტორთან
156. არჩილ გოგელია — მარადიული ბავშვი


## იუმორი


159. ვანო ცინცაძე — ქარაგმები, ფრაზები...
160. გაბროვოული იუმორი — თარგმნა ლენა ღონღაძემ



მთავარი რედაქტორი
**მორის ფოცხიშვილი**

სარედაქციო კოლეგია:

ჭაბუა ამირეჯიბი,
გივი გეგეჭკორი,
გურამ გვერდწითელი,
რისმაგ გორდეზიანი,
გიორგი გუბლია,
ნოდარ დუმბაძე,
მერაბ ელიოზიშვილი,
იოსებ ორჯონიკიძე,
ედუარდ მენაბდე,
მთავარი რედაქტორის მოადგილე
ოტია პაჭკორია,
გურამ ფანჯიკიძე,
ნუგზარ შატაიძე,
ჯანსუღ ჩარკვიანი,
გივი ძნელაძე,
ნუგზარ წერეთელი,
თამაზ წივწივაძე,
ტარიელ ჭანტურია,
რეზო ჭეიშვილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოთარ შალამბერიძე

## ლ ე ნ ი ნ ი

ყოველთვის,
    როცა
        საპრილო იფეთქებს თქეში,
ერთი სურათი
    გონებაში ცოცხლდება იმ წამს:
აგერ,
    ის დადგა ჯავშნოსანზე
        ჩვეული ჟესტით,
მერე ის ჟესტი
    ყველასათვის ოცნებად იქცა...

იმახსოვრებენ,
    შესცქერიან,
        უსმენენ დიდხანს,
ფიქრშიც,
    მის ფიქრშიც სახლდებიან
        შორს გამიზნულში;
ამ ჯავშნოსნიდან
    გატყორცნილი ყოველი სიტყვა
შუქად აენთო
    ყველა ქოხში,
        ყველა მიწურში.

დიახ,
    ის იდგა ჯავშნოსანზე,
        უბრალო სულაც
და ხალხის ნატვრას
    უბრალოდვე მხარი აუბა;
არ გასცდენია
    ალბათ ჭურვი
        ჯავშნოსნის ლულას
ისეთი ძალის,
    ის რომ მაშინ
        ხალხს ესაუბრა!...

არ გვავიწყდება
    ასეთი დღე და საუბრები,
ასეთი ხსოვნა
    არც არასდროს არ ილრუბლება;
ის აღიმართა ჯავშნოსანზე
    ხალხის უფლებით,
რომ უფრო მაღლა
    აღემართა
    ხალხის უფლება!..

...ის ჯავშნოსანი
    დღესაც ქვეყნის
        სიმშვიდეს იცავს,
თუმც ჯარისკაცის
    მოხდილი აქვს
        პირნათლად ვალი.
ხოლო
ლენინი
    კვლავ უმთავრესს
    მიჰყვება მიზანს,
სამარადისოდ
    უკვდავების ჯავშანში მდგარი!..

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# გამარჯობა, აფხაზეთო შენი

აქ ბუნების ძალასა და მადლს თითქოს ყველაფერი პოეზიის სურნელითა და სუნთქვით გაუჯერებია და დაულაგებია — ზღვა, ცა, მთები და, რაც უპირველესი და მთავარია, აფხაზი ხალხი, — მშრომელი და ამაყი, ადამიანები სალექსოდ და სასიმღეროდ განუწყვია ბუნებას.

იშვიათად თუ შეხვდები სადმე ამდენ პოეტურ ფერს, მიწის მადლს, ცის სითბოს. ალბათ ამიტომაც არის ასე დამატყვევებელი აფხაზური სიმღერა, ალბათ ამიტომაც არის ყოველივე პოეტური ხიბლით ამეტყველებული და ასულდგმულებული.

მართალია, ჩვენს თვალწინ აღორძინდა აფხაზური კლასიკური მწერლობა, მაგრამ დღემდე მოღწეული შესანიშნავი ხალხური პოეზია, ზღაპრები და ლეგენდები აშკარად მეტყველებენ აფხაზი ხალხის შეუდარებელ პოეტურობაზე, ამოუწურავ ფანტაზიაზე. ისევე, როგორც ყველა ერის კლასიკური ლიტერატურა, აფხაზური მწერლობაც სათავეს ხალხური შემოქმედებიდან იღებს. სათავე კი შორეულ საუკუნეთა წიაღიდან მოედინება და ამდიდრებს და ამრავალფეროვნებს თანამედროვე აფხაზურ მხატვრულ ლიტერატურას.

ოქტომბრის რევოლუციამ, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, აფხაზეთის მშრომელებს უსაზღვრო სივრცეები გადაუშალა თვალწინ, კულტურულმა და ლიტერატურულმა ცხოვრებამ საბჭოთა სინამდვილეში ჰპოვა ჭეშმარიტი ასპარეზი.

ქართველი და აფხაზი ხალხი მარად ერთად იყვნენ ჭირშიც და ლხინშიც. მტერსაც ერთიანი ძალით ამარცხებდნენ და მოკეთესაც საერთო სიყვარულით ხვდებოდნენ. სულიერი და ხორციელი ნათესაობა ქართველ-აფხაზთა მრავალსაუკუნოვანი ძმობითაა შედუღაბებული, რამაც ასახვა ჰპოვა, როგორც ქართულ, ისე აფხაზურ ლიტერატურაში.

ლიტერატურულ ურთიერთობათა თვალსაწიერი დიდი ხანია გასცდა ამა თუ იმ ქვეყნის გეოგრაფიულ საზღვრებს და უკვე არავის უკვირს, როცა აფხაზური ლექსი ისევე ომახიანად გაისმის სხვა რესპუბლიკებში, საბჭოეთის საზღვრებს გარეთაც, როგორც საქართველოში, კერძოდ აფხაზეთში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ ბოლო წლებში დიდი ყურადღება ექცევა თანამედროვე აფხაზური ლიტერატურის გადმოქართულებას. ცნობილი ქართველი მწერლები დიდი სიყვარულითა და პასუხისმგებლობით თარგმნიან აფხაზური მწერლობის საუკეთესო ნიმუშებს. ამის დასადასტურებლად ერთი ფაქტის გახსენებაც გამოდგება: მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა კოლეგიის მიერ გამოცემული აფხაზი პოეტების კრებული „აფხიარცა“ — ერთი დღეც არ გაჩერებულა წიგნის მაღაზიების თაროებზე, რამაც დიდად გაახარა, როგორც ამ წიგნის მთარგმნელები, ასევე გამომცემლებიც.

ქართველი და აფხაზი მწერლები მუდამ ერთად, ძმურად და შემართებით იღვწიან ჩვენი დიადი სამშობლოსა და ხალხთა საკეთილდღეოდ. ამიტომაც არის ასე სასიქადულო და ძვირფასი ქართველი და აფხაზი მწერლების ერთიანობა და თანამოკალმეობა. ამიტომაც უყვარს ქართველ მკითხველს აფხაზური ლიტერატურის მშვენიერი ნიმუშები.

ჟურნალი „ცისკარი“ დაარსების დღიდან ამ ძმობასა და სიყვარულს ემსახურება, — დროდადრო თავის ერთ-ერთ წიგნს აფხაზეთის მწერლების შემოქმედებას უძღვნის.

მარტი გაზაფხულის პირველი თვეა, სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ ჟურნალის მესამე ნომერში ადგილი დაგვეთმო აფხაზი კოლეგებისთვის. საქართველოში ხომ გაზაფხულის პირველი სუნთქვა ყველაზე ადრე აფხაზეთში იგრძნობა.

ვიმედოვნებთ, რომ ქართველი მკითხველი გულისყურით წაიკითხავს თანამედროვე აფხაზური ლიტერატურის ნიმუშებს, რომლებიც ცნობილმა ქართველმა მწერლებმა თარგმნეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ბაგრატ შინქუბა**

აფხაზეთის სახალხო პოეტი

## მეგობარ პოეტს — რევაზ მარგიანს

მახსოვს, ავედით ერთ საღამოს
ჩვენ მთაწმინდაზე.
თავზევით ზანტად მიცურავდა ფერფლი მირაჟის.
ის გაზაფხული აწ ვერასდროს ვერ გაგვიტაცებს,
ის გაზაფხული გაითქვიფა ბედის ტრიალში...
მაგრამ ტირილით ვერ ვიპოვით,
რაიც დავკარგეთ
და მუდამ ვფიქრობთ,
რომ ჟამთა სვლამ ადრე გვიყელა;
ახლა კი
დღეთა ჩვენთა სრბოლას და სიავკარგეს
ვუყვებით თბილისს,
ვით ძველ თრთოლვას და ძველ სიმღერას...
ყოველი სიტყვა დაფერილი არის ომახით,
სხვაფრივ, სიმღერას რა ფასი აქვს,
ან რა მადლი აქვს?
სვე და იღბალი, მეგობარო,
ისევ მოარხევს
იმ უხმარ სიტყვებს,
ჩვენს გულში რომ კვლავაც ანთია!..
ნეტარი ჟრჟოლა,
იმ შეხვედრებს რომ ახლდა მუდამ,
ჩვენს მიერ თელილს შერჩენია გზას მოგონებად;
სწორია ის გზა,
როგორც შუქი გავლილი გულთან,
როგორც სტრიქონის უეცარი გამოქროლება...
იმ დღიდან, ძმაო,
გავიცანით რაც ერთმანეთი,
ძმობის დიდ გზაზე მივაბიჯებთ
ერთად, მხარიმხარ;
თან მიგვაცილებს
წმინდა მცნება ჩვენი მამების:
აჰა, მე — შენი,
შენ კი ჩემი მეგობარი ხარ!
ასე ვიარეთ!
საუკუნის ღია კარებთან
ორი პოეტი ორ ძმადნაფიცს დავემსგავსენით;
ორი მძლავრი ფრთაც
ჩვენს სიმღერებს მიაქანებდა
გამთბარი ერთი სიყვარულით და ერთარსებით!..
ჭირსა და ლხინში გამოწვრთნილი ბედნიერება

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დღეს ისევ გვიცდის —
ჩვენს სიყრმესთან ხელჩანავლები;
თმაში ჭაღარა თუმცა როდი გვეთნიერება,
მაინც შორს არის,
კვლავ შორს არის,
დღე ჩანავლების...
მაშ, კვლავ შევძახოთ,
როგორც მაშინ —
„ეირბის, მიმაფრენს..."
პირველი ცეცხლი გავიხსენოთ ჩვენი გაცნობის;
ნაცადი გულით აფრენილი
ფიქრიც ილამპრებს,
წუნს ვერვინ დასდებს ბებერ ციხეს
ბერიკაცობით!

თარგმნა ოთარ შალამბერიძემ

## ივანე თარბა

### იქ, სადაც ცხოვრობს აფხაზი!

სოფელი — ღრუბლებში!
ცის ვრცელი კარედი...
ვარსკვლავზე ვარსკვლავის ჭახანი;
ავდექი.
წავედი.
ვიარე.
ავედი.
მივედი, — რას ვხედავ: — ზღაპარი!.

სხვა მზე და სხვა მთვარე.
სხვა წყალი. სხვა ქარი.
ელვათა კრთომა და სხმარტალი...
სხვა კაცი. სხვა ქალი.
სხვა სხივის ფართქალი.
სხვა სული. სხვა გული. სხვა თვალი.

ამოდი! —
აფხაზი ხელგაშლით შეგხვდება,
ღრუბლებში ამაღლდი, გალაღდი.
გულს გული ეჩვევა.
სულს სული ეჩვევა.
რა დღეა! რა სივრცე! — რა ნაღდი!..

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამოდი!
ესტუმრე, —
ახარე,
იხარე
ამ ოდით,
ამ კარმიდამოთი;
ღიაა გული და
ღიაა ჭიშკარი,
ღრუბლების სტუმრებო, —
ამოდით!..

თარგმნა გივი ძნელაძე

## შალვა ნვიქბა

### ღ უ ზ ა

ქარაფისაკენ, სიკვდილს რომ ჰგავს და
ზეაღმართულა არყოფნის განცდად,
გაჯიბრებული გრიგალს ქარები
გემს ნაფოტივით მიაქანებენ.

შიშმა შეიპყრო ყრმაც და მხცოვანიც,
გულდედალიც და ძალგულოვანიც,
და რომ დაკარგა ყველამ იმედი,
გემიც და კაციც ბედს რომ მინებდა,
— არა, არ ვართო აქ დასამარხი,
ნუ ემონებით დარდს და კაეშანს! —
იგრიალა და ღუზა რახრახით
ბობოქარი ზღვის ფსკერზე დაეშვა.

შეჩერდა გემი. საფრთხე განქარდა,
განქარდა შიში ქართა, ტალღათა,
არყოფნის განცდას ნაზიარები —
გულში იკრავენ ერთურთს მგზავრები.

იმედის სხივმა სევ იალა,
ისევ იცვალა ნათელით თალხი...
კურთხეულ იყოს ღუზა გრიალა —
გადამრჩენელი გემის და ხალხის.

თარგმნა ვაჟა ჟუზუსიძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ალექსი ჯონუა

## ჩემი მთები!

შორ საწიერზე თეთრი ქუდებით
მშვენობენ ჩემი მთები, გორები.
მათგან ვბრუვდები, მათთან
ვბრუნდები
და მათ სიწმინდეს ვეამბორები.

ყველგან თან დამდევს მათი
კურთხევა,
რადგან სიყვარულს არც მე
დავზარდი.
მე მათი ძუძუ არ მემწუთხება,
მათს კალთაში ვარ გამონაზარდი.

მათი მშვენებით ველარ ვოკდები,
ჩამწკრივებულან როგორც მაყრები.
ალბათ ასევე, როცა მოვკვდები,
დამადგებიან გულხელდაკრებით.

ოღონდ, მანამდე მათი ზეობის,
მათი სიწმინდის რამ ვთქვა საფერი,
რომ ღირსი გავხდე მათი ძეობის
და... მეტი არ მსურს არც არაფერი.

●

ცა, ვარსკვლავებით გადალამპრული
განა თქმა უნდა — ლამაზი არი!
მიყვარს ციური შუქი ზღაპრული,
ჩემი ოცნების თანაზიარი.

ამ ვარსკვლავებში ერთერთს შევხარი —
ჩემია, მაგრამ არ მსურს ჩემება,
რადგან ვარსკვლავი ყველა
თქვენგანის
ცაზე უკლებლად არ მეჩვენება.

თარგმნა ზეზვა მედულაშვილმა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## მუშნი ლასურია

### შემოდგომის დაისი

ცით მოსხლეტილს, მზე გავს ოქროს
ბატკანს,
ჩამოვიდა, ქუჩის შუა დადგა.

მზის კედარო წითლად შეიღება,
წითელ ფოთლებს აბნევს ხეთა წყება.

წითელია სახლი, ეზო, ყანა
და ცხენებიც მზის გულზე რომ
დგანან.

წამოვიდა ცეცხლისფერი ტალღა,
ცა და მიწა მწუხრის მზეში გალღვა.

ცით მოსხლეტილს, მზე გავს ოქროს
ბატკანს.
ჩამოვიდა, ქუჩის შუა დადგა.

დაე იდგეს, მოიკრიბოს ძალა,
მთელ დღეს ენთო, დაცხრა, დაიღალა.

მოისვენოს გოლიათმა ეგებ,
ცის მეუფეს ბალიშს მივაგებებ.

ვაჰ თუ ხვალე ვერ იბრწყინოს ასე,
ოქროს თმები გაუშლია ცაზე.

მზეს შევყურებ, სულ ენთება, მჯერა,
სულ მატკბობდეს, ნეტა, მისი მზერა.
არ მაქვს ჩემი მზის ჩაქრობის შიში,
არასოდეს მოვექცევი ჩრდილში.

აბრჭყვიალებს ოქროს სხივებს
გაშლილს,
ზედ ქუჩაზე დევს წითელი ვაშლი.

წითელია ტყე, მინდორი, მთები,
ფიქრი ჩემი, წითლად ანანთები...

თარგმნა ემზარ კვიტაიშვილმა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯუმა ახუბა

# კალათა

კალათა იმსიმძიმე აღმოჩნდა, კაცსაც კი წელში გაწყვეტდა. ჰოდა, არ გინდოდა მისი თრევა? განა ეზოდან სახლში იყო შესატანი, ქალაქამდე უნდა გეთრაქა... „ოჰ, თქვენი ჭირიმე, აბა რამეს ხომ არ დავტოვებდი, კალათა პირთამდე შემწვარ-მოხრაკულით გავაძიძგინე!“

ვეღარ მოზომა, კალათამ მოატყუა. მთელ ზაფხულს ჩაის ფოთოლს ათრევდა ამ კალათით. ჰოდა, ისე შეეჩვია, ისე შეეთვისა, რომ ეგონა, რაც არ უნდა ჩავაწყო, წაღება არ გამიჭირდებაო...

ჩაის ფოთლის ზიდვა, აბა, რა ბედენაა! კალათას წელზე ფართო ტყავის თასმით მიიკრავდა, ჩაით გატენიდა და მაშინვე ასაწონად გაქანდებოდა. აუჩქარებლად მოიხსნიდა კალათას და სასწორზე დადგამდა.

— ძველად ნადირობიდან დაბრუნებულ კაცებს ჰქონდათ აკიდებული ამდენი ტვირთი — გაეხუმრა მართა ტანმოსულ ჩაის მწონავს, — ახლა კი ყველაფერი შეიცვალა, თქვენ დაგიდგათ კარგი დროება.

ჩაის მწონავი მხიარულად ხვიხვინებდა. აი, ასეთი გუნება გამოჰყვა მართას, თუ რამ არ მოეწონებოდა ანდა ვინმეზე ნაწყენი იყო, ყვირილს კი არ მორთავდა, სულ ხუმრობა-ხუმრობაში გაატარებდა... სწორედ რომ დალოცვილი ხასიათი დამადლებოდა.

მაგრამ ახლა გინდა გეტირა და გინდა გეცინა, კალათა ემძიმებოდა! განა ასაწონად მიჰქონდა ან, მე შენ გეტყვი და, კალათა ჩაით იყო მოპირთავებული. ისე კი ჩაით არასოდეს დატენიდა ჭურჭელს, არ დაისრისოსო.

უკმაყოფილო იყო მოხუცი:

— აბა, ჩააწყე, ჩატენე კიდევ! დავიქირავოთ ერთი მებარგული და... მართას ღიმილი უთამაშებდა პირზე:

— რამ გადაგაყრუა, ბერიკაცო, დღეს ხომ კვანტას ბიჭის დღეობაა, სტუმრები მოუვათ, ამხანაგები ეწვევიან. ჩვენს რძალს, თედას ბავშვი ჰყავს მისახედი, სადილის გასაკეთებლად სად სცალია.

თქვა და თავისი გაიტანა.

ეს შებოლილი სულუგუნიო, ეს კამკამა არაყიო, აქეთ კიდევ ჩურჩხელა, ნიგოზი, ერთი ქილა აჯიკა, უკვე მოხარშულ-გამზადებული, სუფთად გახვეული, გაპუნტულებული ინდაური—ყველაფერი, რაც კი შვილისთვის ჰქონდა გადანახული, კალათაში ჩაალაგა.

მოხუცი გვერდზე გამდგარიყო, ასე თვალთვალებდა მის ფუსფუსს და შ[illegible]აშიგ ჩაიცინებდა ხოლმე.

ქალისთვის ნაცნობი იყო ქმრის სიცილი და მისებურად ესმოდა. „არა, ნამდვილად ჭკუაზე გადავიდა ამ სიბერეში, ერთადერთი ბიჭისათვისაც კი ყველაფერი ენანება; ვაი შე უბედუ-

რო!“ თან იმასაც ატანდა ჰკუას, რამე ხომ არ მრჩებაო, არადა, მოდი და ნუ დაგავიწყდება! „ვაი, ფქვილი კინალამ არ გადამცილდა გულზე! ღომს რისგან დაამზადებენ! ტომსიკით უნდა წავიღო...“

ნაშუადღევი იყო, როცა მართამ, როგორც იქნა, კალათა შუაგულ სოფლამდე, სოფლსაბჭოს შენობამდე მითრაქა, საიდანაც მანქანები ქალაქში დადიოდნენ. რა შორი სავალი მას ჰქონდა, მაგრამ ეს იყო, დიდხანს უნდა ეჯაყჯაყა—აღმართსა და დაღმართს, აბა, რა გამოლევდა, ხანაც სლიპე ქვებით გახერგილ ღელეში უნდა გაეტოპა... ეჰ, ჩამოწყდა ხელი და ეს არის! ახლა კი შეიარაქათებდა ცოტას. თითქოს ქალაქში ვიყოო, ფიქრობდა გულში. აბა ერთი საბჭოთა ხელისუფლებამდე გენახა, სამ დღეშიც კი ვერ ჩააღწევდი ქალაქამდე... ცხენებით უნდა გეჯაჯგურა. ახლა კი იცოცხლე, ადვილია! ჩაჯდები ავტობუსში და გინდ იძინე და გინდა გარეთ იხედე, თვალი მიატანე შავი ასფალტის სირბილს. ერთ დღეში სოხუმამდე კი არა, ქართშიც* ჩახვალ და უკანვე მოასწრებ დაბრუნებას. ოჰ, მისი ჭირიმე! რა კარგია, რომ კვანტა ზედ ავტობუსის გაჩერებასთან ცხოვრობს. ჩავალ ავტობუსიდან, ქუჩას გადავივლი და იქვეა ხუთსართულიანი სახლიც. მეოთხე სართულზე უნდა ავიდე. ეჰ, ქუჩის გადავლაა მთავარი, თორემ... კალათას შესასვლელში დავდგამ, მაღლა ავალ და ვეტყვი თიდას. ახალგაზრდაა, წამში აიტანს ზემოთ, თითქოს ბუმბულიაო. მისი ჭირიმე, მისი! ღვთის შეწევნით, სუფრის გაწყობა აღარ გაუჭირდება. მე ხომ დაღამებამდე მივალ, სტუმრებს მივასწრებ. ჰო, ყველაფერს თავი მოუ...მება. თიდა ხელცქაფი ქალია, მეც გვერდით ვეყოლები...

მაინც გულს ეთანაღრებოდა მართას, რომ ადრე ვერ გამოეტია, საქმემ არ გამოუშვა. ნეტა თავმჯდომარეს... გადაეყრებოდეს სადმე, ვაითუ დაუცაცხანოს! ეს რა ხალხი ხართო, ეტყვის, ვისაც საითაც გნებავთ, იქით გაგიწევიათო. თუმცა ზაფხული რომ იყოს, მაშინ კიდევ ჰო, მაგრამ გვიან შემოდგომაზე მინდორში სამუშაო გამოლეულია; ჰოდა, რად უნდა დატუქსოს, ჰა? ისე, რანაირი ადამიანია. ვერ მოისვენებს, თუ კაცი საქმეში ყელამდე ჩაფლული არ ნახა.

მართამ კალათა ბრტყელ ქვაზე დადგა და გზას გახედა, მანქანა ხომ არ გამოჩნდაო. მერე იქვე შორიახლო ნაცნობი ქალი შენიშნა და გაეხარდა, მარტო აღარა ვარო. სოფლის ბოლოში ცხოვრობდა ის ქალი. მართამ კალათას ხელი წამოავლო და ნაცნობისკენ გასწია.

— რასა იქმ, კამა? თქვენები როგორ არიან? თქვენი ჭირიმე... „— უამთქვენიჭირიმეოთ“ მართას ლაპარაკი არ შეეძლო. ისე, ვინ იცის, იქნებ ბევრი არც იყო ამდაგვარი მიმართვის ღირსი, მაგრამ მართა გულის სითბოს არავის დაუკავებდა.

ქალმა ამოიოხრა:

— ჩვენი სიკვდილი და არ გადარჩენა, მართა! შენ კარგად იყავი და მე კი სიცოცხლე მომბეზრებია.

— რა იყო, რა მოგივიდა, კამა?

— მული გამიხდა ავად. საავადმყოფოში გვიწევს ოჩამჩირეში.

— რას მეუბნები, რა ჭირს? — შეიცხადა მართამ. მეზობელს, სრულიად ახალგაზრდა ქალს, ამხელა საწუხარი გასჩენია, ამსიშორეზე ავადმყოფის სანახავად გზას დადგომია, თვითონ კი მხარი აუწყვია და სტუმრად მიდის სამხიარულოდ... თავს ისე გრძნობდა, თითქოს რამე დაეშავებინოს.

— გაგიგონია! — მიუბრუნდა კამა, — გუშინწინ ტკივილი შემოაფრინდა თავში. არ იქნა და აღარ გაუარა. მე შენ გეტყვი და, ჩვენი სოფლის საავადმყოფო რამის ჰგავდეს! ცეცხლმა დაწვა! ჰოდა, ჯერ აქეთ წამოვიყვანეთ. ერთადერთ ფერშალს მკვდარივით ეძი-

* ქართი — თბილისის აფხაზური სახელწოდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნა. გვითხრეს, ქორწილიდან ეს-ეს არის დაბრუნდაო. რაღა გვექნა? ისევ რაიონში წავიყვანეთ. ერთ ჩვენს ნაცნობ ექიმს ჩავაბარეთ...

— ოჰ, მისი ჭირიმე, ცოტა მოიკეთა უბედურმა? აბა რა იქნება, იმ გაგანია ზაფხულში ჩაის პლანტაციაში ტვინი აგიდუღდება კაცს. დასვენების ნაცვლად ახლა...

— ეჰ, რას მეუბნები, რა მოაკეთინებდა. მთლად მოიკრუნჩხა უბედური. არის ასე ლოგინზე მიკრული. არც საიქიო პირი უჩანს. განა პირველია ეს ამბავი? ყოველ შემოდგომაზე ასე გაგვიხდის საქმეს. ჰოდა, აი ახლა ვაპირებ მასთან წასვლას, მაგრამ სადაა ავტობუსი. წავიდაო, ამბობენ; ჯანდაბაში წასულა! დილიდანვე სტუმრები დაგვეცნენ თავზე, ჭამეს, სვეს... მაგრამ წასვლა ვინ იფიქრა, დავაგვიანე. ახლა რითღა წავიდე?

მართამ დაამშვიდა.

— ეჰ, რას იზამ, შვილო! ცხოვრებაში ყველაფერი ხ_ება, ჩემო კამა. საწუხარს აბა რა გამოულევს კაცს, მაგრამ მალე ყოველივე მოგვარდება. გაიხედავ და...

ამის თქმაზე თვითონ უფრო მოიშალა. რაო, ერთი ავტობუსი წავიდაო? მეორე კი დღის ბოლოს იქნებაო? ჰო, დაღამდება და მაშინ იქნებაო. ჰოდა, თუ ასეა, მაშინ ღამემდე ველარ ჩავსულვარ და ისაა! ამდენი მაინც რაღას ვიცოდვილე... ეჰ, ჩემი ბრალია ყველაფერი. დავბერდი და ძილი გამიტკბა მე უბედურს, თორემ ძროხისთვის წყალი ადრე დამელევინებინა და მომეწველა!

— შორს მიგაქვს ეს კალათა? — ჰკითხა კამამ?

მართა დაიბნა.

— შვილიშვილი მომენატრა... ვნახავ-მეთქი, ვიფიქრე.

ნეტა რად მოიტყუა? შერცხვა სიმართლის თქმა, მეზობელს გული არ ვატკინოო.

მაინც ასე გამოვიდა. კამამ ტუჩები [illegible]

— მოგცლია ერთი! საქმე აღარაფერი გაქვს? დღეს თუ არა, ხვალ მაინც წახვალ. მე რა ვქნა, თორემ...

— არა, არა, დღესვე უნდა წავიდე, იქნებ ფეხით მივსულიყავით მთავარ გზამდე, ჰა?

— ნეტავი შენ! ახლა რომ მითხრან, შენი მული სიკვდილის პირასააო, ფეხით მაინც ვერ დავადგები გზას, შორსაა ნამეტანი. განა ადვილია ათი კილომეტრის გაჭოპვნა? ცხენებით ხომ არ მივდივართ, ფეხითაა სასიარულო.

— ფუჭად დგომას, ფუჭად სიარული ჯობიაო, ხომ გაგიგონია.

ბოლოს მაინც დაითანხმა კამა. მტვრიან გზას დაადგნენ. ასიოდე ნაბიჯიც არ გაევლოთ, როცა გახარებულებმა საბარგო ავტომანქანას მოჰკრეს თვალი. მათივე კოლმეურნეობისა აღმოჩნდა. სალაციდან მოდიოდა ცარიელი. სარჩევად აღარ ჰქონდათ საქმე. მანქანა სატვირთო კი იყო, მაგრამ მტვერში ჩაქჩაქს მაინც სჯობდა. ქალებმა ხელი დაუქნიეს. მძღოლმა კაბინიდან თავი გამოჰყო და სახეზე ეშმაკური ღიმილი აუთამაშდა:

— წაგიყვანთ, არაყის ფულს თუ მომცემთ!

— მოგცემთ აბა რას ვიზამთ, შენ ოღონდ ჩაგვსვი! — შეეხვეწა კამა.

უმცროს-უფროსობა აღარ გახსენებიათ, ორივე მანქანის ღია კარს ეცა. კამას ბარგი არ ამძიმებდა, ერთადერთი ბადურა ჰქონდა. იგი ცქვიტად შეხტა საფეხურზე, მერე კაბინაში შესრიალდა და მძღოლს მიეჭუჭკა, ბადურა მუხლებზე დაიდო და გახევდა, მხოლოდ თვალებს ატრიალებდა, თითქოს ამბობდა, მე ხომ დავჯექი. ჰოდა, დავიძრათ, რაღას ჟუყურებთო. მართამ კი ძლივძლიობით შედგა თავისი კალათა მანქანაში, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, აწვებოდა, მაგრამ არ იქნა და მთლიანად ვერ შეატია. ოფლში გაი-

---

ჯუმა ახუბა

ჭალათა

ეროვნული ბიბლიოთეკა

წურა საწყალი ქალი. ბოლოს მძღოლმა ბანჯგვლიანი ხელი გაიწოდა, აპიპინებულ კალათას წაავლო და კამას გვერდით დადგა. კამამ იქით მიიწია და კაბა ჩამოიფერთხა. „მიწა გაგსკდომია მაგ შენ კალათიანად!“ კამას მთელი დასაჯდომი დაეკავებინა და მართასათვის ადგილი აღარ იყო. ის კი არა, ცხვირიც ვერ შეჰყო კაბინაში.

— ძარაზე მოგიწევს ასვლა, — უთხრა მძღოლმა. — მაინც სად ნახე ამოდენა კალათა? ამით ჩაის კი არა ყურძენსაც მოკრეფდა კაცი!

— მასეა, მასე! — კვერი დაუკრა კამამ.

მართა მიხვდა, რომ კაბინაში ვერ შეეტეოდა. ოჰ, თქვენი ჭირიმე... ძლივს აძვრა მანქანის ბორბალზე და ძარის კიდეს ხელით მოეჭიდა. მალე ასულმა სული მოითქვა: გაუჭირდა ამსიმაღლეზე აფორთხება.

— დედიკო! — გასძახა მძღოლმა. — გაითოშები ქარში. ჯობია კალათა ძარაზე შემოდგა, შენ კი კაბინაში ჩამოხვიდე. გაილოგვები მაქ, გაცივება ხელში გქონდეს. ზაფხული ხომ არ გგონია.

„კარგი კაცი ჩანს, კეთილი! ღმერთმა ხელი მოუმართოს! — გაიფიქრა მართამ. — მაგრამ რა ვქნა, კალათას ძარაში ხომ არ დავტოვებ, გადაბრუნდება. ისევ ჯობია, კალათა აქ ამოვიტანო, უფრო მივხედავ. ვითომ რა მომივა? ქალაქამდე არც ისე შორსაა“.

მანქანა, ალბათ, კოლმეურნეობის ფერმაში იყო, საქვეზი წაიღო: ძარაზე თივის ბრეშო ეყარა. ქარმა მტვერი აიტაცა და ჰაერში დაატრიალა. მართამ თვალებზე სახოცი ჩამოიფარა. გასაკვირი იყო პირდაპირ — ქარი ზურგიდან უბერავდა, მტვერს კი სახეში აყრიდა. მართამ ჩაიცუცქა, კალათას ხელებით მოეჭიდა და თვალები დახუჭა:

ავტობუსზე სწრაფად მივდივართ. კარგია, კარგი! ამას რაღა ჯობია! — თავს იმშვიდებდა იგი. აი, სოხუმში ჩავალ, კვანტას ბიჭს ვნახავ, ნეტა ადრე ჩავიდოდე!

მართამ თავს კი შემოუძახა, მაგრამ როცა დედაგზაზე გავიდნენ, ისე გაითოშა, რომ კბილს კბილზე აცემინებდა.

— რავა ხარ, დედიკო? — ჰკითხა კაბინიდან გადმოსულმა მძღოლმა. ხელი შეაშველა და ძარადან ჩამოსვა, კალათაც ძირს ჩამოდგა. — შეიძლება ნელა გვევლო და ქარიც აღარ მოგიბერავდა, მაგრამ რას იზამ, თავისი მოსაბრუნებელი დროც აღარ მრჩება. ვიჩქარო უნდა, აბა რა ვქნა! — ეს თქვა და გაიღიმა.

კაბინის სითბოსაგან ლოყაატკრეცილი კამაც ძირს ჩამოვიდა. მაღალი ქალი იყო და თუმცა გამხდარი არ ეთქმოდა, მაინც სიმაღლის გამო გაწელილი ჩანდა. ახლა სახე შეყირმიზებოდა და ეს ძალიან შვენოდა. კმაყოფილი იერით გადმოსცქეროდა დედაბერს: განა ისე იმგზავრა, გაჭირვებით, არა, შიგ კაბინაში იჯდა, სიამოვნების მეტი არაფერი უგრძვნია!

მძღოლმა მანქანა ზღვისკენ გააქროლა. აქედან თივა უნდა წაეღო ფერმაში. მართამ მადლობის თქმაც კი ვერ მოახერხა:

ამასობაში კამა ოჩამჩირისკენ მიმავალ ავტობუსს ჩაუჯდა. დარჩა მართა თავისი კალათის შემყურე. „ბედზე გამოჩნდა ეს მანქანა, — ხარობდა იგი, — კიდევ კაიხანს უნდა იაროს კამამ, მაგრამ რაც ადრე ჩავა, უკეთესია, ავადმყოფი ელოდება.

კაშკაშა დღე იყო. მართა მზეს მიეფიცხა. მალე ავტობუსიც გამოჩნდა. დედაბერმა კალათა მხარზე შეიდგა და ავტობუსისკენ გაცუხცუხდა.

— სოხუმში მივდივარ! სოხუმში! — იმეორებდა მართა და კალათას ავტობუსში ტენიდა. მანქანა ადამიანების სუნთქვას გაეთბო. მძღოლმა დედაბერს დაუყვირა, შენი სოხუმი მე არ ვიციო. მართამ ვერ გაიგო. როგორც იქნა, კალათა ასასვლელში დადგა. ვიღაცა კაცი ძირს ჩამოდიოდა და რაკი ველარ გამოეტია, კალათას ფეხი ჰკრა.

— რა ეშველება ამ მთიელებს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაინც ველურები არიან! — ბურტყუნებდა იგი და ლაბადას იფერთხავდა. — მანქანაში ტომარააკიდებული შემოდიან, კალათებს ტენიან... ძირს ვეღარ ჩამოსულხარ კაცი!

კარი დაიკეტა და ავტობუსი ადგილს მოსხლტა.

— შენ გზას ეწიე, შვილო, შენი ჭირიმე, — ჩაილაპარაკა მართამ. — მე სოხუმს ვაპირებ, შენ კი თურმე სხვაგან გაგიწევია...

ახლა შინ რომ იყოს, საქონელსბოსელში შედენიდა, საქათმეს საგდულით ჩარაზავდა. — მოსაღამოვებულზე, როგორც იქნა, ჩაჯდა მართა ავტობუსში. ელნათურები ციმციმებდნენ სოფლის გზაზე.

იმ ოჩანი ცხენივით, სხვის ეზოს რომ ვერ ეამოაცილებ, ხშირ-ხშირად ჩერდებოდა ავტობუსი, ძლივს მიხანხალებდა. მართას უკვე მოთმინება აღარ ყოფნიდა, ერთი სული ჰქონდა, როდის ჩავიდოდა. გვერდზე მჯდომ ქალიშვილს გამოელაპარაკა; ისიც უთხრა, შვილთან ვაპირებ და დაგვიანებისა მეშინიაო... ნეტა მძღოლს არ ეჩქარება, არ იცის, რომ ხალხსა ამდენი დრო არა აქვს? გოგონა უსიტყვოდ იღიმებოდა. ისე ჩავიდა უახლოეს გაჩერებაზე, რომ კრინტი არ დაუძრავს. მართა პირველად არ მიდიოდა ქალაქს და ეგონა, ქალაქელებს, ასე თუ ისე, ვიცნობო. აი, დგას კაცი, თვალებში მოგჩერებია, მაგრამ არ იფიქრო, თქმით რამე გითხრას! ეს ამბავი ყოველთვის აოცებდა მართას. მოგინდა იქნება ქალაქელს რამე უთხრა. გაგიგონია! რაღაცას ჩაიბურტყუნებს, ან საერთოდ პასუხის ღირსადაც არ გაგხდის. ვითომ რად არ უნდა გამოველაპარაკოთ ერთმანეთს? განა ცუდია, როცა ადამიანები ლაპარაკობენ და ერთურთს უღიმიან? აი, ეს ქალიშვილი ახლა. მე რაღაცას ვეუბნები, ის კი დუმს... არა, ალბათ, საჭიროა ასე ხშირ-ხშირად რომ ჩერდება ავტობუსი. ზოგი ჩადის, ზოგი ამოდის. „ნეტა ჩვენც გვყავდეს ერთი ასეთი სოფელში, ქალებს ჩაიში წაიყვან-წამოიყვანდა — გაიფიქრა მართამ და გაიღიმა: რა კარგი იქნებოდა! — ვაითუ ჩემს თმახუჭუჭა ბიჭს ქიამინს უკვე სძინავს... თვისებიანი ბიჭია. ამ ზაფხულში ისევ ჩვენთან წავიყვანთ მე და ბერიკაცი. ოჰ, მისი ჭირიმე, ჩავალ თუ არა, ჩურჩხელებს წინ დავუწყობ. სული მძვრის ჩურჩხელებზე!“

კარი მართას აქოშინებულმა თედამ გაუღო. ყველაფერი თამბაქოს კვამლში გახვეულიყო. ჰაერში შემწვარ-მოხრაკულის სუნი ტრიალებდა, შიგნიდან ისმოდა ხმები... მართამ ვერც მისალმება მოასწრო, ვერც ის ჰკითხა, ყველანი კარგად ხომ ხართო. რძალს შეხედა და მხოლოდ ესა თქვა:

— უფრო ადრე ჩამოვიდოდი, მაგრამ ავტობუსმა...

— რა გეჩქარებოდათ! — თვალი მოჭუტა რძალმა. — ღამითაც მოასწრებდით ჩამოსვლას! ასე რად უნდა გატანჯულიყავით!

მართამ თავი დამნაშავესავით იგრძნო. დააპირა თქმა, თავიდან როგორ მოეცარა ხელი, წელი მოსწყვიტა კალათას თრევამ, აგერ შემოსასვლელში რომ დგას, და ამოტანა ვეღარ შესძლო.

— შენა ხარ, დედა? — მოესმა კვანტას ხმა. — ჩამოხვედი?

— ეს ფეხი რატომ არ მომტყდა, შვილო, შენი ჭირიმე. ეს-ესაა ჩამოვედი.

— მადლობა ღმერთს, რომ მაინც ჩამოხვედი!

მართამ ოხვრით გაიხადა პალტო, თავშალიც გადაიძრო. ახლა მე რაღა საჭირო ვარ. სუფრა გაგიწყვიათ უკვე. ისხედით, ისხედით... დავიგვიანე!

— რამე ხომ არ ჩამოგიტანია? — ჰკითხა ვაჟმა.

ენა ებმებოდა, უკვე გადაკრულში იყო. სტუმრებსაც დატყობოდათ ღვინო. მართას არაფერი ესმოდა, რას ტარტარებდნენ, ყვიროდნენ, ერთმანეთს ლა-

---

ჯუმა ახუბა
ქალათა

პარაკს არ აცლიდნენ. ხელი არ შევუშალოთ, მართა სამზარეულოში გავიდა.

თედამ ქვემოდან კალათა ამოათრია. მერე სულ ენად გაიკრიფა, თან კარისკენ ანიშნებდა მართას:

— დღეს ერთი საპატიო სტუმარი გვყავს. მასზე ბევრადაა დამოკიდებული, დააწინაურებენ კვანტას თუ არა. კარგია, რომ ჩამოხვედით, თორემ ცარიელი პური და ძეხვი გვაქვს... ვიფიქრეთ, ჯერ ცივი საუზმე გასინჯონ, მერე ცხელ-ცხელ კერძებსაც მივაშველებთო... ესა თქვა და კალათიდან დედამთილის ჩამოტანილის ამოლაგებას შეუდგა.

მართა ოთახიდან გამოტანილ რბილ სავარძელში იჯდა და უყურებდა, რა სწრაფად ცარიელდებოდა კალათა.

— ეს ჩურჩხელები ბიჭს ჩამოვუტანე, თქვა მართამ. — მომენატრა, მისი ჭირიმე, მაგრამ ახლა სძინავს ალბათ...

— თქვენ სადილობამდე საყოლს გადაყევით, დედა, ჩვენი პატარა კი გელოდებოდათ. მეზობლებში სძინავს.

— საბარგო მანქანით წამოვედი, — თავი გაიმართლა მართამ, — რომ იცოდე, რა მადლიანი კაცი შემხვდა მძღოლი! კაბინაში უნდოდა დავესვი, ძარაზე გაცივდებიო... ზრდილობით იწვოდა.

— აბა მანქანა რა მოსატანია? ვინ დადის ახლა სატვირთო მანქანით?

— არა, კალათა რომ არ მქონოდა სათრევი, კაბინაში ჩავჯდებოდი... შეგხვდება ხანდახან ამნაირი კარგი კაცი!

თედამ გაზის ღუმელიდან წითლად აწკრეცილი, შიშხინა ინდაური გამოიღო, დიდ თეფშზე დადო და სუფრისკენ გააქანა. მართა სავარძელში იჯდა, ხელები სტეხდა... თედა უკან აღარ დაბრუნებულა. სტუმრებზე ზრუნავდა, საპატიო სტუმრებზე და მართა სულ გადაავიწყდა. ოთახიდან აღარ გამოდიოდა ხმამაღალი ლაპარაკი... მართა ახლა ძარაზე იჯდა, კალათას ხელებით ჩაბღაუჭებოდა და ესმოდა ქარის ზუზუნი... მაღალ-მაღალი, კაბინაზე მაღალი კამა უცქეროდა, კამა უცქეროდა და პირზე ღიმილი გადასდიოდა. ისე უხაროდა, თითქოს მისმა ძროხამ ხბო ნაადრევად მოიგოო.

ოჰ, ერთი, დაინგრა ქვეყანა, თუ-ყბობაში ჩაჯდა. რა მოხდა მერე. იმას ავადმყოფთან ეჩქარებოდა, დღეობაზე კი არ მიდიოდა. განა ამით რა დამიშავდა. მადლობა ღმერთს, ყველანი საღსალამათად დამხვდნენ. ხედავ, როგორ მხიარულობენ, შვილიშვილსაც მეზობლებში სძინავს... ავტობუსშიც, როგორც სავარძელში, ისე რბილად ვიჯექი, თუმცა რას ვამბობ, ავტობუსში კი არა, თითქოს ნავით მივცურავდი და ტალღებზე ვირწეოდი... კვანტას ბიჭიკო ჯერ სულ პატარაა, მართას კალთაზე ეპწიალება, ხელში ამიყვანეო.

ლილ-უთენია გამოეღვიძა მართას, გარეთ ისევ ბნელოდა. მოიიახლოვ ცარიელი კალათა დალანდა — არაფერი ჩაუტოვებიათ შიგ, არაფერი დავიწყებიათ! სტუმრები, ალბათ, გვიან დაიშალნენ, დაქანცულ შინაურებს ჯერ კიდევ სძინავთ. ამ დილაადრიან ჩემი თავი, აბა, ვის ექნება! შვილიშვილს მეზობლებში სძინავს, სანამ გააღვიძებენ და მოიყვანენ, მეც დამაგვიანდება, ავტობუსზე, ჯობია ოჯახს მივხედო. ჩემი ბერიკაცი ყველაფერს მარტო ვერ გაწვდება. მივალ ჩვენს გაჩერებამდე, ცოტა ხანში დილის ავტობუსიც ჩამოდგება. იმ მძღოლს უთუოდ ვნახავ, სად დამემალება! ერთ ბოთლ ისეთ არაყს მოვუკითხავ, რომ უკეთესი არ იქნება. რა კაცი ყოფილა! იმას სწუხდა, გაცივდებიო; მოდი, დედიკო, კაბინაში ჩაგისვამო... ეზოში შევალ თუ არა, ბერიკაცი თვალს მომკრავს და დოინჯს შემოიყრის, მერე თავისთვის ჩაიქირქილებს და უთუოდ მკითხავს: აბა, რა ქენი, იყავი ქალაქში? ნვენები ცოცხალი არიან? აბა არა! ყველანი კარგად არიან-მეთქი, ვეტყვი. იმათი ჭირიმე, იმათი!...

მართა დერეფანში გავიდა. უხმაუროდ ჩამოიღო საკიდიდან პალტო, თავზე თავშალი შემოიხვია და ფეხაკრეფით შებრუნდა სამზარეულოში კალათას წასაღებად.

დაე, იძინონ! ცარიელი კალათა, აბა, რა ძნელი სათრევია, გუშინდელივით კი არ დამამძიმებს.

თარგმნა გიორგი მაჭუტაძემ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## გიორგი გუბლია

### გ უ ლ ი

რაც ვერ მოვასწარ, რაც ვერა ვქენ, — იმას წუხს გული,
და როდი იცის, რომ წარსულზე არა ღირს დარდი...
და საფიქრალი დაკარგულის, ქმუნვის და დარდის,
ერთიმეორეს ემატება, რაც კი დრო გადის.

ტირის ეს გული, მადლობა ღმერთს, თუკი მე ვტირი;
იცინის, როცა მე ვიცინი; დუმს, როცა ვდუმვარ...
მაგრამ თუ მისთვის ერთი გახდა ჭირიც და ლხინიც, —
დე, ფერფლად იქცეს და ჩაქრეს უმალ.

●

მზე იწვერება... მწვერვალის წვერი
ნათდება ნელა და მისხალ-მისხალ...
ძირს კი ხევხუვებს — ღრუბლების
ქვევით —
კვლავ ბინდი აწევს ამ დილასისხამ...

...სიმხიარულით ივსება ჭერი
და მეც ვიწონებ თავს სიჩაუქით, —
თუ ხალხს ეკუთვნის სიმღერა ჩემი,
ვერ გაიხარებს მთქმელი აუგის.

თარგმნა იორამ ქემერტელიძე

## კონსტანტინე ლომია

### გაუხსნელი ძეგლი

ჩეგეტის * მწვერვალს მდუმარება წვავდა ალპური.
მინანაობდნენ სადღაც ქვემოთ ნისლის ქულები.
გაიხსნა უცებ ბროლის კარი, და იალბუზი
გამოჩნდა ისე — შეგვეკუმშა ყველას გულები.

---

* ჩეგეტი — მთა იალბუზის სიახლოვეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თხემით ტერფამდე ჟრუანტელმა იელვა მწველმა,
როდესაც მზერა შეეფეთა მშობლიურ მწვერვალს.
რამდენი შთაუგონებია ჰანგისთვის ჩანგი!
ვაი რომ მისი სილამაზის მხატვარი ვერ ვარ!

და მომეჩვენა — გაუხსნელი ეს იყო ძეგლი —
სასრიყვას* ძეგლი, თვალმომჭრელი უცხო ნათებით!
ამ ძეგლს, ბუნების უშურველი ხელებით შექმნილს,
მჯერა, საბურველს ჩამოხსნიან ერთ დროს ნართები!.. *

---

* სასრიყვა — ნართების ეპოსის გმირი

* ნართები — სასრიყვას უფროსი ძმები. სულ 90 ძმა იყო.

თარგმნა ტარიელ ჭანტურიამ

## ნელი თარბა

### ჩემი სამყარო

არა, არაა ჩემი სამყარო
ჩვენი პლანეტის ზურგივით მრგვალი,
ბურთს არ ჩამოჰგავს ჩემი სამყარო,
არც სხვათა მიწის მსგავსია იგი.
სხვათა ქვეყნები არ მომივლია,
ისე ვპოვე და ვიხილე თვალით
ამოდ სამზერი სამყარო ჩემი —
ჩემი სულის და ოცნების შიგნით.

იგი არაა ამერიკა აღმოსაჩენი,
მაგრამ შორია, უსასრულო და
უსამანო,
არცა ბრმა არის,
არცა კოჭლი, იგი მეგულვის
დიად მშვენებად, ის მიწაა —
მე რომ დამმალავს,
ის სამყაროა,
ჩემს წინაშე კარგაღებული.

ჩემი სამყარო —
ბედის სუნთქვა, ბედისწერული,
ის ბედისწერაც არაა მარტო —
იგი სივრცეა,
კარგახსნილი სივრცე თავანის.
ჩემი სამყარო ფართოა, ფართო —
ცაზეც და ზღვაზეც —
სუნთქვა არის იგი მთავარი.

ჩემი სამყარო —
ჩემი ფიქრის
და საქმის გამმა.
ჩემი სამყარო —
ჩემი ყოფნის კარდიოგრამა.

ჩემი სამყარო —
შორს გასწვდება, განიფინება,
განიფინება შორეთს, ვრცეული...
მას ვერ დაიტევს ქვეყნიური ჟამთა
დინება,
ვერცა ლაჟვარდი ჩამოქცეული.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

•

რა უნდა მოხდეს ქვეყანაზე ახალი
რამე,
ან ძველი რამე, ძველისძველი...
ეშვება ღამე...

ილევა ღამე —
დღემ შეიძლო ღამის მორევა,
და მონაცვლეობს ცხოვრების და
დროის მორევი.

ტყუილს
და მართალს
ტყუპებივით იხილავ ერთად,
ღამეთა შემდეგ ცარგვალიდან
სინათლე წვეთავს.

მონაცვლეობენ დაბადება
და აღსასრული,
ყოფნა, არყოფნა —
ყველაფერი ჩვენი წარსული.

სხვა სამყაროთა მკვიდრს თუ
ნახავ —
რამე ახალი
არაა ესეც —
სენსაციის არ ქრის ლახვარი!

და ერთადერთი,
სიახლეა რაიც ფრთიანი,
რაც გულს განწონის —
დაბადება ადამიანის
და სიკვდილი ადამიანის...

სამყაროს ავსებს სიხარული
ახალ-ახალი...
სამყაროს ავსებს მწუხარება
ახალ-ახალი...

თარგმნა ჯარჯი ფხოველმა

## მუშნი მიქაია

•

### ეზოში თამაშობს ბავშვი

არც მეხთატეხა და
არც ელვა,
ღრუბელიც არა ჩანს ცაში.
წელამდე ბალახში ბუშტებით
ეზოში თამაშობს ბავშვი.

მახლობლად სხდებიან მერცხლები,
ჭიკჭიკი ირევა ხმაში.
თვალებში ჩაღვრია ნათელი,
ეზოში თამაშობს ბავშვი.

სიოც კი, თბილი და მსუბუქი,
კულულებს აწეწავს, აშლის.
ის მაინც თავისას აკეთებს,
ეზოში თამაშობს ბავშვი.

ეს მიწა ახლახან გაიცნო,
სიწმინდე იპოვა მასში.
ათასგვარ ყვავილებს აგროვებს,
ეზოში თამაშობს ბავშვი.

დე, არსად ქუხდეს და ელავდეს,
ღრუბელიც არ ჩანდეს ცაში, —
ყველგან მხიარულად, უშიშრად
ეზოში თამაშობდეს ბავშვი.

თარგმნა ავთანდილ გურგენიძემ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ნიკოლოზ კვინინია

### მ თ ე ბ ი

მაზრმავებს მთათა შუქი ელვარე,
მე მესმის ენა აზიდულ კლდეთა,
თუ არ შევხედე ამაყ მწვერვალებს,
ღმერთმანი მზისაც არ მინდა ჭვრეტა.

ხეობის თავზე ცა მოწითალო...
თუ ვაჟკაცი ხარ, გულგრილი დარჩი,
როცა ევლება ჯიხვი პიტალოს,
როცა ხმაურზე ფეთდება არჩვი.

მთებო!
კვლავ თქვენმა სახემ იელვა,
გიმზერთ ნადირთა ფეხით გაქელილს,
უნდა დაიპყროს მთები მთიელმა,
ვერას გაგიგებთ თქვენ ქალაქელი.

იგი ჩამოვა, ერთი დღით განხავთ
და ვერ შეიცნობს აქაურ მიწას...
ძვირფასი მთები სულ სხვაა ახლა,
დიდი ხანია მთიანეთს ღვიძავს.

აქ ვცხოვრობ,
წმინდა ზეცა დამნათის,
ბედს არ ვემდური და ღონეც მერჩის,
მთებმა ისმინეს ლექსის ღაღადი,
მათი გუგუნი იჭრება მკერდში.

ვინ მომცა საზრდო ამ მთების გარდა,
ერთმანეთისგან არ გვახსოვს წყენა,
ნანად მესმოდა ჩანჩქერთავარდნა,
მიალერსებდა, მიტკბობდა სმენას.

როცა ხანდახან დიდ ქალაქების
სტუმარი ვარ და ვიწყებ ხეტიალს,
კვლავ მომდის სიტყვა მთათა საქები,
წინაპრის კუთხე გულს ჩამჭედია.

დავრჩები მათგან განუყოფელი,
მათ პატრონს მკლავი არ დამეღლება,
როცა მოვკვდები,
მთები მშობელი, —
დამადგებიან უკვდავ ძეგლებად.

თარგმნა ემზარ კვიტაიშვილმა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნიკოლოზ კაშიბი

# ვაჟკაცს რა არ შეემთხვევა...

ისევ სექტემბერი დადგა. ისევ განახლდა სწავლა. გამარჯობა, ჩემო სკოლავ! რომ იცოდე რარიგ მომენატრე! ყოველ ზაფხულს არდადეგების ბოლო დღეებში გულზე მომიცინცილებს სკოლაში წასვლის სურვილი. მალე უკვე უფროსკლასელებს დაგვიძახებენ. ალბათ, ამიტომ თუ იყო, რომ ახალი წლის პირველივე გაკვეთილზე აფხაზური ენის მასწავლებელმა შემოგვთავაზა დაგვეწერა, როგორ გავატარეთ არდადეგები.

მთელი ორი დღე სიმშვიდე დავკარგე: რა დავწერო? რით დავიწყო ჩემი მოთხრობა? რამდენი რამ ვნახე და განვიცადე წლევანდელ ზაფხულში — ხან მხარზე თოხს გავიდებდი და სამუშაოდ მივდიოდი, ხანაც უფროსებს ვეხმარებოდი, წელზე კალათა მქონდა მიკრული და ჩაის ვკრეფდი. შესვენებისას მე და ჩემი ტოლ-ამხანაგები მდინარეს მივაშურებდით, ზეზეურად წავიხემსებდით და ისევ მინდორში ან ჩაის ნარგავებში მივრბოდით. უფროსების გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა:

—ნეტა საიდან აქვთ ამდენი ჯანი? თუმცა რა გასაკვირია, ახალგაზრდები არიან. კვიციც ხომ წამში მოივლის მთელ სამყაროს!

აი, ესაა ჩემი არდადეგები. ახლა თქვენ თვითონ თქვით, ღირს კი ამაზე წერა? რაც მართალია, მართალია, კარგად ვმუშაობდი, თავისუფალ დროს კი მდინარეში ვბანაობდი და მზეზე ვიხრუკებოდი, მაგრამ განა ასევე არ იქცეოდნენ ჩემი ამხანაგები? მოდი, რამე მოვიგონო? არა ივარგებს, ტყუილი გამოვა; ამხანაგებს სახაცილოდ არ ვეყოფი.

მერე ასე გადავწყვიტე. შარშან მთებში ვიყავი ალპურ საძოვრებზე და იქ ისეთი რამ შემემთხვა, ალბათ, ღირს ამაზე ლაპარაკი. მერე რა, რომ მაინცდამაინც წლეულს არ მომხდარა ეს ამბავი. სამაგიეროდ ისე ცხადად მახსოვს, თითქოს გუშინ გადმეცადოს, ჰოდა, იქნებ გულისყური მომაპყროთ. მაშ, ასე...

მთები...ოჰ რა მიყვარს მთები.. იმ არდადეგებზე პირველად ვნახე მთები და მშობლიურ სოფელივით შემიყვარდა. არა, ცხადია, ჩვენი მთები წინათაც მიყვარდა; რამდენი რამ მესმოდა იმათზე, მეოცნებებოდა იქ ყოფნა, მაგრამ ახლა, როცა ოცნება ამიხდა, მივხვდი, მთის არწივისა არ იყოს, ამ ქვეყანაზე სამასი წელიწადიც რომ გავძლო, სულ ერთია, მაინც არ ძალმიძს მომჯადოებელი, მშობლიური მთების სილამაზის აღწერა.

იმ ღამეს დედაჩემი გვიანობამდე სამგზავროდ მამზადებდა. ბებია ძალიან ღელავდა. იგი გვერდით მეჯდა და ჭკუას მარიგებდა, რჩევას მაძლევდა; მე კი გამუდმებით ხვალინდელ დღეზე ვფიქრობდი. ღამით ძილი გამიკრთა. თვალს

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავხუჭავდი თუ არა, მაშინვე ყურში სიმონის ხმა ჩამესმოდა: ლეუარსა, ადექი, ბიჭო, დროა უკვე! რამდენჯერმე წამოვხტი ფეხზე, მაგრამ ირგვლივ სიჩუმე იდგა. — ყველას ეძინა. მეც ქვლავ ლოგინში შევრგავდი თავს. ოჰ, რა უსაშველოდ მომეჩვენა ეს ღამე!

ვიწექი და ვფიქრობდი ხვალინდელ მგზავრობაზე, ვფიქრობდი ჩემს კრავზე, რომელსაც ჭაში ერქვა. სკოლა ფრიადზე დავამთავრე და ბიძაჩემმა ამის აღსანიშნავად შავი კრავი მაჩუქა. კრავს შუბლზე დიდი თეთრი ნიშანი აჩნდა. ასევე შევარქვით: ჭაში აფხაზურად თეთრშუბლას ნიშნავს.

მე მიყვარს ჭაში, ისიც ყველასგან მანსხვავებს. შევაჩვიე ჩემი კრავი ნამცხვრისა და ტკბილეულის ჭამას და საკმარისია ეზოში გამოვჩნდე, რომ თავაღერილი ჩემსკენ გამოიქცეს. საკუთარი ხელით მივართმევ ხოლმე ყელის ჩასაკოკლოზინებელს. ჰოდა, მერე იგი მოჰყვება ანცობას, დახტის ჩემს გარშემო, მოვა, გვერდს გამათხანს, რქებით მჩხვერს. ესეცაა, ბრაზობს ჭაში, თუკი ხელში ვერაფერი დამინახა, უკანა ფეხებით მიებჯინება მიწას, გამოექანება და, რაც ძალ-ღონე აქვს, დამეჯახება.

იცის სიმონმა რარიგ მიყვარს ჩემი კრავი და მის წაყვანაზე დამთანხმდა. სიმონი ჩვენი არც მეზობელია და არც ნათესავად გვერგება, მაგრამ რატომღაც ჩემი წაყვანა ინდომა მთებში, კოლმეურნეობის მწყემსებს დაეხმარე და თხები მწყემსეო.

დილას მამაჩემმა მთელი ჩემი მოწყობილობით მწყემსებთან მიმიყვანა. ჭაში წუხელს მერე აქ იყო. დამინახა თუ არა, გახარებულმა დაიბღავლა და ჩემსკენ გამოიქცა.

ჯერ კიდევ არ მჯეროდა, მწყემსებს მართლა მთაში მივჰყვები-მეთქი, მაგრამ როცა მივხვდი, სიზმარში არ ვიყავი, სიხარულმა ამიტაცა. მაყურებელი ფარდის ახდას რომ ელოდება, სწორედ ასე მოუთმენლად ველოდი იმ წამს, როცა ბოლოს და ბოლოს მთებს დავინახავდი.

უკვე ზამთრის მიწურულს გაცოცხლდა აქამდე უტყვი ხეობები; ისმოდა მწყემსების გადაძახილ-გადმოძახილი, თხების კიკინი და ცხვრების ბღავილი. აი, ახლა მე და ჭაშიც შევუერთდით მათ. საწყალი ჭაში! თბილ ყარაყულისქურქიანს უჭირს თხებისთვის ფეხის აწყობა, არადა, არც უნდა ჩამორჩეს! თავი ჩაუქინდრავს და გაუსაძლისი სიცხისაგან შეწუხებული მიაბიჯებს. თვალი მასზე მიჭირავს და ხშირად შემოვუძახებ ხოლმე.

— აბა, გამაგრდი, ჭაშ!

იგი თეთრშუბლა თავს აიღერს და ისე შემომაჩერდება, თითქოს მეუბნება, ნუ გეშინია, არ გიღალატებო...

მზე ჩასაგორებლად ემზადებოდა, როცა წიფლის მეჩხერ დაბლნარს მივატანეთ. სიმონმა ამიხსნა, ამ დაბალ წიფლებს ხომ ხედავ! ჰოდა, ალპური საძოვრებიც ახლოაო.

აქამდე ტანაშოლტილ წიფლნარში მოვდიოდით, ზეცას რომ ეფარებოდა, ახლა კი გადაიხსნა ცა, ასე ახლო და ლურჯად მოლივლივე. წინ ხშირი და ხასხასა ბალახით დაფარული გორაკები დავინახე. გორაკების ფერდობებზე ბალახს ძოვდნენ ცხენები, რომლებიც შორიდან სათამაშო ცხენები გეგონებოდა.

„ნეტა მალე მიმიყვანა იქამდე და იმ სიმაღლიდან გადამახედა დაბლა!“ — ვფიქრობდი მოუთმენლად.

●

გავიდა რამდენიმე დღე და მე უკვე მარტო ვმწყემსავდი თხებს. ირგვლივ ყველაფერი სიხარულს მგვრიდა: თავწაწვეტებული მწვანე მთები, რომელთა ყურებით ვერ ვძღებოდი, და მოჩხრიალე ნაკადულები, ძალგულოვანი არწივები — მთათა გუშაგები და მთის ინდაურები — აკაფკაფები.

ხანდახან, როცა თხები თვალებს მილულავდნენ ან მშვიდად ძოვდნენ ბალახს, მე მაღლა-მაღლა ავდიოდი. ერთი სული მქონდა იმსიმაღლეზე ავსულიყავი, საიდანაც ბოლოს და ბოლოს ვიხილავდი უკიდეგანო ქვეყანას. ჰოდა,

ასე ავდიოდი ერთ მწვერვალზე, რომლის იქით მეორე აღმართულიყო.

— არაფერია, — ვფიქრობდი გულში, — იმ მწვერვალიდან ხომ მაინც დავინახავ, რაც დასანახია!“

გამოხდებოდა ხანი და მეც იმ მწვერვალზე ავიდოდი, მაგრამ იქვე სხვა აღიმართებოდა, უფრო მაღალი. ასე ავდიოდი ერთი გორიდან მეორეზე, მაგრამ ჩემს წინაშე სულ ახალ-ახალი მწვერვალები ჩნდებოდა, რომლებიც ცას ეფარებოდნენ და მეგონა, სულ აგრე გაგრძელდება-მეთქი. გულდაწყვეტილი ვბრუნდებოდი უკან ჩემს თხებთან, მაგრამ დანებებას არ ვაპირებდი. ყოველდღე ახალ მწვერვალზე ავდიოდი, ქანცი მიწყდებოდა, მერე პატარა სულს მოვითქვამდი, თავს შემოვუძახებდი და მეორე დღეს ყველაფერი თავიდან იწყებოდა.

ვინ იცის, რით დამთავრდებოდა ეს ამბავი, რომ თხებთან დასაბრუნებელი არ ვყოფილიყავი. მე ახლაც არ დამიკარგავს იმედი, რომ ერთხელაც იქნებოდა ავცოცდებოდი საოცნებო მაღალ მწვერვალზე...

გადიოდა დრო. მე თხებს ვმწყემსავდი და ჩემს ჭაშს თვალს არ ვაცილებდი. იგი ყოველთვის გრძნობდა ჩემს სიახლოვეს და თუ ხანდახან გვერდზე გავდიოდი, ბღავილს კი არ მორთავდა, ნელ-ნელა მომიჩოჩდებოდა და გახარებული შემომაჩერდებოდა. ჭაში უკვე აღარ მთხოვდა ნამცხვარსა და ტკბილეულს, აღარც წინანდებურად ანცობდა, ალბათ, უცხო ციკნებისა თუ ერიდებოდა.

როგორც კი თხებს შევასვენებდი და მუხლში ქარს ამოვიღებდი, ჭაში ჩემს ფერხთით მოიკალათებდა და სველ დრუნჩს გამკრავდა ხოლმე. საათობით შემეძლო ასე ყოფნა; ვტკბებოდი მთების სილამაზით, ვფიქრობდი იმ მთების უცნაურ სახელებზე, რომლებშიც მთელი მათი წარსული იყო ჩამარხული.

აი, შორით ილანდება ქარაფი, უზარმაზარ დათვს რომ მოგაგონებს, იმას იქით კი თითქოს კალმით ნახატიაო, ცას მიბჯენია ჯავარიანი მწვერვალები. მწვერვალს შორის, უშველებელ ღრმულებში, ალგითებს რომ უწოდებენ, მუდამ თოვლი ძევს.

ერთხელ სიმონს ვკითხე:

— ნეტა რამ შექმნა კლდეებისა და ალგითების ეს გრეხილი, და-ძმასავით რომ ჰგავს ერთმანეთს?

— ღმერთმა შექმნა! — არც კი დაფიქრებულა, ისე მიპასუხა სიმონმა. გამეცინა.

— უყურე ერთი ამას! — უწყინრად გაიოცა სიმონმა, — ჭიპი ჯერ კიდევ არ შეხორცებულა, შენ კი უკვე ღვთის ძალისა გეეჭვება...

ერთხელ თხები იმ კლდისკენ გავრეკე, რომელსაც ხირუას ეძახიან. ეს ადგილი იმსიმაღლეზეა, რომ როცა აქედან დაბლა იცქირები, გგონია დედამიწას თვითმფრინავიდან ვხედავო. გალეულ სანთლებივით ელავენ მთათა კალთობებზე შეფენილი მეჩხერი ფიჭვები, უფრო ქვემოთ კი ხშირი ფიჭვნარი, თითქოს თამბაქოს ნარგავებიაო. სიმონმა მითხრა, იმ ტყეში იმოდენა ფიჭვებია, სამი კაცი ხელს ვერ შემოაწვდენს, წვეროკინები კი თითქოს ცას მიბჯენიანო. ჰოდა, წარმოიდგინეთ, რანაირი ყოფილა ხირუა!

ხშირად გავდენიდი ხოლმე თხებს იმ კლდისკენ. ძალიან მომწონდა ხედი, აქედან რომ იშლებოდა. ჰაუ, რამოდენა სივრცეა! პირდაპირ მწვერვალი ჯიშრა აღმართულა, იქამდე ათიოდე კილომეტრი თუ იქნება. სწორედ იქ იღებს სათავეს, ნემსის ყურში გაყრილი ძაფივით იკლაკნება და ჰიფსთის დაბლობზე მიექანება თეთრი მდინარე. თავზევით მესმის აკაფკაფების შეშფოთებული კივკივი და ეს ხმები სიმონის მწყემსური სალამურის ხმას მაგონებს. აქ, ამ ზეციურ სიმაღლეზე მესმის ამ მთებისა და მათი ბინადრების გრძნეული ლაპარაკი.

ერთ დღეს თვალი მოვკარი კლდეებზე



ეროვნული ბიბლიოთეკა

დაწალიკებით მიმცოცავ ადამიანებს. ჯერ არ მენახა ამდენი კაცი ერთად დადგომოდეს ასეთ საშინელ გზას. ისინი მაღლა-მაღლა ადიოდნენ ჩემს თავზევით. ახლაღა მივხვდი, რად მაფრთხილებდა სიმონი, ქვა ძირს არ გადააგდოო.

— ეს მთის კანონია! — მეუბნებოდა იგი. — შეურყეველი კანონი!

მე კი, მართალი გითხრათ, ძალიან მინდოდა ამ სიმაღლიდან გადამეგდო უზარმაზარი ქვა, რომ მძლეთამძლე სასრიყვასავით* გამეყრუებინა ეს ხეობები და მთათა მწვერვალები ძირს მიმგორავი ქვების გრუხუნით. ისე კი, ახლა უკეთ მესმოდა, რა სამართლიანი ყოფილა მთის კანონები.

ჰოდა ასე, ისინი ვიზეც გელაპარაკებოდით, მაღლა ავიდნენ. პირველად ვიფიქრე, მონადირეებია-მეთქი, მაგრამ ჯერ ერთი, ნაკლებად ჰგავდნენ მონადირეებს, მეორე კიდევ, ამდენი მონადირე ერთად რად შეიყრიდა თავს და გზას დაადგებოდა? შემდეგ სიმონმა ამიხსნა, გეოლოგები იქნებოდნენ, ჩვენს მთებში ძვირფას მინერალებს ეძებენო.

„ალბათ ასე იქნებოდა, — გავიფიქრე, — არ შეიძლება ხირუსთანა უზარმაზარი მთა თავის წიაღში რამეს არ ინახავდეს!“

სხვა დროსაც მოვკარი თვალი უღელტეხილისკენ დაწალიკებით მიმავალ ადამიანებს, მაგრამ ესენი, ვიცოდი, ტურისტები იყვნენ. რამდენი ვინმე დასცინის ტურისტებს, მე კი მშურს მათი. რამდენ რამეს ნახულობენ, რა დიდებული ადგილები ხვდებათ გზაში. სხვისი არ ვიცი და მე ძალიან მინდოდა ყველა ჩვენს მთაზე ასვლა.

საღამოხანს ეს სიმონს გავუმხილე.

— გინდა ხვალ სანადიროდ წაგიყვანო? — გულღიად შემომთავაზა მან.

ჩემ სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. მეორე დღეს ცხენებს მოვაჯექით და მთებს ავუყევით. ოჰ, რა კარგია უნაგირზე ჯდომა, როცა სულ მაღლა და მაღლა ადიხარ! ირგვლივ გორები შემოგვჯარვოდა, შორით კი მწვერვალები ილანდება. იმ მთებთან შედარებით ჩვენ სულ ერთი ციცქნა ვართ, მაგრამ ისიც ვიცი, რომ მთები მხოლოდ ადამიანს ემორჩილება. ამიტომ სულაც არ მეშინოდა, პირიქით, ისე შევყურებდი ამოდენა მთებს, როგორც ტოლი უყურებს ტოლს და დატყვევებული ვიყავი მათი სილამაზით. ერთ უღელტეხილზე სიმონმა პატარა ბანაკივით რაღაცა მოაწყო, მე იქ დამტოვა, თვითონ კი სანადიროდ გაუტია.

ოდნავ სული რომ მოვითქვი, წამოვდექი და იქაურობა მივათვალიერ-მოვათვალიერე. ცოტას გავივლ-გამოვივლი-მეთქი, გადავწყვიტე, მაგრამ ათიოდე ნაბიჯი კი გადავდგი და იქვე გავხევდი: პატარა ჩაღრმავებულში ადამიანის ძვლები ეყარა. მიწაზე ელაგა თოვლისგან გარეცხილ-გაწმენდილი, მთაში მოსისინე ქარისგან გამოფიტული ადამიანის ძვლები. გამახსენდა მონადირეთა მონაყოლი ლეგენდა-თქმულებები მთებში გამართულ ორთაბრძოლებზე... და ისიც, როგორ ებრძოდნენ აქ ჩვენი ჯარისკაცები ფაშისტებს... რატომ ხოცავენ ადამიანები ერთმანეთს? მაინც რამოდენაა ჩვენი სამყარო, რა ლამაზი! მაშ, რად არ უნდათ ადამიანებს ბედნიერად იცხოვრონ მშობლიურ მიწაზე? რად ლუპავენ სხვას და თვითონაც ილუპებიან? დედამიწა, ბუნება გულს უხსნის ადამიანს, არაფერს მალავს მის წინაშე, კაცის ძვლები კი — უდანაშაულოთა და ბოროტეულთა ძვლები — დაუმარხავი ჰყრია მიწაზე...

მთელი დღე მშვიდობაზე, ქვეყნიერებაზე, ადამიანზე ვფიქრობდი... ამ ფიქრებში ჩაძირულს მომისწრო სიმონმა. გახარებული იყო, ნადირობაში ხელი არ მოცარვოდა: მხარზე გადმოკიდებოდა არჩვის უსიცოცხლო თავი.

●

— ამ ბოლოხანს ამინდი შეიცვალა. აცივდა მთაში. გორებს ღრიან-ღამიანად ეფინა გაუმჭვირი ნისლი. ამნაირ ამინდში ძალიან გვიჭირს ჩვენ, მწყემ-

* სასრიყვე — აფხაზური ნართული ეპოსის გმირი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სეზს — მე ახლა თავს ხომ ნამდვილ მწყემსად ვთვლიდი.

უბედურებაა მთაში ნისლი. ნელ-ნელა მოცურავს იგი ზღვიდან, თითქოს ვიღაცა მოდენისო. დროდადრო ჯანლი გაიფანტება, მწვერვალებს კორტოხზე მოედება, მაგრამ გავა ხანი, ისევ შედედდება და ყველაფერს შთანთქავს. ოჰ, რა ძნელია ამ დროს პირუტყვის მწყემსვა, ის კი არა, ციცაბო ფერდობებზე გზის გაკვლევაც ჭირს. ახლა კლდე ხომ კლდეს არ ჰგავს და გზა — გზას. ნისლში არავინ არ მიდენის პირუტყვს ხირუაზე.

იმ დღეს, როცა თხები მთაში უნდა გამერეკა, დილიდანვე კარგი დარი დაიჭირა, თუმცა სიმონმა გამაფრთხილა:

— არ გაბედო ხირუაზე ასვლა. ისეთი პირი უჩანს, ნისლი ჩამოწვება.

მაგრამ გავიხედ-გამოვიხედე და საშიში ვერაფერი შევამჩნიე. მოვისხი საგანგებოდ ჩემთვის შეკერილი ნაბადი, ავიღე ნაჯახი, ხელში კომბალი დავიჭირე და თხები გავრეკე. ყოველთვის ვცდილობდით არვე იქითკენ გაგვერეკა, სადაც უკეთესი საძოვარი გვეგულებოდა. ჰოდა, ისევ მომინდა ხირუაზე ასვლა; მარტო იმიტომ კი არა, რომ იქიდან მიყვარდა დაბლა ცქერა, კარგი ბალახი იცოდა იქ, რბილი, ცვრიანი, ჩემს თხებს რომ უყვარდა, აი ისეთი! ამასთან ახლა აგვისტოს მიწურული იდგა და მე მალე უნდა დავბრუნებულიყავი სოფელში. ამის გამო სულ უფრო მიმიწევდა გული ხირუასკენ. ჰოდა, ავდექი და აღარ დავუჯერე სიმონს.

— აბა რა უნდა მოხდეს, — ვფიქრობდი გულში, — სიმონი მაინც ვერაფერს გაიგებს. მე კი რაც შეიძლება ყურადღებით უნდა ვიყო...

ავედი ჩემს ამოჩემებულ, საყვარელ ადგილზე. ირგვლივ ისეთი უჩვეულო სილამაზე გადაშლილა, ყველაფერი ისე მზითაა სავსე, რომ თვალი მეტკინა. წინ ვიყურები. აქედან ვხედავ უშველებელ კლდეს, მოხაზულობით ქალის სხეულს რომ მოგაგონებს. ხალხში ამ კლდეს — „დედის კლდეს“ უწოდებენ. გამახსენდა სიმონის მონაყოლი ლეგენდა:

ძველად ჩვენ სოფელს თურმე ყაჩაღები დაესხნენ თავზე. გაძარცვეს სოფლელები და ყველანი მონებად გაირეკეს. ვაებდა ხალხი — სამუდამოდ ტოვებდნენ მშობლიურ ადგილებს. რას უქადდათ ბედი? ავაზაკებს შეეძლოთ ისინი საქონელივით გაეყიდათ, ცხრა მთას იქით გადაეკარგათ, ზღვის გაღმა წაესხათ. ზოგს გზაში სიცოცხლეს მოუსწრაფავდა ყაჩაღის ტყვია და ადამიანი სრულიად უმწეო იყო ულმობელი ბედის წინაშე. რას იზამდნენ, ასეთი დაუდგათ დროება.

ჰოდა, როცა ყაჩაღებმა ტყვეები სოფელ ჯიშრაში მირეკეს, ღამე ჩამოწვა. ავაზაკებმა ყველას ხელ-ფეხი შეუკრეს და დასაძინებლად მიწვნენ. მხოლოდ ერთი მონადირის ახალგაზრდა ცოლს არ ახლეს ხელი, იგი ბავშვს ელოდებოდა და ყაჩაღებმა, ეტყობა, იფიქრეს, სულ ერთია, შორს მაინც ვერ წაგვივაო. შუაღამისას, როცა ყაჩაღები ღრმა ძილში იყვნენ, ქალი უხმაუროდ გასხლტა და უკანვე დაბრუნდა.

რიჟრაჟზე ერთ ავაზაკს გამოეღვიძა, ქალის გაპარვა შეამჩნია და განგაში ასტეხა.

— მის დაწევას რა დიდი ამბავი უნდა, — ბოროტად ჩაიქირქილა ყაჩაღების წინამძღოლმა. — აბა, ჩქარა დაიჭირეთ და აქ მომგვარეთ, ისე ვასწავლოთ ჭკუა, რომ სხვასაც დაახსომდეს!..

მზის სხივები უკვე ხეთა კენწეროებს დაეფინა, როცა ყმაწვილმა ქალმა შეამჩნია, რომ ყაჩაღები კვალში ჩადგომოდნენ. მაშინ მან უკანასკნელი ძალა მოიკრიბა და გაიქცა, მაგრამ განა ადვილია სირბილი, როცა მუცელში ბავშვი გიზის? წინ კბოდეა, რომლის იქით მშობლიური სოფელი ეგულება, უკან კი ისინი — საძულველი მტრები. ქალს თრთოლვამ დაუარა, თავით ფეხამდე

ნიკოლოზ ჯაშიბი
ვაჟკაცს რა არ შეემთხვევა...

აცახცახდა და იგი სათანეი გუაშასავით* შეევედრა ღმერთს:

— ღმერთო, ნუ დაიბადება ჩემი შვილი მონობაში! გეხვეწები გამაქვავო! და კიდევ გთხოვ, ეს ქვა კლდედ აქციო, ჩემზე ათასჯერ უფრო დიდ და მძიმე კლდედ, რომ ვერავინ მომწყვიტოს ჩემს მიწას და მარად ვტკბებოდე მშობლიური სანახებით!..

„დედის კლდე“ თავზე წამოდგომია მეზობელ მწვერვალებს და იგი აღსავსეა დიდებულებით, ფარული დარდითა და ვარამით....

მაინც რამ გააგიჟა დღეს მთის ინდაურები — აკაფკაფები. ყურში გამუდმებით ჩამესმის ამ შემაშფოთებელი ხმების ექო, თვით აკაფკაფები კი ერთი კლდიდან მეორეზე გადასხდებიან ხოლმე. უცებ გაისმა გრიალი და ქვები დაბლა დაგორდა. მოვბრუნდი თუ არა, თვალი ვკიდე სამ ფსიტს, რომლებიც ხრამის პირზე ისე გარბოდნენ, თითქოს მთის არწივების ჩრდილებიაო.

„ნეტა სიმონი იყოს აქ!“ — ვფიქრობდი ჩემთვის.

ასე კი ვფიქრობდი, მაგრამ იმწამსვე უკუვაგდე ეს აზრი, ისინი ისედაც შეშინებულები არიან, ჰოდა დაე ირბინონ, თუმცა სიმონს, რა თქმა უნდა, ვერსად გაექცეოდნენ.

ვიდრე გაქცეულ ფსიტებს გავსცქეროდი, ხეობიდან კვამლი აიზლაზნა, თითქოს მწყემსებმა კოცონი დაანთესო, მაგრამ ამისთვის ყურადღება არ მიმიქცევია. ამასობაში მზეც გადავიდა. ახლაღა შევამჩნიე, რომ ეს კვამლი აქეთკენ მოდენილ ნისლად იქცა. აი, მან უკვე ჩაყლაპა ნახევარი მთა. მე ხელი წამოვავლე ნაჯახს, კომბალსა და დაგორგლილ ნაბადს და თხებისკენ გავიქეცი; შორს არ წასულიყვნენ, ნაკადულის ახლომახლო გაფანტულიყვნენ. დავუწყე ერთად შექუჩება. ჭაშიც იქ იყო. დავაქაცდა იგი, გამბედაობა შეემატა, დინჯად ძოვს ბალახს, არ ეჩქარება. სანამ თხებს თავს ერთად მოვუყრიდი, სქელმა ბურანმა დაფარა იქაურობა. ისე მოიშკუპრა, თითქოს მზე დაბნელდაო. სამ-ოთხ ნაბიჯზე არაფერი ჩანდა, ნისლი კი სულ უფრო და უფრო დედდებოდა. გამახსენდა სიმონის ნათქვამი:

— ნისლში სიარული არ შეიძლება, თუკი მოგისწრო, შეიცადე!

ნაბადი მიწაზე გავაგე და დავჯექი, მაგრამ სიმშვიდე არ მიგვრძნია. კვლავ წამოვდექი, არვეს ირგვლივ შემოვუარე. თხები ერთ გუნდად შეგუზგზულიყვნენ, ბალახს აღარ ძოვდნენ, გაჩქუტელი რაღაცას ელოდებოდნენ. საღამო ახლოვდებოდა, ნისლი კი სულ უფრო სქელდებოდა და სქელდებოდა. გადავწყვიტე, ნელ-ნელა განმეგრძო გზა. ანდეზე მივდივარ და თხებიც თან მიმყავს, იქნებ სადმე გავიდე-მეთქი.

მივდივართ, მივდივართ და ჩალუსკუმებულ ვიწრობში კი ამოვყავით თავი. არა, ვიწრობი კი არა, ქვის ვარცლსა ჰგავს რაღაცაა. მარჯვნივ გავიხედავ და მიუვალ კლდეს დაუღია ხახა, მარცხნივაც იგივე ჩანს, წინ კი ვერაფერს ვხედავ. ვგრძნობ, რომ დავიბენი, მაგრამ მაინც იმედს არ ვკარგავ, როგორმე ჩვენს სადგომთან გავალთ-მეთქი. თხებსაც არ ვაჩერებ, იმათაც ეჩქარებათ, წინ გარბიან, ლამობენ მალე შეუერთდნენ დანარჩენებს.

ჩემს წინ მორბენალი თხები უცებ შეჩერდნენ და ადგილზე დაესვნენ: ჭაში მე მეკვრის, რაღაცა ფარსაგს თუ უგრძნობს ტანი.

— ნუ გეშინია, ჭაშ! — ვეუბნები, — არ მიგატოვებ!

მეწინავე თხებს ვუახლოვდები და ირგლივ ვიხედები: ჩვენს წინ პირი დაუღია უფსკრულს, ჯანღითა და ბურუსით რომ არის სავსე. თხები აქეთ გამოვრეკე, შევჩერდი და დავფიქრდი, ახლა საით წავიდე-მეთქი. რა უნდა მექნა? ისევ ადგილზე დარჩენა გადავწყვიტე.

დავაშოშმინე თხები და გადმოკიდებული კლდის ქვეშ შევდენე, სადაც სიმშრალე იყო. მიწაზე წამოწვნენ. ნა-

* სათანეი გუაშა — აფხაზური ნართული ეპოსის პერსონაჟი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბადი და ნაჯახი ერთ დიდ ქვასთან დავდე და ბექზე ავცოცდი.ირგვლივ არც არაფერი ჩანს და არც არაფერი ისმის. მხოლოდ მთის მდინარე ჩხრიალებს ნისლში. მინდა ხმამაღლა ვიყვირო, დავუსტვინო, მაგრამ ვაითუ თხები დავაფრთხო და აქეთ-იქით გაიფანტონ, მერე რაღას ნახავ.

ამასობაში თანდათან ჩამობნელდა და სასოწარკვეთილებამ შემიპყრო. თხებთან დაბლა ჩასვლა გადავწყვიტე, როცა სროლა მომესმა. მაშინვე მივხვდი, სიმონი მეძებდა. ბექი გადავირბინე და გაბმით დავუსტვინე. დიდხანს ვუსტვენდი ასე. მერე კიდევ გავიგონე სროლის ხმა პირველიდან მოშორებით. ეტყობა, სიმონი სხვა მხარეს წავიდა. რა მექნა? ისევ შეშინებულ თხებთან დავბრუნდი. ახლა ყოველ ნაბიჯს ფრთხილად ვადგამდი. ირგვლივ აღარაფერი ჩანდა.

ასეთია მთები, ისინი არავის აპატიებენ შეცდომას და თავისი კანონების უპატივცემულობას.

მოვნახე ჩემი ნაბადი, გავშალე და შიგ გავეხვიე. ვზივარ და ვიცდი. თვითონაც არ ვიცი, რას ველოდები. მიხარია, რომ თხები დაწყნარდნენ, წვანან ახლა და იცოხნებიან. მხოლოდ ჭაში არ ჩანს არსაით.

— ჭაშ, ჭაშ! — ვუხმობ მე, მაგრამ იგი დუმს, პასუხს არ მცემს.

ამ ბოლო ხანს ჭაში ყოველთვის როდი მეხმიანება ხოლმე, მაგრამ მაინც ჩამოვუარე თხებს, ჭაში მოვძებნო-მეთქი. ბევრი ვიარე, მაგრამ ჩემი თეთრშუბლა ვერსად ვნახე. თუმცა ამ ყიამეთში რას ნახავდი კაცი. ისევ დავჯექი, კვლავ მომესია უამური ფიქრები. ახლა შიშითაც კი აღარ მეშინოდა. გამახსენდა მამაჩემის თქმული: ვაჟკაცს არც ტყისა ეშინია და არც მხეცისაო. ჰოდა, შენც ყველაფერში ვაჟკაცობა გამოიჩინეო.

ისიც მომაგონდა, ერთ ჩვენს მეზობელს რომ უყვარდა თქმა:

— ვაჟკაცს რა არ შეემთხვევა...

„მეც ხომ ვაჟკაცი ვარ!“ გავიფიქრე.

მართალი გითხრათ, მე ჩვენი მწყემსებისა უფრო მედარდებოდა [illegible] ბათ, ახლა მეძებენ ნისლითა და ბურუსით დანამულები, არც ჭამა ახსოვთ და არც დასვენება. საშველს არ მაძლევდა ამ ჯანღივით ქუფრი ფიქრები. შუაღამისას ნაბადში გავეხვიე და მივწექი. დაღლილ-დაქანცულს მალე ძილი მომერია.

●

ძილში სულ ვწრიალებდი. სიცივისგან მოკუნტული ვიწექი, ხშირ-ხშირად მეღვიძებოდა და ღამეს ვაყურადებდი, მაგრამ ნაკადულის ჩხრიალის მეტი არაფერი მესმოდა; ბოლოს სიცივემ საბოლოოდ გამომაფხიზლა, თვალი გავახილე და მივიხედ-მოვიხედე. ნისლი თითქმის გაფანტულიყო, ბნელში ერთმანეთს შერწყმოდნენ ვეებერთელა კლდეები, მაღლა კი მოწმენდილ ცაზე ცივად ციმციმებდნენ ვარსკვლავები. ისე გავითოშე, რომ კბილს კბილზე მაცემინებდა; თხები მშვიდად იყვნენ და ქსუტუნებდნენ, თითქოს ფარეხში არიანო. ჩემგან ოდნავ მოშორებით ჭაში ხოჭოსავით მიკვროდა ნაცრისფერ ქვას. არ მომეწონა, რომ თხებს დასცილებოდა, მაგრამ ახლა მისი შეწუხება არ მინდოდა.

ხტუნვა-ხტუნვით ცოტათი რომ შევთბი, ისევ მივწექი და დავიძინე. მესიზმრა, თითქოს ჭაშს დათვი ეპარება, იგი კი ვერ ხედავს. მინდა დავიყვირო, მაგრამ არ შემიძლია, ხმას ვერ ვიღებ. ამასობაში დათვმა ჭაში ჩაბღუჯა და გაიქცა. ამ დროს რაღაცა ხმაურმა გამომაღვიძა. არ მახსოვს, ფეხზე როგორ წამოვხტი; თითები პირში ჩავიდე და გაბმულად დავუსტვინე, მერე ისე დავიყვირე, რომ მთები შეზანზარდა. ვყვირივარ და თვითონაც ვერ გამიგია, რა მოხდა, რა მაყვირებს. თხები საწყალობლად კიკინებენ, ერთ ადგილზე ტრიალებენ, მერე კი ზვავივით აწყდებიან

აქეთ-იქით. სავსე მთვარე დაჰნათოდა დედამიწას და მე დავინახე, რომ დამფრთხალი ჭაში სულ თავში მირბოდა. დანარჩენებიც მას მისდევდნენ.

ნაჯახს ხელი ვტაცე და ისარივით გავექანე არვეს, ვცდილობდი ყვირილით შემეჩერებინა თხები. ბოლოს ისინი შედგნენ და დამაგნიტებულებივით ერთ ადგილზე გახევდნენ.

ახლა კი ირგვლივ მივიხედ-მოვიხედე და გორაკის კორტოხზე მდგარი რომელიღაც მხეცი დავლანდე. ამ დროს ფერდობზე ჩამოირბინა კუდამოძუებულმა მეორე მხეცმა. გორაკზე მარტოდ დარჩენილს ჯერ კიდევ ვერ გადაეწყვიტა გაქცევა. მაშინ მთელი ხმით დავიყვირე და ქვები დავუშინე. მხეცმა იმწამსვე მოცოცხა იქიდან, ნავადი მწყემსი თუ ვეგონე. ნამდვილად მგლები იყვნენ.

მგლებს ისე არ შევუშინებივარ, როგორც ჩემმა საკუთარმა ხმამ შემაშინა; *როცა დავიყვირე, გული გადამიქანდა,* ჩემი ხმა სხვისი მეგონა.

კვლავ გამახსენდა მამაჩემის სიტყვები: ვაჟკაცს არც ტყისა ეშინია და არც მხეცისაო. მარტო რომ ვყოფილიყავი, რა მიჭირდა, მაგრამ საშიშროება მთელ არვეს ემუქრებოდა. მთავარი მაინც ის იყო, რომ ჩემი გამოისობით სიცოცხლეს საფრთხეში აგდებდნენ მწყემსები, ამ უკუნეთ ღამეში ბილიკებს მიუყვებოდნენ და მე მეძებდნენ. მაინც რად არ დავუჯერე სიმონს.

ერთხანს სიჩუმე ჩამოვარდა და მე თავისუფლად ამოვისუნთქე, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მგლები შორს არ წასულიყვნენ. როგორც კი მათი ზარდამცემი, გულისგამყინავი ყმუილი გაისმა, ჩემი ერთადერთი იარაღი — ნაჯახი ჩავბღუჯე და მოვყევი ხმამაღლა ყვირილსა და სტვენას. თხები ზედ უფსკრულის პირას შეგუბდნენ. უცებ ხრამიდან ციკნის კიკინი ჩამწვდა ყურში. თხები შეკრთნენ, შეტოკდნენ. ხრამისკენ გავიქეცი და დავინახე თეთრი ციკანი, ფეხებით უფსკრულის კიდეს რომ ჩაბღაუჭებოდა. მყისვე გამახსენდა ჭაში. ის ხომ ყველაზე წინ გარბოდა და ამ ციკნისა არ იყოს, ალბათ, ხრამში გადავარდა. ნეტა მაღლა ამოფორთხდა? მთვარის შუქზე არვეს ჩამოვუარე, ჭაში არსად ჩანდა.

— ჭაშ, ჭაშ! — ხმამაღლა დავუძახე მე, მაგრამ პასუხი არავის გაუცია. ხრამში გადავიხედე, სიჩუმე იყო. უცებ მთვარის შუქზე შავი წერტილი დავლანდე, ციცაბო ფერდობზე. ჭაშ!.. მაგრამ იგი არ ინძრეოდა.

„ნეტა ცოცხალია?“ — გავიფიქრე და კვლავ დავუყვირე.

— ჭაშ, ჭაშ!

ან დაჭრილია ანდა მემალება, მაგრამ პასუხი არ გაუცია. ჰო, უკვე გითხარით, ამ ბოლო დროს იშვიათად მეხმიანება-მეთქი, მაგრამ ასეთ დროს ხმა უნდა გაეცა; ჭაში კი დუმდა.

●

*მთვარე მაღლა მოცურავდა* შორეულ მთაგრეხილს. გათენებამდე კიდევ კარგახანი იყო. ნაჯახი ქამარში გავირჭვე, კომბალი ხელში დავიჭირე და ფრთხილად დავეშვი დაბლა. ხან მაღლა ავიხედავ და თხებს ვაწყნარებ, ხანაც დაბლა ჩავიხედავ — ჭაშს მოვუხმობ. მთვარე ჩემზე უფრო სწრაფად ჩადის.

„შენ რომ ჩადიოდე ამ ციცაბოზე, ასე არ იჩქარებდი! — ვუბრაზდები მთვარეს და გულში ვამბობ: გინდა მომატყუო, გინდა, ადგილს მოვწყდე ან ამ ხრამში ჩავრჩე, ხომ?.. ვერ მოვართმევ! ვიდრე მაგ უსირცხვილო სახეს დამალავდე, ჭაშს ვნახავ და ჩემს არვეს დავუბრუნდები...“

დაბლა ვეშვები და თან ჭაშს ვეძახი. უცებ მეხმის ციკნის კიკინი, რომელიც იქვე ახლოს თვითონ ლამობს ხრამიდან ამოსვლას.

„გასაოცარია, — ვფიქრობ მე, — ცხვრები ყოველთვის მეწინავეს მიჰყვებიან, ერთი მეორის მოყოლებით ხტებიან ხრამში, მაგრამ ციკანი რად უნდა მიჰყოლოდა ჭაშს? თუ ჭაში ციკანს დასახმარებლად მიჰყვა, ახლა კი გამოერკვა და უკან ასვლას ცდილობს?..“



ეროვნული ბიბლიოთეკა

უცებ ქვა დამიცურდა, ქვევით მივფრინავ და მეჩვენება, რომ ჩემთან ერთად კლდეც ჩამოინგრა. რომელიღაც ბუჩქს მოვეჭიდე, ძირს კი ხრიგინით მიგორავენ ქვები და ღამეულ ხეობას აღვიძებენ.

ახლა კი მართლა შევშინდი, მაგრამ მივხვდი, რომ მეტი არარაფერი ჩამოზვავდებოდა. ვუყურებ ჭაშს და ვგრძნობ, რომ ცოცხალია, მაგრამ გაღახულია სადაცა, ალბათ, ქვები თუ მოხვდა. რაც ძალი და ღონე აქვს, ფერდობს ეკვრის. ვიფიქრე, დავუძახებ-მეთქი, მაგრამ უცებ დავინახე, რომ იმ ქვას, რომელსაც ფეხებით ებჯინება, ძირი გამოეთხარა და ჭაში ქვიანად დაბლა დაგორდება. სწრაფად უნდა მივეშველო. აქეთ-იქით გავიხედ-გამოვიხედე და ქვებს შორის მდგარ თხილის ბუჩქს მოვკარი თვალი. „ვაჟკაცს რა არ შეემთხვევა...“ — გამახსენდა მე. ბუჩქს ხელით მივწვდი და ჩემსკენ მოვწიე, გამიძლო. ახლა უფრო მარჯვედ მოვეჭიდე ბუჩქს, ჩავჯექი და დამძიმებული ფეხები გავშალე. სწორედ რომ დროზე შევისვენე, თორემ ცოტაც და უთუოდ ადგილს მოვწყდებოდი. სული რომ მოვითქვი, ორი ბათქი მომესმა. რაც შემეძლო, დავიყვირე:

— ჰეი!

ვაყურადებ, მაგრამ სულ არ მეიმედება, რომ ამ ხრამში ვინმე გაიგონებს ჩემს ხმას. ჭაშიც ვერ ისვენებს. ახლა უკვე ხშირ-ხშირად ცვივა ქვები ძირს და ის ქვაც, რომელსაც ჩემი კრავი ებჯინება, თითქოს ირყევა.

— გამაგრდი, ჭაშ! — დავუყვირე მე. — მალე სიმონი მოგვისწრებს და ორივეს გადაგვარჩენს.

მაგრამ განა სიტყვით დააკავებ ქვას? უცებ საწყალი ჭაში მოწყდა ადგილს და ძირს დაგორდა. გული მომეწურა, მაგრამ ჭაში რაღაც სასწაულით რომელიღაც ჭდეზე გაეხირა.

ამ წუთში კვლავ შევიგრძნე, რა უბედურება დატრიალდა ჩემი გამოისობით. ახლა არვეც, ჭაშიც და თვითონ მეც საფრთხეში ვიყავით. მომაგონდა ბებიაჩემი; როგორც კი მაღალ ხეზე ასულს დამინახავდა, ღმერთს შეევედრებოდა: ოღონდ მაგი მშვიდობით ჩამოიყვანე ძირს და ერთ მამალს შემოგწირავთ. ღმერთის რა მოგახსენოთ და ჩვენ კი ხშირად მივირთმევდით ქათმის ხორცს. ნეტა ახლა რას იტყოდა ბებია? კიდევ კარგი, რომ ვერ მხედავს. განა სულ იმას არ მთხოვდა, მთაში ნავალ და გამოცდილ მწყემსებს ყველაფერი დაუჯერეო; მე კი არ დავუჯერე და ახლა ამისთვის დავისაჯე. საწყალი სიმონი! ალბათ, მთელ ღამეს თვალი არ მოუხუჭავს. მეცოდება და მრცხვენია კიდევაც მისი.

ისევ ვიღებ ხმას, ზემოთ თხებმა იცოდნენ ცოცხალი რომ ვარ და ჭაშს აღარ დაეძებოს, ბეწვზე რომ ჰკიდია. მაღლიდან აკაფკაფები მეხმაურებიან; უკვე გაიღვიძეს და ახლა, ალბათ, მაფრთხილებენ, რული არ მოგერიოს, თორემ დაბლა ქვასავით დაგორდებიო...

მადლობელი ვარ აკაფკაფებო, მე მიყვარს თქვენი კეთილი ხმები!

ახლა უფრო მეტი წუხილი ისმოდა მათ კივკივში. თენდებოდა. გულზე მომეშვა, ცოტაც კიდევ და მოდღევდება კიდევაც, მერე მაღლა ავალ და ჭაშსაც ავიყვან. მზე პირველ სხივებს ამოიღებს და ნისლიც გაიფანტება.

და მართლაც ოდნავ მოსინათდა თუ არა, რამდენიმე შვერილით ვისარგებლე და ჭაშს მივუახლოვდი. სიბნელეში ეს კლდეები შიშის ზარს მცემდა, ახლა კი გავთამამდი, თუმცა ის ადგილი, სადაც ჩემი კრავი გაეხირა, საშიში იყო. ნაბიჯ-ნაბიჯ ვუახლოვდებოდი ჭაშს. იგი საცოდავად ბღაოდა და ჩემსკენ იყურებოდა. ბოლოს ჩავიმუხლე, კლდეს მივეკარი და ხელი გავიწოდე, კრავს რქებში ფრთხილად წავავლებ-მეთქი. ჭაშს გაეხარდა, აქეთ გამოიწია, მაგრამ წამახულ ქვებზე გადაქლესილი ჩლიქები დაუცურდა და დაბლა დაგორდა. უმწეობისა და საცოდაობისაგან გული მომიკვდა.

— ჭაშ, ჭაშ! — დავიყვირე მე, მაგრამ გვიანღა იყო... ჭაშმა ერთი კი შებღავლა

და უფსკრულში დაინთქა. მხოლოდ კლდეები გადასცემდნენ ერთმანეთს ქაშის სასიკვდილო ყვირილის ექოს. მერე კი ყველაფერი მიწყდა...

დიდხანს ვიჯექი მდუმარე. მწუხარებისგან აღარ ვიცოდი რა მექნა, მაგრამ ზემოთ თხები მელოდებოდნენ და მალე უნდა ავცოცებულიყავი...

მზე უკვე შემაღლებულზე იდგა, როცა არვე სადგომს მივაყენე. ქვაბში გუშინდელი ლობიო დამხვდა, ხელი არავის ეხლო. მწყემსები ჩემ საძებნად წამოსულიყვნენ.

●

მთები... რარიგ მიყვარდა მთები! ახლაც არანაკლებ მიყვარს! მთები ქინიანი ადამიანივითაა და მათ [illegible]-ში უნდა გაუწიო.

და მაინც, როცა იმ ღამეს ვიგონებ, ისევ ვფიქრობ იმაზე, რომ მთები, ეს ლამაზი და დიდებული ბუნების ქმნილებები, უფრო დიდსულოვანი და დიდბუნებოვანი უნდა იყვნენ. მე არასოდეს მავიწყდება მათი გასაოცარი მომხიბვლელობა, მაგრამ არც იმას ვივიწყებ, რომ მთებს შეუძლიათ გულგრილად უყურონ ცოცხალი არსების დაღუპვას. ასეთია თვითონ ბუნება: მასში სიკეთეც ბევრია და ბოროტებაც, და ეს ყოველთვის მემახსოვრება, თუგინდ ამ ქვეყანაზე მთის არწივივით სამასი წელიწადი ვიცხოვრო!

თარგმნა **გიორგი მაჭუტაძე**

---

„თუ ჩვენ გვინდა სოციალიზმის ერთგულნი ვიყოთ, უკვე ახლა უნდა ვაწარმოოთ მასების ინტერნაციონალისტური აღზრდა“.

**ლენინი**

(თხზ., ტ. 22, გვ. 450).

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სარიონ თარკილი

### ბავშვი იცინის...

თამაშობს ბავშვი, იცინის ბავშვი...
ბავშვის ფიქრივით დღეა ნათელი,
მხოლოდ ბავშვებმა იციან ასე
სიცილი ნაღდი და უდარდელი.

სადღაც კი ომის ტრიალებს ცელი
და გახვეულა ცეცხლსა და კვამლში
სახლი და ეზო,
ქუჩა და ველი...
აქ კი ეზოში თამაშობს ბავშვი.
სუფევს სიმშვიდე და სილამაზე
გაჰქრნენ ღრუბლები,
გაცაქრდა ნისლი,
მზეც კი ვარდივით იშლება ცაზე
როდესაც ბავშვის სიცილი ისმის.
იცინის ბავშვი... ბავშვი ძლიერი,
უპირველესი ქვეყნად ღვთაება...
და აღარ ეძებს შხამს სალიერი,
არც ჰეროსტრატეს სურს უკვდავება.
მხოლოდ ბავშვებმა იციან ასე
უზრუნველი და ლაღი სიცილი.
შეხედეთ ხალხნო:
იცინის ბავშვი!
იცინის ბავშვი!
ბავშვი იცინის!

თარგმნა ელდარ კერძევაძემ

## ბორის გურგულია

### მ თ ე ბ ი

მიწის გულიდან ამოფრენილან
მთები... მე მათკენ გამირბის თვალი.
მთებისთვის შიში არაფერია,
თავებს უწვდენენ მზესა და მთვარეს.

ამიტომ თუა — რომ განიცდიან
ყველაზე ადრე ავდარს ისინი;
მათ თვალებსა და უბეში ქრიან
ზვავის ზათქი და ქარის სისინი.

ამიტომ თუა, — ნათელი მზისა
ყველაზე ადრე მათ გულში აღწევს;
მზე ჩამავალი შებინდებისას
აუელვარებთ ოქროთი ღაწვებს.

ამიტომ თუა, — ამ მოკაშკაშე
მთებზე ფიქრით რომ ბევრჯერ
ავსულვარ.
მათ, ჩემი მიწის ბრწყინვალე კაჟებს,
შეესისხლხორცა ეს ჩემი სული.

თარგმნა ავთანდილ გურგენიძემ

## ᲞᲚᲐᲢᲝᲜ ᲑᲔᲑᲘᲐ

### ᲦᲠᲣᲑᲚᲔᲑᲘ!

ჰა, ღრუბელმა შავად
ჩამოჯანღა ზეცა,
იქუხა და გვალვას
მოსაკლავად ეცა.
ღრუბლის მოდგა ჯარი,
ვინ დაუდგეს წინა?!
მოჰყეფს ნიაღვარი
და შრიალებს წვიმა.
ტოტებს ჩახდევს ჩქერი
ვერცხლის ძაფებისებრ,
თუმც წყალს სვამენ ხენი,
ფესვს სწყურია ისევ.
ვარდი ფრთებს შლის — ლალის,
თითქოს სურდეს ფრენა
და სძოვს ბალახს ხარი,
წვიმა უჩანს ლხენად.
ძროხაც ლხენით ბღავის —
ამო შხაპუნითო.
მთით დაეშვა ღვარი
ველზე საჯირითოდ.
ღრუბელთ კვალი თვისი
დატოვეს რა ველად,
მერე მშობელს მთისკენ
გაილალნენ ნელა.
იქ მთამ ჩაიხუტა
სიხარულით ხავსემ,
თან დალოცა:
— მუდამ
გაგემარჯვოთ ასე.

თარგმნა ანზორ აბულაშვილმა

## ᲨᲐᲘᲤ ᲐᲯᲑᲐ

●

მივდიოდი შინისაკენ,
მზე მთას გადადიოდა.
შეღამების სიო ჰქროდა
შავ ზღვის სანაპიროდან.

თვალი ვკიდე — შარაგზასთან
გოგო იდგა ცქრიალა.
შემომხედა, შემომცინა,
სული ამიწრიალა.

გულში შუქი ჩამიღვარა,
ისე ტკბილად მიყურა,
მე კი, ვითომც არაფერი, —
ჩავუარე ბრიყვულად.

ჩემო ლექსო, თუ ნამდვილად
ხარ სიკეთის მთესავი, —
შთააგონე ყველა ჭაბუკს:
არ მოიქცეს ჩემსავით.

### ᲩᲔᲛᲘ ᲩᲠᲓᲘᲚᲘ

ვერ გავექეც ვეღარსაით,
სულ თანა მდევს, სულ.
საკუთარი ჩემი ჩრდილი,
ჰოი, რარიგ მძულს!

რა არ ვცადე... ხან გადავხტი —
იქნებ მომწყდეს-მეთქი.
საქმეში ხარ? არაფერი
არ გეტკინოს მეტი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხან გასრესა მოვუნდომე —
ყბად ამილო ხალხმა.
რაღა მექნა... შევურიგდი,
ჩემთან არის ახლაც.

მეგობარო, შენთვის, იცი,
მე რისი თქმა მსურდა? —
ამა ქვეყნად ბევრ რაიმეს
შეურიგდე უნდა!

თარგმნა სიმონ შამფრიანმა

## ვიტალი ამარშანი

### ჩემი ქვეყანა

იგი ცაა — ვარსკვლავების მოჩახჩახე ბანი,
ოქროს ხოდაბუნებია — განძის კიდობანი.

იგი ზღვაა — ბავშვობიდან ვუსმენთ იმის შრიალს,
მდინარეა, სიმღერა რომ ხეობიდან მიაქვს.

ოდა არის მისი, ვისაც გარჯა დაუფასდა,
ბილიკია, რომ თავდება სურვილების გზასთან.

მუხა არის, ქარიშხალში გაჩეხილი მეხით,
ეზო არის, სადაც გავჩნდით და ავიდგით ფეხი.

ქალწულია, დაბინდული ატმის ფეროვნებით,
სასიძოა, სიჭაბუკის ხანძრითა და ვნებით.

ვაჟკაცია, ბედაურს რომ ჟინით იმორჩილებს,
მოხუცია, ბრძნული სიტყვით რომ არიგებს შვილებს.

მთაში თქმული სიმღერაა — დაუფრთხია გნოლი,
ქალაქია, სადაც ცხოვრობს ჩემი თანატოლი.

სოფელია ჩემი, ასე ძვირფასი და წმინდა,
ჯარისკაცის სიტყვა არის, მე რომ დამამშვიდა.

გმირი არის, გაფრენილი მზისკენ კოსმოდრომით,
მთიელია, დღეს განთქმული გარჯითა და შრომით.

საფლავია, რომ დავყურებთ მიხაკების ღაღანს,
დროშა არის მეწამული, მოფრიალე ლალად.

იგი არის ისტორია და ნანგრევი მისი,
იგი არის მომავალი გზების დასაწყისი.

ჩვენი ბაღი, ჩვენი მზე და წყარო მოჩხრიალე
და ის ქალი, ვინც მაჩუქა ბიჭი ქოჩრიანი.

თარგმნა გივი გეგეჭკორმა

---

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯემალ ქირია

# ბედის ჯაჭვი

რომანი

არავის მონასა ქელ-ეწიფების ორთა უფალთა მონებად: ანუ ერთი იგი მოიძულოს და ერთი შეიყუაროს და ანუ ერთისაჲ თავს-იდვას და ერთი შეურაცხყოს. ვერ ჴელ-ეწიფების ღმრთისა მონებად და მამონაჲსა.

ლუკა, 16, 13.

აწ შენცა, საყვარელო, ოდეს შეითქვნენ შენ ზედა ხუთნი მეფენი კორცთა შენთანი, ცოდვის-მოყვარენი: ერთი მეფე თვალი შენი, რომელი რასაცა იხილავს, ნებავს მიღება თვისად და მიგიზიდავს მრუშებად და ანგარებად, — მეორე მეფე ყური შენი, რომელი მარადის განარისხებს გულსა შენსა სმენითა ამაოთა სიტყვათაჲთა და დაგიმარხავს გულსა შინა უნჯად ძმათ-მოძულებასა და ძვირის-ზრახვასა, — მესამე მეფე ენა შენი, რომელი ზრახავს ბოროტსა, და გინებასა და ტყუვილსა და ცრუფიცობათა იწვრთის, — მეოთხე მეფე საყნოსელი შენი, რომელი მისდევს სოფლისა ამის გემოთა და სიამოვნეთა, — მეხუთე მეფე შენი ჴელნი და ფერჴნი, რომელნი განმზადებულ არიან ტაცებად, და ხვეჭად და პარვად. ესენი არიან ხუთნი მეფენი, რომელნი მარადის ებრძვიან სულთა კაცისათა.

სულხან-საბა ორბელიანი, სწავლანი.

## წინათქმა

პირველ ბედიას ბედი ეწია უცაბედად. საურმე გზაზე გველის წიწილს წააწყდა, ამასაც დედ-მამა ეყოლება, აქ კი ვინმე უგულო გასრესსო და ბუჩქებში გადასვა. მას შემდეგ დიდი ჭყონის ძირას, სოფლის გაღმა ტყეში, ოქროს თუმნიანებს პოულობდა ყოველ ცისმარე. გამდიდრდა, თურმე, პირველი ბედია, შრომაზე ხელი აიღო. არ ხნავდა, არ თესავდა, მაგრამ მის ოჯახს ჩიტის რძეც არ აკლდა. ხელისგულზე კოჟრი გადაუვიდა, სახის კანი თავშენახუ-

ლი დიაცივით გაუთეთრდა და თვეში ერთხელ ახალ ძიქვას იკერავდა, რადგან ძველში ვერ ეტეოდა. თანდათან მთელი სოფელი მის ვალში ჩავარდა. თვითონაც ხასიათი შეეცვალა, გულქვა და ქვაწვია გახდა, მეზობლისა და სტუმრის მოძულე. ლარში ოქროს თუმნიანების ჩხრიალითღა იტკბობდა სმენას... მაგრა? ბედი ღალატსაა ჩვეული. ეშმაკი ეახლა პირველ ბედიას და ცბიერი ჩურჩული გაუბა, ნატვრისთვალი ექნება ალბათ იმ უნასს, თორემ საიდან შოულობს ამდენ ფულსო. მკრეხელობად ეჩვენა პირველ ბედიას ასეთი აზრი, მაცდურის განდევნა მოინდომა, მაგრამ ეშმაკი სულში უჯდა და რას მოერეოდა. აიღო ბარი და წერაქვი, ქამარში წალდი გაირჭო და რიყრაყზე შინიდან გავიდა. იმ დღეს არ დაბრუნებულა, არც მეორე დღეს. ბოლოს შეიცხადა ოჯახმა, სოფელი შეჰყარა, თავისი უბედურება გაანდო. წავიდნენ დიდი ჭყონისაკენ, ოღონდ ახლოსაც ვერ გაეკარნენ. დაგესლილი პირველი ბედია ხის ქვეშ ეგდო, ჭყონს კი ფოთლების მაგიერ უთვალავი ჭარი ესხა. მიხვდა სოფელი, ეშმაკის ნახელავი იყო ყოველი. მოუხმეს მღვდელს, მოასვენეს წმინდა ხატი, შეულოცეს, მერე ცეცხლი შეუნთეს დიდ ჭყონსა და გვამს. როცა ფერფლიღა დარჩა, განშორდნენ და სამუდამოდ აღიკვეთეს გზა იქითკენ.

წლები გავიდა. დაწყევლილ ადგილს არავინ ეკარებოდა. ფერფლი მალე დაიფარა ძეძვითა და ნარშავით. პირველ ბედიას ამბავი კი დავიწყებას მიეცა...

თაობა თაობას მიჰყვა. წარიშალნენ წინაპართა საფლავნიც და მესაფლავენი ახალგათხრილ სამარეში მიწადქცეულ ჩონჩხებს აწყდებოდნენ...

მაგრამ ბედის წიგნში მრავალი უცნაური სტრიქონია და, მეთხუთმეტე თუ მეოცე თაობის ბედიას უშობელი დაეკარგა. ერთი საწყალი კაცი იყო, იმ უშობლის გარდა არაფერი ებადა. თუთარჩელა ღამეს მთელი სოფელი დაიარა ბედიამ, კვალს ვერსად მიაგნო და მთვარეს დანდობილი ტყეში შევიდა. იმ დროს სოფელს უტეხი თხმელნარი ერტყა ირგვლივ და დღისითაც კი ერეოდა გზა და კვალი მოგზაურს. მთვარემ დაალალატა ბედია, საიდანღაც გამომტყვრალმა ვეშაპმა გადაყლაპა მთვარე. წკვარამი ჩამოწვა. ბილიკს აცდენილი ბედია მთელი ღამე დაბორიალებდა ჭაობებსა და ეკალნარში. მერე ვიწრო თირი დალანდა და აწი ცდილობდა, არ დაეკარგა. ეტყობა სოფელს ძალიან დაშორდა. ძაღლების ყეფა და მამლების ყივილი დიდი ხანია მიწყდა. ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, საკუთარი ფეხის ხმა აშინებდა. დროის სათვალავიც დაეკარგა უკვე და ყოველგვარი იმედი გადაიწყვიტა. ის იყო სასოწარკვეთილს ყვირილი უნდა აეტეხა, როცა წინ სინათლე აციმციმდა. ჯერ ვარსკვლავი ეგონა, მაგრამ ასე დაბლა ვარსკვლავს რა უნდოდა. გახარებული ბედია სინათლისკენ გაეშურა, უნდოდა შეეძახა, შორიდანვე გაეფრთხილებინა დამხვდური. ადგილი ეცნაურა და გადაიფიქრა. გაგონილი ჰქონდა, ოდესღაც ამ ჭალაში დიდი ჭყონი იდგაო, სალოცავი. მერმე ეშმაკებს წაუბილწავთ, თურმე, მეხი დასტეხია და დაუნახშირებია. ბედია კვლავ შიშმა შეიპყრო. ვინ უნდა იყოს ისეთი გულმაგარი, ღვთის დაწყევლილ ადგილს რომ არ მოერიდა და მაინცდამაინც აქ დასცა ბანაკი? ნაბიჯი შეამოკლა, ცერზე შედგა... ტყეში კოცონი გიზგიზებდა და მუსაიფის ხმაც მოისმოდა. ბედია ბუჩქებს ამოეფარა, იქიდან გახედა. ცეცხლის პირას სუფრა გაეშალათ. ერთ მხარეს წოწოლა კაცი იჯდა, ხელში შამფური ეჭირა და ცვრიან მწვადებს შეექცეოდა, მეორე მხრივ კი უზარმაზარი მგელი დაყუნტულიყო კუდზე, ტოტი დაგლეჯილ უშობელზე დაედო.

წოწოლამ საიდანღაც მომცრო ყანწი დააძვრინა, ტიკიდან ღვინო დაისხა, ამოწრუპა, მერმე ისევ შეავსო და მგელს გადააწოდა: „გეშვი ღვინი, ქუდმახვამი,

---

ჯემალ ქირია
ფარადი მხედარი

ბიბლიოთეკა

**ხანელ ბჯოხო გუჯმახანი!**»[1] მგელმა ცალი ტოტით ყანწი ჩამოართვა, ღვინო ხახაში გადაისხა და დაიღრიალა: გუჯმახან, ადამიანის სუნი მეცა და კბილების ქავილი ამიტყდაო. ჩემს მეტი ადამიანი აქ ვინ იქნებაო, — გაიცინა გუჯმახანმა, — შენ თუ ბედიაზე ამბობ, სანამ თავის ეზოში შევა, სული ამოხდებაო! მგელმა ნაკვერჩხლებივით მოელვარე თვალები მოავლო ბნელ ტევრს და მზერა იმ ბუჩქზე შეაჩერა, რომლის მიღმაც ბედია იმალებოდა.

თვალთ დაუბნელდა ბედიას. წამოვარდა და უკან მოუხედავად მოკურცხლა სოფლისაკენ...

მგლის საზარელი ყმუილი მოესმა კვალზე, ფრთები შეისხა, მიშველეთო! — ერთი შეჰკივლა და შევარდა სოფლის ორღობეში. სოფელს კარგა ხანია ეძინა. კივილზე ხალხი წამოცვივდა, მაგრამ მგლის ყმუილმა შიშის ზარი დასცათ და ვერავინ გაბედა გარეთ გამოსვლა.

ბედია მიიჭრა თავის ჭიშკართან, მაგრამ ურდულის ასაყრელად ძალა აღარ ეყო. მგელზე ამხედრებულმა გუჯმახანმა შემოიქროლა ორღობეში და გულშემოყრილი ბედია იქვე დაეცა...

ადამიანის მეხსიერება უძიროა. შიგ ბევრი რამ მნიშვნელოვანი იკარგება, უმნიშვნელო კი ზედაპირზე ტივტივებს. ჰოდა, ბოლოს მამა რატომღაც ყველას დაამახსოვრდა, თუმცა თავი არაფრით გამოუჩენია. ოცდამეათე თაობის ბედიას არა უწყოდა რა თავისი წინაპრებისა. ერთი უბირი გლეხკაცი იყო, წელებზე ფეხს იდგამდა და მარტოშვილს პატარა, ენგურს გადამყურე ჯარგვალი დაუტოვა. წერა-კითხვა არ იცოდა, თუმცა ერთ დროს ეფუთი და კარაბადინი ეწყო კიდობანში და არც თვითონ ეკარებოდა, არც სხვას აკარებდა. გველის შელოცვა შეეძლო: სოფლელებს არაერთხელ უნახავთ, ჭუჭყიანი პერანგის სახელოდან უხსენებელს რომ ამოაყოფინებდა თავს და მისდღემში ხელი არავის ჩამოურთმევია. მითქმა-მთქმა დადიოდა, მანაც და მისმა ცოლსაც ეშმაკთან აქვთ პირი შეკრულიო. თურმე ხშირად უნახავთ ორთავე, მგელზე შემსხდარი რომ დათოხარიკობდნენ. ალბათ ჭორი იქნებოდა... მოკვდა სრულიად მოულოდნელად, ფეხი დაუცდა და ენგურში გადავარდა. ცურვა კარგად ეხერხებოდა, მაგრამ რატომღაც უცებ ჩაიძირა და მერე მისი კვალიც ვერ აღმოაჩინეს. ოჯახმა დაფხრეწილი ლართი და ძიქვა დაიტირა. სოფლის მოხუცთა თანდასწრებით კიდობანი გახსნეს. შიგ დახრული ქალალდის მტვერილა აღმოჩნდა... ამოუკვალთავი შავები ჩაიცვა ქვრივმა ჩათუმ, ცხარე ცრემლით იტირა ქმარი. მეორე დღეს კი ულმობელი ჭორი კვლავ დაძვრებოდა სახლიდან სახლში, ღამე უნახავთ ქვრივი ჩათუ ეწერში, მგელზე იჯდა თურმე წოწოლა კაცთან და მიჰკიოდა ტაბაკონისაკენ... თუმცა სოფელს რა დაეჯერება...

თვით ბოლო ბედია პატარა კაცი იყო, როგორც აღნაგობით, ისე მდგომარეობითაც. ჯერ კიდევ აკვნის ბავშვი ღორმა დაითრია და კინაღამ შეჭამა. სულზე მიუსწრეს და წაგლიჯეს, მაგრამ სიკოჭლე სამუდამოდ შერჩა და სიბერეშიაც ეს პირუტყვი დასანახად ეჯავრებოდა.

ხეიბრობამ ბავშვობა გაუმწარა. ტოლები აბუჩად იგდებდნენ და ქვებს ესროდნენ. ამიტომ მუდამ გულჩათხრობილი და დარდიანი იყო, მარტოკელა თამაშობდა. ერთხელ ღელის პირას ბატებს მწყემსავდა და ძალიან გაერთო; თიხისაგან მაღალი კოშკი უნდა აეგო, მაგრამ თიხის კოშკს საკუთარი სიმძიმე აქცევდა. ბიჭი ისევ თავიდან იწყებდა გულმოდგინედ. უცებ ახალამოყვანილ თიხის ზღუდეს ჩრდილი დაეცა და შეშინებული ბიჭი ადგილზევე ჩაჯდა. ჯორზე ამხედრებული, წვერმოშვებული და ანაფორიანი კაცი ღიმილით დაჰყურებდა მის ნაცოდვილარს. კაცს მუხლებზე უზარმაზარი, ოქროთი მოსვირინგებული წიგნი ედო და ხურჯინიდან კიდევ სხვა, მომცრო წიგნები და ეტრატები მოუჩანდა. „ვერღარა აშენდებიედ

[1] შესვი ღვინო, გადმომილოცე, სახელად მქვია გუჯმახანი.

ნიჭითა შენითა ციხენი და გოდოლნი კეთილნი, გარნა ძეჲ შენი იქმს კეთილსა ამას საქმესა!“ „ძია, ვინა ხარ?“ — ხმის კანკალით შეეკითხა ბიჭი. „ჯგრაგ!“ — უპასუხა უცნობმა და ჯორს დეზი ჰკრა. საბრალო ბიჭს იმ დღეს ბატები გადაავიწყდა, რისთვისაც მამამ — ცხონებული მაშინ ცოცხალი იყო — ჭინჭარი მოსცხო ერთ ადგილას.

წლებს თავისი გაჰქონდა. ბოდლო ბედია კარგა პირმშვენიერი ბიჭი დადგა, მაგრამ ბარე ხუთმა გოგომ დაიწუნა, აქაოდა, კოჭლს როგორ გავყვებითო. ჭაბუკს გული მოეშხამა, ქვეყანა აითვალისწუნა. ოღონდაც, ობლის კვერის ამბავი მხოლოდ მისთვის ყოფილა ნათქვამი და ჭუბაბრიას მშვენიერი ასული ჩაიგდო ხელში. შემდგომ წამოჩიტულ შვილებს ატყუებდა, ბავშვობიდან გვიყვარდაო ერთმანეთი.

სადღაც დასაკარგავში მცხოვრებმა ნათესავმა შემოუთვალა, საშენო ქალი შევარჩიე, მოდი და ნახეო. მართალია, ცოტა ბრუციანიაო, — იტყობინებოდა, — მელოტიც არნიაო ოდნავ, კუზიც მცირედი ამშვენებსო, ფეხების სიმოკლე ვართითაც ვერ დაიკვეხნისო, მაგრამ არც შენა ხარ ცით ჩამოყვანილი და როგორმე ერთურთს შეეწყობითო.

ყვავი ჩხიკვის მამიდააო, რომ იტყვიან, სწორედ ისე იყო ბოდლოსათვის ეს ნათესავი. ეგების სიკეთე სწადიაო და მეზობელს ერთი გაფხავებული ჭაკი სთხოვა. დილაადრიან შინიდან გავიდა და საღამოს იქ მიატანა. ვინ იცის, ნათესავის ხარჯი იყო თუ საპატარძლოსი, ოღონდ საკმაოდ გულუხვი სუფრა დაახვედრეს. შუაღამემდე მოილხინა ბოდლო ბედიამ, იმღერა და კოჭლი კაცის პირობაზე იცეკვა კიდეც. იფიქრეს, თვალებში ვერ იხედება, მტერსა და მოყვარეს ველარა ცნობსო და ამ დროს გამოუყვანეს საცოლე. იმას გადაღრძუებული დედაბრის ნახვა აჯობებდა. ჰაიტ, უნდა მომაღორონო, წამში გამოფხიზლდა ბოდლო ბედია. თუმცა ფეხზე ძლივს იდგა, ნათესავიც აფიცებდა ბებიის სულს, მაგრამ გაჯიქდა ჭაბუკი და ჭაკი მოაყვანინა. ა, ბატონო, ულვაში — თუ შენ ბერბიჭად არ დარჩეო, — მიადევნა ნაწყენმა მასპინძელმა. მართლაც ულვაში შემირცხვეს, თუ უმშვენიერესი ქალი არ შემოვიყვანო სახლშიო, — უპასუხა ბოდლო ბედიამ.

იმ ღამეს მერეხი ჩამოვიდა, მსგავსი კაცის თვალს არ ენახა. ორ ნაბიჯზე არაფერი ჩანდა და ისეთი ხმაური იდგა, თითქოს ცა აპირებდა ჩამონგრევას. იმდენი წყალი მოვარდა, ცაზე აისვლებოდა. ბოდლო ბედია თმის ძირებამდე გაილუმპა. ყურყუტებდა ამ საცოდავ ჭაკზე და მწარედ ნანობდა. ჯოჯოხეთის იმ მაშხალას თხოვნა სჯობდა ასე ულვთოდ დალუპვას.

ჭაკმა იმარჯვა. ორიოდე საათის უგზო-უკვლოდ ხეტიალის შემდეგ რომელიღაც სოფლის განაპირას მიიყვანა. წვიმამ უკვე ვადაილო, მაგრამ წინანდებურად ბნელოდა. ბოდლო ბედიამ სახლის სილუეტი გაარჩია. ხარდალი გაწეული აღმოჩნდა და ეზოში დაუბრკოლებლად შევიდა. ასე ცხენდაცხენ მიუახლოვდა ოდას. ჩქამი არსაიდან ისმოდა. შეშინებულ ჭაბუკს ხმა მთლად ჩაუვარდა. სიბნელეში ფანჯარას მიაგნო, მათრახის ტარით ფრთხილად დააკაკუნა. ფანჯარა უმალვე გაიღო და რაფაზე შემომხტარმა ჭინკამ, აქეთ მოიწიეო, — უჩურჩულა გულგახეთქილს. მისწვდა ჭინკა, მხარს დაეყრდნო და ცხენს მოახტა გავაზე. „მიდი“, — უბრძანა ხმადაბლა, თან ზურგზე უჩქმიტა წამით შეყოვნებულს. ჭაბუკმა დეზი ჰკრა ჭაკს და წაჩაქჩაქდნენ.

ჭიშკრამდე რომ მიაღწია, მხოლოდ მაშინ წამოეწია ქალის კივილი. აყეფდნენ ნაგაზები, არახუნდნენ დარაბები და კარები. „ჰე-ჰეი!... არ შეგეშინდეთ! ჰე-ჰეი!..“ — გაისმა აქეთ-იქით. ბოდლო ბედიამ კისერში მათრახი მოუნაცვლა ისედაც გამოსავათებულ ცხენს და ისინი ეწრის სიბნელეში ჩაიკარგნენ.

მხოლოდ გარიჟრაჟზე გამოირკვა, სხვისი საცოლე ჩაეგდო ხელში...

---

ჯემალ ქირია

მარადი მხედარი

ჰო, გაწიწმატდა ჰუბაბრიას ასული, ქვა აიგდო და თავი შეუშვირა, ღაწვი ჩამოიხოკა, წყლისთვის მოინდომა თავის მიცემა. ის იყო, ქვრივი ჩათუ დაბრუნდა ტყიდან, ფიჩხი მოიტანა. უსიტყვოდ ჩაავლო სარძლოს ლამაზ ნაწნავებში ხელი და ჯარგვალში შეათრია. არავინ იცის, რა უთხრა ჩათუმ რძალს, შეიძლება არც არაფერი უთქვამს, ოღონდ ყველამ დაინახა თვალებდახრილი, ბედს შერიგებული პატარძალი. ამიერიდან, დედამთილი თუ ახლოს არ იყო, მაშინღა მოიყრიდა პილპილს ენაზე.

მერე მოვიდა ომი. ქუდზე კაცი შეჰყარეს და დაცარიელდა სოფელი. ბარემ კი ერჩოდა გული ბოდლო ბედიასაც, მაგრამ კოჭლს ვინ წაიყვანდა საომრად. შინ დარჩენილმა ხელი გამოიღო, რიგიანად შრომობდა, საერთო საქმისათვის არა დაუკლია რა, თავსაც მიხედა. ომის შემდეგ, როცა ქვეყანა ცოტათი მილაგდა, მამის დატოვებული ჯარგვალი ოდად აქცია, მისი ხასხასა ეზო ხომ მტრის თვალს არ დაენახვებოდა და სოფელში პირველმა რკინის ჭიშკარიც დაჰკიდა. ღვთის მადლით, არა უშავდა რა, თითქოსდა არ უნდა ყოფილიყო ბედის მძამდურავი. და მაინც ხანდახან ოხვრა აღმოხდებოდა ბოდლო ბედიას, წუწუნსაც გაბედავდა, სიცოცხლის ამაოებას უჩიოდა, ზოგჯერ წამოწვებოდა ბებერი თუთის ძირას, ჭილობის ნაგლეჯზე, აბოლებდა გაზეთის ნახევში გახვეულ წეკოს და ოცნებებით იხარებდა გულის ჭიას.

სოფლის თვალს რა დაემალებოდა? სოფელი, ცხადია, მიუხვდა წადილს, მაგრამ რითი უშველიდა. სოფლის ბიჭები ჩუმჩუმა დაქირქილობდნენ, ბოდლო ბედია ალბათ სხვა მხრივაც კოჭლია და ეგებ წავეშველოთო. ერთხელ შელაზღანდარებაც გაუბედეს. გაშრა საბრალო კაცი, სისხლი აუვარდა თავში. სარს წამოავლო ხელი, მაგრამ რას მიეწეოდა... ისე იყო განაწყენებული, მწყრალი დუდღუნით სოფელს განერიდა და ტყეში დაიკარგა. საღამომდე იხეტიალა, ბოლოს დაღლილი მიეგდო ერთი თხმელის ძირას ჰრელ ჩრდილში და ფიქრს მისცა თავი. თვალ[illegible]ბურად მიელულა, ორიოდე წუთში უსიზმრო ძილმა ჩაითრია.

„შევჭამო თუ არ შევჭამო?“ — წაილაპარაკა უცებ ვიღაცამ მის თავზე. ბოდლო ბედია წმინდა გიორგის ხატზე ასჯერ დაიფიცებდა, რომ ეს ადამიანის ხმა არ იყო.

„არ შეიძლება, ეს ხომ ჩათუს ნაშიერია“, — უპასუხა ხრინწიანმა ხმამ, რომელიც უფრო ადამიანისას ჰგავდა.

თავზარდაცემულმა ბოდლო ბედიამ თვალი დააჭყიტა. მიწაზე მილურსმულივით იწვა და ტანი ვერ აზიდა.

უზარმაზარ მგელზე ამხედრებული კაცი წამოსდგომოდა თავზე. კაცს თხელი და სოლისებრად წაკვეხილი მწითური წვერი მკერდზე სცემდა, ელამი თვალები წითლად უელავდა.

„ბოდლო ბედია, ვიცი, რაც გაწუხებს და შველაც შემიძლია, — თქვა ხრინწიანი ხმით კაცმა, — აჰა, გამომართვი სამი ვაშლი, აჭამე შენს ცოლს და სამი ვაჟი შეგეძინება ზედიზედ!“

ბოდლო ბედიამ ხელი დაავლო ვაშლებს. თვითონაც არ ახსოვდა, როგორ მოაღწია შინამდე. მთელი გზა მგლის ბრაზიანი ყმუილი მოსდევდა. თავი ჭიშკრამდე ძლივს მოიტანა. აქ კი განცდილი შიშისაგან გულზე შემოეყარა... გონს რომ მოეგო, ცოლს ვაშლები გაუწოდა, ოღონდაც ხელში მხოლოდ ორი შერჩენოდა, მესამე გზაში დაეკარგა.

სამი თვე არ გასულა იმ დღიდან, თათუშას მუცელი დაეტყო. ცხრა თვის შემდეგ ბოდლო ბედიამ საიდანღაც მოათრია კაჟის ძველი თოფი და ბუთქაოდის აივნიდან. დაიბადა ბედიების გვარის გამგრძელებელი — ჯუმა. ბიჭი შვიდ კილოს იწონიდა და თათუშა კინაღამ გადაჰყვა. ერთი შვილიც მეყოფაო, მაშინ გადაწყვიტა. ორი წლის შემდეგ კი ქალს კვლავ დაეტყო მუცელი და გაზაფხულის სისხამ დილას გაჩნდა მეორე ბედია — კაჭუჭია. თათუშა ბეწვზე გადარჩა და იმ დღიდან ბოდლოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სათოფედაც არ აკარებდა თავის ლოგინს.

ერთხელაც უცნაური ამბავი მოხდა. ბოდლო ბედია, ჩვეულებისამებრ, თუთის ხის ქვეშ ჭილობზე გორაობდა, თან წეკოს ეწეოდა. თათუშა სამზარეულოში ფუსფუსებდა. ქვრივი ჩათუ ფიჩხზე იყო წასული ახლო ტყეში. უცბად საშინელი წივილ-კივილი ატყდა, მთელი სოფელი კარში გამოეფინა. ტყიდან მოისმოდა ლაწალუწი, ხეების მტვრევის ხმა, ყიჟინა, ღრიანცელი; თითქოს ათასი ჭინკა შერკინებოდეს ერთმანეთს. მერე ყველაფერი მიწყნარდა. შეღამებულზე ქვრივი ჩათუ გამოლასლასდა ტყიდან. საშინლად დაბერებული და ჩამომხმარი ეჩვენათ შვილსა და რძალს. კითხვებზე პასუხს არ იძლეოდა, ბოროტად გაკვესავდა ხანდახან თვალს. ლოგინში ჩაწვა და ჩვიდმეტი თუ თვრამეტი წელი აღარ წამომდგარა.

იმ ღამით ბოდლო ბედიამ სიზმარი იხილა, ვიღაც თეთრსამოსიანი ქალი ტყისკენ იხმობდა. დამფრთხალი ბოდლო უარზე იყო, ქალი კი თავს არ ანებებდა, ექაჩებოდა, ნებით თუ არა, ძალით უპირებდა ტყისკენ წაყვანას.

მამლის მესამე ყივილზე ოფლში გახვითქულს გამოეღვიძა და ბავშვის სხარსხალი შემოესმა. არც ჯუმას ხმას ჰგავდა, არც კაჭუჭიასი. მაინც დახედა მათ საწოლს. ბიჭუნებს ღრმა ძილით ეძინათ, კაჭუჭია თუ შეუსტვენდა ხანდახან ცხვირით. ბოდლო ბედიამ ძველი ღართი მოიგდო მხრებზე, აიღო წალდი და ეზოში გავიდა. აქ კი აშკარად გაარჩია ჩვილის ჩხავილი. ეზოს ყოველი კუნჭული გადაჩხრიკა, ვერ იქნა, ვერ მიაგნო... ბოლოს ტყისკენ მიმავალ ბილიკს დაადგა. რაც უფრო შორდებოდა სოფელს, მით უფრო ნათლად ჩაესმოდა ბავშვის ტირილი. მერე ამ ხმაში კვნესა და ქალის სუსტი შეკივლება გაერია. ბოდლო ბედიას თმა ყალყზე დაუდგა, ერთი სული ჰქონდა, როდის გაეცლებოდა ამ ეშმაკეულ ადგილს, მაგრამ რაღაც ძალა წინ ეწეოდა და ისიც წალდის ქნევით მიჰყვებოდა ოდნავ შესამჩნევ ბილიკს, რომელიც სულ მალე მომცრო კვაჭალიაზე გავიდა.

ბოდლო ბედიამ უჩვეულო სურათი იხილა. ტყე ისე იყო მოსხეპილი, თითქოს ცოტა ხნის წინათ დევებს ებუქნავათ. ძირფესვიანად მოთხრილი თხმელები რაღაც ძალას ერთიმეორეზე მიელეწა, ძეძვნარი გაეთელა, მოერეჯგვა... მდელოზე, კენტად დარჩენილი თხმელის ჩრდილში თეთრსამოსიანი ასული იწვა და ტკივილებისაგან მიწას ფხოჭნიდა. იქვე, ძონძებში, ახალშობილი ჩვილი ღნაოდა.

მიხვდა ბოდლო ბედია ვინც იყო მის წინაშე, მუხლი მოიდრიკა და შუბლი მდელოზე დაჰკრა.

„მიბრძანე, დიუფალო!"

„მე ვკვდები... — ჩურჩულით ამბობდა ტყაში მაფა, — მე ვკვდები... წაიყვანე ეს ბავშვი, ადამიანო, და დიდის შვილივით გაზარდე..."

„დამნაშავე ვარ, დიუფალო, მე დავკარგე ჯადოსნური ვაშლი", — ატირდა ბოდლო ბედია.

„გუჯმახანმა მიმუხთლა... — ძლივს იღებდა ხმას ტყაში მაფა, — გუჯმახანმა მაჯობა... შენთვის კი მიპატიებია, უცოდველი ხარ..."

ბოდლო ბედიამ გულში ჩაიკრა ჩვილი მზეჭაბუკი და თათუშას ახალი აკვანი გააწყობინა. მეორე დღეს მთელმა სოფელმა მიულოცა ბედიას მესამე ვაჟის შეძენა.

### შიში

ჯერ მსუბუქმა მანქანამ ჩაიარა ნელი თუხთუხით. მცირე ხანში პირველმა ტრამვაიმ გაიხრიგინა სამიოდე კვარტალის მიღმა. მერე ისევ სიჩუმე ჩამოვარდა. ჯუმა ბედიამ არ იცოდა, ძილში ესმოდა ყოველივე თუ ცხადში. გული რატომღაც სწრაფად უცემდა. უცნაური სიზმარი ნახა, ზარის დამცემი, ოღონდ ახლა დავიწყებოდა და ვერაფრით აღიდგინა... ქუჩა თანდათან გამოცოცხლდა. თითო-ოროლა გამვლელის ფეხის

---

ჯემალ ქირია
მარადი მხედარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხმა გაისმა. მალე მანქანების მთელმა ქარავანმა ჩაიარა და მათი გუგუნი ისე აშკარად ისმოდა, თითქოს სამანქანო გზა ზედ ბალიშზე გადიოდა. ძილ-ბურანიდან მაინც დიდხანს ვერ გამოერკვა. ეჩვენებოდა, რომ ვიღაცა ფლოსტების ფრატაფრუტით გამოდიოდა ერთი კედლიდან და შედიოდა მეორეში. ეს უკვე ნამდვილად სიზმარი იყო და დამძიმებული ქუთუთოების გახელა ეზარებოდა.

საქმე დღეს ბევრი ჰქონდა. ამიტომ უნდოდა კარგად გამოეძინა, მაგრამ ქუჩა თითქოს ოთახში შემოვიდა და ძილი დაუფრთხო. იწვა თვალდახუჭული და გათენებას ელოდებოდა.

მერე მზის ობოლი სხივი დაეცა. სახე გასწია, რათა ათინათს არიდებოდა. თეთრად შეფეთქილ ჭერს ახედა. ჭალის ირგვლივ ოქროს ექვსკუთხედი მიეხატათ. თეთრი ვარსკვლავები ეყარა მკრთალ ლურჯ ფონზე. ჭერის კუთხეებში პირბუტალი, ჭუჭყიანი ანგელოზები მიჭუჭკულიყვნენ.

ჭვლავ თვალი დახუჭა და მიაყურადა.

ჯერაც ვერ დამშვიდდა. ნეტავი რისი შეეშინდა?.. რა იყო ის სიზმარი?..

სისხლი საფეთქელში უკაკუნებდა და უსმენდა საკუთარი გულის ფართხალს.

ტროლეიბუსმა ჩამოიგუგუნა, ბუგელმა სადღაც მავთულზე გაკვესა.

სარკმელთან, ტროტუარზე გახშირდა ფეხსაცმელების ბაკაბუკი, ცალკეული სიტყვები და ფრაზათა ნაწყვეტები შემოფრინდებოდა ხანდახან.

დაძინება შეუძლებელი იყო.

იქვე გვერდით, ასაკეც საწოლზე ძმა ხვრინავდა. ჯერ სუსტად იწყებდა ნესტოებით სტვენას, მერე უმატებდა და ბოლოს ხრიალში გადადიოდა. ამას მიჩვეული იყო, მაგრამ ახლა შეწუხდა და დაუძახა:

— კახა, მხარი იცვალე, ბიჭო, კახა!

კაჭუჭიამ პირი გააწკლაპუნა, წამოიკვნესა და გვერდი იცვალა. მასაც სიზმარი აწუხებდა.

ჯუმა ბედიამ საბანი გადაიძრო, წამოჯდა. ზამბარებმა გაიჟღრიალა. რკინის ძველ საწოლზე ეძინა, ზამბარებს ჟანგი შეჭპარვოდა. ყველაფერი ძველი იყო ამ ოთახში, პაპისპაპის დროინდელი. მაგიდას სამი ხვეული ფეხი ჰქონდა, მეოთხის მაგიერ უბრალო ჯოხი მიეჭედათ მტკაველა ლურსმნებით. თითქმის ჭერამდე აყუდებული კარადის კარებზე მტრედი თუ თევზისმაგვარი რამ იყო ამოჭრილი. არც მზეჭაბუკისათვის განკუთვნილ დივანს, ზამბარებამოჩაჩხულ სავარძელსა და კარ-სარკმელს აკლდა ზიზილ-პიპილები...

გაიზმორა. ძილისაგან საბოლოოდ ვერ გათავისუფლებულიყო და ლოგინი თავისაკენ იზიდავდა... ისევ წუხანდელ სიზმარს იხსენებდა. თითქოს ვიღაცა გადი-გამოდიოდა კედლებში და მის ფოსტლებსაც ხმარობდა. მართლაც, ფეხი რომ წაჰყო, ფოსტლები თბილი ეჩვენა. ალბათ კაჭუჭია ადგა ღამით და მერე თვალდახუჭული ოთახში დაბორიალებდა, საკუთარ ლოგინს ველარ აგნებდა. ასე ილოდა ხოლმე.

ჯუმა ბედიამ სარკმელს მიაშურა და თავი გაჰყო. ნაწვიმარზე ასფალტი შავად ბზინავდა. ტროლეიბუსი ვიწრო ტროტუარზე მიმავალ ხალხს წვრილ შხეფებს აყრიდა. პირდაპირ, სარკმლის წინ რძე და ხაჭო იყიდებოდა. გრძელი, ნერვული რიგი ზოზინით თავდებოდა.

უცებ ზურგს უკან ღრენა მოესმა. გული გადაუქანდა, შემოტრიალდა და თავი ძგიდეს მიარტყა.

კაჭუჭიამ ცხვირით დაუსტვინა.

— კახაბერ! — უკმაყოფილოდ დაუძახა ჯუმა ბედიამ და მაგიდაზე დაყრილი ხურდიდან შაურიანი ამოიღო, რათა კოპზე მიედო.

პირსახოცს ხელი დაავლო, სადარბაზოს კარი გააღო. დერეფანი საკმაოდ გრძელი და ჩაბნელებული იყო. ერთი ბოლოთი საერთო საპირფარეშოსთან თავდებოდა, მეორეთი კი გადიოდა ღია აივანზე, რომელიც ეზოს გადაჰყურებდა. ჯუმა ბედიას ოთახი ქუჩიდან ტროტუარის დონეზე იყო, ეზოდან კი — მეორე სართულზე. პირდაპირ შუა დე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეფნიდან კიბე მესამე სართულზე ადიოდა, იქიდან ალბათ ზევით და ასე გრძელდებოდა კაი სამი-ოთხი სართული.

საპირფარეშოს რომ მიუახლოვდა, უცნაური ყმუილი შემოესმა. ისე აშკარად გაიგონა, თითქოს გვერდით ვიღაცა იდგა და გაჰყმუოდა.

ჯუმა ბედიამ სისუსტე იგრძნო, წამში ოფლად გაიღვარა. ჰალუცინაციები დამჩემდაო, გაიფიქრა. საკმარისია ცივი წყალი შეისხას სახეზე და ყველაფერი დალაგდება. ონკანი მოუშვა. ცივი წყალი ესიამოვნა, დაამშვიდა. რამდენჯერაც სახეზე შეისხამდა, იმდენჯერ ჩაიხედავდა სარკეში. წვეთები წურწურით ჩამოსდიოდა, ტუჩებზე ენის წვერით იჭერდა.

კაცმა რომ თქვას, არ იყო მაინცდამაინც ურიგო ბიჭი. გოგონები მისთვის თავს არ იკლავდნენ, თითო-ოროლას კი მოსწონდა... მაღალი და ოთხკუთხა შუბლი ოდნავ წინ წამოსწეოდა, რის გამოც სერიოზულისა და ჭკვიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა. სიბერეში რომ სიქაჩლე მოელოდა, ამის ნიშანი ახლაც აჩნდა, რადგანაც ხუჭუჭა თმას ცოტა აღმა აეწია. თვალის უპეები ჩაშავებოდა და ეს არ ესიამოვნა. თანაც თვალებს მუდამ ნერვული სულსწრაფობით აცეცებდა. ტუჩებიც არ მოსწონდა ძალუმად. მსხვილი და ვარდისფერი ბაგეები მუდამ ისე ებრიცებოდა, თითქოს ყველაფერს ზიზღით უყურებსო. ამიტომ არ უყვარდა ზოგიერთს, თუმცა სულაც არ იყო ეგოდენ ამაყი. „მაინც არა მიშავს რა!“ — გაიფიქრა კმაყოფილებით და გუნება გამოუკეთდა.

შინ შებრუნება უნდოდა, როცა კიბეზე ფეხის ხმა გაიგონა. ლაკის მაღალქუსლებიან ფეხსაცმელში გამოწყობილი მხვართი ფეხები მესამე სართულისკენ მიბაკუნობდა. ჯუმა ბედიამ კიბესთან მიირბინა და თვალი შეასწრო ლურჯკოპლებიან თეთრ კაბას, რომელიც მოხდენილ თეძოებზე ელამუნებოდა. უცნობმა კარი შეაღო და გაქრა. ჯუმა ბედიას თავში ათასი ფანტასტიკური სურათი გაცოცხლდა და წეღანდელი უგუნებობა მთლად დაავიწყა.

კაჭუჭიას კვლავ ეძინა. საათი მხოლოდ რვის ნახევარს უჩვენებდა. ჯუმა ბედიამ ჩემოდნები მისწი-მოსწია, ერთი ტყავგადაქერცლილი ამოარჩია და გახსნა. რა არ ჰქონდა შიგ ჩაჩრილი: ჭუჭყიანი პერანგები, თეთრეული, ძველი ავტოკალმები, ფოტომოწყობილობა, წერილები, რეზინით შეკრული საკუთარი ფოტოსურათები (ვინ იცის, რა კაცი დადგება!). ელექტროსაპარსი ძლივს იპოვა. კაჭუჭიას ეხმარა და გასუფთავება დავიწყებოდა. ჯუმა ბედიამ უკმაყოფილოდ ჩაიდუდღუნა და ახლა სარკეს დაუწყო ძებნა. ისევ ამოაქოთა ჩემოდანი, სადმე სარკის ნატეხი ეგდებაო! ვერაფერი იპოვა და მაშინ ერთხელ კიდევ მოათვალიერა კედლები, იქნებ სადმე იყოსო.

კუთხეში, სარკმლის სიახლოვეს, ხავერდის შავი ფარდა ეკიდა. ადამიანის სიმაღლე იქნებოდა, ფოჩებიანი ბოლო კი იატაკს სწვდებოდა.

კარგა ხანს პირდაღებული უყურებდა ამ უცნაურ ფარდას, რომელიც აქამდე არ შეუმჩნევია.

მზე ერთი საათის წინ ამოვიდა. ქუჩაში ხალხი ირეოდა. ავტობუსები და ტროლეიბუსები გუგუნით მიდი-მოდიოდნენ და სარკმლის მინას წკრიალი გაჰქონდა. ტროტუარიდან უხილავ ადამიანთა ხმები აღწევდა. იქვე, ასაკეც საწოლზე კაჭუჭიას ეძინა. უკვე მესამედ იცვლიდა გვერდს, მიყუჩდებოდა და უცებ ხვრინვას ამოუშვებდა.

ჯუმა ბედია კი შუა ოთახში იდგა და ხავერდის ფარდას ისე მისჩერებოდა, თითქოს აი, ამწუთას, ფარდა გაიხსნება და იქიდან საშინელი ჯოჯო გამოვაო. ჭაბუკი შეშფოთებული იყო. ძალიან კარგადაც გაიხსენა, რომ ამ კუთხეში ცოტა ხნის წინ არაფერი ეკიდა, ან თავიდანვე როგორ ვერ შენიშნავდა, რო-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დესაც კედელს უზარმაზარ ლაქად აჩნდა.

დაავიწყდა, რომ გაპარსვას აპირებდა. ფოსტლები დაჰყარა და ლოგინზე წამოგორდა. ჟანგიანმა ზამბარებმა უსიამოვნო ხმა გასცა. კაჭუჭიამ წამოიხროტინა და დამშვიდდა.

ოთახი ქუჩიდან შემოსული ხმაურით აივსო...

უსმენდა ჯუმა ბედია გამოღვიძებულ ქალაქს და უცებ ძილი წამოეპარა. ესიზმრა, რომ ფარდა გადაიწია, იქიდან ვილაცამ გამოიხედა... გულგახეთქილი წამოხტა. ზამბარებმა დაიჟღრიალა და გონს მოეგო, ფარდა არ ირხეოდა.

კაჭუჭიას გადახედა, ნაპირზე გადმოგდებული თევზივით დაეღო პირი და ჰაერს იჭერდა.

— კახაბერ, ჰა, კახაბერ!

კაჭუჭიამ თვალი დაჭყიტა, უაზროდ იყურებოდა.

— ჩვენს ზემოთ ვილაც კაი „ნაშა“ ცხოვრობს, კოპლებიანი კაბა აცვია...

— მზია?.. სტუდენტია.... — წაიბურტყუნა კაჭუჭიამ, თავი კვლავ ბალიშში ჩარგო და ხვრინვა ამოუშვა.

„მივალ და გადავწევ ამ ფარდას, — გაიფიქრა ჯუმა ბედიამ, — თუ არაფერია, ჩამოვხსნი და სახლის პატრონს დავუბრუნებ... ნერვებს მიშლის აქ...“

მიფლატუნდა და თითით მოსინჯა. ჩვეულებრივი ხავერდი იყო, დროისაგან გახუნებული. მის უკან კი მინის გლუვი ზედაპირი იგრძნობოდა. გულზე მოეშვა, დააკაკუნა კიდეც. გაეცინა, ნერვების ბრალია, თორემ ეს ფარდა ალბათ გუშინაც აქ ეკიდაო.

თამამად გადასწია. ადამიანის სიმაღლის სარკეს ფარავდა. ღიმილით შეავლო თვალი საკუთარ გამოსახულებას და გაიფიქრა, არა მიშავს, საკმაოდ სიმპათიური სიფათი მაქვსო... განსაკუთრებით თვალები მოეწონა, აზრით სავსენი. ასეთი თვალები ჰქონდათ ბედიებს, კაჭუჭიასაც კი, რომელსაც აზრთან დიდ მეგობრობას ვერავინ დასწამებდა. სულ რამდენიმე წამს გრძელდებოდა ნარგიზის ეს ტკბობა საკუთარი თავით...

ფიქრმა გაუელვა: „რა ვიქნები ნახევარი საუკუნის შემდეგ?“ უცბად შეამჩნია, რომ მისი ორეული სარკეში მას არ ჰგავდა. ჯერ ფერი ეცვალა ორეულს. ლოყებს სიწითლე მოაკლდა, მიცვალებულივით გაფითრდა, მერე ბაგეები გაულურჯდა. ჯუმა ბედიას ორეულს თანდათან შემოაცვდა თავისი გარსი და ჭაბუკმა იხილა შიშველი ხორცი, რომელიც უამრავი სისხლძარღვებითა და ნერვული ბოჭკოებით იყო დაქსელილი... ჯუმა ბედიამ თვალი დახუჭა და სახეზე ხელი აიფარა. ლოყების სიმკვრივე და სითბო იგრძნო. მომეჩვენაო და კვლავ სარკეში ჩაიხედა. სარკეში მისი განძარცული ორეული იდგა. რენტგენის აპარატზე თვალნათლივ ხედავდა ჯუმა ბედია საკუთარი ტვინის ნახევარსფეროებს, რომელთა უსწორმასწორო ზედაპირი მირიადი ნაპერწკლებით ციმციმებდა... ხედავდა საკუთარ გულს, ასეთ ცოცხალსა და პაწიას, ხორცის უბრალო ნაჭერს, რომელსაც საკმარისია ხელი ჩაავლო და ყველაფერი გათავდება, ხედავდა ყურძნის დიდი მტევნის მსგავს ფილტვებს... მერმე ესეც დაიცრიცა, გაქრა და ჯუმა ბედიას თვალწინ წარმოდგა მისი ნამდვილი არსი, მისი ნამდვილი მე — ჩონჩხი... მაშინ კბილები დაკრიჭა თავის ქალამ. ხითხითი მორთო.

— კახა, კახაბერ!

გულწასული ჯუმა ბედია იატაკზე დაეხეთქა...

●

ამ რამდენიმე დღის წინ ჯუმა ბედიამ სოფლიდან დეპეშა მიიღო: მზეჭაბუკმა ათწლედი დაამთავრა, მალე გეწვევა, შენ იცი და შენმა ვაჟკაცობამო.

უფროსმა ძმამ ორი წელია, რაც უმაღლესი დაამთავრა, მაგრამ აქამდე სტუდქალაქში ცხოვრობდა კაჭუჭიასთან ერთად. მობეზრდა ამ საფუტკრეში და ყველას ეუბნებოდა, ყელში ამომივიდა დაუსრულებელი აურზაური, შემოქმედ კაცს ეს ბაზარი ღუპავსო. არ-

ავინ იცის, რამდენად შეაკლავდა თავს შემოქმედებას, მისთვის რომ უკეთესი ბინა გამოეყოთ, მაგრამ ამ ხუთი წლის დიდი ნაწილი აივნის რიკულებზე გადმოყრდნობილ გოგოებთან მასლაათში გაატარა... და აი, დეპეშის მიღების მეორე დღეს ძმებმა ბედიებმა ბინა დაიქირავეს. ამიერიდან სამივეს ერთად უნდა ეცხოვრა ამ სოროში...

ჯუმა ბედია არ იყო უიღბლო კაცი. სტუდენტობის დროს თავს დიდად არ იწუხებდა, საქმე კი მაინც გამოსდიოდა, რის გამოც ყოველ მეორე და მესამე საათს უნივერსიტეტის ბაღში ატარებდა. სამაგიეროდ სესიების დროს რკინის განაწესით ცხოვრობდა, გამოცდებზე სხვებზე ადრე გადიოდა. დიპლომიც პირველმა დაიცვა და თავისებური და იმედისმომცემი ახალგაზრდის სახელი დატოვა. მისი სადიპლომო ნაშრომი იყო: „ადამიანის საკუთარი სახელი ჯუმა და მეგრული მითოსი“. ასგვერდიან თხზულებაში ბევრი აბდაუბდა იყო ჩახვავებული, მაგრამ იმდენი ბერძენი, ბიზანტიელი, თურქი, არაბი, სპარსი, და ათი სხვა არსებული და გამქრალი ქვეყნის მოღვაწეთა სახელებიც იყო ჩაწურთული, ჯუმა ბედიას ნაკითხობა ყველამ შეამჩნია. ამის წყალობით, მისი ამხანაგები სამსახურს დაოთხილნი რომ დაეძებდნენ, იგი ერთ-ერთი ცნობილი გამომცემლობის კორექტორი გახდა. ვერაფერი ბედენა იყო ეს თანამდებობა, მაგრამ მომავალში უკეთესის იმედი უნდა ჰქონოდა. ამიერიდან ჯუმა ბედია თავს ხუმრობით „ჩინოვნიკს“ ეძახდა და ბეჯითად დადიოდა სამსახურში. თუმცა, რა დასამალია და, გულის სიღრმეში ოცნებობდა იმ დღეზე, როცა რაღაც გენიალურს შექმნიდა, ქვეყანას გააოცებდა და შეძულებულ სამუშაოს თავს დაანებებდა.

საშუალო ძმა კაჭუჭია მარადიულ პრობლემებს არ ეჭიდებოდა. მთავარი ის იყო, მისთვის ძილი და ჭამა-სმა არავის მოეკლო, სხვანაირი პატივმოყვარული ვნებები გუნებას იოტისოდენადაც არ აუმღვრევდა.

კაჭუჭიამ სიზმარი იშვიათად იცოდა. მიდებდა ბალიშზე თავს და მორჩა, ამ ქვეყნისა არ იყო. გემრიელი ძილი უყვარდა, გემრიელი ჭამაც, სმაც და ყველაფერი, რასაც ეს სიტყვა „გემრიელი“ მიესადაგებოდა. დილდილობით მისი გამოღვიძება პრობლემად გადაექცა ჯუმა ბედიას. არაერთხელ გადაუსხია წყალი, რათა ლექციებზე დროით გაეგდო. ლექციები კი ისე ეჯავრებოდა, შუაღამეზე რომ წამოეგდოთ, მაინც დააგვიანდებოდა. რვა საათზე ადრე ვინმეს რომ აეყენებინა, ჩივილით ღმერთს ციდან ჩამოიყვანდა, უძილობისაგან ჩამოვხმიო. არა და, ისეთი ლოყებღაჟღაჟა იყო, ქუჩაში მოხუცები ჩერდებოდნენ და ვიშვიშებდნენ, ნეტავი შენს სიყმაწვილესო.

კაჭუჭიას ცხოვრებაში თავიდათავი საკითხი მაინც საჭმელ-სასმელი იყო. საშუალო ძმის მადას ვერ აუდიოდა ბედიების ოჯახი. თუმცა, საცა სამართალია, როგორც რიგიან სტუდენტებს შეეფერებათ, ძმებიც არაერთხელ გადასულან ხმელა პურზე და ცივ წყალზე. „რა სჯობია ნიორწასმულ შავ პურს“, — ტრაგიკული ირონიით იტყოდა კაჭუჭია ბედია. სიტყვამ მოიტანა და ესეც რომ სანატრელი გაუხდებოდა, სასადილოდან მოპარულ მდოგვს პურის ნაჭერზე მურაბასავით წაუსვამდა და იმას მიირთმევდა, თუ არადა, „ექსტრა“ მარილს წააყრიდა. ბედი, რომ ბედიებს იმდენი გაჭირვება არ ადგათ. სოფლიდან თვეში ერთხელ მაინც ამოდიოდა ხორაგი და კაჭუჭია ბედია ერთ დღეს იმდენს მოზლმურდლავდა, სხვას ალბათ მთელი თვე ეყოფოდა. ანდა რა გააძღებინებდა ამდენი საჭმლის შემყურეს: შებრაწული გოჭი და ვარიები, ჭვიშტარი და ელარჯი, მხალეული და კეჭერას მწნილი, კუპატი და ლორი, ინდაურის საცივი და ლობიოჩადებუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი პური... რას არ აგზავნიდა შვილებს-გადაყოლილი თათუშა...

თბილისში ჩამოსვლამდე კაჭუჭიას ბიოგრაფია რვეულის ერთ ფურცელზე დაეტეოდა. პირველ კლასში ძლივს შეათრიეს. ორი-სამი წელი მწყერივით ბავშვი იყო. მერე შეეჩვია და იმ იმედით დადიოდა, იქნებ ვინმეს წავეჩხუბო და ცხვირი ამოუნაყოვო. თავისას კი არა, ძმების მტრებს არ აძლევდა გასაქანს. დირექტორის კაბინეტში რომ შეაგდებდნენ, დაიბოღმებოდა, ლოყები დაებუშტებოდა, მაღლა ჯოხითაც ვერავინ ააწევინებდა თავს. მეორე წუთს კი ვიმე ჯანმაგარ ბიჭს მოიხელთებდა და ეხვეწებოდა: „მოდი რა, ამხანაგურად დავარტყათ... კი ვიცი, ჩემზე ღონიერი ხარ, მაგრამ მოდი და დავარტყათ..."

მოწინააღმდეგე თუ არ დათანხმდებოდა, ატყდებოდა ჟრიამული, კაჭუჭიამ გაიმარჯვა, იმან კი კუდი ამოიძუაო. კაჭუჭიაც გაიბლინძებოდა, მკლავებზე კუნთებს აათამაშებდა. მჯობნის მჯობნს რა დალევს, ერთი ორჯერ ჩვენი გმირიც კარგად ამოილილიავეს; მაშინ სამი-ოთხი დღე შინიდან ცხვირს ვერ ჰყოფდა. თითო-ოროლა მის მკლავებქვეშ შეყუჟული ამხანაგი თუ ინახულებდა. ისხდნენ უკანა ოთახში და მოწინააღმდეგის გაქიაქებით იყრიდნენ გულის ჯავრს. „არასწორად ამომარტყა! — ირწმუნებოდა კაჭუჭია, — ნოკაუტზე ჩვენ არ შევთანხმებულვართ, ამხანაგური ტყეპა უნდა გვქონოდა... მეც კაი ალიყური ვაჭამე, მაგრამ ქვას წამოვკარი ფეხი და იმან დამღუპა... გამოვალ შინიდან და დედას ვუტირებ..."

მეშვიდე-მერვე კლასამდე ამაზე ხარჯავდა ძალ-ღონეს.

საბედნიეროდ, მისი ნიჭიერება ფიზკულტურის მასწავლებელმა შეამჩნია და ჯორსავით მოჯდა. რაც კი სპორტის სახეობა არსებობდა, ყველაფერში კაჭუჭიას ჩრიდა, ყველაფრის ჩემპიონი ის იყო, ყველას ჯაბნიდა და ბედიების სულში მოფუთფუთე განდიდების ჭიას ოდნავ მაინც ასაზრდოებდა. ეტყობა, ზედმეტი მოუვიდა, სადღაც დაუსხლტა და მეცხრე-მეათე კლასში ტიტულები ზედიზედ დაკარგა. ბოლოს კი მრავალრიცხოვან და ერთფეროვან მოყვარულთა მასაში აღმოჩნდა.

უმაღლეს განათლებაზე არც უფიქრია, ის კი არა, სკოლასაც ძლივს გადავურჩიო, ფიქრობდა. ბოლოო ბედიამ აუჩემა: „შენი ხნისა რომ ვიყავი, ქვეყნის ამბები ვიცოდი. ნიკოია რომ ნოე ჩხიკვაძემ ჩამოაგდო, ჩემი თვალით ვნახე ბათომში... მაშინ რომ მესწავლა, ხომ ვიქნებოდი ახლა უჩიტელი ან რაიკომის მდივანი..."

„გინდ ეგ შეგიყვანია უმაღლესში და გინდა მკვდარი შეგისვენებია კუბოთი", — ხელი ჩაიქნია ჯუმა ბედიამ, მაგრამ ნაადრევად.

პირველივე გამომცდელმა სათვალე შუბლზე აიწია. ახედ-დახედა:

„სპორტსმენი ხარ, ბიძიკო?"

ჰოდა, სპორტსმენისათვის გაჭირვებული სამიანიც ხომ თავზე საყრელია.

ერთი თვის შემდეგ ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტ კაჭუჭიას, უკაცრავად, თბილისში კახაბერ ანუ კახა ბედიას აუდიტორიაში თვალი ებლანტებოდა და ვიღაცა იავნანასავით ტკბილად ჩამღეროდა ყურში: „ჰალეოცენი, ეოცენი, ოლიგოცენი, მიოცენი, პლიოცენი..."

უმცროსი ძმა მზეჭაბუკი არ ჰგავდა დანარჩენ ბედიებს. ყველა ერთნაირად შავგვრემანი იყო, შავი, უხეში, დაუმორჩილებელი ქოჩრები ჰქონდათ, თაფლისფერი ან კუნაპეტი შავი თვალები. მზეჭაბუკს კი ოქროსფერი, ლბილი კულულები გვირგვინივით ადგა თავზე და, რამდენიც არ უნდა ევარცხნა, თმა მუდამ ეჩეჩებოდა. თვალები იმდენად ლურჯი ჰქონდა, ძნელი იყო მისთვის მზერის გასწორება, ისევე როგორც მზიან ამინდში ცას დიდხანს თუ უყურე, ცრემლი მოგადგება. ბაგეები თითქოს ბედიებისას მიუგავდა—სისხლით სავსე და მსხვილი, მაგრამ არც იმდენად. როგორც ჯუმას, თანაც გოგოსავით ნაზი...

აქამდე მისი ცხოვრება მხოლოდ სინათლითა და სითბოთი იყო გასხივოსნებული. სამყარო მშვენიერი ჩანდა და

მასში მხოლოდ ბედნიერი ადამიანები სახლობდნენ.

ერთი ჩვენება ჩამოჰყვა სოფლიდან. გამომგზავრების წინა დღეს დიდი მსხლის კენწეროზე იჯდა. ამ სიმაღლიდან თხუთმეტი ვერსის მიღმა ზღვა მოჩანდა ერთი მხრით, თხუთმეტი ვერსის მიღმა გაშლილი ქალაქი — მეორე მხარეს... ქვეყანაზე რომ ხვატი დამდგარიყო, აქ, ხის კენწეროზე მაინც გრილი ნიავი ირხეოდა... ყურში ახლომახლო ამოზრდილი ხეების შრიალი და ჭიშკარს იქით ჩამომდინარე ენგურის დგაფუნი ჩაესმოდა... ამ ხმებში ხან რა გაერეოდა, ხან რა... ძაღლის უნებური წკმუტუნი, ან მოულოდნელი გნიასი დედლისა, რომელმაც ქვეყანას ოქროს კვერცხის დადება ახარა, გლეხების გადაძახილი სიმინდის ყანაში, მეჩაიეების უსასრულოდ გრძელი, ნაზი სიმღერები, ანდა ღლაბუცა გოგო-ბიჭების ტკარცალი ჩაის მიმღებ პუნქტთან...

და მოეჩვენა მზეჭაბუკს, კი არ ამოსულა, ამოფრინდა ამ კენწეროზე. ფრენის ამ უცაბედმა, წამიერმა განცდამ თავბრუ დაახვია...

თითქოს თბილისშიც ჩამოიტანა ეს გრძნობა. მეხსიერებიდან არ შორდებოდა მაშინაც კი, როცა კაჭუჭია უმცროს ძმას ახლად დაქირავებულ პატარა ოთახში შეუძღვა.

— ა, ბატონო, ესაა ჩვენი სრა-სასახლე! — კაჭუჭიამ ტვირთი ლოგინზე დაყარა, ფეხსაცმელების გაუხდელად საწოლზე წამოგორდა და ერთი „უფ-ფ!“ ზედ დააყოლა.

მზეჭაბუკმა სარკმელში გაიხედა. ტროტუარი ისე ახლოს იყო, ხელს თუ გაიწვდენდა, გამვლელს ქუდს წააცლიდა კაცი.

მერე კუთხეში მიჯდა და ხელები მუხლებზე დაიწყო.

ბოლოს ბედიას ოდაში ცხენი გაჭენდებოდა. მასთან შედარებით ეს დერეფანივით ვიწრო და გრძელი ოთახი ვერაფერი სიკეთე იყო, მაგრამ არჩევანის საშუალება სად ჰქონდათ.

კაჭუჭია ცოტა ხანს სულს ითქვამდა, მერმე დილის ამბავი გაახსენდა. ხავერდის შავ ფარდას მიაშტერდა და უცებ ხარხარი აუტყდა. ისე ხალისიანად იცინოდა, მზეჭაბუკიც ძალაუნებურად აჰყვა, თუმცა სიცილის მიზეზი არ იცოდა.

სიცილ-სიცილ წამობანცალდა კაჭუჭია, ფარდა გადასწია, სარკის წინ დატრიალდა; ხან უკაკუნებდა, ილმიჭებოდა, საკუთარ გამოსახულებას ენას უყოფდა, მაიმუნობდა.

— რა იყო, საგიჟეთიდან გამოქცეული, ვერ ამიხსნი? — მისმა სიხალისემ მზეჭაბუკი ამ უცხო ოთახთან გააშინაურა.

— ამ დილას მომეჩვენა... — ნაწყვეტ-ნაწყვეტ ყვებოდა კაჭუჭია, თან თვალებიდან სიცილის ცრემლები სცვიოდა, — მომეჩვენა, ვითომ ვიღაც შეძვრა ამ სარკეში... ჯუმასაც ეგ მოეჩვენა. ისე შეეშინდა, გული წაუვიდა... ბრაგ იატაკზე!.. სარკეში შეძრომა გაგიგონია? — და ახარხარებული კვლავ ლოგინზე გაგორდა.

მზეჭაბუკს სიცილი ჩაეშრიტა. სარკის ზედაპირს ფრთხილად დაადო ხელი, თითქოს ამოწმებდა, ცოცხალია თუ არაო. სარკის უკანაც ჩაიხედა, კედელს ორი თითით იყო დაშორებული. თუ მოინდომებდა, გამოაჩოჩებდა კიდეც. თვით კედელი კი ქუჩისგან ჰყოფდა ოთახს.

დამშვიდებულმა გაიღიმა.

— ახალმა ბინამ გამოგცადათ, წიგნი არ ამოიდეთ ბალიშქვეშ?

— მუთაქის მაგივრობას სულ წიგნები არ გვიწევს? — დაიჯღანა კაჭუჭია.

— ძალიან კი გეტყობა წიგნის სიახლოვისაგან დაბრძენება, — გაეხუმრა მზეჭაბუკი.

●

ჯუმა ბედიას თითქოს ნერვული ციება შეეყარა. დილის შიშნაჭამს სულში

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნალექი შერჩა. ერთ ადგილას ვერ ჩერდებოდა, საქმიანად მოიარა მთელი ქალაქი. თან სულ იმ უცნაურ ხილვაზე ფიქრობდა. სარკეში ნახული თითქოსდა სიზმარი არ უნდა ყოფილიყო... მაშ, რა იყო იგი? რა იყო თვით სარკე?... იმ სარკეს რომ მარჩიელობა შეძლებოდა, ჯუმა ბედიას უნდა ეხილა თავისი ნამდვილი მომავალი, თავისი მეობა... საკუთარი მომავალი საპარადო სურათებივით წარმოედგინა. ესახებოდა საფეთქლებშევერცხლილი ცოცხალი კლასიკოსი, ან სახელმოხვეჭილი მეცნიერი, სარდალი, მთავრობის მეთაური... მან კი ჩონჩხი იხილა და არ იცოდა, რას ნიშნავდა ეს... ჯუმა ბედიას გააჟრჟოლა, შეეცადა უსიამოვნო ფიქრების განდევნას...

ხალხით გაჭედილ ტროლეიბუსს ვაკემდე ამოჰყვა. ვიღაცამ ხელი სტაცა. მაცაცუნა იყო. ზურგს უკან ასე ეძახდნენ, თვითონ კი თავს ე ს მ ა ს უწოდებდა. გოგონა მკლავზე ჩამოეკიდა, გვერდით გაჰყვა. ხმამაღლა ჭიკჭიკებდა, ცდილობდა, გამვლელთა ყურადღება მიეპყრო, თანაც ვითომდა არაფრად აგდებდა ამ ყურადღებას.

ჯუმა ბედიამ უხერხულობა იგრძნო, არ იცოდა, რით შეეჩერებინა და თვალებდახრილი უსმენდა.

— უცნაური ხალხი ხართ ეს მწერლები და პოეტები. ვგიჟდები გენიოსებზე. ეს ისეთი ხალხია... ის შენი მოთხრობა წავიკითხე, გადასარევი იყო, განსაკუთრებით იმ ქალის სახე, მგონი ხუტული ჰქვია...

— ხუნტული, თანაც ის კაცია.

— საიდან მოგაქვს ეს სახელები? ძალიან რომანტიკული და ეგზოტიკურია... დაგიბეჭდავენ? როდის?

ჯუმა ბედიამ მხრები აიჩეჩა, თხუთმეტჯერ მაინც ჰქონდა ნათქვამი, ჩემი მოთხრობების ბედი გაურკვეველიაო.

ისინი ვესტიბიულში გაჩერდნენ. განცხადებებს შორის გაკრული აფიშა იუწყებოდა, დღეს ახალგაზრდა მწერალთა წრე ჯუმა ბედიას ახალ მოთხრობებს გაარჩევსო. ჯუმა ბედიამ ამოიხვნეშა. ახალი მოთხრობები მას არ ჰქონდა. ის ათიოდე მოთხრობა კი ორი წლის წინ დაწერა. მერე რატომღაც მიყუჩდა. მოიფიქრებდა რამეს, დაიდებდა წინ სუფთა ქაღალდს, დააწერდა სათაურს და გაჩერდებოდა. ასე იჯდა ნახევარი საათი, შემდეგ ამოიოხრებდა და ქაღალდს დახევდა. „ყოველ შემოქმედს ჰქონია კრიზისიო", — ამით იმართლებდა თავს.

— საღამოს აუცილებლად მოვალ, შენი წარმატების მოწმე უნდა გავხდე, — წაიღიღინა მაცაცუნამ, — ახლა კი წავედი, მელოდებიან... ჩაო! დამირეკე!

ხელი აუქნია და ფეხსაცმელების ბაკიბუკით გაშორდა. საქმეებით დატვირთული ქალივით მიიჩქაროდა და მსუბუქი კაბის ნაოჭები მომრგვალებულ თეძოებზე ეხვეოდა...

ჯუმა ბედიას სამსახურში აგვიანდებოდა, მაგრამ ერთი წუთით გაზეთის რედაქტორთანაც შეიჭყიტა. ბესო ბანძელაძემ ისე გაიხარა, თითქოს ათი წლის უნახავი შვილი გამოსცხადებოდა.

— იშვიათი სტუმარი გაგვიხდი, ჯუმა ბატონო. მართალია, დაამთავრეთ, მაგრამ სხვა ქალაქში არ გადასულხართ. მოგვაქციეთ ხანდახან ყურადღება...

— მე, ბატონო ბესო, სტატია მქონდა, — ძლივს ამოღერღა ჯუმა ბედიამ.

— ჰო, წავიკითხე, წავიკითხე, — უცებ ჩაქრა ბესო ბანძელაძე, — „რიცხვნიშნობა ვეფხისტყაოსანში", არა?

— დიახ, ბატონო.

— სერიოზული კაცი ბრძანდებით, ჯუმა ბატონო, გეტყობათ ნიჭიერიც,— მიუალერსა ბესო ბანძელაძემ, — ერთი ეს ამიხსენით, რაში გჭირდებათ ზომა-არშინის ამოფხეკა ვეფხისტყაოსნიდან?

— იქ ხომ არის...— მთლად წახდა ჯუმა ბედია.

— ვიცი, ვიცი, — ხელი ჩაიქნია ბესო ბანძელაძემ, — გაყიდიან, იყიდიან, წააგებენ, მოიგებენ... ვიცი, მაგრამ ეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე თქვენი ნაშრომის წაკითხვამდეც ვიცოდი. უფრო მეტიც, ჯუმა ბატონო, რაც ქართული არსებობს, ჩვენ თვლაც ვიცოდით და ზომა-წონაც გვქონდა, იგი შოთას კი არ გამოუგონია...

ჯავრისაგან გულგასიებულმა ჯუმა ბედიამ სამსახურისაკენ მოკურცხლა.

საკორექტოროში ჩვეულებრივი ზუზუნი ისმოდა, თითქოს ფუტკართა უჩინარი გუნდი შემოჭრილაო. ჩურჩული, ქაღალდის შრიალი, ტუჩების წკლაპუნი, — ამას ჯუმა ბედია უკვე მიჩვეული იყო. განყოფილების გამგე ადგილზე დახვდა. ბატონმა ნიკიფორემ სათვალე ცხვირის წვერზე ჩამოიწია და ისე შეხედა, თქმით კი არაფერი უთქვამს. ჯუმა ბედიამ ხმადაბლა თავი იმართლა, კიბეზე ავტორს შევხვდი, საქმეზე ველაპარაკე და იმან დამაგვიანაო. ბატონმა ნიკიფორემ თავი საყვედურით გააქნია, მაგრამ ხმა არ ამოუღია.

ჯუმა ბედიამ ამონაბეჭდები გადაშალა და კითხვას შეუდგა.

ტელეფონმა დარეკა.

კაჰუჭია რეკავდა. მზეჭაბუკი ჩამოსულიყო სოფლიდან, შინ ყველანი კარგად არიანო, — იტყობინებოდა.

— ჯუმა! — ყვიროდა მზეჭაბუკი ტელეფონში, — ჯუმა!... დედამ შემოგითვალა, ცხრაჯერ გკოცნიო! როგორა ხარო? ცოლი რატომ არ შეირთე აქამდეო?!

— მოიცა, ბიჭო, ასე ნუ ყვირი, — შეშინდა, კორექტორმა ქალებმა ყური არ მოჰკრან და სასაცილოდ არ ამიგდონო.

— ჯუმა! არ გესმის?! ფუი, რა ტელეფონია! — ვერ ითმენდა მზეჭაბუკი, — შენთან ხელით ნაქსოვი ჯემპრი გამომატანა, წინდები!... სოფელში ამბობენ, დიდი კაცი გამხდარაო!... მართლა დიდი კაცი გახდი? შენი ჭირიმე, ჯიმა!..

— ჰო, ჰო! — უნებურად გაეღიმა ჯუმა ბედიას და ყურმილი დაუგდო. გარინდებულს ძმის ხმა ჩაესმოდა ერთხანს და ამ ხმას ელოლიავებოდა.

— ჰო, ჰო, — გაიმეორა რამდენიმეჯერ.

— გამარჯობა! — ჩაესმა უცებ ხრინწიანი ხმა და გული გადაუქანდა.

ყველა თავისი საქმიანობით იყო გართული, ვერავინ ამჩნევდა ორ ახალ პირს, რომელნიც თითქოს მიწიდან ამოძვრნენო. ერთი იყო წვერებიანი, წოწოლა კაცი, — ელამი თვალები და კეხიანი ცხვირი ჰქონდა. არხეინად დასკუპებულიყო სკამზე. მეორე, თბილ ქულაჯაში ჩაცმული, კედელს მიყრდნობოდა და ჭაბუკმა თავდაპირველად სახეში ვერ შეხედა.

— გაგიმარჯოთ, — გული გაიმაგრა ჯუმა ბედიამ, — თქვენ ალბათ ავტორი ბრძანდებით! არა? მაშ, რა გნებავთ? რაღაც ვერა გცნობთ.

— რა მნებავს?.. ხი-ხი-ხი... — ჩაიხითხითა კაცმა.

— მოდი, ყელი გამოვღადროთ! — ჩაიღრინა მეორემ და წამით მოიხედა. ჯუმა ბედიამ თვალი ჰკიდა ბალნით შემოსილ დრუნჩს, თითისტოლა კბილებს და კინაღამ სკამიდან გადმოვარდა.

— ეს კაცი ხუმრობს? რანაირი ხუმრობაა? — ღიმება სცადა.

— ნუ აშინებ! — მოიღუშა წოწოლა.

ჯუმა ბედიას თითქოს ყინულის ლოლუა ჩამოუსვეს ზურგზე.

— ნუ გეშინია, ცოტა ვაჟკაცურად მოიქეცი, — დაუყვავა კაცმა, — რა მოგივიდა?.. ჩვენ ისე შემოვიარეთ, ძველი ნაცნობობით, შენ კი...

— ხომ გითხარით, ვეღარა გცნობთ-მეთქი.

— მზეჭაბუკი ჩამოსულა ამ დილას.

— თქვენ საიდან იცით?

— როგორ არ ვიცი, ჩვენი მამაცი კაჰუჭია დახვდა სადგურზე.

— რატომ დასცინით, არ არის მამაცი თუ? მითხარით, საიდან გვიცნობთ?

— მე ყველას ვიცნობ, ვისაც მჭირდება. ბოდღო ბედიას შვილები კი ხანდახან ჩემი მგონია.

ჯემალ ქირია
მარადი მხედარი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯუმა ბედიას შიშმა ოდნავ გადაუარა, მაგრამ ჯერ კიდევ გონს ვერ მოსულიყო.

— ის ვინღა არის? — კედელს მიყრდნობილ დრუნჩიანზე მიუთითა.

— ჩემი მეგობარია. ცოტა უშნო კია, მაგრამ რას იზამ, ბევრი გადაიტანა, ტიფი, ქოლერა, ბრუცელოზი, კიბოს ხუთი სახეობა, ჰოდა, იმან დააუშნოვა...

— მე საკმაოდ ლამაზი ვარ, — კბილი გაალრჭიალა კედელს მიყრდნობილმა.

— ნუ მეკამათები, — მშვიდად შეეპასუხა წოწოლა, — თორემ ცხვირზე ძაღლის კუდს ამოგიყვან და იხტუნავე მერე...

— არა, არა, — ძრწოლით წამოიძახა დრუნჩიანმა, — პატიებას გთხოვ, გუჯმახან!

— მიპატიებია!... ხომ გაიგონე? — ჭაბუკს მიუბრუნდა წოწოლა, — ჩემი სახელია გუჯმახან! კაი კაცი ვარ მე... ხი-ხი-ხი... — ხითხითი მორთო უცებ, თვალებში კი ბოროტი ცეცხლი უელავდა, — კაი კაცი! ბოდლოს შვილები ჩემი შვილებია, დაიმახსოვრე ეს. მე მუდამ ვზრუნავდი ბედიებზე, უმადურნი არ უნდა იყვეთ. აწი დავბერდი, არ ვიცი რამდენი წლისა ვარ. რაც კაცი არსებობს, მეც ვარ... ჰოდა, ნუ მივიწყებთ ბებერ გუჯმახანს. მოდი, მესტუმრე, დაგასაჩუქრებ... უსაზღვროა ძალა ჩემი, ყოველივე სიკეთე ჩემს ხელთაა... ხი-ხი-ხი, სიკეთე...

— ისედაც კარგად ვარ, რა საჩუქარი მინდა, — ჭოჭმანით თქვა ჯუმა ბედიამ.

— ჩემს საჩუქრებზე უარს ვერ იტყვი, რადგან მდიდარი ვარ. დაფიქრდი!.. ახლა კი წავალ, მიმეჩქარება...

წოწოლა სკამიდან არ წამომწეულა. იქ, სადაც იჯდა, უხილავი ნისლი დატრიალდა თითქოს, გაქრა. ჭაბუკი გაოცებული მიშტერებოდა იმ ადგილს.

— გუჯმახანი კეთილია, — დრუნჩი მოაბრუნა ქულაჯიანმა, — გაგიჭირდება, თუ არ მიაკითხე, მისამართი კი ჩემგან არ გესწავლება... სარკეზე დააკაკუნე...

ბეწვის ქულაჯაში უფრო გაეხვია და კედელში გაძვრა.

ჯუმა ბედია ერთხანს დაბნეული იჯდა, უცებ წამოხტა და კედელს მიაძახა:

— ტყუილია, მე ვერ მიყიდით, ჩემი სინდისი არ იყიდება!

— რა ბრძანეთ? — შეეკითხა ბატონი ნიკიფორე.

— არაფერი, მეზმანა რაღაც, — ჩაიდუდღუნა და ზიზღით მიუბრუნდა სამუშაოს.

დარბაზში ქაღალდის შარიშური, ჭორიკნების გამწარებული ჩურჩული და ბატონ ნიკიფორეს ჩახველება ისმოდა...

ჯუმა ბედიას სული ვერ ეტეოდა ამ ოთხ კედელში...

თავი შეაბრალა განყოფილების გამგეს, შეუძლოდ ვარო, და ჟურნალ „პეგასის“ რედაქციაში გაიქცა. ლიტმუშაკი კვინტილიანე, ვისაც ამ ორიოდე წლის წინ მოთხრობები დაუტოვა, მაგიდის ძგიდეზე ჩამომჯდარიყო და თანამშრომლებს ანეკდოტს უყვებოდა.

ჯუმა ბედია სიცილ-სიცილ მიუჩოჩდა და, როგორც კი ანეკდოტი მომთავრდა, შესაბრალისი ღიმილით თავი შეახსენა.

— ა, ბედია, გამარჯობა შენი!

ხელი გამოუწოდა, მაგრამ ჩამოართვა. ჭაბუკს გაოფლილი ხელისგული არ ესიამოვნა, მოითმინა და საქმე როგორ არისო, იკითხა.

— ცუდად რატომ იქნება, შე კაცო, ცუდად მტერი იყოს! აგერ ველაპარაკებოდი ამხანაგებს ამას წინათ შენზე... ასე არაა, მეგობრებო?.. ნიჭიერი ყმაწვილია-მეთქი, მაგისგან კაცი გამოვა-მეთქი... ასე არ იყო, მეგობრებო? ეს მოთხრობები კი სუსტია, ძმაო... რამ დაგაწერინა მაინც... ცეცხლი აკლია რაღაც, გაიგე? ყველაფერი თავის ადგილზეა, შეცდომაც არაა. გრამატიკა აჟურშია. ერთი შეცდომა მაინც დაგეშვა, კინაღამ წამეძინა... ისე ნიჭიერი კი ხარ, ბედია, წერო უნდა, ძმაო, შენისთანებმა თუ არ წერეს, რაღა ვქნათ მაშინ...

ლიტმუშაკი დაქოქილი იყო და კარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გა ხანს ერთსა და იმავეს უტრიალებდა. ჯუმა ბედია გასაწყლებული იდგა და არ იცოდა თვალი სად წაეღო... ემწარა ყოველივე, გული გაუტყდა. არც ერთი სიტყვა არ სჯეროდა, მაგრამ თავზევით ძალა არ იყო...

სამსახურში დაბრუნებას აზრი არ ჰქონდა და ქალაქში მოჰყვა ხეტიალს.

ცარიელ ტრამვაიში ავიდა და სევდიან ფიქრს მისცა თავი. როცა გონს მოეგო, ტრამვაი ბარათაშვილის აღმართზე მიცოცავდა. ავლაბრის მეტროსთან ჩამოხტა და მეტეხისაკენ დაეშვა. ტაძარს გარს შემოუარა, თან ლოდებს უფათურებდა ხელს, აქაოდა, ამ ქვებზე გაგიჟებითა ვარ შეყვარებულიო. მერე მოაჯირთან დადგა, მამაშვილურად გადახედა ნარიყალას კალთაზე შეფენილ ძველი თბილისის ჭრელ უბნებს. დიახ, მის პატრიოტობაში ეჭვიც არავის არ უნდა შეჰპარვოდა.

გორგასალის ძეგლის ჩრდილში ნაცნობ ზურგს მოჰკრა თვალი. ჯინსში და ქათქათა პერანგში გამოწყობილ ჭაბუკს მუხლებზე თაბახის ფურცლები დაედო და გამალებით წერდა.

ჯუმა ბედია ჩუმად მიუახლოვდა და ზურგს უკან გაუჩერდა. კისერი წაიწვდინა, მაგრამ დაწერილს თვალი ვერ მიადევნა. ერთხანს ჩუმად იდგა, რათა ხელი არ შეეშალა. „როგორი მშრომელია, ყოჩაღ, წამსაც არ კარგავს!“ — გაიფიქრა. მდუმარება გაგრძელდა. ახლომახლო მათ გარდა არავინ იყო. უცბად, ერთი წამით, შესაძლოა წამიც არ იყო, მოუნდა ხელი ეკრა თეთრი პერანგისათვის. ამ წამიერმა აზრმა თვითონვე შეაძრწუნა. გონს მოეგო და თეთრპერანგიანს მხარზე მოჰხვია ხელი.

— ტატო, არ გადავარდე, გენაცვალე! — შესცინა და ქვევით ჩაიხედა. მეტეხის კლდის ბასრი კედელი მღვრიე მტკვარში ქანაობდა.

— ოჰ, ჯუმა, რამდენი ხანია არ მინახიხარ, — ისე ჩაილაპარაკა ტატომ, თითქოს სხვა ქვეყანაში ყოფილიყო წამის წინ და იქიდან ძლივს გამოდიოდა. თავი მოაბრუნა, ლოყაზე უხეშად, მამაკაცურად აკოცა, — ასე რად გაფითრებულხარ? — დაუმატა და სინათლიანი თვალები მოაპყრო, — რას ეძებ მაგ წყალში, რამე ხომ არ ჩაგივარდა?

— არაფერი, მე ისე... გადაწეული იყავი, შემეშინდა, გადავარდება-მეთქი, — დაიბნა და ნაძალადევი ხუმრობით ხელი მოუთათუნა, — შენ ისეთი ტვინი გაქვს, აქ ნუ დაჯდები, თავმა არ გადაგძალოს.

ტატომ ხალისიანად ჩაიცინა, ქაღალდი დაკეცა და ჯინსის უკანა ჯიბეში ჩასჩარა.

— არ გამომდის, არაფერი არ გამომდის!

— შენ თუ არ გამოგდის, ვისღა გამოუვა მეტი... — მიელაქუცა ჯუმა ბედია, — შენი კრებული, ძმაო...

— შენ მაინც ნუ მეუბნები, თუ ძმა ხარ, — გააწყვეტინა ტატომ, — მე სხვა მინდა, სხვა... არ ვიცი, როგორ მიგახვედრო, მაგრამ სხვა მინდა...

ბალუსტრადაზე ახტა და გაიარ-გამოიარა. „არ გადავარდეო“, — უნდოდა გაეფრთხილებინა ჯუმა ბედიას. გაჩუმება არჩია. ტატოს თვალებში ცრემლნარევი სხივი კრთოდა, შუბლი შეეჭმუხნა.

— შენ ვერ წარმოიდგენ, რა ცუდი ვარ, — მწუხარებით წარმოსთქვა, — შურიანი გავხდი, ჩემი სეხნიისა მშურს. ის ისე ახალგაზრდა მოკვდა. მერედა, როგორ თქვა: „შევიშრობ ცრემლსა, ჭირთ მანელებელს, გულსა დავიწვავ...“ — ხმადაბლა გაიმეორა ორჯერ, თითქოს გემოს უსინჯავდა, — „შევიშრობ ცრემლსა, ჭირთ მანელებელს...“ იცი? მთავარია ნიჭიერება აპატიო კაცს, თორემ სილენჩეს ყველა გაპატიებს... ძალიან სუფთა უნდა იყო თვითონ, რათა არ გშურდეს, გულწრფელად გიყვარდეს შემოქმედი... არა, მე იგი მიყვარს, მერე როგორ... ცოცხალივით... მაგრამ ხანდახან ვფიქრობ, ნუთუ მეც შემიძლია შევქმნა...

ჯემალ ქირია

მარადი მხედარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გორგასალის ძეგლის პედესტალს ზურგით მიეყრდნო. თითქმის ჩურჩულით ამბობდა. ეტყობა გულში დაგროვებოდა და უხაროდა, რომ შეეძლო ვინმესთვის გაეზიარებინა ნაფიქრალი.

— არ ვიცი, როგორ გითხრა, ვაითუ, ვერ გამიგო, ყალბ პათეტიკად მიიჩნიო ჩემი ნათქვამი. აი, ეს მიწა... — ჩამოხტა და ხელისგული გრანიტის ფილას დაადო, — ეს მიწა თითქოს ცოცხალია. ნებს ასე რომ დავადებ, თრთოლას გადმომცემს... გორგასალის სანაპიროზე ავტობუსი მიდის, აქ კი მიწა თრთის... სადღაც მიწისძვრაა, ეს მიწა თრთის, ხელის ნები სეისმოსადგურივითაა...

ჯუმა ბედიამ მოიწყინა. ნათქვამის არსს ველარ ჩაწვდა. უნდოდა გაეცინა, ბანზე აეგდო. ვერ შეძლო. ტატო ისე იყო დამუხტული, ვერც ამჩნევდა, რომ ჯუმა ბედიას სხვა წუხილი აწუხებდა.

— ხომ გაგიგონია ტუნგუსკის მეტეორიტი? ის რომ ჩამოვარდა, თურმე აფეთქების ტალღამ დედამიწას მრავალგზის შემოურბინა... ახლა აქ ვიჯექი და ვწერდი ლექსს მამაზე, მაგრამ არაფერი გამომივიდა! — მოწყვეტით დაამთავრა უცებ და ჯუმა ბედიას ზურგი შეაქცია. ჯუმა ბედიამ ვერაფერი გაიგო და მრავალმნიშვნელოვნად მიაცქერდა ტატოს მხრებს მიღმა გაშლილ სურათს. იქ, მტკვარგადაღმა, ნარიყალას ზღუდეებისაკენ ერთმანეთზე იხორხლებოდა ფერადი სახურავები.

— რაღაცას წერდი და მე შეგაწყვეტინე, — დაარღვია სიჩუმე, რათა რაიმე ეთქვა.

— ჰო, ვწერდი... მომეჩვენა, რომ ვსტუმრობდი აქედან შორს, პატარა მდინარე ნიანკაუასუს ნაპირზე, ჩე გევარასთან. იგი ეგდო მიჯრით დახვრეტილი, საკლასო ოთახში... იატაკზე სისხლის გუბე იდგა... ბავშვებმა ხომ უნდა ისწავლონ იმ კლასში, სადაც კედლებს სისხლის წვეთები ამჩნევია... მერე მამაჩემის საფლავი ვიხილე, რუსეთის მწირ მიწაზე... იქ ტყეებია, ფიჭვნარი... არაფერი მოჰყავთ, კარტოფილის გარდა... ყვავილებიც მწირია, ხეშეში, საფლავზე ცოცხებივით დგანან... ჰოდა, ვუყურებდი ნარიყალას, ძველ თბილისს, ხარფუხსა და ჩუღურეთს... რაღაც ძაფები იბმებოდა ასეთ შორეულ წერტილებს შორის დედამიწაზე, მაგრამ ველარ დავიჭირე... ის ჩემშია, ეს ძაფები...

—არაფერი მესმის, — პირდაპირობა არჩია ჯუმა ბედიამ, — ვერაფერ კავშირს ვერ ვხედავ, რა ძაფები, რის ძაფები...

— უთვალავი და უხილავი ძაფებია, კაენისა და აბელის მოდგმას ორ დიდ რაზმად რომ ჰკრავს. რაღაც ისეთი მინდა დავწერო...

ჯუმა ბედიამ უხერხულად ჩაიცინა. უცაბედად გულზე მოაწვა მწვავე შური, სალიერის შური... ბუნებით არ იყო შურიანი, რადგან თავისი ნიჭიერებისა სჯეროდა, მაგრამ ახლა შეშურდა. იგრძნო, ცეცხლი რომ წვავდა ტატოს, რაღაც მისთვის მიუწვდომელი და გაუგებარი.

— შენ გენიოსი ხარ, ტატო. ამ არეულ დროებაში ველოსიპედმა თუ არ გაგიტანა, „დაკარგულ სამოთხეს" დაგვიწერ ალბათ, — შხამნარევი გულწრფელობით უთხრა.

ტატო გაწითლდა, ხელი ჩაიქნია.

— მორჩი, რა...

პიონერები ამოცვივდნენ ჟრიამულით. დაირღვა მყუდროება და ჭაბუკები მეტეხის ხიდით ხარფუხს გადავიდნენ.

ჯუმა ბედია ჩუმ-ჩუმად ათვალიერებდა ტატოს. ხუთი წელი მაინც იყო, რაც იცნობდა, ახლო ძმაკაცადაც ითვლებოდა, მაგრამ ვერასოდეს ვერ ხვდებოდა, როდის რას ფიქრობდა ტატო და ეს ანერვიულებდა.

თონეში ცხელი ლავაში იყიდეს, შუაში გადახლიჩეს. ორივეს მოშიებოდა.

ტატოს ძველინდური ფილოსოფიური ტრაქტატი წაეკითხა შემთხვევით და იმაზე ყვებოდა. ჯუმა ბედია არ უსმენდა. არ აინტერესებდა მისთვის ეგოდენ უცნობი და მიუწვდომელი საგანი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კარგა ხანს იბორიალეს ვიწრო ლაბირინთებში. ტატო აღტაცებული ლაპარაკობდა ძველი თბილისის უცნაურ აივნებზე, კარ-ფანჯრებზე, გიჟური ფანტაზიით შექმნილ არქიტექტურულ მიკროკომპლექსებზე. მერე კვლავ ინდურ ტრაქტატს დაუბრუნდა და ჯუმა ბედიას აზრის ფრაგმენტებიღა ამახსოვრდებოდა... ბოროტი ღმერთი ჯაგერნაუტის ეტლის ქვეშ იღუპებიან თურმე ნირვანას მაძიებელი ფანატიკოსები... თავისთვის სამჯერ მაინც გაიმეორა ეს ფრაზა. მას იგი არაფერს ეუბნებოდა და მხოლოდ მხრები აიჩეჩა.

ისევ ლესელიძის ქუჩაზე გამოვიდნენ და სიონშიც შეიხედეს.

ტაძრის მყუდროებას სანთლების ნელი ტკაცუნი თუ არღვევდა. სანთლის გამყიდველი თვლემდა ჯიხურში, წმინდა გიორგის შუბი მოეღერებინა ეშმაკეულისათვის, დრაკონის კუდი იხლაკნებოდა სასიკვდილო სპაზმებში...

უცბად განიხვნა აღსავლის კარნი და წვეროსანი მღვდელი გამოჩნდა. გულგრილად შეავლო თვალი ორთავეს, მერმე ჯუმა ბედიას მიაჩერდა:

— სულის განწმენდა ხომ არ გსურთ, შვილნო ჩემნო?

ჯუმა ბედია შეკრთა, პასუხი დაუყოვნა, შემდეგ კი ნაჩქარევად, ბორძიკ-ბორძიკ უპასუხა:

— წმინდა ვართ, მამაო, არა დაგვიშავებია რა...

ხითხითი მოესმა. სასიკვდილოდ დაჭრილ დრაკონს გუჯმახანის მწითური თავი ება და ხითხითებდა.

ჯუმა ბედიას თმა ყალყზე დაუდგა, უკან დაიხია, გასასვლელისაკენ.

— საით? — გაუკვირდა ტატოს.

— მე?... მე უნდა წავიდე! — ანგარიშმიუცემლად გაიმეორა და ტაძრიდან ერობაშად ამჩატებული გავარდა.

ქუჩაში ოდნავ დამშვიდდა. მაინც არ გაჩერებულა. ცდილობდა სადმე შორს გაქცეულიყო იმ ადგილებიდან, სადაც ყოველ ნაბიჯზე გუჯმახანს აწყდებოდა.

## ჯადოსნური სარკე

„მეფე შიშველია!“ — ჯუმა ბედიამ ისეთი მზერა ესროლა ტატოს, თითქოს რევოლვერის ტყვია დაახალაო. სძულდა, ამწუთას აუტანლად სძულდა. ახლა რომ იქ, მეტეხის ციხესთან ყოფილიყო, არ გაუკვირდებოდა წამიერი სურვილი, რამაც მაშინ თვითონვე შეაძრწუნა.

არადა, რა კარგად დაიწყო საღამოს სხდომა.

დარბაზში თავისუფალი ადგილი არსად ჩანდა. ახალგაზრდების ნაწილი ფეხზე იდგა, კედლის გასწვრივ, ხალხი კი შემოდიოდა და შემოდიოდა.

ჯუმა ბედია პრეზიდიუმში გამოიჭიმა, თავმჯდომარის გვერდით. დარბაზს სწრაფად გადაავლო თვალი. მზერა ვერავის გაუსწორა და საკუთარ ფრჩხილებს დაუწყო თვალიერება. დამსწრეთა უმრავლესობა ახალბედა სტუდენტები იყვნენ. ჯუმა ბედიას რამდენიმე თანაკურსელიც მოსულიყო. პირველ რიგში ნაცნობი პროფესორები ისხდნენ. მაცაცუნასაც მოჰკრა თვალი. წამდაუწუმ საქმიანად დგებოდა, რათა ჯუმას ყურადღება მიეპყრო. კაჭუჭიას საიდანღაც დანჯღრეული სკამი დაეთრია, მზეჭაბუკი კი კედელთან მიეჭეჭყათ და სახე ალანძოდა. ბიჭს თავბრუ ეხვეოდა ფიქრისაგან, რომ ამდენი ხალხი მისი ძმის გამო იყო აქ შეყრილი.

პრეზიდიუმში, ჯუმა ბედიას ხელმარცხნივ, მაგიდას იდაყვებით დაყრდნობოდა პროფესორი პროკოფი ნადირაძე, რომელიც ეს ათიოდე წელი წრეს ხელმძღვანელობდა. ბატონ პროკოფის, მართალია, სტუდენტობის ხანიდან ლექსი არ უწერია, მაგრამ სხვადასხვა გულისამაჩუყებელი ფსევდონიმით ბეჭდავდა სუსტ ჩანახატებსა და ესეებს. ბატონი პროფესორის გვერდით შინაურულად მოკალათებულიყო დოცენტი პაპუა ჩირგაშვილი, რომელიც ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ყველა დარგში მოღვაწეობდა და ლიტერატურის არც ერთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟანრს არ აკლებდა ყურადღებას. ასევე იცოდა ხალხში ლაპარაკი: „მე პროზაში ვმუშაობ!“ „მე პოეზიაში ვმუშაობ!“ და ასე შემდეგ. მერმე იჯდა ახალგაზრდა პოეტი ქალი ორმაგი სათვალით, რომელიც სინათლეს არ ატარებდა, რადგანაც პოეტესას ხშირად სჭირდებოდა საკუთარ სულში ჩახედვა, რასაც ამ სათვალის მეშვეობით ახერხებდა. ბოლოს, მაგიდის კუთხეში მიმჯდარიყო მთლად ჭაღარადქცეული, დიდად პატივცემული ლიტერატორი, რომელიც მიჩვეული იყო პირველობას და საერთო თაყვანისცემის ფაფუკ ლრუბელზე ხშირად ხვრინვას ამოუშვებდა.

ტრიბუნისაკენ გასავლელი ორიოდე ნაბიჯი ძლივს გაიარა ჯუმა ბედიამ. მუხლებში კანკალი ედგა.

წყალი მოსვა და დარბაზს გახედა. მაცაცუნამ ჰაეროვანი კოცნა გაუგზავნა. ჭაბუკმა სწრაფად ჩაღუნა თავი, შტერია ეს ოხერიო, და ქაღალდების დალაგებას შეუდგა. დასალაგებელი არაფერი ჰქონდა, თვალი აჭრელებოდა და ასოებს ვერ არჩევდა.

ბოლოს ნებისყოფას მოუხმო და დაიწყო. კითხულობდა და გრძნობდა, დარბაზის ნახევარი ფიქრით სხვაგან იყო, მეორე ნახევარს კი მისი მოთხრობები გულგრილს ტოვებდა.

წაიბორძიკა. თვითონვე ამჩნევდა, რომ ფრაზა დაღვარჭნილი ჰქონდა, ამბავი მიამიტი, უფრო სწორად, არაფერი ამბავი არ იყო. ეს იყო თხზულებები არაფერზე, უსუსური, უსახური, როცა ყველაფერი ხელიდან გიძვრება, როგორც პეშვიდან წყალი.

დოცენტი პაპუა ჩირგაშვილი სავარძელში ნებიერად გაიშოტა, თან ისეთი მზერა ესროლა დარბაზს, თითქოს შემკრთალ სტუდენტობას ეუბნებოდა, ციც, შემომხედეთ რა დიდი კაცი ვარო.

ბატონმა პროკოფიმ ტკბილი ღიმილით თავი დაუქნია ორატორს, აქაოდა, გამხნევდი, მხარში გიდგევართო.

პოეტესა საკუთარი სულიერი განცდების ანალიზში ჩაეფლო და სხვათათვის არ სცხელოდა.

პატივცემული ჭაღარა ლიტერატორი ზრდილობიანად თვლემდა, ხანდახან წამოიხროტინებდა კიდეც; უმალვე გამოფხიზლებული ტრიბუნას საქმიანად მიაცეცებდა თვალებს.

მზეჭაბუკმა ვერაფერი გაიგო. ძალიან ცდილობდა ყური მიეგდო, მაგრამ ტრიბუნიდან წამოსული სიტყვები ცარიელი საპნის ბუშტებივით ჰაერში ეკიდა და კედლებს ადნებოდა; დარბაზი კი მოწყენილობითა და მთქნარებით პასუხობდა.

იმატა ჩურჩულმა, ვიღაცამ ჩაიქირქილა.

მოპირდაპირე კედელთან ტატო იდგა. თავიდანვე გულისყურით უსმენდა ჯუმა ბედიას. ოღონდ ესმოდა მხოლოდ სიტყვები, მზეზე დაგდებული, გამომშრალი ძველი გაზეთივით უემოციო, უგრძნობელი და ეწამებოდა, რადგან მეგობრის სრულ უნიჭობაში რწმუნდებოდა.

ჯუმა ბედია კითხულობდა და კითხულობდა მონოტონურად, ერთფეროვნად. ხანდახან ფრაზაზე აუსხლტებოდა, წაიბორძიკებდა, კვლავ წონასწორობას აღიდგენდა და ძველებურად განაგრძობდა. რაღაც ჟინი დაეუფლა, თითქოს ვიღაცის ჯიბრზე აკეთებდა ყოველივეს, ვიღაცის ოხტში ამოდიოდა. თვითონაც არ ესმოდა საკუთარი თხზულებებისა, მაგრამ გაჩერებისა რცხვენოდა. მიხვდა, რომ ამაო იყო მისი გარჯა, დადუმება კი არ შეეძლო. დარბაზში ხმაური უფრო და უფრო მატულობდა. ყველას მობეზრდა, ქუთუთოებში თვლემა შემოძვრა, ძილმა გაშალა ფაფუკი ფრთები თეთრ ჭერზე და მის გასადევნად ყველა თავისთვის ეძებდა გასართობს.

პატივცემულმა ჭაღარა ლიტერატორმა წამოიხროტინა, გამოფხიზლდა, ეგონა მოთავდაო და ხელი ხელს შემოჰკრა, თუმცა ისე მსუბუქად, ბევრს არც გაუგონია.

ჯუმა ბედია უცბად, მოჭრილად დადუმდა, კითხვა შუა ადგილზე შეწყვიტა. „მობეზრდათ, — სირცხვილით გაიფიქრა და სულში მტრული გრძნობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

აუფოფინდა, — რისთვის მოეთრენ, თუ არ აინტერესებდათ?“

დარბაზში ჩურჩული გრძელდებოდა. ვიღაცამ შეამჩნია, ავტორს კითხვა დაუმთავრებიაო და მეზობელს იდაყვი გაჰკრა... თანდათან დაწყნარდნენ და უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა.

— დაამთავრე? — ჩაახველა ბატონმა პროკოფიმ, რომელსაც ოდნავ წასთვლემა და წუხდა, ვინმემ ხომ არ შეამჩნიაო.

ჯუმა ბედიამ თავი დაუქნია, ხელნაწერი შეაგროვა და სკამს მიაშურა.

ბატონმა პროკოფიმ ერთხელ კიდევ ხმა ჩაიწმინდა, ყოჩაღო, — გადაულაპარაკა ჭაბუკს და ტაში შემოჰკრა. კანტიკუნტად აჰყვნენ, თითქოს ცუდი რამ ჩაიდინესო, უმალვე შეწყვიტეს. ამ დროს გამოფხიზლებულმა ჭაღარა ლიტერატორმა დასცხო, ოღონდ მეტი არავინ აჰყოლია.

ტრიბუნაზე ოპონენტი ავიდა. კარგა ხანს ქსოვდა აბლაბუდას. აქეთ მოუხვია, იქით მიუხვია, ავტორს ბევრი ებოდიშა, აუდიტორიის მოთაფლვაც მოინდომა, ბატონ პროკოფის და პაპუა ჩირგაშვილს მომაჯადოებელი ღიმილი აჩუქა... როდესაც მოთხრობებამდე მიაღწია, სიტყვის დასაწყისი არავის ახსოვდა, ყველამ ისედაც იცოდა, რომ საქმე მოთხრობების პანეგირიკით დამთავრდებოდა. ორატორის იავნანას აყოლილი დარბაზი მზად იყო დაფნის გვირგვინი გაეცა, საღამოს გმირად გამოეცხადებინა ჯუმა ბედია და გენიოსთა სიაში ჩაეწერა...

ჯუმა ბედია თითქოს ეკლებზე იჯდა. მთელი სხდომის მანძილზე მხრებმობუზული ფრჩხილებს იწიწკნიდა, თუმცა არც შემდგომ ორატორებს დაუკლიათ ქება. სხდომის ბოლოს თანდათან დამშვიდდა, ოღონდ შიში მთლად არ გაჰქრობოდა. ახლა ცოტა მეტად სწამდა საკუთარი ნიჭისა და ღმერთს ევედრებოდა, ამ საღამოს გადამარჩინე და ხალხს რომ გადარევს, ისეთ მოთხრობებს გავაშანშმალებო.

ტრიბუნაზე ასვლის მსურველები გამოილია და თავმჯდომარე წამდაუწუმ იმეორებდა, კიდევ ვის სურს გამოსვლაო.

— ტატო, ეგებ შენ შეგვაწიო ორიოდე სიტყვა?! — მოესმა უცებ ჯუმა ბედიას და სადღაც გულის ძარღვი ჩაწყდა.

მზეჭაბუკმა კისერი წაიგრძელა, რათა ენახა, ვის ეუბნებოდნენ. ჯინსსა და თეთრ პერანგში ჩაცმული ახალგაზრდა კედელს მოსწყდა, ორიოდე ნაბიჯი გადადგა და მიმოიხედა.

ყოყმანობდა.

მთელი დარბაზი მისკენ მიბრუნებულიყო.

— მეფე შიშველია! — წყნარად თქვა.

●

„მეფე შიშველია!“ — ეს იყო საბოლოო განაჩენი. ვის რაც უნდა ეთქვა, ჯუმა ბედიას კი კარგად ესმოდა ამ სიტყვათა მნიშვნელობა. მართლაც შიშველი იყო, ცარიელი ჩონჩხი, როგორიც ამ დილას იხილა სარკეში...

ჯუმა ბედია სკამზე იჯდა, მელიქიშვილის ძეგლთან. ტოტებგაბარჯღული ფიჭვის ჩრდილს შეფარებოდა. ცდილობდა მიეგნო შეცდომის პირველწყაროსათვის, ძირისათვის. ტრამპლინი არ აღმოჩნდა საფუძვლიანი, ამიტომაც არ გამოუვიდა ნახტომი, ამიტომაც მოეცარა ხელი. ეგებ სჯობდა ოდნავ უკან დახევა, ახალი ნიადაგის მოსინჯვა, ახალი გზის დაძებნა, ოღონდ არ იცოდა, რა იყო ეს „ახალი“.

„მეფე შიშველია!“ — კვლავ მტკივნეულად ამოსძახა გულმა... ანაზდად გუჯმახანის დღევანდელი სტუმრობა გაახსენდა, მისი გაუგებარი სიტყვები, უცნაური მიწვევა... ხომ არ ერისკა? იქნებ მართლაც სწვეოდა?... დრუნჩიანი კაცის გახსენებამ უკან მოაბრუნა, იმ ასპარეზზე, სადაც ერთხელ უკვე იწვნია მარცხი...

მძიმე კარები გაიღო ღრჭიალით და

უნივერსიტეტის მთავარი კორპუსიდან სტუდენტთა ლაშქარი გამოეფინა. ეზო აივსო სიცილ-ხარხარით, ხორხოცით, გადაძახილ-გადმოძახილით... ზოგ ხმას ჯუმა ბედია ცნობდა, დანარჩენებს ვერა... ყური მოჰკრა, მასზე ლაპარაკობდნენ, მის უდღეურ მოთხრობებზე...

გოგონების ჯგუფმა უდარდელი კისკისით ჩაირბინა კიბეზე... ჯუმა ბედიას გული ეტკინა, მარტოობა ემწარა. იჯდა ჩრდილში და თავი შავი ფიქრებისათვის მიეცა.

ნაცნობმა ხმამ გამოარკვია.

— დედა, რა იყო?! — თეატრალური გაკვირვებით იძახდა მაცაცუნა და რაღაცას სხაპასხუპით უმატებდა. პასუხად გოგონები ტკრციალით იცინოდნენ და ჯუმა ბედიამ ვერაფერი გაიგო.

გოგონები ვარაზის ხევს დაუყვნენ. ჯუმა ბედია უცებ ამოქმედდა. ახალი მიზანი გაუჩნდა, თუმცა აშკარად თვითონაც ვერ გარკვეულიყო, რა უნდა ექეთებინა, სად უნდა აელო რევანში, რა საქმით გაემარჯვნა... გამარჯვება კი სიცოცხლეზე მეტად სჭირდებოდა.

თავპირისმტვრევით მისდია ხმებს. შუა გზაზე წამოეწია და დაუძახა:

— ესმა!

გოგონები შეჩერდნენ, მერე ჩურჩულით დაიძრნენ დაღმართზე და მხოლოდ ერთი დარჩა ბინდში თეთრად გამოკვეთილი.

— ჯუმა, რა საინტერესო იყო! — შეაგება მაცაცუნამ. მის ხმაში ნაძალადევი მხიარულება იგრძნობოდა და ჯუმა ბედია გაჯავრდა. თავი შეიკავა, ენას კბილი დააჭირა, გოგოს მოთაფლვას შეეცადა:

— შენ გელოდი!

ხელკავი გაუყარა, მაცაცუნას იდაყვი ძალუმად მიიკრა და გვერდით ასე გაიყოლა.

— ყველას კი ნუ უგდებ ყურს, — სწრაფად არატრატდა მაცაცუნა, — ხომ იცი, ყოველ ადამიანს თავისი აზრი აქვს!

— ძალიან ცოტას! — მოჭრა ჯუმა ბედიამ, სულაც არ უნდოდა იმ ამბებს დაბრუნებოდა.

— მით უმეტეს, — უმალვე დაეთანხმა გოგო, — მაშ, რატომ გაჯავრდი? რამდენი გაქეს, შენ კი გაჯავრდი...

— მოდი ამაზე სიტყვას ნუ გავაგრძელებთ! — გააწყვეტინა ჯუმა ბედიამ.

— როგორც გენებოს...— ტუჩები აიბზუა მაცაცუნამ. ოდნავ განზე გაიწია, რადგან მკლავი ეტკინა, მაგრამ ჭაბუკმა არ გაუშვა.

გმირთა მოედანი გადაჭრეს და სანაპიროსაკენ ჩაისეირნეს. გზატკეცილზე რომ გადადიოდნენ, მანქანების კოლონამ ჩამოიარა. ჯუმა ბედიამ გოგოს მკლავს ხელი უშვა და მხარზე გადაეხვია, ვითომ იცავდა მანქანებისაგან.

მტკვრის ზედაპირს უბიწო, ვერცხლისფერი ვარკალი გაუდიოდა.

საკმაოდ შეგვიანებული იყო. სანაპიროზე თითო-ოროლა კაცი თუ მოჩანდა. გრილმა ნიავმა ამოიქროლა ხეობაში. მაცაცუნას შესცივდა, უფრო მჭიდროდ აეკრა ვაჟს, რომელმაც ეს მოძრაობა ერთგვარ ნიშნად მიიღო. ახლა მისი თითები აშკარად ეხებოდნენ გოგოს მკერდს და ორივეს სისხლი ემღვრეოდა.

— მუდამ თვალში მომდიოდი, — ჭიკჭიკებდა ჯუმა ბედია, — ვცდილობდი ამის დაფარვას, მაგრამ მოთმინება დამელია...

მაცაცუნა გაისუსა, ბედს მიენდო და ჭაბუკს მხარზე მიეყრდნო. ჯუმა ბედია სიტყვასა და სიტყვას შორის ხაზგასმული სისათუთით ეამბორებოდა საფეთქელზე, მთელი თავისი ნიჭიერებისათვის მოეხმო ამ გოგოს ხელში ჩასაგდებად.

სანაპიროს ბალები თითქმის დაცარიელებულიყო.

— ნეტავ ვიცოდე, ასე რას გავრბივართ? — გაეცინა ჯუმა ბედიას და პარაპეტს გადაეყრდნო, თან მდუმარე გოგოსათვის ხელი არ უშვია.

ასე იყვნენ კარგა ხანს ჩახუტებულები და წყალში იყურებოდნენ. წყლის შავ-ვერცხლისფერი ჭავლები ბეტონის კედლებს აწყდებოდა. ნელი ტყლაშუნი

ეროვნული

ეროვნული ბიბლიოთეკა

აცოცხლებდა ღამის მდუმარებას. ხანდახან თუ ჩამოიქროლებდა დაგვიანებული მანქანა, ბრიალა ფარებს მოაფრქვევდა პარაპეტს, ჭადრის ჩრდილიდან გამოიტაცებდა გვერდიგვერდ მიტმასნებულ წყვილს და შეუჩერებლად ჩაიგუგუნებდა.

ჯუმა ბედია ძალუმად ეკვროდა გოგოს, მის ცხელ სხეულს ჩაწმახნოდა. ვნებისაგან გადარეულს თამაშობდა, თუმცა უკვე დამშვიდებული და გულცივი იყო. გაოფლიანდა, პერანგი ტანზე ეწებებოდა, ხანდახან სველ ხელისგულს ჩუმად გააპარებდა, შარვლის ტოტზე შეიმშრალებდა. ზოგჯერ თუ გაჰკრავდა შიშველი ვნება, სუსტად შეახსენებდა თავს და კვლავ ქრებოდა, ზიზღის გრძნობას უტოვებდა.

— ერთად რომ ვიქნებით, რა კარგად მოგივლი, — ჩაიბუტბუტა მაცაცუნამ და ხელის ზურგზე მოეფერა.

ჯუმა ბედიამ კინაღამ გაიცინა: „რა შტერებია ეს გოგოები“, — გულღრძოდ გაიფიქრა. თავი თავს მიაყრდნო და ლოყაზე აკოცა. მაცაცუნა არ განძრეულა. მეორეჯერ რომ აკოცა, გოგომ ტუჩები შეაგება. წვრილი ტუჩები ჰქონდა. როცა კოცნიდა, ვაჟი საულვაშეზე ამოსულ ბუსუსებს გრძნობდა, არ სიამოვნებდა და მაინც ეტანებოდა.

— ვიცოდი, რომ მოგწონდი, — თვალებდახუჭული, მინაზებული ხმით ტიტინებდა მაცაცუნა, — მეც ვირეოდი შენზე, სხვა ბიჭებს ზედაც არ ვუყურებდი... შენ პირველი მამაკაცი ხარ, შენ პირველმა მაკოცე...

— ესმა... — პასუხობდა ჯუმა ბედია. „იმდენი რა გითხარი, სხვას დაუყარე ეგ საკენკი“, — უმატებდა ფიქრში.

— ესმა... ესმა... — ჩურჩულებდა და ამ დროს გოგო თავისკენ შემოაბრუნა, წელს დაეპატრონა, მის ტუჩებს წუწნიდა, თან კი ამოწმებდა, გული მისდის თუ არაო. მქრქალი ნათურების მკრთალ შუქზე გოგოს სახე უფრო მშვენიერი ჩანდა. ჯუმა ბედიას ცოტცოტაობით დაავიწყდა თავისი როლი. უცბად მოწოლილმა ვნებამ გადარია. საკინძე ჩამოჰხია და მკერდი გაუშიშვლა. მაცაცუნამ საკინძეზე იტაცა ხელი. ენა ჩაუვარდა და უსიტყვოდ უწევდა წინააღმდეგობას. ჯუმა ბედიაც ხმას ვერ იღებდა, უხმოდ ებრძოდა.

ღონე არ დაზოგა ვაჟმა, გოგო პარაპეტზე მიაკრა. მაცაცუნას თითქოს ძალა ელეოდა, აჰანდე, უნდა დამორჩილებოდა მამაკაცს, უნდა ეზეიმა ჯუმა ბედიას გამარჯვება.

მაცაცუნა გამძაფრდა უეცრად. ჰკრა ვაჟს მკერდში ხელი, ჭადარს ზურგით მიახეთქა.

— ესმა! — წამოიძახა გაბრუებულმა ჯუმა ბედიამ.

— ამ ჩექმაში ფეხი არ ჩაგივა! — ხრინწიანი, ნერვული სიცილით უპასუხა მაცაცუნამ და გაიქცა.

— ესმა!

მაცაცუნას ფეხის ხმა მიწყდა. ჯუმა ბედია უკაცრიელ სანაპიროზე მარტოდმარტო დარჩა ვნებააშლილი, ერთხელ კიდევ დამცირებული და დამარცხებული. პარაპეტს მუშტი მტკივნეულად დაჰკრა და ზედ გადაემხო.

გონს მალე მოვიდა, მაგრამ ვერ დამშვიდდა. ბილწად აგინებდა მაცაცუნას უკანასკნელი სიტყვებით, უსინდისოსა და მატყუარას ეძახდა; როგორ გააცურა ამ მაიმუნმა, ამ შტერმა და დაცენტრილმა...

როცა წამოიწია, მარქსის ხიდის მოაჯირს კაცი გადაჰყუდებოდა და წყალში იცქირებოდა. უკვე გვიანი ღამე იყო და ჯობდა შინ წასვლა...

●

მერე ამბავი სწრაფად დატრიალდა. წამის განმავლობაში ჯუმა ბედიას თვალწინ ათასმა რამემ გაიელვა. მოეჩვენა გაზეთის ფურცლებზე დაბეჭდილი წერილები, ტელეკადრები, ნაცნობ-მეგობრების მიერ მხარზე ხელის თათუნი, გოგონების მომხიბვლელი ღიმილი. ისეთი არაფერი ხდებოდა, რომ გმირის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სახელი დიდხანს შერჩენოდა, მაგრამ მაინც გმირობა იყო. სანამ ყველაფერმა ამან ფირზე აღბეჭდილი კადრებივით გაირბინა, ის უკვე სანაპიროს პარაპეტზე იდგა და შარვალს ფაციფუცით იხდიდა.

ხიდზე მყოფი კაცი ვერ ხედავდა ჯუმა ბედიას. რომც ენახა, ალბათ არ მიაქცევდა ყურადღებას. მთვრალის უთავბოლო ზოზინით გადაბობღდა ხიდის მოაჯირზე და ახლა თავს მხოლოდ ცალი ხელით იკავებდა.

— ეჰმა! — შეჰღმუვლა და თავქვე წავიდა.

ჯუმა ბედიას არც გაუგონია წყალში კაცის ზღართანი, რადგან იმავე წამს თვითონაც მოსწყდა პარაპეტს და მტკვარში გადახტა. ენგურის პირას გაზრდილი, ცურვაში ვის არ გაეჯიბრებოდა. ოღონდ ახლა გოგოსთან ნალლაბუცევსა და გაოფლიანებულს წყალი ყინულად მოეჩვენა.

ათიოდე მეტრი წყალქვეშ გასცურა. ხიდის ბურჯს არ შევასკდეო და თავი ამოჰყო. ხიდი უზარმაზარ პარაბოლად იყო გადატყორცნილი. სანაპიროებს გაჰხედა და შეფიქრიანდა. ორთავე ნაპირი მაღალ კედელს შეეკრა და ზევით ასვლას ვერ მოახერხებდა. კარგი მოცურავე კი იყო, ღონე მაინც უნდა გამოეზოგა. დინებას მინებებული ნებიერად მიცურავდა და თვალით ეძებდა წამით ადრე გადავარდნილს, რომელსაც ასე უდროოდ მოსწყურებოდა სიკვდილი.

კაცი ჯერ არსად ჩანდა. ჯუმა ბედია არ ღელავდა. აუცილებლად ამოტივტივდებოდა, თუ რასაკვირველია, ქვები არ ეწყო ჯიბეებში.

ხიდზე მანქანამ გადაიარა და მისი ხმა ისე გაისმა, თითქოს ვიღაცა გაბმულად ურახუნებდა უზარმაზარ დოლზე.

ჯუმა ბედიამ ჩრდილიდან გამოსცურა. მტკვრის ზედაპირი აქერცლილიყო, თვალს ჭრიდა უამრავ სხივებად გარდატეხილი ფერი ვერცხლისა. ახლა ისე ძალიან აღარ სცივოდა და ნელ-ნელა უსვამდა მკლავებს. კაცი ჯერ კიდევ არ ჩანდა. ჭაბუკს იმედი თანდათან ეწურებოდა. ალბათ მართლაც ქვებით ამოივსო ჯიბეები იმ ოხერმა და ფსკერზე ეგდო წყლით გაჭყეპილი.

მხარულით მოუსვა და აღმა გასცურა. არ ჩქარობდა, ბევრ ძალას არ ხარჯავდა. წყალი მაცდური იყო და საკუთარ თავზეც უნდა ეზრუნა.

იმ ადგილას მიაღწია, სადაც კაცი ჩავარდა. აქ, ხიდის ჩრდილში არაფერი ჩანდა. ჯუმა ბედიამ ღრმად ჩაისუნთქა და ფსკერისაკენ დაეშვა. თვალებს მონდომებით აცეცებდა. სიღრმეში კუნაპეტი სიბნელე იყო და მაინც ვერაფერს ნახავდა. ყურებში რაღაცა ზუოდა. შეშინდა, ალბათ ძალიან ღრმაა და ამ სიბნელეში რაიმეს არ გამოვედოო. სწრაფად ამოყვინთა, იმედგაწყვეტილი კვლავ მინებდა დინებას.

ჩრდილიდან გამოცურდა და მაშინ ჰკიდა თვალი. ვერცხლის მოციმციმე ჭავლში, რომელიც ერთმანეთზე გადაბმულ ბურთულებს ჰგავდა, მიტივტივებდა შავი ბურთი. „წყალმა ამოაგდო, ახლა ისევ ჩაიძირება“, — ჯუმა ბედიამ სწრაფად ვასცურა, წინ წასულს ალბათ სული კბილით ეჭირა. „უკვე აღარ სურს სიკვდილი, გადაიფიქრა“, — გუნებაში დასცინოდა ბედდამწვარს. თუმცა ცივ წყალში ამდენმა ტრიალმა დაღალა, მკლავების იმედი ჰქონდა და ჯერ კიდევ ღონივრად უსვამდა.

მიაპობდა წყალს ჯუმა ბედია, მაგრამ შავ ტივტივას ვერა და ვერ ეწეოდა. სანაპიროზე ახალგაზრდების ხორხოცი გაისმა. ვიღაცა გიტარას აჩხაკუნებდა და გაჰკიოდა მოდურ სიმღერას, რომელიც კაცმა არ უწყოდა, რა ენაზე ითქმოდა. „ნეტა თუ მხედავენ?“ — წუხდა ჯუმა ბედია. დღე რომ ყოფილიყო, უამრავი ხალხი მოაწყდებოდა სანაპიროს სეირის საყურებლად. ახლა კი აბა ვინ შენიშნავდა მოძმისათვის თავდადებულ ჭაბუკს. მილიციელმა ჩასტვინა სანაპიროს ბაღებში. ჯუმა ბედიამ ერთი ორჯერ წყალზევით ამოიწია, ეგებ იმან მაინც მნახოსო. წყლის ზედაპირი ჭრე-

ლი იყო და ძნელად თუ შეიძლებოდა რამის გარჩევა.

შავი ბურთი კი მიტივტივებდა თავისთვის. ჯუმა ბედია ვერც ეწეოდა და ჩამორჩენასაც არ აპირებდა. ალბათ მართლაც სხვა რაღაც სხეული იყო, ის კაცი კი აქამდე უკვე დაიხრჩობოდა... მოსწყინდა დევნა, მკლავებიც დაეღალა. ზურგზე გაწვა, რათა ცოტათი დაესვენა. ვარსკვლავებს მიაპყრო თვალი. ქალაქის ნათურები ანელებდნენ ვარსკვლავთა სიკაშკაშეს. რატომღაც შერცხვა, თუმცა ისიც იფიქრა, არაფერი დამიშავებია, წყალში გადავარდნილი კაცის დახსნას ვცდილობო. ცას მაინც აარიდა თვალი, ხან ერთ სანაპიროს გახედავდა, ხან მეორეს. თითქოს თვითონ უძრავ ტივზე იწვა, მტკვრის ორთავე ნაპირას განფენილი ქალაქი კი აღმა მიცურავდა.

მაშინღა აიხედა ზევით, როცა ბარათაშვილის ხიდის ქვეშ აღმოჩნდა. აჰყურებდა ხიდის მძლავრ მონოლითს და სულ სხვა რამეზე ფიქრობდა. ხიდის ჩრდილიდან გამოსულმა კვლავ ვარსკვლავებს ჰკიდა თვალი და სახე აარიდა. ხიდის ქვედა გადასასვლელზე შეყვარებული გოგო და ბიჭი ისხდნენ, თავიანთვის ჭიკჭიკებდნენ. არც კი გაუხედიათ მდინარისაკენ, არ შეუნიშნავთ ჯუმა ბედიას გმირობა.

წამით შეშურდა მათი. ვინმეს შეყვარება ენატრებოდა. მაცაცუნა მოაგონდა. სიყვარულთან მაცაცუნა რა მოსატანი იყო. გაიხსენა თავს გადახდილი უსიამოვნო ამბავი. ზიზღი და სიბრაზე გაუცხოველდა და თავდაღმა გადაბრუნდა, რათა მსგავს სისულელეებზე არ ეფიქრა.

შავი ბურთი კი მიტივტივებდა და თითქოს არაფრად აგდებდა ჯუმა ბედიას მცდელობას.

შესცივდა, ააძაგძაგა ყინულივით ცივმა წყალმა. გავთბებიო და ღონის დაუზოგავად უსვამდა მკლავებს.

წინიდან მეტეხი წამოიმართა, როდესაც შავ ბურთს წამოეწია. სულ ორიოდე მეტრი აკლდა, ძალა კი შემოელია და არ შეეძლო ამ ორი მეტრის გადალახვა.

შავი ბურთი ორთქლის მანქანასავით ქშინავდა, ეტყობა, უჭირდა... ჯუმა ბედიასაც უჭირდა უკვე. დაუმძიმდა ხელფეხი, ნებისყოფის დაძაბვით ახერხებდა წყლის ზედაპირზე თავის შეკავებას. ამ წუთიდან საკუთარი ტყავის გადარჩენაზე უნდა ეფიქრა. ორივე ნაპირი ეშორა და ხომალდივით მოახლოებული გორგასალის ხიდის იმედიღა შერჩა; ხიდის ბურჯს მიეყრდნობოდა და მშველელს მოუხმობდა.

მქშინავი ბურთი სულ ახლოს იყო და „ჰეიი!“ — შეუძახა.

მოულოდნელად ბურთზე თეთრმა კბილებმა გაიელვეს და ორი თვალიც აკიაფდა.

— ვა, ძმაკაც, შენც ქეიფში ხარ?!

ჯუმა ბედიას ენა ჩაუვარდა, ხელფეხი წაერთვა: ბნელმა სიღრმემ ჩასჭიდა მარწუხები და ჩაითრია, ცივი წყალი აყლაპა. „გათავდა“, — გაიფიქრა. იგრძნო, თმაში სტაცეს ხელი...

როცა გამოფხიზლდა, უკვე მიწაზე იწვა, გაზონის მწვანე მოლზე. ვიღაც ჭინკასავით დაჭმუჭნილი კაცი მუცელზე აჯდა, მკერდს უზელდა, თან დროგამოშვებით ლოყებზე ტკაცატკუცით სილებს უზაპუნებდა. ჯუმა ბედიას არ სტკენია, არც შეურაცხყოფილად უგრძვნია თავი, მაგრამ გაოცებამ ორიოდე წამს დაამუნჯა.

— ამიშვი! — ბოღმით უთხრა მუცელზე მოკალათებულს.

—ა, გადავრჩით? ყოჩაღადა ვართ? წამოდი, სტოპოჩკა არაყი გადავკრათ, მთლად კარგად ვიქნებით! — კაცი წამოდგა და ჭაბუკსაც ადგომაში მიეშველა.

— მომეშვი! — პასუხად შეჰღრინა უზომოდ დაღლილმა ჯუმა ბედიამ.

— ვა, მომეშვი რომელია? გადაგარჩინე, არაყი ვიკისრე, შენ რა წიპუკას ვერა ცნობ?... ეგრე სად გაგიშვა? დავლიოთ, ვიქეიფოთ!..

---

ჯემალ ქირია
მარადი მხედარი

— მომეშვი! — შეჰყვირა თავშობეზრებულმა ჭაბუკმა, ხელი აუკრა კაცის გამოწვდილ ხელს და გაიქცა.

— ვა, გიჟია, ტო!.. — მიაყოლა გაკვირვებულმა კაცმა.

ჯუმა ბედია მირბოდა, არ იცოდა კი საით. მერე გაახსენდა, რომ ქალაქის ცენტრში ტრუსისა და მაისურის ამარა იყო და შერცხვა. ტანსაცმლის მოსაძებნად წასვლა სიგიჟე იქნებოდა, ძალიან ეშორა... შინ დაბრუნება და გამოძინება გადაწყვიტა, იქნებ დამშვიდებულიყო და დაევიწყებინა ეს შავი დღე.

●

კვლავ ტროლეიბუსის ბუგელი ჩამოვარდა, მავთულებში გაიხლართა, გაკვესა.

ჯუმა ბედიამ თვალი დააჭყიტა. აღარ ახსოვდა, ეძინა თუ ფხიზლობდა... გუშინდელივით ყოველი ჩქამი ისე შემოდიოდა ოთახში, თითქოს ქუჩის მხრიდან კედელი არც ჰქონოდა. მანქანების გუგუნი, გამვლელთა გადალაპარაკება, ფეხის ხმა, ნიავის შრიალი ფოთლებში, კაჭუჭიას ხვრინვა დროგამოშვებით... ყოველი ბგერა აღიზიანებდა ჯუმა ბედიას, აზრს უფანტავდა, თუ არადა, უნდა მიეღო საბოლოო გადაწყვეტილება.

კედლისკენ შებრუნდა, თავზე საბანი წამოიხურა, ყურები დაიცო; დასცხა, კინაღამ გაიგუდა. საკუთარ თავს ემუსაიფებოდა, ყოველნაირად წონიდა. გუშინდელ მარცხიან დღეს იგონებდა ნაბიჯ-ნაბიჯ, სულს იწეწავდა. მთელი ქვეყანა მის დაჩაგვრას ცდილობდა, ყველა მისი მტერი იყო. ბოროტი აღშფოთება ჩაუგუბდა სულში, მისგან ვერაფრით განთავისუფლდა. იწვა რბილ ლოგინში, უსმენდა ქუჩის ხმაურს და ყველაზე მძიმე სასჯელს იგონებდა მტერთათვის, მაგრამ ფუჭი იყო ყოველი ფიქრი, უღონობა ჰკლავდა და აწამებდა.

საბანი თავიდან მოიცილა. უსიამოვნოდ ახრიალდა ვიღაც ყურისძირში, შავი ფიქრებისაგან ძალით გამოიყვანა. კაჭუჭიას პირი დაელო და ნაპირზე გამოგდებული თევზივით ჰაერს იჭერდა.

— კახა, მხარი იცვალე, ბიჭო, — ხმადაბლა დაუძახა, მზექაბუკის გამოღვიძებას მოერიდა.

კაჭუჭია წამით გაჩუმდა, პირის ცმაცუნი მორთო, მერე ისევ ხვრინვა ამოუშვა.

„ალბათ წუხელიც გამოტყვრა, — უკმაყოფილოდ გაიფიქრა, — ვერა და ვერ გადავაჩვიე“.

მზექაბუკი გასუსული იწვა. ესეც დილამდე არ გამოცხადებულა შინ. ჭკუა უნდა ასწავლოს ძმებს, თორემ გვიანი იქნება, წავლენ ხელიდან.

მართლაც საშუალო და უმცროს ძმებსაც იმ ღამეს თავგადასავლები გადახდათ. სხდომის შემდეგ კაჭუჭია გვიანობამდე ძმაკაცებთან დასეირნობდა და ცხარედ კამათობდა. მერე შინისაკენ გასწია და მეტეხთან ძველ ნაცნობს გადააწყდა. წიპუკას, ჩვეულებისამებრ, გამოსაფხიზლებლად მტკვარში ეცურავა, თან ვიღაც ჯეელი დახრჩობას გადაერჩინა, იმ კაი დედმამიშვილს, მადლობის მაგიერ მოეკურცხლა. ამის აღსანიშნავად, ერთი უნდა შევუბეროთო, ამტკიცებდა წიპუკა. არ მოეშვა კაჭუჭიას, საშველი არ მისცა, შინ წაათრია. დილამდე იჭყიპებოდნენ. სიმთვრალისაგან გალეწილებმა სანაპიროზე ჩამოისეირნეს, ხიდზე გავიდნენ.

— მოდი გადავხტეთ! — თქვა წიპუკამ.

— გადავხტეთ! — კვერი დაუკრა კაჭუჭიამ.

— მეტეხამდე გავცურავთ, მერე რაც სასმელი დაგვრჩა, იმას წირვა გამოვუყვანოთ!

— გამოვუყვანოთ!

წიპუკა ხიდის მოაჯირს გადაეყუდა, „ეჰეო!“ — შესძახა და გადავარდა.

კაჭუჭიამ გადაიხედა, ციმციმა ტალღებზე პაწია, შავი ბურთი მოძრაობდა.

თვითონაც გადაიწია, გადავხტებიო, მაგრამ უცებ შეშინდა და შინისაკენ წაბანცალდა...

მზექაბუკმა კი უნივერსიტეტის ეზო-

ში ტატო გაიცნო. ერთად ჩაისეირნეს ვაკის პარკამდე...

— მე გავექეცი ჩემს დაბეჭდილ ლექსებს, — უყვებოდა ტატო, — წინათ ყველაფერი, რასაც ქაღალდზე გადავიტანდი, გენიალური მეჩვენებოდა. აღმოჩნდა, რომ თითქმის ყველა სტრიქონი უბრალო ლიტერატურული რემინისცენცია ყოფილა. ჩემი საკუთარი, ჯერ კიდევ მყიფე, წელგაუმართავი, იმ სხვათა გავლენაში ჩაიხრჩო. ახლა ვითომ თავი დავაღწიე ამას, თუმცა ჯერ სადა ვარ... სანამ ჩემშია, ნაღდი პოეზიაა, ქაღალდზე გადავა და ეკარგება ის სინათლე, ის სრულყოფილი უბრალოება... ხანდახან გაოცებული ვარ, რამდენი ნაღდი პოეტი ჰყავს სამყაროს. წაიკითხავ და ფიქრობ, როგორ მოახერხა იმან, სისხლხორცეულმა, ისეთმავე მოკვდავმა, როგორიც მე ვარ... ნუთუ ღვთაების ხელი არ ურევია ამაში?

მზეჭაბუკის წინაშე თითქოს ახალი, ამაღლებული და წმინდა სამყარო გადაიშალა. მიხვდა, რომ მეგობარი შეიძინა და დილამდე არ მოშორებია...

ჯუმა ბედია ფიქრით კვლავ გუშინდელ დღეს დაუბრუნდა. გულმა შემოჰკვნესა... ყველაფერი გათავდა! რა უნდა აკეთოს? რითი იცხოვროს? რითი მოიპოვოს სულის სიმშვიდე? ნუთუ ასე ადვილად უნდა დათმოს სიყრმისეული ოცნებანი. გზა პირველობისაკენ ერთ დღეში დაეკეტა. უსახელო, უფერული ცხოვრება კი არც ღირდა ამქვეყნად.

ქუჩის ხმაური ერთ მთლიან გუგუნად გადაება: სახლი ჰგავდა ქარხანას, რომლის სარდაფში დღენიადაგ მძლავრი დგუშები მუშაობენ... წამით წარმოიდგინა დიდება... აი, შუა ქუჩაში შავი, გადახსნილი ლიმუზინი მიდის. ჯუმა ბედია ამაყად გაყინჩულა. ბრბო კი ხელს უქნევს და უწყვეტი „ვაშა“ ტალღასავით ხან მიიქცევა, ხან მოიქცევა... წამიერი ტკბობა დაეუფლა მთელ არსებას, ლოგინში წამოწოლილმა ხელი გაწვართა, ვითომ ესალმებოდა მრავალრიცხოვან თაყვანისმცემლებს. შიშით მოიხედა. შემთხვევით ძმებს ხომ არ გამოეღვიძათო. მოეჩვენა, რომ ფარდა შეირხა და მის უკან ვიღაცამ ჩაიქირქილა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ ფარდის უკან სარკე იდგა, მსტოვარი სარკე, რომელიც მისი სინდისის დარაჯად დაედგა უხილავ ძალას.

შიში იგრძნო, ისევე უმიზეზო, როგორც წინა დილას. გულმა ბაგაბუგი დაუწყო, საგულეში ვერ ეტეოდა.

გუჯმახანის მოწვევას იხსენებდა და წონიდა, რა საშიშროება იმალებოდა ამაში ან რა სიკეთე შეიძლებოდა მიეღო მისგან. გუჯმახანი ყოვლადძლიერიაო, ქულაჯიანმა თქვა. მაგრამ რა შეეძლო ამ ყოვლადძლიერს, როცა ჯუმა ბედიას მტრებს ერთი საერთო სახელი ჰქონდა — ა დ ა მ ი ა ნ ე ბ ი.

ფიქრში წასთვლიმა. ესიზმრა, რომ ფარდა გადაიწია და ვიღაცამ ოთახში შემოიხედა; ზე წამოიჭრა, მთელი სხეულით ცახცახებდა.

ფარდა ადგილზე ეკიდა. ეტყობა არავის უხლია ხელი. კაჭუჭიას მხარი ეცვალა და ცხვირით უსტვენდა. მზეჭაბუკი კედლისაკენ მიბრუნებულიყო, მშვიდად სუნთქავდა.

ჯუმა ბედიამ ფლოსტებში ფეხი წაჰყო და ფარდასთან მივიდა. არ გადაუხსნია, ისე დააკაკუნა. სიცარიელემ ხმა გამოიღო...

ყოყმანობდა. ჩუმად იცვამდა, ძმების გამოღვიძება არ უნდოდა. თმა დაივარცხნა, პირის დაბანა კი არ გახსენებია. თავი აზრისაგან დაცარიელებოდა, თუმცა უნდოდა ყველაფერი აეწონ-დაეწონა.

უცბად გადაწყვიტა. ისეთი გრძნობა დაეუფლა, წყალში გადასახტომად გამზადებულს რომ ეუფლება: — საკმარისია წამით შეყოვნდეს და უკვე არ გადახტება.

შავი ფარდა გადასწია, სარკეში ჩაიხედა და ხმადაბლა თქვა:

— გუჯმახან, კარი გამიღე.

ზანზალაკებმა დარეკეს სადღაც. ჭრიალით განიხვნა უჩინარი ალაყაფის კარი.

---

ჯემალ ქირია
მარადი მხედარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შემოდი!

ყოყმანი არ შეიძლებოდა. გვიანი იყო კრძალვა და რიდი. ნაბიჯი წარსდგა.

— ჯუმა, რას შვრები, ჯუმა! — მზეჭაბუკის ხმა მოესმა. საწოლზე წამომჯდარიყო და თვალებს იფშვნეტდა.

კაჭუჭიასაც გამოღვიძებოდა და პირი დაეღო, გამოლენჩებული იყურებოდა.

ჯუმა ბედიამ უსიტყვოდ გადადგა მეორე ნაბიჯიც და სარკეში შევიდა. უკან რომ მოიხედა, ოთახი ისე ჩანდა, როგორც შებრუნებულ ბინოკლში; სადღაც შორს, სიღრმეში გადაწეულიყო; ყველაფერი პატარა და დეფორმირებული ეჩვენა.

ფარდა გაიხურა და სიბნელეში გზა განაგრძო.

მზეჭაბუკი და კაჭუჭია ერთხანს გაშტერებულნი ისხდნენ, მერე წამოცვივდნენ. კაჭუჭიამ ფარდა ღონივრად გასწია, კინაღამ ჩამოგლიჯა.

ჩვეულებრივი სარკე იყო.

— მოგვეჩვენა! — ხმა გაიღო დაფეთებულმა კაჭუჭიამ.

— ალბათ მოგვეჩვენა! — ეჭვიანად აიჩეჩა მხრები მზეჭაბუკმა.

## გუჯმახანის საუფლო

ჭაობზე ნისლი გაწოლილიყო, შმორის სუნი იდგა. ათიოდე ნაბიჯზე არაფერი ჩანდა. ხანდახან გამოტივტივდებოდა შავი, მკვდარი ხე, ტოტები ცისკენ გაეფარჩხა და ნისლის ფარდას წეწავდა. ეკლიანი ბუჩქი გატყაპულიყო მიწაზე. ისლის კედელი მოიწევდა საიდანღაც და ისევ ქრებოდა.

აქა-იქ ბზინავდა ლეყეპმოდებული, ჩამდგარი წყალი. უძირო ტლაპო იმალებოდა მწვანე ხაოს ქვეშ. საცალფეხო ბილიკი ტორტმანებდა უფსკრულის თავზე გაჭიმული ბაგირივით.

ჯუმა ბედია ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევდა ბილიკზე, ფეხით სინჯავდა მის სიმაგრეს, ნერვებდაჭიმულსა და შეშინებულს ყოველი წამი დაღუპვით ემუქრებოდა.

ერთი ორჯერ კიდეც აუცდა ფეხი, მუხლებამდე ტალახში ჩაეშვა. რაღაცნაირად თავი შეიკავა, რამდენიმე წამს სული ითქვამდა, გულის ცემას იოკებდა.

ბოლოს შავმა ზღუდემ შემოანგრია ისლის კედელი, თავზევით წამოიმართა. კუნძული აღმოჩნდა. გახარებული ზევით აფოფხდა და ისლით გადახურულ ქოხს წააწყდა.

საწნახლის მორებისაგან იყო შეკრული. ნესტსა და ჟამს საოცრად გაეშავებინა, დაეფუტუროებინა. ქინქლი და კოღო, ობობა და მორიელი ეხვია ზედ და ჯუმა ბედია ახლოს ვერ გაეკარა.

წრიპინით გაუსხლტა ფეხქვეშ კატისტოლა ვირთხა. უამრავი ხვრელით იყო დასერილი მიწა, წამდაუწუმ თავს ამოჰყოფდნენ ზონზროხა ვირთხები, მძივებივით თვალს შეავლებდნენ სტუმარს, უჩინარ ლაბირინთებში იკარგებოდნენ.

ქოხს ირგვლივ შემოუარა და კარი ვერსად იპოვა. თუ არადა, სახურავს კვამლი ასდიოდა, შიგნით ალბათ სულიერი ვინმე იქნებოდა. აშინებდა ეს იდუმალი ქოხი, მაგრამ ჭაობებზე გამავალი ბილიკებისა უფრო ეშინოდა.

ვასაკამ გაიტკრციალა ხეზე. სადღაც აკივლდა მიკიოტა. თანდათან უფრო იქუფრებოდა, ღამდებოდა...

მიხვდა ჯუმა ბედია, ჯოჯოხეთის კარიბჭესთან მოსულიყო საკუთარი ფეხით და შუბლზე ხელი შემოიკრა.

ხითხითი მოესმა.

სახურავზე კაცის თავი მოჩანდა. ისლის სახურავი ამოერღვია და იქიდან უყურებდა ჯუმა ბედიას.

სისხლი გაეყინა ძარღვებში ჭაბუკს, თვალი მოიფშვნიტა და კვლავ აიხედა. იქ უკვე არავინ ჩანდა.

ბოლოს და ბოლოს უნდა ელონა რამე, თორემ შემოაღამდებოდა ამ დასაკარგავში და, ვინ იცის, კიდევ რა საშიშროება მოიხელთებდა აქ.

გაჩერდა ყრუ კედელთან და ყოყმანის შემდეგ, თითქმის ჩურჩულით, გაუბედავად თქვა:

— გუჯმახან, მოველ სტუმარი წვეული, მიმიღე!

ყრუ გუგუნი გაისმა, ნაირითა უჩინარი მექანიზმები, გაცოცხლდნენ მიწისქვეშა ძალები. ბზარი დააჩნდა კედელს, გაფართოვდა... განიხვნა ფართო ბჭე და ჯუმა ბედიამ სიბნელეში შეაბიჯა... იმავე წამს უკან მოინდომა გასხლტომა, მაგრამ კედელი დაიხურა და ჭაბუკი ხაფანგში აღმოჩნდა.

ვრცელი დარბაზის ბოლოს კერიაზე ცეცხლი ენთო და მისი სიფრიფანა შუქი ამ კუთხესაც აღწევდა. გამჭვარტლულ ხარიხაზე ბუ შემომჯდარიყო, თვალებს აბრიალებდა. ობობას ჭერსა და კედლებზე ქსელი მოებლანდა და გატიკნილი, გოჯისტოლა ობობები სისხლსა სწოვდნენ ქსელში გახლართულ, საცოდავად აწრიპინებულ ვირთხებს. შავად მბზინვარე, დაწინწკლული უნასი შემოჰხვეოდა ჯაჭვებს და წყვილი სადაფის თვალი მიეშტერებინა შემოსულისათვის. მიწაზე ეყარა უამრავი ჩონჩხი, ვერ გაეგო ადამიანთა თუ ნადირთა.

მუშტისტოლა მორიელი ჩამოვარდა ჭერიდან და მკერდზე დაეცა. განზე გახტა ჯუმა ბედია. მორიელი კი ჩამოცურდა და ფეხების სწრაფი ხანხალით გაუჩინარდა.

მეტი გამოსავალი არ ჩანდა და შუაცეცხლისაკენ წავიდა. გოგირდისა და სიდამწვრის სუნი ტრიალებდა, ცხვირზე ხელის აფარებას მაინც ვერ ბედავდა.

ლარჭაზე უზარმაზარი, საძროხე ქვაბი ეკიდა და მასში რაღაცა თუხთუხებდა. ჯუმა ბედიას არც ჩაუხედია. ისედაც ჰკიდა თვალი, თუ როგორ ჩახტა შიგ ქუდისტოლა გომბეშო, როგორ მოადინა ტყაპანი მორიელმა.

შუაცეცხლთან ტურის ტყავებით მოფენილ სავარძელში წოწოლა კაცი მიწოლილიყო ნებიერად. წაკვეხილი, მწითური წვერი ხითხითისაგან უთრთოდა. ელამი თვალები დაურბოდა, კაცი ვერ მიხვდებოდა, საითკენ იყურებოდა.

ჯუმა ბედიამ თავი დამცირებულად იგრძნო, მაგრამ საშიშროებამ წელში მოიკაკვა და ქლესატურად მოუთავვლა:

— გუჯმახან, აღფრთოვანებული ვარ შენი სასახლით! მის ირგვლივ გაშლილ წალკოტს ედემი თუ შეედრება!

— ვიცოდი, მოგეწონებოდა, შვილო!.. მსახურთ წლები დავაწყვიტე მის მორთვასა და მოკაზმვაში... დრო, ეტყობა, ფუჭად არ დაგვიკარგავს... ხი-ხი-ხი...

— აღფრთოვანებული ვარ, — გაიმეორა ჯუმა ბედიამ, წელში უფრო მოიდუნა, კუზიანს დაემსგავსა, — ასეთი მშვენიერი, მყუდრო სახლი... ან რა არქიტექტურაა, რა გემოვნებითაა შერჩეული ადგილი ბუნების წიაღში...

— დიახ, დიახ, მთელი დუნია შემოვიარე და ამაზე უკეთესი ვერაფერი ვნახე, — გუჯმახანი ნასიამოვნები ჩანდა. ტაში შემოჰკრა და უჩინართ გასძახა, — ჰეი, ვინ ხართ მანდ, სავარძელი დაუდგით სტუმარს!

პირდაპირ კედლებიდან ქაჯები გადმოცვივდნენ. წელამდე თუ ასწვდებოდნენ ადამიანს, ზოგი კი მიწისპირს არც აჩნდა. ტიტლიკანები იყვნენ, გაურკვეველი ფერისა, ტანი თევზებივით უბზინავდათ. სახე ზოგს საითკენ ჰქონდა მიჭყლეტილი, ზოგს საითკენ. ერთი ცალთვალა იყო, მეორე ცალყურა, სხვებს კი რამდენი თვალი ჰქონდა, ან ყური, ან ცხვირი, ვინ დაითვლიდა. უცხვიროც ბევრი ერია, უცხვირპიროც... პირი ხომ ნებისმიერ ადგილას ჰქონდათ გაჭრილი, კეფაზეც კი... ისეთ წრიპინს გამოსცემდნენ, ათასი წიწილა ჭყლოპინობდა თითქოს.

ყველა ერთად მოათრევდა ოქროს სავარძელს, თვალ-მარგალიტებით მოჭედილს. ზედ საჯდომზე დიდი მორიელი მოკალათებულიყო. საკმაოდ გათამამებულმა ჯუმა ბედიამ ქეჩოში ხელი ჩაავლო ერთ ქაჯთაგანს, უფრო სუსტი რომ ეჩვენა, სავარძელი ცხვირპირით ჩამოაფერთხინა და მხოლოდ ამის შემდეგ დაბრძანდა.

— ხი-ხი-ხი, როგორ გეტყობა ბედი-

ჯᲔᲛᲐᲚ ᲙᲘᲠᲘᲐ
ᲛᲐᲠᲐᲓᲘ ᲛᲮᲔᲓᲐᲠᲘ

ჰა, ხა-ხი-ხი, — კვლავ ახითხითდა გუჯმახანი, — მომწონს შენი სითამამე, მომწონს, — უცებ წარბები შეჰყარა და იქექა, — ვახშამი მოართვით სტუმარს!

ჯუმა ბედიას დასცხა, წამოდგომა მოინდომა. ფეხზე საიდანღაც გამოცოცებული უნასი შემოეხვია და ნაზად ალოკა ორკაპა ენით.

ზურგზე ტაო აეშალა ჭაბუკს, მაგრამ არ დაიმჩნია.

— გუჯმახან, აქ ყველას უხარია ჩემი სტუმრობა! ეს ლამაზი, წინწკლებიანი არსება ძალიანა ცდილობს, მასიამოვნოს!

— ამ უნაზესი არსების ოდნავი ჩხვლეტაც საკმარისია, რათა აქლემის სულს ფრთები შეასხას, — ბოროტი სიხარულით თქვა გუჯმახანმა, — ბრძენო, მოშორდი სტუმარს, სოროში ფინჯანი რძე გელის!

უნასი ზანტად შემოეცალა, თავაწეული მიყელყელაობდა კუთხისაკენ.

ჯუმა ბედიას ზაფრამ გადაუარა.

ასასობაში ქაჯებმა ტაბლა დადგეს, ზედ დოქი და ჯამ-ჭურჭელი დაალაგეს.

ყველაზე ჭუჭყიანმა და შეუხედავმა ქაჯმა, რომელიც ალბათ ქალის მოდგმისა იყო, რადგან მკერდზე რაღაც მეჭეჭების მსგავსი აჩნდა, პირდაპირ ქვაბში ისკუპა და სავსე გობი ამოიტანა.

— მშვენიერი ქალწულია, — ელამი თვალი ჩაუკრა გუჯმახანმა სტუმარს, — მპუ!... — თითი დაიკოცნა, — შემიძლია შემოგფიცო, მამაკაცის ხელი ჯერ არ იცის რა არის!... ტურფა, არ მომიწყინო, სტუმარი!

ჯუმა ბედიამ წაუყრუა, ვითომ ვერ მიხვდა მასპინძლის შიშველ ქარაგმებს... ტურფა სიხარულისგან ვირთხასავით წრიპინებდა, სტუმარს კერძს უსხამდა, ხანდახან კი დაიხრებოდა და საკუთარ ტანს ილოკავდა, რომელზედაც ეს სალაფავი წურწურით ჩამოსდიოდა. ჯუმა ბედიას გული მისდიოდა და ამ სანახობას თვალს არიდებდა.

— ეტყობა, რაღაც არაჩვეულებრივი კერძი მოგვართვეს!—საცოდავად თქვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მიირთვი, სტუმარო, მიირთვი, დამშეული ჩანხარ!

თეფშს ღამის ქოთნის სუნი ასდიოდა, ზედ კიდევ ისეთი რამეები ტრიალებდა, ყველაფერს მიჩვეულ ადამიანსაც თავზარს დასცემდა.

ჯუმა ბედიამ თვალი დახუჭა, ყნოსვა დაიხშო და ისე გადაყლაპა რამდენიმე ლუკმა. კინაღამ გული აერია, კოვზი უკანვე დადო.

— იფ, იფ, რა გემრიელია, — თავს ძალა დაატანა, სახეზე ღიმილი გამოისახა, — თუ შეიძლება, წყალი მწყურია, — დაუმატა საწყალობლად.

დოქი წამოუქციეს და რაღაც მღვრიე სითხე მიართვეს. სასმისი რომ ასწია, იქიდან ბაყაყი გადმოხტა დამფრთხალი ყიყინით. ჯუმა ბედიამ სასმისი მაინც მიიდო ბაგეზე. შმორის სუნი ეცა და უკანვე დადგა.

— ასეთი ღვინო დევსაც დაათრობს! — ქათინაური არ დაუყოვნა მასპინძელს.

დაღლილი იყო და სავარძლის ზურგს მიეყრდნო. ტურფა მიეახლა უმალვე. სავარძლის სახელურზე ჩამოუჯდა, ხელი კისერზე მოჰხვია და საკოცნელად მიეტმასნა.

ჯუმა ბედიამ გაიბრძოლა, მოინდომა ქაჯის მკლავებიდან დასხლტომა. ტურფა ღონიერი აღმოჩნდა. გახარებული წრიპინებდა, ვითომ იცინოდა, ტუჩპირს უღოშნიდა, თითხნიდა ქონიანი სალაფავით.

— უჰ, შე სულწაწყმედილო! — აცუნდრუკდა გუჯმახანი, — უჰ, შე დაუნდობელო!... ხი-ხი-ხი! სტუმარი მაინც არ იყო... არ დაერია ქალწულებს?.. უჰ, შე ცუსუსო!... ეს ვინ შემომიშვია სახლში!... მიდი, ტურფა, მიდი!..

ტურფა თევზივით მბზინვარე სხეულით ეკვროდა, ეტმასნებოდა მკერდზე ამოყრილი რამდენიმე მეჭეჭით, ცდილობდა ტანსაცმელი შემოეფლითა ჭაბუკისათვის, შიშველ ტანს მისწვდენოდა ვნებიანი, ოღონდ ალმასივით მაგარი კბილებით.

გაანჩენდა იატაკზე დაყრილი ჩონჩხები ჯუმა ბედიას, იგრძნო საფრთხე, ძალღონე მოიკრიბა, უბიძგა და სავარძლის სახელურიდან ჩამოაგდო მოძალადე.

— გუჯმახან, კაცნი ასეთ დროს სიბნელეს ეძებენ!

— არარაობანი ხართ! — ბოროტად წაიდუდღუნა გუჯმახანმა. თვალები იმ გველივით უბზინავდა, შემოსასვლელთან რომ ეკიდა ჯაჭვზე.

— ტურფას მშვენიერება ენით უთქმელია, მაგრამ სხვისაგანა ვარ უარყოფილი და ეს მტანჯავს, — გუჯმახანის გულის მოსაგებად მიმართა სიცრუეს.

გუჯმახანს ელამი მზერა სადღაც სივრცეში მიემართა. ჯუმა ბედიამ იცოდა, მასპინძელი მას შეჰყურებდა და განმარტებას ელოდა. წამში აწონ-დაწონა სათქმელი. შეიძლებოდა მოეყოლა, როგორ უარყო მაცაცუნამ და ამით შეურაცხყო, თუმცა მაცაცუნას სიყვარულს გუჯმახანი არ დაიჯერებდა. უცბად მეხსიერებაში ამოტივტივდა თითქმის უცნობი მეზობელი — მ ზ ი ა... წესიერად არც ენახა იგი. მხოლოდ მის ფეხებს ჰკიდა თვალი, კოპლებიან კაბას, რომელიც კოხტად ადგა თეძოებზე. სახეში არც შეუხედავს, მაინც დარწმუნებული იყო, რომ მოეწონებოდა და საკუთარი თავი დააჯერა, მართლაც მომეწონაო, ის კი არადა, შემიყვარდა კიდევაცო.

— მზია ჰქვია, — ჩავარდნილი ხმით წარმოთქვა და შეეცადა პირდაპირ შეეხედა გუჯმახანისათვის.

გუჯმახანი გამოცოცხლდა, ახითხითდა.

სუფრას წიხლი ჰკრა, გადააბრუნა. ჯუმა ბედიას სახე სახესთან მიუტანა, თვალებში ჩახედვა მოუნდომა.

თითქოს ნაკვერჩხალი მოეტანათ ახლოს. გუჯმახანისაგან მწველი სიცხე და სიდამწვრის სუნი მოდიოდა.

ჭაბუკმა ელამს თვალი ვერ გაუსწორა და ვანზე გაიხედა.

— ყველაფერი ვიცი! — მოჰრა გუჯმახანმა და ხმაში ალერსიც გაურია, — აბა, უკან მიიხედე!

გუგუნი მოისმა მიწისქვეშეთიდან. მოიხედა ჯუმა ბედიამ.

კედელი იხსნებოდა...

ნაზი მუსიკა დაფარფატდა, თითქოს ფლეიტაზე უკრავდა ვიღაცა... სუფთა ნიავი შემოიჭრა, ყვავილთა წმინდა სურნელება შემოიტანა. სინათლე ილვრებოდა, თბილი, მაცოცხლებელი, ლაციცა — ახლად ამოწვერილი მზისა...

წამოდგა ჯუმა ბედია. იმ მუსიკით, იმ ყვავილთა სურნელებით, იმ სინათლით დატყვევებულმა ნაბიჯი წარსდგა იქითკენ, მაგრამ შეჩერდა...

მასში ორი ჯუმა ბედია იბრძოდა...

— მიდი, ნახე! — ზურგზე უბიძგა გუჯმახანმა და ჩუმი ქირქილიც მიაყოლა.

ჯუმა ბედია გახსნილ კედელს მიადგა.

მის წინ ჩვეულებრივი პატარა ოთახი იყო. კუთხეში პიანინო იდგა. კედელზე წიგნის თაროები ეკიდა.

მზით გასხივოსნებულ ფანჯარასთან ჩვეულებრივი ნიკელის საწოლი იხილა. თვალისმომჭრელ სითეთრეში მზიას ეძინა. ბალიში ლოყაზე მიეხუტებინა, თმა გადმოშლოდა და მშვიდად სუნთქავდა.

— თუ გინდა, მიდი, — კვლავ წასჩურჩულა გუჯმახანმა.

ჯუმა ბედია გახევდა. იგრძნო, რომ მის სულში რაღაც ახალი, უჩვეულო იჭრებოდა. შეუძლებელი იყო სახელი მოეძებნა იმ წმინდა, სათუთი თრთოლვისათვის, რადგან მსგავსი არასოდეს განეცადა.

უნდოდა მიახლოებოდა, პირქვე დამხობილიყო, ცრემლი ეღვარა.

დაიხედა ხელებზე, ტანსაცმელზე. ტურფასთან ბილწ ხვევნას მოელაფა, მყრალი სუნი ასდიოდა თვითონაც და მთელ ამ ეშმაკეულ საუფლოსაც.

კოცონზე კვლავ ბუყბუყებდა უზარმაზარი ქვაბი. ჯაჭვზე უნასი ეკიდა და იყურებოდა სადაფივით მბზინვარე თვალებით. მორიელები ცვიოდნენ ტყაპანით და ღრიჭოებში გარბოდნენ.

ჯემალ ქირია
ნარადი მხედარი

— არა, არაფერი მინდა, არაფერი! — ისტერიული ნერვიულობით წაილაპარაკა.

გუჯმახანს ტუჩები ბრაზით მოეღრიცა, ბოროტად მოიქუფრა.

— რა არ გინდა, ბედიების ნაშიერო?!

დაფრთხა ჯუმა ბედია, კვლავ დაიხია, კვლავ მოითაფლა მორჩილი ენა, მორცხვად დახარა თვალები.

— მინდა მასაც ვუყვარდე.

გუჯმახანმა ტაში შემოჰკრა. კედელი დაიხურა, გაქრა წმინდა ჩვენება.

— ბევრი გდომებია, ჩემო შვილო, ეს ძნელი საქმეა...

სავარძელს დაუბრუნდა, ფეხი ფეხზე შემოიდო, თვალები მილულა.

ჯუმა ბედია იდგა და იცდიდა.

— სიყვარულზე მე არ ვბატონობ, ის ჩემზე ძლიერია, — თქვა გუჯმახანმა და დაჟინებით მიაცქერდა ჭაბუკს, თუმცა სახე სულ სხვა მხარეს ჰქონდა მიქცეული, — ამაღლდი და შეგიყვარებენ, ქალის ბუნება სუსტია!

— მერედა, როგორ ავმაღლდე?.. დღენიადაგ ვცდილობთ, მეც, ჩემი ძმებიც...

— მე კეთილი ვარ! — თითქოს არც გაუგონია ჭაბუკის ნათქვამი, — სიკეთეს ვთესავ! ასე არაა?! — მჭექარე ხმით შეეკითხა კუთხის ბინდბუნდში მიმალულ ქაჯებს.

— კეთილი ხარ, კეთილი ხარ! — ექოსავით გამოეპასუხნენ იქიდან.

— მე თქვენთვის ვიღვწი, საკუთარი თავი დამვიწყებია! ასე არაა?!

— ჩვენთვის იღვწი, ჩვენთვის იღვწი!.. — კვლავ აყაყანდნენ ქაჯები, თუმცა გუჯმახანი ჯუმა ბედიას ეკითხებოდა ამას.

— შენ კეთილი ხარ, გუჯმახან, შენი სიტყვა კანონია! — მოიხარა ბედია, კუზი გამოაჩინა.

— კანონია, კანონია!.. — კვერი დაუკრეს ქაჯებმა.

მიხვდა ჯუმა ბედია, მათ სიაში იყო უკვე ჩაწერილი.

— ყოველ გაჭირვებულს ვეხმარები, ლამის თვითონ გავკოტრდე... ვფიცავ ჩემს ღმერთს, ჯაგერნაუტს, რომელიც ძალას მაძლევს, სულ იმის ცდაში ვარ, ვის რა ვასიამოვნო!..

— მე მჯერა, გუჯმახან! — ქრთამივით შეაწია ჯუმა ბედიამ.

— მთხოვე რაც გინდა! — მოსჭრა უცებ მასპინძელმა.

ჯუმა ბედია წამით დაიბნა, გაწითლდა, ენა ვერ მოაბრუნა. რა უნდა ეთხოვა ამ არსებისათვის, რომელიც ასე დაჟინებით ჩასცქეროდა ელამი თვალებით, თითქოს სულში უძვრებოდა და ყოველ მის სიტყვას წინასწარ გებულობდა. არაფერი არ უნდოდა ჯუმა ბედიას, არც სიმდიდრე, არც სიყვარული, არც ფული... რაც ჰქონდა, იმასაც იკმარებდა, ოღონდ...

— ჩემთვის არ ვზრუნავ, — ყოყმანით თქვა, — არაფერი მჭირდება, თუმცა აქ ცოტა ვიწუწუნე, აი, ჩემს ახლობლებს, ნაცნობ-მეგობრებს...

— ხომ გითხარი, რაც გინდა მთხოვემეთქი! — შეაწყვეტინა გუჯმახანმა. კარგ გუნებაზე დადგა და ხითხითს ვერაფრით იკავებდა, — ხი-ხი-ხი, ყველას ერთ დღეს ვაჩუქებ... ხი-ხი-ხი, შესრულებულ სურვილთა დღეს... ხი-ხი-ხი... — თვითვე მოეწონა თავისი აზრი.

ჯუმა ბედია შეცბუნებული უყურებდა. ვერ მიმხვდარიყო, რამ გაამხიარულა მასპინძელი.

— შესრულებულ სურვილთა დღე... ჰა-ჰა-ჰა... ჰი-ჰი-ჰი... ჰო-ჰო-ჰო... — მართლაც ახარხარდა გუჯმახანი, მუცელზე ხელს იცემდა, სავარძელში გორაობდა... მისი მჭახე სიცილი კედლებსა და ჭერს აზანზარებდა და ჯუმა ბედიამ ყურები თითებით დაიცო.

— შესრულებულ სურვილთა... — იმეორებდა მასპინძელი სიცილ-სიცილ.

— სურვილთა... სურვილთა... სურვილთა... — წრიპინებდა ყოველი მხრიდან ქაჯთა ჯარი.

სული მოითქვა გუჯმახანმა, თვალთაგან სიცილის ცრემლი მოიწმინდა. მოღუშულმა შეხედა სტუმარს.

— ეს გინდოდა ხომ? ხვალ შენს

# გიორგი შხვაცაბაია





ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა





ეროვნული
ბიბლიოთეკა





ეროვნული
ბიბლიოთეკა





ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ვახტანგ რურუა



ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა





ყოველ ნაცნობს თითო სურვილი შეუსრულდება.

— მტერ-მოყვარეს? — იკითხა ოდნავ გაღიზიანებულმა ჯუმა ბედიამ.

— მტერ-მოყვარეს! — კვერი დაუკრა გუჯმახანმა. მის მკერდში სიცილის ახალი ტალღა იბადებოდა.

— მტერსაც, მტერსაც... — ატკარცალდნენ ქაჯები.

— ჩემი ძმები... — წამოიწყო ჯუმა ბედიამ.

— ჰო, ჰო, ძმები, — არ დაამთავრებინა გუჯმახანმა, — ბუთხუზა კაჭუჭია? ვიცი, ვიცი. ოქროსთმიანი მზექაბუკი... ისიც ვიცი, ისიც ვიცი... — თვალების ბროლოტი ელვარება სიცილში დამალა.

— ჩემი ძმები... — ხმა გაებზარა ჯუმა ბედიას.

— ორთავეზე ვიზრუნებ, ორთავეზე, — ცბიერი ღიმილით თქვა გუჯმახანმა. — ჩემი შვილებივით მიყვარან... ჩემი ბაღიდან მოწყვეტილი ვაშლები მგონიხართ სამივენი... არ ვიცი, ახლა რაზე ოცნებობენ, თუმცა... ხი-ხი-ხი... შევუს-რუ-ლებ... ხი-ხი-ხი... — კვლავ აუტყდა სიცილი, კვლავ აუცრემლდა თვალები, კვლავ მუცელზე იტაცა ხელი და კინაღამ სავარძლიდან ჩამოგორდა.

— შეუსრულებს... შეუსრულებს...— აჰყვნენ სიბნელეში მიმალული ქაჯები.

— მე?! — ძლივს ჩაურთო ჯუმა ბედიამ.

— სულსწრაფი ბედიები, სულსწრაფი ბედიები! სიცილსაც კი არ დააცლიან კაცს! — უცბად მოიქუფრა გუჯმახანი, — შენ ჩემი რჩეული ძე ხარ, — ისე დაუმატა, ვერ გაიგებდით, ეს სიკეთე იყო თუ არა, — რჩეულებში რჩეული მყავხარ... ვიცი, ვიცი, რაცა გსურს.

— მე არაფერი მინდა! — დაიმორცხვა ჯუმა ბედიამ.

— ჰა, ჰა, რა თავმდაბალი ჭაბუკი ხარ, ეგრე, შვილო, ეგრე!..

— ეგრე... ეგრე...— აწრიპინდნენ ქაჯები.

— მე?!

— ჩუ, არაფერი მითხრა, ყველაფერი ვიცი, ვერავინ მომატყუებს! გუჯმახანი მქვია, მანამდე ვიცი ყოველი, სანამ გაიფიქრებდე!... კი, ბატონო, კი... ყველაფერი აგისრულდება... ჩუ, არ გამაწყვეტინო... იმდენი რამე მთხოვე, გამიძნელდება, ძვირფასო, გამიძნელდება... მაინც შეგისრულებ... ოღონდ...

— ოღონდ... ოღონდ... — აიტაცეს ქაჯებმა.

— ოღონდ? — იკითხა ჯუმა ბედიამ.

— ღმერთები მსხვერპლს მოითხოვენ, შვილო ჩემო... ჩემს ღმერთს კი, ჯაგერნაუტს, წმინდა სისხლი სწყურია... ხ ვ ა ლ ვ ე...

### მზია

მზის სხივი ბალიშზე დაიღვარა და მზიამ თვალი გაახილა. პირდაპირ ბრდღვიალა მზე შეჰყურებდა. ძაფივით წვრილი ტოტი ჰკვეთდა მზეს. ტოტზე პაწია ჩიტი ჩამოსკუპებულიყო და გატაცებით ჟრიკჟრიკობდა.

საწოლზე გადამხობილს ჩასძინებოდა. ძილქუშიდან გამოსვლა გაუჭირდა.

იწვა და ფიქრობდა, რამე ხომ არ დამესიზმრაო. თითქოს კედლები განიხვნენ და ფართო ჭრილიდან შავი ჯოჯოები იჭყიტებოდნენ. ძილში ძალიან შეშინდა, ახლა კი, გასხივოსნებულ ოთახში, შიში სიცილადაც არ ეყო.

მზიას გაეღიმა. სიცილმა სადღაც გულის სიღრმეში შეუღიტინა, მაგრამ თავი შეიკავა.

გაიზმორა.

კვლავ მზეს გაუსწორა თვალი. გულივით პატარა ჩიტის მფეთქავი სხეული ფართქალებდა მზის ბრდღვიალა დისკოზე. თვალწინ ფერადი წრეები დაუდგა, ცრემლი მოადგა, ვარდისფერი ლაქები ატივტივდნენ საპნის ბუშტებივით... მზეს აარიდა თვალი, კედელზე ფარდაგივით მიფენილ ათინათს მიაცქერდა.

მეზობელ ოთახში ფლოსტების ხმა

გაისმა. მამა ღამის მორიგეობიდან მოსულიყო და ახლა ფრთხილად დადიოდა, რათა შვილი არ გაეღვიძებინა.

—დილა მშვიდობისა, მამიკო! — გასძახა მზიამ. მისი ხმა ზანზალაკივით გაისმა და გულში ექო გამოსცა: „დილა მშვიდობისა, მამიკო!"

— გღვიძავს, შვილო? იწექი, იწექი, ჯერ ადრეა!

— ბუბამ გაიღვიძა? — დროებით შემოსახლებული ბიძაშვილი იკითხა.

— ჰო, კარგა ხანია, სამსახურში გამასწრო!

ოთახი სინათლით აივსო, კედლებმა განზე გაიწიეს. მზიამ ბალიშქვეშიდან წიგნი გამოაძვრინა. შეეცადა ცოტა წაეკითხა. მზე ხელს უშლიდა და წიგნი გადადო.

ესმოდა როგორ დადიოდა მამა სამზარეულოში. ასანთის ჩხაკუნიც გაიგონა, ალბათ ყავას იდუღებდა.

მზიამ წამოიწია და მზის დისკოზე მოფართხალე ჩიტი გაფრინდა.

სადღაც რადიო ჩართეს. შტრაუსის ვალსს უკრავდა. მზიამაც ოდნავ გასაგონად ააყოლა ხმა.

—რამპა-რამპა-რამპაპა... რამპა-რამპა-რამპაპა... რამპაპაპა-რამპაპა...

ეს „ვენის ტყის ვალსი" იყო.

ლოგინიდან აფრთხიალდა და ოთახში მსუბუქად დატრიალდა. თან ცეკვავდა, თან ხმადაბლა მღეროდა, თანაც წამდაუწუმ ეცინებოდა.

ვიღაცამ ქვევით რადიო გამორთო. ფანჯრიდან მეეზოვეს გადასძახა, გუშინდელი ნაგავი რატომ არ გაიტანეო. მეეზოვეც აყაყანდა, თავს იმართლებდა და აქეთ ლანძღავდა მომჩივანს.

მზიას ყურში კი კვლავ ვალსის მელოდია ირხეოდა და გოგონა ტრიალებდა მსუბუქად, უხმაუროდ, თითის წვერებზე.

— რამპა-რამპა-რამპაპა...

—ხომ ადექი, შვილო?! ყავა მოვადუღე! ერბო-კვერცხი მინდა, მაგრამ კვერცხი ვერ ვნახე!

— ზედა თაროზეა, ქუდი რომ მიყუდე, იმის ყუთში! — გასძახა მზიამ და სარკესთან შეჩერდა.

სუნთქვა აუჩქარდა. ლოყები წამოუწითლდა. თვითონვე გრძნობდა, რომ მშვენიერი იყო და გულში ჩაბუდებულ სიხარულს ვერ იოკებდა.

თმა ჩამოიშალა, ხან ერთ მხარეს დახარა თავი, ხან მეორეს; ხან სახე დაიფარა თმით და მაშინ მისი დიდრონი, ცისფერი თვალები ისე გამოიყურებოდნენ, როგორც ბუჩქებიდან ველური. ხან კიდევ თავზე გადაიწმაწნიდა და მაშინ გამოჩნდებოდა სახის უნაკლო პროფილი, სავსე, ახალგაზრდული ტუჩები, თხელი ნესტოები და წარბები, რომელსაც ხან ასე ასწევდა, ხან ისე, უფრო ლამაზი როგორ ვიქნებიო, მაგრამ ყოველნაირად ლამაზი იყო და ეს ახარებდა.

უცებ თმა ჩაიბლუჯა, მკერდის თრთოლვას მიაყურადა და დამარცვლა:

— ტა-ტო!

ოდონდ ისე, მამას რომ არ გაეგონა.

და კვლავ დატრიალდა ცერებზე. ცეკვავდა ლაღად და წარმოსახული მუსიკის ტაქტზე იმეორებდა:

— ტა-ტო, ტა-ტო, ტა-ტო...

— მოდი, შვილო, საუზმე მზადაა! — სამზარეულოდან გამოსძახა ამირანმა.

— მოვდივარ!

პირდაპირ ღამის პერანგზე გადაიცვა ჭრელი ხალათი. თმა თავზე გადაიწმაწნა და რეზინით შეიკრა. ფეხშიშველა გაიქრა სამზარეულოში.

ცეკვა-ცეკვით შემოუარა მაგიდას, ცალი მკლავით მამას კისერზე ჩამოეკონწიალა, ლოყაზე აკოცა და შეუჩერებლივ აბაზანას მიაშურა.

— რამდენჯერ გითხარი, ფეხშიშველა ნუ დადიხარ-მეთქი, ამოდენა გოგო ხარ, — ამირანი მოჩვენებითად წყრებოდა.

— ნუ მეჩხუბები, მამიკო! — მღერამღერით იძახდა სააბაზანოდან. ახევე ამღერებული გამოვარდა, თან პირს იმშრალებდა. ფეხი მამის ძველ ფოსტლებში ჩაეყო და განგებ მოაფრატუნებდა.

— ვის დაემსგავსე ასეთი ახტაჯანა?— ღიმილი ულვაშებში ჩამალა ამირანმა.

— შენ, მამიკო, აბა ვის დავემსგავსებოდი? — ისევ ლოყაზე აკოცა და სკამი მოიჩოჩა.

— ჰო, კარგი, კარგი, ვისაუზმოთ!

— გუშინ რა ამბავი იყო... — ერთი ლუკმის შემდეგ არატრატდა მზია, — გიგო-ბიჭს უთქვამს, თავი დამანებეთ, თორემ იმ პიანინოს ნაწილ-ნაწილ დავჩეხავ და ფანჯარაში გადავყრიო...

— ჰმ, ჭამე, ჭამე! ყოველდღე ერთი და იგივე მესმის!

— ნორამ კი ბატაკის ჯოხს დაავლო ხელი და სულ იმით თეთქვა...

— თეთქვა რა სიტყვაა? — შეიჭმუხნა ამირანი.

— სცემა, — განაგრძო მზიამ, — მე კი ვეუბნები, დეიდა ნორა, ცოდვაა-მეთქი. ის კი მეუბნება, თუ ცოდვაა, შენი შვილი იყოს და შენ ასწავლე რამეო, ჭირი და არგახარება მაგასო...

— წამოიზრდება და ხელობას ისწავლის, — ყავა მოსვა ამირანმა.

— მერე სუსანა მოვიდა, რა ამბავია, ნორაჯან, დაგვაყენეთ, ამდენი ალიაქოთი რაფერ შეიძლებაო, — მზიამ გამოაჯავრა, — იმან კიდევ, შენს ტყავში დაეტიე და შენს მაკლერ ქმარს მიხედე, თორემ მე ვიცი, რასაც გიზამო...

— რავა კაჭკაჭივით მიკაკლავ ყველაფერს, შე ჭორის გუდავ! — გააწყვეტინა ამირანმა, — სხვა დროს რომ ამდენს არ ჭიკჭიკებდი?

— სხვა დროს სხვა იყო, — უცებ გაიბუსა მზია და ლოყებზე ალმური ადინდა.

— რაღაცა ამბავია შენს თავს, — ეჭვიანად გააქნია თავი ამირანმა, — შენსას მიმალავ და ქვეყნის ამბავს იმიტომ მიყვები.

— რას უნდა გიმალავდე, მამიკო?

— ეგ შენ იცი უკეთ, ძილში რომ ტატოს ჩურჩულებდი, ვინაა?

მზია წამით შეყოვნდა, მერე კვლავ ატიტინდა.

— ეგა, მამიკო? ტატო როგორ არ გაგიგონია. იყო ეგეთი პოეტი, [illegible] უკვე.

— გაგებით რავა არ გამიგონია, მაგრამ ის გესიზმრა ვითომ?

— არაფერიც არ მსიზმრებია, — შეცვლილი ხმით უპასუხა მზიამ, სიცილი ჩაიშრიტა, მეხსიერებაში მოჩვენება დალანდა, შიშმა გულში მოუჭირა.

კართან რაღაცა გაჩხაკუნდა.

— ფოსტა მოვიდა, ფოსტა მოვიდა!— წამოხტა და კარისაკენ გაიქცა.

რაღაც სუნი ეცა. ვერ გაერკვია, სიდამწვრისა იყო თუ მძაღე კარაქისა, ან ორივე ერთად.

კარი გამოაღო.

ზღურბლს მიღმა ახალი მეზობელი იდგა, ჯუმა ბედია, და ბრიყვულად უღიმოდა.

პირკატა ეცა მზიას. რაღაც უზომო ბიწიერება იგრძნო ჭაბუკის გამოხედვაში და კარი ცხვირწინ მიუჯახუნა.

— მამი! — წამოიძახა გაბზარული ხმით...

●

ამირანს ცოლი ადრე მოუკვდა, ჩვილი შერჩა ხელში. დედინაცვალი ბავშვს დამიჩაგრავსო და სხვა არავინ მოუყვანია. თვითონ იყო დედაც და მამაც. ისე უვლიდა, ბევრ ქალს შეშურდებოდა. გოგო წამოეზარდა, ოჯახის საქმეებს აუდიოდა (სამზარეულოს საქმეებში ამირანიც კარგად გაწაფული იყო) და ამირანს ტვირთი შეუმსუბუქდა, ოღონდ საფიქრალიც ბევრი გაუჩნდა. მამისერთას მომავალი ბუნდოვნად ესახებოდა და ეს აფრთხობდა. ეშინოდა, ვინმე უღმერთო არ გადაჰკიდებოდა, გზას არ აეცდინა. ამიტომაც გააათკეცა ყურადღება, თავს ევლებოდა, იმედი ჰქონდა, არაფერს დამიმალავსო.

მზიას შეშინებული ხმა რომ გაიგონა, წახდა კაცი, ტანი ძლივს აზიდა. ქალიშვილს რომ შეეკივლა, ასე არ დაფრთხებოდა.

— რამ შეგაშინა, გოგო, რა დაინახე ისეთი?!

მზია კედელს მიყრდნობოდა და ხელი მკერდზე მიედო.

— არაფერი, მამიკო, მომეჩვენა რაღაცა. ახლა კარგადა ვარ, ნუ გეშინია.

ამირანმა კიბის ბაქანზე გაიხედა, ვერავინ ნახა, სიდამწვრის სუნი იგრძნო, მხოლოდ. უკმაყოფილოდ აბუზღუნდა.

— ხომ გითხარი, არაფერი მომხდარა-მეთქი, — თავი მკერდზე მიადო მზიამ, — გული ამიჩქარდა, ცოტას დავისვენებ და გადამივლის.

ამირანმა ფანჯარასთან დასვა. მზიას სახე გაფითრებოდა და კაცმა მეტი არაფერი ჰკითხა. ისლა წაიდუღდუღა, გამოცდებმა გადაგღალეს, ზღვაზე კი ვერ იქნა, ვერ წაგიყვანეთ.

ქალიშვილს თავი წამოსტკივდა. ფანჯრის ძგიდეს მიეყრდნო და თვალი დახუჭა. ახლა უკვე წვრილად გაიხსენა ღამისეული სიზმარი... აფორიაქდა, თითქოს წამიდან წამზე შეიძლებოდა კედლებიდან ჯოჯოები გადმოცვენილიყვნენ...

წინა დღეს ლექცია გვიან დამთავრდა და უნივერსიტეტიდან ტატომ გამოაცილა. გზა-გზა ლექსებს უკითხავდა, საკუთარსაც და სხვისასაც. გოგონა განაბული უგდებდა ყურს, ყველაფერი არც ესმოდა, მაგრამ თვით ტატოს ხმა ეჩვენებოდა მუსიკად და იმასღა ნატრობდა, ეს ნელი სეირნობა უსასრულოდ გაგრძელებულიყო.

ჰიშკართან ხის ჩრდილში შეყოვნდნენ. დაბურულ ვარჯში ნეონის მქრქალი შუქი თუ აღწევდა და მზია მხოლოდ ტატოს თვალების ელვარებას ხედავდა, მისი სახის გამომეტყველებას კი წარმოსახვა უცოცხლებდა.

მერამდენედ მოაცილა ასე. სიტყვა „სიყვარული" ერთხელაც არ უხსენებიათ. არც იმაზე ფიქრობდნენ, როდემდე უნდა გაგრძელებულიყო ეს. მხოლოდ ერთხელ, სასხვათაშორისოდ წამოსცდა ტატოს: „აქედან შორსაა მამის საფლავი, რუსეთის ტყეებში, იქ უნდა წავიყვანო!" მზიას დასცხა. „იქ უნდა წავიყვანო!" — ამ სიტყვების უკან იმალებოდა მთავარი სათქმელი... მადლიერმა მხოლოდ თავი დაუქნია და მეტი ამაზე არ ულაპარაკიათ.

განშორება ეძნელებოდა, მაგრამ არც მეზობლებისათვის უნდოდა ჭორის საბაბი მიეცა. ტატო დუმდა. ასე იდგნენ და ერთმანეთის სუნთქვას უსმენდნენ.

შეგვიანებულმა გამვლელმა ჩამოიარა. ჩრდილში შეყოვნებული წყვილის დანახვისას შეკრთა, ფეხს აუჩქარა.

ტატოს ჩუმად გაეცინა.

— ნახვამდის, მზია, — წასჩურჩულა.

მზია ელოდა, იქნებ გაბედოს, დაიხაროს და მაკოცოსო. თვალიც კი დახუჭა, გაირინდა. ნაბიჯების მსუბუქმა ხმამ გამოაფხიზლა.

ტატო ქუჩის სიღრმეში უჩინარდებოდა.

— ტატო!

ჭაბუკი შეჩერდა. მზიას მოეჩვენა, რომ უკანასკნელად ხედავდა მას. წავა და ამ ღამისეულ სიბნელეს შეერევა, სამუდამოდ გაქრებაო. მიირბინა, ხელის გაწვდენა კი მაინც ვერ გაბედა.

— შინ წადი, გვიანაა! — ალერსით უთხრა ტატომ და კვლავ შეტრიალდა.

მზია უცებ ატირდა. უხმოდ სდიოდა ცრემლები. ვერ გაეგო, ბედნიერების ცრემლები იყო თუ წამიერმა წინათგრძნობამ შეაშინა.

დიდხანს იდგა და უყურებდა. ტატო მრუმე სიბნელეში ინთქმებოდა.

ღამე გვიანობამდე არ დასძინებია. ფიქრში ისევ და ისევ მეორდებოდა განშორების მტანჯველი წუთები და შიშისაგან გული ერთი მუჭა უხდებოდა. შიში ძილშიც ჩაჰყვა... მერე ბალიშზე დაღვრილმა სხივებმა გამოაღვიძა...

ახლა მოეჩვენა, რომ ერთხელ უკვე მოხდა ეს გამოღვიძება. სულ რაღაც ერთი-ორი საათით ადრე, ან შეიძლება ორიოდე წუთით ადრეც. მაშინაც შეხედა ბრდღვიალა მზეს, დააფრთხო ტოტზე მჯდარი ჩიტუნა. ოთახი მაშინაც სინათლით იყო სავსე, კედლებმა გაიწიეს თითქოს. სიდამწვრის სუნი იდგა. გაიფიქრა კიდეც, ალბათ მეეზოვემ ნე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შოს ცეცხლი წაუკიდაო. იმ პირველი გამოღვიძების დროსაც „ვენის ტყის ვალსი“ გაიგონა და მაშინაც იცეკვა. მერე კი სარკეში ესიყვარულებოდა საკუთარ თავს და დამარცვლით წარმოთქვა „ტა-ტო!“.

მოულოდნელად იგრძნო, რომ მარტო არ იყო. გულგახეთქილი შემოტრიალდა. სავარძელში ელამი და წოწოლა კაცი იჯდა. სახე განზე მიექცია, მაგრამ მზია მიხვდა, კაცი მზერით ბურღავდა.

„ვინ ბრძანდებით?“ — შიშისაგან ენა ძლივს დაიმორჩილა.

„მარჩიელი ვარ. შენი ბედი ამ ხელისგულზე მიწერია, — კაცმა ხელი გამოაწვდინა. ხელის ზურგი ხშირი, მწითური ბალნით ჰქონდა დაფარული, ჭუჭყიანი ფრჩხილები კი უფრო მტაცებლის კლანჭებს მიუგავდა.

„მერე ვინ გითხრათ, რომ მარჩიელი მჭირდება“.

„ახლა შენ გზაჯვარედინზე დგახარ. აი, ამ ადგილიდან მრავალი უჩინარი გზა მიდის, ნაბიჯს გადადგამ და ვერაფერს შეცვლი... კარგად ასწონე, გონებას დაეკითხე!“

„ვერ გამიგია, რა გზებზე მელაპარაკებით“.

კაცმა ხელი ხელს შემოჰკრა. რაღაც გუგუნი მოისმა, თითქოსდა მიწისქვეშეთში უხილავი დანადგარები ამუშავდნენო. კედელს ბზარი დააჩნდა, თანდათან გაიხსნა და მის მიღმა თხელი, გამჭვირვალე ფარდა შეირხა. ყოველივე სიზმარს ჰგავდა და ამან შიში გაუნელა. „რა არის ეს?“ — გულუბრყვილოდ იკითხა. „მიდი, ნახე!“ — წოწოლას ჩახრინწული ხმა თითქოს ჭის ფსკერიდან მოისმა.

თხელი ფარდა გადაიწია, ბროლის სვეტებიანი უზარმაზარი დარბაზი გამოჩნდა. მისი შორეული კუთხისაკენ მარმარილოს ფართო კიბე ადიოდა. დარბაზი სავსე იყო შავფრაკიანი მამაკაცებითა და მშვენიერი მანდილოსნებით. ისინი ორ წყებად იდგნენ და თითქოს მზიას შემობრძანებას ელოდნენ. კიბის ბოლო სადღაც გუმბათთან იკარგებოდა. იქ, მზის სხივებში „მაღალი კარიერის“ ოქროს ტახტი ბრჭყვიალებდა...

„ამ კიბეზე უნდა ავიდე?“ — მზიამ ნაბიჯი გადადგა, ზღურბლთან შეყოვნდა.

„კიბეზე ის მშვენიერი რაინდი აგიყვანს“, — ცბიერად წასჩურჩულა კაცმა.

მზიას თიქოს ტკბილი ბანგი დაალევინესო, თავბრუ ეხვეოდა.

კიბის პირველ საფეხურზე უცნობი ჭაბუკი იდგა. შავი კოსტუმი და თეთრი პერანგი ეცვა, ჭრელი ყელსახვევი ეკეთა, ხელში თეთრი ხელთათმნები ეჭირა. მოუთმენლად მოელოდა მზიას მიახლოებას. „ვინ არის?“ — იკითხა მზიამ. „ჯუმა ბედია“. „ჯუმა ბედია?“ „მიდი!“ — ოდნავ უბიძგა კაცმა.

მზია შეყოყმანდა. აზრი აერია. ყოვლისდამთრგუნველ ნებას დაემორჩილა. მუხლებზე თითქოს ბორკილი ედო და მაინც იმ ჭაბუკისაკენ მიემართებოდა. წინ ვიღაცა გადაუდგა. უფრო გუმანით მიხვდა, რადგან თვალში სინათლე დაჰკარგოდა. თავს ძალა დაატანა. ოქროსთმიანი ბიჭი იყო, მოსჩერებოდა ლურჯი თვალებით.

„რა დაგავიწყდა, მზია?“ — ჩურჩულით შეეკითხა.

მზიამ თვალი დახუჭა. მეხსიერებას მოუხმო. თითქოს დავიწყებოდა რაღაც მნიშვნელოვანი და მთავარი. „ტატო!“ — ტვინის წიაღიდან ამოტივტივდა და გოგონამ უკან დაიხია.

„არა!“ — ესღა თქვა, ზურგი შეაქცია გახსნილ კედელს.

ოთახში არავინ იყო. წოწოლა კაცი გამქრალიყო.

იქ, სადაც საკუთარი სარეცელი ეგულებოდა, კუბო იდგა. კუბოში მიცვალებული ესვენა.

დარეტიანებული გოგონა შორიდან უყურებდა ამ საშინელებას.

კარგა ხანს იდგა ფეხებშებორკილი.

მერე გაბედა, ნელი-ნელ მიუახლოვდა კუბოს, უსასრულოდ შორი ეჩვენა ეს რამდენიმე ნაბიჯი.

თხელი ქსოვილი გადააძრო და თვალთ დაუბნელდა, მიცვალებულს უგრძნობლად გადაემხო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცისკრის ფოსტა

„ცისკრის“ რედაქციას არ უკვირს ახალგაზრდა ავტორი, მაგრამ ნარგიზა სოფრომაძე თითქო სხვანაირი იყო რაღაცით — სხვაზე ოდნავ მეტი მეოცნებე, ოდნავ უფრო რომანტიული ბუნებისა, ოდნავ უფრო გაბედულიც თავისი ნაოცნებარის სინამდვილედ ქცევის სურვილში.

რედაქციაში პირველი ლექსები მოიტანა და პასუხს არც დალოდებია, სულ მალე ციმბირში ამოყო თავი, იქ, სადაც ჩვენი ვრცელი სამშობლოს ჭაბუკები და ქალიშვილები ყველაზე ძნელ პირობებში აშენებენ ულამაზეს მომავალს.

1979 წელი ის იყო იწურებოდა, რომ რედაქციამ ქართველი გოგონას წერილი მიიღო.

ვბეჭდავთ წერილს და სამიოდე ლექსს, კონვერტში რომ იდო. ეს პაწია ბარათი და შორეულ ციმბირში შეციებული ხელით ნაწერი ჯერ კიდევ გაუწაფავი პოეტური სტრიქონები მეტს გვეტყვიან მათი ავტორის ცხოვრებასა და ხასიათზე, ვინემ ჩვენი სარედაქციო წინათქმა.

**ძვირფასო რედაქცია**

ამ ბარათ-ნარკვევს შორეული ჩრდილოეთის, კრასნოიარსკის მხარის ქ. ნარილსკიდან გწერთ. მინდა, გულწრფელად მოგითხროთ აქაურ კლიმატზე და ამ კლიმატს შეჭიდებული ქართველი ახალგაზრდობის გამბედაობაზე, ნებისყოფასა და შეუპოვარ შრომაზე.

ახლა აქ პოლარული ღამეებია. სიცოცხლის მეუფე — დიადი მზე, სარწმუნოებას განდგომილი კაცივით, ციმბირის ცას არა და არ ეკარება.

ქალაქს ერთი მხრიდან ჩრდილოეთის ყინულოვანი ოკეანე ესაზღვრება, მეორე მხრიდან თოვლით დაფარული მთები აკრავს, მესამე მხარეზე კი გადაშლილია ტუნდრა.

აღვირაწყვეტილი ცხენივით დათარეშობს (20—30 მ´ წამში) ქარი, სუნთქვას აძნელებს ჟანგბადის ნაკლებობა (25%) და ძ[illegible]ამდე აღწევს 35-47° ყინვა.

გამოხვალ გარეთ და ხშირად ერთი მეტრის იქეთ ვერაფერს ამჩნევ — ცალკე — სიბნელის, ცალკე — ბურუსის და ცალკე ქარისაგან თვალებში შემოყრილი ნამქერის გამო. მთავარია ამ დროს ორიენტაცია არ დაკარგო და ნებისყოფა შეინარჩუნო, თორემ მისასვლელი ობიექტის ძებნაში სადმე ქარბუქი წაგიღებს და გაიყინები კიდეც.

გვენატრება ჩიტების ჟღურტული. ხეს, წამლადაც რომ გინდოდეს, ვერ დაინახავ. ქ. ნარილსკი თავისი არსებობის ოთხ ათეულ წელს ითვლის და მისი მშრომელი მოსახლეობის 70%-ს ახალგაზრდობა წარმოადგენს. ძირითადად განვითარებულია მძიმე მრეწველობა. ქალაქი ჯერ კიდევ ზრდაშია. აქტიურობენ ჩვენი ქართველი ბიჭებიც. საერთო საცხოვრებელში, სადაც 900 მობინადრე ცხოვრობს, 60 ქართველია. აქედან 59 ბიჭია და მხოლოდ მე ერთი ვარ ქართველი გოგონა.

თითქმის ყველა ვმუშაობთ ქალაქიდან 15 კმ-ის დაშორებით — გარეუბან ნადეჟდაზე, სადაც მიმდინარეობს სსრკ-ში ერთ-ერთი გრანდიოზული მეტალურგიული კომბინატის მშენებლობა. სასიხარულოა, რომ ჩვენი, ქართველთა ხელიც აკეთებს ამ საქმეს, ქართველთა ოფლიც იღვრება აქ, ციმბირის ყინულიან მიწაზე. წარმოსადგენად მეტად რომანტიკულია ყოველივე ეს, მაგრამ მე მაოცებს ჩვენი ბიჭების ასეთი ძალა და ნებისყოფა, მაოცებს თვით ჩემიც.

ვმუშაობთ უმეტესად ღია ცის ქვეშ ყინვასა და ქარში და, თქვენ წარმოიდგინეთ, ვერც ერთისაგან წუწუნსა და ბუზღუნს ვერ გაი-

გონებთ. მართალია, ყველამ ვერ გაუძლო ამ საშინელ ამინდებს და უკან გაბრუნდნენ.

ასეთი შრომის შემდეგ კულტურულ დასვენებასაც ვასწრებთ. ვაწყობთ ლიტერატურულ საღამოებს, ვმართავთ ხოლმე ნამდვილ ქართულ სუფრას, ვუსმენთ ქართულ მუსიკას...

დაახლოებით 6 ახალგაზრდა დავდივართ საღამოს მოსამზადებელ კურსებზე, რადგან ვაპირებთ სწავლის გაგრძელებას.

მიუხედავად ასეთი სიძნელეებისა, ჩვენ მაინც არ ვყრით ფარხმალს, რადგან გვჯერა — არ არსებობს დიდი საქმე დაბრკოლებისა და სიძნელის გარეშე...

აქ, ქალაქის დაარსებიდანვე ცხოვრობენ და შრომობენ ქართველები. ამბობენ, ძალიან საინტერესოა მათთან შეხვედრაო, მაგრამ მე ახლა არ შემიძლია, რადგან ძალიან ცუდი ამინდებია და სამსახურშიც წვალებით დავდივარ.

მომწერეთ ორიოდე სიტყვით, თუ რამე გაინტერესებთ, მომწერეთ ჩემი ლექსების ბედი და შთაბეჭდილება ამ წერილზე.

პატივისცემით **ნარგიზა სოფრომაძე**

## მომენატრები!

აფეთქდებიან წითელ ფიქრად
ჯუჯა ატმები;
მოუღწეველი მხურვალება
ამიწვავს სხეულს.
მომენატრები,
სიგიჟემდე მომენატრები —
და ფრთხილად გავხსნი
მოგონების ხურჯინს ჩვენეულს...
აქ არის ცრემლი, სიხარული,
არის ნუგეში...
ო, არ გამქრალა არაფერი,
ისევ აქ არი...
როცა დავტოვე რწმენის ბარტყი
რკინის ბუდეში,
ამგვარი იყო მაშინაც და...
დარჩა ამგვარი.
მომენატრებით,
სიგიჟემდე მომენატრებით,
ცეცხლის კაბებს რომ ჩაიცვამენ
ტანზე ატმები.

●

შენ ოდითგანვე გამირბოდი,
როგორც ქორბუდა —
მონადირის გამიზნულ ტყვიას.
დამალობანას დავარქმევდი
ნამდვილად მაშინ...
დღეს კი... ამ თამაშს უცნაური
სახელი ჰქვია.
უკვე იმ ქონგურს იჭვნეულად

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვეღარ შევხედავ,
არა! — იმ ტაძარს
კვლავ გულგრილად ვეღარ
ჩავუვლი...
თმებს შემიწნებებს შემოდგომის
ამაყი წვიმა
და შემაჩერებს მამულის ხმა —
ხმა შენეული...
ნუ გაფითრდები, მე შენ არ გეძებ,
ბედნიერებას მე არ ვეძებ
ხელგამოწვდილი,
ანდა ხატის წინ ცრემლიანი, —
მუხლზე დავარდნით...
შენ შეგეშალა... ეს მე არა ვარ,
ეს — მონატრება მოაბიჯებს
ხელში ყავარჯნით...

## თ უ კ ი

აჰა, მიიღე ჩემეული გულის სამყარო,
ოღონდაც გწამდეს, მოტყუებას არ ვარ ჩვეული,
მამულო ჩემო, წინაპრის ძვლებზე ამონაყარო,
შენთვის მაქვს ფიქრიც და ოცნებაც გამორჩეული.
შენთვის მაქვს სისხლიც, სითბოც, ცრემლიც,
ბედნიერებაც,
სამამულე რქას, მსურს ყლორტი არ დავუზიანო,
პატარა რწმენაც გალაღდება და ამღერდება,
თუკი მამულში სიტყვა საქმობს და მზე მზიანობს.

# ქრისტინე ჭინჭარაული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქრისტინე ჭინჭარაული თიანეთის ლამაზი სოფლიდან — ღუღულებიდანაა. დაამთავრა პუშკინის პედაგოგიური ინსტიტუტი, ახლა სამი შვილის დედა მშობლიურ სოფელში მუშაობს — ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლის.

ადრე „ფნათობში" დაბეჭდილა, მერე „დროშაში", „საქართველოს ქალში", ბოლოს „სახალხო განათლებაში".

უკანასკნელ ხანს ხალხური პოეზიის საღამოების უცვლელი მონაწილეა.

ამ ლექსებით შედგა მისი დაგვიანებული დებიუტი „ცისკარში".

კეთილი იყოს ქალბატონი ქრისტინეს შეხვედრა ჩვენი ჟურნალის მკითხველებთან.

●

სიცოცხლის წისქვილს ყოველდღე
ვუვსებ ხვიმირს და ღარს,
მასში დოლაბი ტრიალებს
მხოლოდ სიყვარულს ფქვავს, —
მინდი არ მინდა, — ნაფქვავიც
ზოგი შენ, ზოგიც სხვას.

●

სინდისს ალესილ ხმლად ვხმარობ,
სიმორცხვეს — გულის ფარადა,
და ვხვდები უცხო რამ გრძნობას
მოვარდნილს გულის კარადა.

ატყდება ბრძოლა ფიცხელი —
შემირცხვენია მარაბდა,
ვერ ვაჭრევინებ ზოგჯერ ხმალს
და ვერც ფარს ვხმარობ ფარადა.

ზოგჯერ ამოა ბრძოლაც კი,
თუმცა გასაღებს გავილებ, —
მაინც დამჯაბნის მომხდური,
გულს უკითხავად წაიღებს...

## რად მეკითხები, ვინა ვარ

რომ მეკითხები, ვინა ვარ,
ასე რამ გაგაგულისა,
გეტყვი, სუნთქვა ვარ უბადლო
მთების სპეტაკი გულისა;
ერთი პაწაწა ყვავილი
პირველი გაზაფხულისა;
ბელტი ვარ დედასამშობლოს
ნაყოფიერი ხნულისა;
შემოძახილი გახლავარ
სიცოცხლე — სიხარულისა;
დაუწერელი ლექსი ვარ
ძმობის და სიყვარულისა,
ან წვიმის ერთი წვეთი ვარ,
ან თოვლის ერთი ფანტელი,
ამაფარფატებს ოდესლაც
ჟამთასვლის კორიანტელი;
შევეწირები სამშობლოს,
როგორც სამხვეწრო სანთელი,
ბევრს ვიტყვი ტკბილსა და მწარეს,
ბევრიც დამრჩება სათქმელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## მერაბ აბაშიძე

# მუმლი მუხასა

მეწამული ღრუბლები მოსდებოდნენ ცას.

მონღოლთ ყველა გზა შეეკრათ. გზებზე ურიცხვი ლტოლვილნი მოედინებოდნენ. იცოდნენ ქართველთა, რომ ამ გზებს მტკვრის ნაპირთან მიჰყავდათ, სადაც მათი ყოფნა-არყოფნის საკითხი უნდა გადაჭრილიყო.

— შვილო, — ეუბნებოდა ლტოლვილთა ერთი ჯგუფის წინ მიმავალი, შავებში ჩაცმული ქალი თორმეტიოდე წლის ბიჭუნას, — შემომფიცე, რომ ღირსეულად მოკვდები, როგორც მამაშენი მოკვდა.

ბავშვი ხმას არ იღებდა, მხოლოდ ღიღინებდა და რაღაც უცნაური სხივი უციმციმებდა თვალებში. ფრესკიდან ჩამოსულთ ჰგავდა ამაყად მიმავალი დედა-შვილი. გზაზე ლტოლვილთა კიდევ ერთი ჯგუფი შემოეყარათ. ღმერთმა უწყის, რატომ შეკრთნენ უცებ და გზა დაუთმეს შავოსანს და მის ვაჟს.

უხუცესს ელოდა მტრის სარდალი. თუ მორიგდებოდნენ სარწმუნოების საკითხში, ხომ კარგი, არადა, მტკვრის მეორე ნაპირზე ჯალათი იდგა.

აი, გამოჩნდა მტკვრის ნაპირიც.

მონღოლთა ურიცხვ ჯარს მოეყარა თავი.

— ცხვრებივით მოდიან, — თქვა თავით ფერხთამდე აბჯრით შეჭურვილმა სარდალმა და უკმაყოფილოდ მოხედა მის უკან მდგომთ, — ამათთან დაგვჭირდა ასეთი ბრძოლა?

ხმა არავის გაუცია მისთვის. ზოგი უსიამოდ შეიშმუშნა მხოლოდ, იცოდნენ მონღოლთა, რა ედო საფუძვლად სარდლის უკმაყოფილებას. ქართველთა სილაჩრე რომ ახსენა, ამით თვით მონღოლნი შეურაცხყო.

ქარმა უცხობი ჰანგები მოიტანა.

— სიმღერით მოდიან, — თქვა სარდლის უკან მდგომმა მოხუცმა ასისთავმა და ჩააჩველა.

— ჰოდა, თუ ვერ მოვრიგდით, მაშინ ცოტა უფრო ხმამაღლა ვამღერებთ, — თქვა სარდალმა და, ცოტა არ იყოს, დაბნევით მოხედა ასისთავს.

არავინ განძრეულა, ყველანი შორეთს გაჰყურებდნენ, სადაც ყველაზე წინ ორი შავი აჩრდილი რიალებდა.

— საოცარი ხალხია! — აღმოხდა სარდალს, — ვერაფერი გამიგია. ისე მოდიან, თითქოს აქ საქეიფოდ მოვუხმეთ.

ისევ ჩააჩველა ვიღაცამ მის ზურგს უკან.

სარდალმა გაცოფებით მოხედა, თითქოს არ იცოდა, ვისთვის დაეტეხა რისხვა.

— ისინი, — ხელით ანიშნა მოხუცმა ასისთავმა, — სასიკვდილოდ მოდიან!

სიმღერის ხმა ძლიერდებოდა. მერე ერთბაშად შეწყდა.

— ქალები, ბავშვები და ბერიკაცებიღა დარჩენილან, — აღმოხდა სარდალს მოახლოებულ ლტოლვილთა დანახვაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აგრეა, — უპასუხა შავოსანმა და თვალით ვაჟზე ანიშნა.

— შენ ვინა ხარ? — იკითხა გაკვირვებულმა სარდალმა.

— თვით ვინ ბრძანდები? — დაუბრუნა კითხვა ვაჟმა.

წინამდგომნი შეჩქვიფდნენ.

— ხიდზე! — იღრიალა სარდალმა, რომელსაც უხუცესის ნაცვლად ბავშვი გამოუგზავნეს ქართველებმა.

ბოროტად ჩაიცინა ბავშვმა.

— რაღას უყურებთ! — მიმართა გაშმაგებულმა სარდალმა სარანგთ, — ნუთუ ვერ ხედავთ, თავისი უმეცრებით თვით რომ იღუპავენ თავს?

მონუსხულივით იდგნენ მონღოლნი. უღონოდ ჩამოეშვათ ხელები თორმეტი წლის ბიჭის წინ და ვერ გაეგოთ, რა ხდებოდა მათ თავზე.

— ხატი! — იღრიალა სარდალმა და სული შეუგუბდა.

იმწამსვე მიართვეს.

— ხედავ ამას?

ბიჭმა მძიმედ დაუქნია თავი.

— ამას თუ შეაფურთხებ, დედაშენი და შენ ცოცხლები წახვალთ შინ.

უეცრად ქალების კივილი აიტაცა ქარმა.

ლტოლვილთა ჯგუფი ერთი წამით დაირღვა... მერე ისევ შედუღაბდა. სარდლის წინ შავოსანი ეგდო, რომელსაც საკუთარი ხელით დაეცა მკერდში პატარა ხანჯალი.

თვალი ვერ შეასწრეს, ისე გამოგლიჯა ბავშვმა სარდალს ხატი ხელიდან, ეამბორა, დედის მკერდს მიასვენა, შემდეგ პირჯვარი ისახა და თვალებში მიაფურთხა სარდალს.

ერთი წამის შემდეგ თვითაც ლუკმა-ლუკმა აკუწული ეგდო დედის გვერდით, ხოლო ლტოლვილთა გუნდი „მუმლი მუხასას" გუგუნებდა.

# ცოცხალი კელაპტარი

ან სად არის მტრის მიმართ ზნეობრივი საზომი.

ლევან გოთუა

ჩანაცრული ტაძრის წინ მომაკვდავი ბერი ეგდო.

პირტიტველა ჭაბუკი იყო, სახეშწყაზარი.

იქვე, მინდორში ბანაკი დაეცათ მონღოლთ.

უცებ ერთი კარვიდან ხელში მცირე დოქით მონღოლი ასული გამოვიდა.

გზად მიმავალმა შენიშნა მძიმედ დაჭრილი...

შედგა... დააკვირდა.

მერმე მიუახლოვდა და მის ჭრილობას სინჯვა დაუწყო.

ისევ კარვისაკენ წავიდა.

ორი აბჯროსნის თანხლებით დაბრუნდა.

თოროსნებმა ზურგზე მოიკიდეს დაჭრილი და ბანაკში წაიყვანეს.

სამი დღე-ღამე ებრძოდა სიკვდილს ბერი.

როცა თვალი გაახილა, მის სასთუმალთან ლამაზი ასული იხილა. გვერდით წვერებცანცარა, ძოწეულში გამოწყობილი ჭარმაგი მამაკაცი ედგა.

— ჩემმა ქალიშვილმა სიცოცხლე გაჩუქა, — მძიმედ თქვა კაცმა და ხელი ფრთხილად შეახო მხარზე: — ეს რომ საკუთარ თავზე მეტად არ მყვარებოდა, ახლა ყვავ-ყორნების საძიძგნი იქნებოდი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბერი დუმდა.

გავიდა ორიოდე კვირა.

ყველამ შეაჩვია თვალი ზანაქში კოჭლობით მოარულ ლამაზ ბერს.

— ნეტავ რად არ გვშორდება? — ფიქრობდნენ გაკვირვებულნი, — ავი რამ ზრახვა ხომ არ უდევს გულში?

არც შემცდარან მონღოლნი.

ერთ ღამეს ცეცხლი მოედო მთავრის კარავს.

გამოსვლა ვერავინ მოასწრო.

შიგ ამოიბუგნენ მძინარენი.

ორმა სარანგმა ანაფორაშემოხეული ბერი ახლად არჩეულ მთავარს მიჰგვარა.

— ეს არის შენი მადლიერება? — ჰკითხა განრისხებულმა სარდალმა ბერს.

ბერი დუმდა.

— წამებით ამოხადეთ სული!

უეცრად სახე შეეცვალა ბერს, საშინელი ძალით მიმოყარა სარანგნი და ამაყად მიმართა სარდალს: — მე თვით ვიწამებო თავს!

სარდალი შეჩქვიფდა:

— როგორ თუ თვით?

— თვით იხილავთ! თუ არა და... დამეხმარებით!

გაოცებულნი უმზერდნენ მონღოლნი, როგორ იგლეჯდა ქონდაქარის მიერ მოტანილი მარწუხით ჭაბუკი სხეულს, იარებზე ანთებულ მუგუზალს იდებდა, და როცა ზეთიანი ძენძი შემოიხვია ტანზე, ცეცხლი მოუკიდა და თვითაც ცეცხლის ღვთაებასავით აელვარდა, ერთი შეკითხვის მიცემაღა მოასწრო განცვიფრებულმა სარდალმა:

— ვინ ხარ შენ?

— საქართველო! — იყო პასუხი.

# ორი სამყარო

მწვანე მაუდით გადაკრულ მაგიდაზე თეთრი ქვისაგან გამოკვეთილი ქალის ხელი იდო.

მოქანდაკე სავარძელში იჯდა და თავის ნამუშევარს დაჟინებით მისჩერებოდა.

ეს მისი ახლახან გარდაცვლილი ქალიშვილის ხელის ასლი იყო.

„რატომ გამოვკვეთე მხოლოდ ხელი და არა მთლიანად იგი?" — ფიქრობდა მოქანდაკე.

მერე ნაქანდაკებს დასწვდა. ფრთხილად გადაუსვა მტევანზე გამხდარი თითები.

უცებ ქვის ხელი გათბა, ხორცისფერი გახდა, დარბილდა და შეძრწუნებულმა მოქანდაკემ იგრძნო, რომ ხელთ ცოცხალი მკლავი ეპყრა.

„ისევ ჰალუცინაცია!" — გაიფიქრა მან და სწრაფად დადო თბილი ნაჭერი მაგიდაზე.

„არა, ეს ჰალუცინაცია როდია, უბრალოდ სასჯელია შენთვის" — მოესმა ყრუ ხმა საიდანღაც.

„სასჯელი? რისთვის?"

„იმ ცოდვათათვის, რომელიც ჯერ არ ჩაგიდენია".

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„იქნებ არც არასოდეს შევცოდო!“

„ეგ ფიქრიც ცოდვაა უკვე“.

„მაგრამ ვინ ხარ?“

„ხელოვანთ მიმართ არსებული კანონის ხმა“.

„განა ხელოვნებაც რამე კანონს ემორჩილება?“

„ყველაზე მეტად“.

„მაგრამ არ მესმის, რა კავშირი აქვს ყველაფერ ამას ჩემს გარდაცვლილ ქალიშვილთან?“

„ვერ ხვდები?“

„ვერა.“

„კარგია, ამდენი გულუბრყვილობა რომ შეგრჩა. ეს იმის ნიშანია, რომ კეთილი კაცი ხარ. აი ჩვენ კი, კანონის დამცველნი, მკაცრნი გახლავართ... თუმცა სიმკაცრე სიკეთეს არ გამორიცხავს. გადავწყვიტეთ, დაგვეშინებინე და შეგვაკრთეთ კიდეც“.

„მაინც არ მესმის, რისთვის?“

„იმ ცოდვათათვის, რომელსაც შენ ჩვენი ხმის გაგონების შემდეგ ჩვენთან ჭიბრში ჩადგომის მიზნით ჩაიდენ“.

„მაშ, გამოდის რომ თქვენვე მიბიძგებთ დანაშაულისაკენ! ან რა ცოდვა უნდა ჩავიდინო ასეთი?“

„იმის დამტკიცებისათვის, რომ ეს ყველაფერი ზმანება იყო, ამბოხდები“.

„მაგრამ მე ისედაც მუდამ მეამბოხე ვიყავ!“

„ჰო, ეს ვიცით. მაგრამ შენ ღმერთს უჯანყდებოდი. ახლა კი ჩვენი კანონის წინააღმდეგაც დაიწყებ ბრძოლას. ამიტომ გაგაფრთხილეთ და ქვა ხორცად ვაქციეთ. ქრისტემ პურად აქცია ქვა. ჩვენ კი — ცოცხალი ნაყოფის ნაგლეჯად“.

მოქანდაკე ჩაფიქრდა. დაბნეულად გაიღიმა და სწრაფად აათამაშა თითები სავარძლის სახელურზე.

„ნამდვილად დროზე მეწვიეთ,“ — თქვა მცირე ხნის დუმილის შემდეგ — „ახლა სწორედ შეშლილის სახე მინდოდა გამომეკვეთა“.

„აი, ხომ ხედავ! ეს უკვე ცოდვაა. თავი დაანებე ღმერთს, წმინდანთ და შეშლილთ. უბრალო, ადამიანური ტანჯვა და სიხარული ასახე. ესაა შენი ვალი, თუ ამ ვალს გადაუხვევ, უკვე ცოდვილი ხარ“.

„ჩემი ქალიშვილი შეშლილი იყო!“

„სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით?“

„ჰო, თითქმის! შავად შეღებავდა ტილოს და ამბობდა, — ამ შავი ფარდის უკან ჩემი სული დგასო“.

„სიცარიელეზე ამბობდა?“

„ამდენს უკვე ველარ მივმხვდარვარ. ან ნეტავ, მართლა რა უნდოდა ამით ეთქვა? იქნებ თქვენ ამიხსნათ?“

„ჰმ, მაგის ახსნა ცოტა ძნელია. ისე კი, ერთი რამ ცხადია — მომხიბლავი იქნებოდა შენი ასული“.

„საიდან დაასკვენით?“

„ისე, ჩვენ ვხვდებით სხვათა აზრების მეშვეობით მათივე სახებას“.

„შეცდით. ჩემი ქალიშვილი შეუხედავი იყო, მხოლოდ ხელები ჰქონდა ლამაზი“, — რატომღაც იცრუა მოქანდაკემ.

„ჩვენი კანონი არასოდეს შემცდარა!“

„ხელოვნება არც ერთ კანონს არ ემორჩილება!“ — წამოიყვირა მოქანდაკემ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იმწამსვე გამოეღვიძა კიდეც.

„ეს რა კოშმარი იყო“, — გაიფიქრა მან.

მაგიდაზე ისევ ისე იდო ქვის ხელი.

ათრთოლებული მიუახლოვდა.

თითის წვერებით შეეხო...

შეკრთა.

ქვის ხელი ოდნავ, სულ ოდნავ თბილი იყო, თითქოს ახლა უბრუნდებოდა ძველი სიცოცხლე.

## მეამბოხენი

ყელმოღერებული დაკვირვებით მიმზერ;

ალბათ იგრძენი, რომ მეც ცოდვილი ვარ...

ან კი ვის არ შეუცოდავს ამქვეყნად.

თუმცა სხვაა ჩვენი ცოდვები;

ჩვენ ღმერთი შევიცანით და მის იდუმალ აზრს ჩავწვდით.

— დაგესლე! — გიბრძანა ამ ამბით განრისხებულმა უფალმა.

— მოჰკალ! — მიბრძანა მე.

მაგრამ ჩვენ არ დავემორჩილეთ უფლის ბრძანებას.

ვზივართ და მეგობრულად შევცქერით ურთიერთის თვალებში.

ულამაზესი ხარ ამქვეყნად, შეუცნობადო!

შენც ჩაგიხედავს საკუთარ სულში და მის ნიშებში შემოდგმული სანთლების შუქზე დაგინახავს საზარელი უფსკრული...

შენი სისხლი გაუყინავს ამ საშინელებას და მიტომაც გამხდარხარ ცივსისხლიანი...

მაგრამ, ო, შეგრჩა შინაგანი ცეცხლიც ჯოჯოხეთისა, და როცა სატრფოს შეხვდები, შენსავით ამაყსა და ცივსისხლიანს, იფეთქებს შენში ვნება ველური და მაშინ ელვას გავხარ, ცაზე გაკლაკნილს...

ნუ წახვალ ჩემგან!

გახდი ჩემი მეგობარი!

დავდოთ ურღვევი კავშირი და კიდევ ერთხელ ავუამბოხდეთ უფალს გველი და ადამიანი!

ჩვენ მას აღვუვლენთ უსაზარლეს წყევლას, რომლითაც ის დაიდაღება ვით მორიელის ნაკბენით და ჩამოვა ძირს, რათა გვთხოვოს — მოვხსნათ ეს წყევლა...

და მაშინ ჩვენ მორჩილად გავიგდებთ მას წინ — სულტანამემოძარცულს და ფეხშიშველას და ვაუწყებთ ყველას: ეს იგია, რომელმან ბრძანა — დაგესლე და მოჰკალი!

## სისხლიანი ყვავილი

სისხლიანი ყვავილი ხარ, ჩემი სულიდან ამოგლეჯილო სტრიქონო!

იყავ სახრჩობელას ბაწარი ჩემი მტრისათვის და მაშველი თოკი კლდიდან ჩაცურებული მეგობრისათვის!

ტანჯვით იშვი შენ და მტკიცე ხარ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ გაწყდები!
ყვავილი ხარ-მეთქი გითხარი და თოკს კი შეგადარე!
მომიტევე!
ყველაფერი ხარ შენ — შვებისა და ტანჯვის მომნიჭებელო...
თუ მომწყინდა ამგვარი ცხოვრება, შენ აგირჩევ იარაღად...
ვიცი, არ მიმტყუნებ...
და მე — კვლავ ავღორძინდები ამ ქვეყანაზე.
გესმის, მკითხველო?
თუ ვერ გაიგე, ინდოელ მოგვს მიმართე ამ ამბის ასახსნელად...
ის გეტყვის, საკუთარი ტანჯვით აღმოცენებული ყვავილის შხამით მოწამლულნი, როგორ იკურნებიან სენისაგან.
ეს სენი კი — გამუდმებული ეჭვი და შიშია.
შიში —ვაითუ არ გამიძლოს ყვავილის ღერმა და სიკვდილის წინ ისეთი ზმანება არ ვიხილო, რომლის ძალითაც ვეღარ ავალ სულში არსებული ტაძრის გუმბათზეო.
ხოლო როცა ამ გუმბათს თავზე მოექცევი, იქიდან მთელ სამყაროს ხელისგულზე გადაშლილს დაინახავ...
დაინახავ, როგორ ეცემიან დიდნი და აღზევდებიან გლახაკნი!
დაინახავ, მშვიდობა სუფევს თუ მტრობა ამ ცათა შინა.
და როცა მოგბეზრდება ამ ამბის ცქერა, ისევ ამ თოკით დაეშვები ძირს... თოკით, რომელიც სისხლიანი ყვავილია, შენი სულიდან ამოგლეჯილი!
მაშ იხარე!
შენ არასოდეს დაჭკნები ჩემი ცრემლით ავსებულ იმედის ლარნაკში!

---

„საჭიროა, რათა თანამედროვე ახალგაზრდობის აღზრდის, განათლებისა და სწავლების მთელი საქმე წარმოადგენდეს მასში კომუნისტური მორალის აღზრდას".

**ლენინი**

(თხზ., ტ. 31, გვ. 348).

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲒᲘᲒᲐᲣᲠᲘ

●

გაიმზიანე,
გაიზაფხულე,
ამიბიბინე ლექსთა საჯოგე,
რომ სიყვარული მოგინახულებს
და სიყვარულში როცა მაჯობებ, —
გამიხარდება,

შენ თავს ვფიცავარ,
მზად ვარ,
ჩონგურზე სიმად გავება,
მე მკერდგახსნილი შავი მიწა ვარ,
შენ ჩემი ყანის დათავთავება.

### ᲬᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ

გადაიარეს წლებმა ჯირითით,
საშუადღეო ზარი ჩამოჰკრეს,
სიცოცხლე კიდევ ღირს კი,
ვინ იცის! —
ვფიქრობ და
მანძილს ჩუმად ვამოკლებ.

გზაგასაყართან შემეფეთება,
იმედს ამიფრენს მერცხლის
გუნდებად;
თითქოს დნებიან წლები წვეთებად
და სიჭაბუკეც თითქოს ბრუნდება.

მისი ღიმილი მზედ შეიკონა
გამოწვევას და ალერსს ვიფერებ,
მგონი იყო და
არა იყო რა
ის წელანდელი წვა და სიბერე!..

მაინც ეჭვების მსახრავს მუქარა,
შევყურებ
ცეცხლად ქცეულ მშვენებას,
ვინ იცის
იქნებ არც კი ვუყვარვარ,
იქნებ ეს თვითონ მე მეჩვენება.

### ᲬᲛᲘᲜᲓᲐ ᲤᲔᲠᲤᲚᲘ

ის ცეცხლში ბუგავს
საკუთარ წიგნებს,
საკუთარ გრძნობებს,
საკუთარ განცდებს!...
გადაივლიან წლები და იქნებ
ეს წმინდა ფერფლი
სამყაროს გაწვდეს.

### Ხ Ა Რ Ი

ქედმოუღლელმა ზიდა უღელი,
მამულს იმედად ედგა ყოველთვის
და მსახურებდა მუხლჩაუხრელად,
ვით მეომარი,
ანდა პოეტი.

ხარის ნაკვალევს აბრწყინებს შუქი,
ის კი სანახებს გაჰყურებს მარტო,
რად დაივიწყეს,
ძალიან უკვირს,
უხმობს მეხრეებს
და უღელს ნატრობს.

## ამირან ახოზბაძე

# სიყვარულის მზე

რატომღაც არ მსურს
გათენდეს მალე,
ღამესთან ფიქრი
ოცნებად მექცა,
რატომღაც ველარ
ვაცილებ თვალებს
მოქნეულ ელვით
მოთიბულ ზეცას.

ხეთა ფოთლების
წყნარ სუნთქვას ვისმენ,
წუთები ღამეს
რა მალე დაფქვავს...
რომ არ მახსოვდე
ისევ და ისევ,
მე სხვანაირი
უფლება არ მაქვს.

და ყველაფერი
შენ იცი მხოლოდ,
რომ სულწასული
ვეძებ და ვეძებ...
ზოგი ამ ქვეყნად
ნიღაბით ცხოვრობს
და წამით ნიღბის
გარეშე ვერ ძლებს.

გულო,
რა გრძნობით
ხარ მინდობილი
ასე აწყვეტილ
ფიქრთა იალქნებს,
გულო,
რამხელა საზღვრებმოშლილი
სიყვარულის მზე გაფოთრიაქებს.

●

ისევ მზე,
ქარი,
წვიმა და სიცხე,
შეურიგდები ილბალს...
ვილაც
მგზავრობას
სულ ახლა იწყებს,
ან სულ ამთავრებს ვილაც.

ვაი, რომ ასე
ღიმილის მჩენი,
ზოგჯერ
იქეცი დარდად
და ცხოვრებასთან
ჭიდილი შენი
წაგებულ ბრძოლას ჰგავდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გელო კობიაშვილი

# მარილი

ქეთომ თვალი გააყოლა უმიზეზოდ აჯაჯღანებულ ქმარს, ამოიოხრა, მძინარე ბავშვებს გადახედა, მერე ვედროს ასაღებად დაიხარა და უნებურად იდაყვი გაჰკრა მაგიდის კიდეში მარილის ყუთს. ყუთი გადმოვარდა და მარილი ქეთოს ფეხებთან დაიბნა. „ვიჩხუბებ“, გაიფიქრა დაზაფრულმა ქალმა, ვედრო დადგა, ჩაიკუნტა, მარილი სამჯერ აიღო წკიპით, სამჯერვე თავზე გადაიყარა, ადგა, პირჯვარი გადაისახა, ბოლოს დოქით წყალიც მოასხა ჩხუბის გასაქარწყლებლად, ფაფადქცეული მარილი აქანდაზით აიღო, სანაგვეში ჩაუძახა და ბოსლისკენ წავიდა.

ჯერ ერთი ძროხა მოწველა, მერე მეორეს მიუჯდა. წველიდა ძროხას და მწარე ფიქრებში იყო გართული. ჯერ კიდევ პირველი ძროხის წველისას დაასკვნა: სხვასთან რა მაქვს საჩხუბარი, ალბათ გიგო ისევ მთვრალი მოვა და ისევ წამეჩხუბებაო. იფიქრა, ნეტა ამჯერად რა მიზეზს გამონახავსო და გაახსენდა: ორი კვირის წინ მეზობელს უნაგირი ათხოვა ქმრის დაუკითხავად. კაციც გაქრა, ცხენიც და უნაგირიც. ალბათ უნაგირს მოითხოვს და იმაზე ამიყვირდებაო. მოითხოვს და ვეტყვი: შენ თვითონ მიეცი და ნეტა რას მედავები-მეთქი! მე როდის მივეციო? — გაჯავრდება. შენ მიეცი, შენ მიეცი-მეთქი! — უკან არ დავიხევ, სჯობია ისევ ამაზე მცემოს, ვიდრე იმაზე, რომ ვთქვა, მე მივეცი და არ მოუტანიაო. გაბრაზდება და გამარტყამს, გამარტყამს და მეც გავარტყამ. მეყოფა ამდენი ძაღლური ცხოვრება!

სწორედ ამ დროს ძროხამ ამოიკევნა, კუდი ჯერ ნელა გააქან-გამოაქანა, მერე სისწრაფეს მოუმატა და ქეთოს სახეში გაუტყლაშუნა. ქეთო ისე იყო გართული, ეგონა, ქმარმა უკვე გამარტყაო, გადაწყვეტილების თანახმად, თვითონაც აღარ დააყოვნა და ენერგიულად გაულაწუნა ხუთივე თითი. ძროხამ წყენით წამოხედა ქეთოს, გალაწუნება ეგრე არ უნდაო, მთელი ძალით გამოაქანა უკანა ფეხი და ქეთო, რძით სავსე ვედროსთან ერთად, ამოაკოტრიალა წუმპეში.

„გაგიწყრა ჩემი გამჩენი, შენა, აჰა!“ — ჩუმად მიაწყევლა ქეთომ. წამოდგა, ამოთუთხნული კაბა ჩამოიბერტყა და აქეთ-იქით მიმოიხედა, ხომ არავინ დამინახაო: ორივე ძროხა ჭამით იყო გართული, ბოჩოლას კი მისთვის არ ეცალა, თავი შემოღობილის პატარა კარზე გადაედო და ნაღვლიანი თვალებით უყურებდა ბოსლის ფანჯარას.

ქეთო ბოსლიდან გავიდა. იფიქრა, ეს რძის დაქცევაც ცუდის ნიშანიაო და სულ მთლად დადარდიანდა...

აივანზე პატარძალი გადმომდგარიყო და იზმორებოდა.

ქეთომ ქვემოდან შეჰღიმა მაზლის ცოლს. პატარძალმაც გაუღიმა.

— მოდიოდა, ჩემო თამრო, ცოტიას ვიჩხუბებათ, — მუდარით შესთავაზა ქეთომ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რაიო? — გაკვირვებისაგან ხელები აწეული დარჩა პატარძალს.

— დილას მარილი დემეფანტა და მეშინიან, გიგომ არა მცემოს, ცოტიახანს ვიჩხუბათ, რო ემ ჩხუბზე ამიცხადდეს.

— რაზე უნდა ვიჩხუბათ, ქეთო, ჯერ ერთი კვირაც არ გასულა, რაც მამიყვანეს, — იუარა პატარძალმა.

— ჰოდა, მაგიტომა, ჩემო თამრო, თორო მემრე იქნება უმარილოდაც გამოვნახათ რაიმე. აბა, დაიწყელა, დაიწყე, რაიმე გასაბრაზებელი მითხარ და მეც გაგცემ პასუხსა.

პატარძალი ჩაფიქრდა. თვალით აზომჩაზომა უფროსი რძალი, დოინჯი შემოიყარა და მოულოდნელად აწიწინდა:

— შენ, ჩემო ქეთო, გეტყობა, გონჯ ფეხზე ხარ ამდგარი დღესა. რაი დაგიშავე კი არ ვიცი, მართალი გითხრა, მაგრამ რაკი ეგრე სოვივით მამაფრინდი ემ დილაუთენია, არც მე დაგიხვდები ნაკლებადა. მარილს კი ნუ აბრალებ, მარილსა, შენ გაგიწყრა პურ-მარილის მადლი, შენა. ალბათ იმაზე ხარ გაბოროტებული, შენ რო ეგრე სჯაჯანებ და მე ქალბატონივითა ვცხოვრობ. მაშა, მეკუთვნის კიდეცა, ესრე რო ვცხოვრობ. თქვენზე განათლებული ვარ და იმიტომა. ტყუილად კი არ მისწავლია სავაჭროზე, რო თქვენ გემსახურათ და თქვენსავით ძროხები ვწველა. უნდა სწველა კიდეცა და უნდა სდღვიბა კიდეცა, დაგიდგა თოლები, აბა ცხო რაის მაქნისი ხარ, გეგონა, დამიჩოლფოტებდი და მიმსახურებდი, განა? ჰა-ჰა-ჰა-ჰაი, რატომ არ გაიცინებს ღმერთი, მე რო მაღაზიაჩი ერთ ოქმს დავსწერ, იმ ოქმად არ ღირხართ არც შენა და არც მთელი თქვენი ოჯახი...

— ვაიმე, ბეჩავ, აღარ ხუმრობ, განა, თამრო? — ჰკითხა პირდაღებულმა ქეთომ.

— ვხუმრობო? ცხო რაილა გინდა? საჩხუბნელად მამივარდი და მე კიდევ ხუმრობაც დაგიწყა? შენ ჭკოზე მოდი, ქალო, და, აქათითვე იცოდე, რო მეც კარგი მარჯვიაი ვარ, თორო მე მაგივლი შენა.

— ვაიმე, ბეჩავ, თამრო...

— რაი თამრო? თამრო მამრე იქნება, თუ ჩამოვე მანდა და გწვდი თმებჩი.

ქეთომ მალულად გახედა ფოლორცას, მეზობლები ხომ არ გვიყურებენო და როცა რამდენიმე წყვილ ცნობისმოყვარე თვალს წააწყდა, თავდახრილი, მორცხვად წატუსტუსდა ოთახისკენ...

ქმარი გვიან დაბრუნდა სახლში. უკვე გაეგო რძლების ჩხუბის ამბავი: ამასუნთქვასაც აღარ აცლი ორი დღის მაყვანილ, ანგელოზივით ქალსაო? — თვალებჩასისხლიანებულმა იკითხა და მარჯვენა დაიმკლავა.

# გ ზ ა

გზაზე ურემი მიჭრიალებს. მუხლებმიტყუპებული ქალი მალიმალ უტყლაშუნებს ცხენს მათრახს. ხანდახან მუჯლუგუნით აფხიზლებს თავჩაქინდრულ ქმარს და გულმოსული ეკითხება:

— აღარ აპირებდი, განა, შინ მასვლასა, მე რო არ მამეძებნე?

ქმარი ხელისჩაქნევით პასუხობს, ისევ მოწყვეტილივით ჰკიდია თავი.

— ჩაგივარდა ენა მუცელჩი?

მუჯლუგუნწაკრული კაცი თავის აწევას ცდილობს.

— ბეჩავ, — ჰკვირობს ქალი — ნეტარ სადღა ჰპოვნის ემდენ გათახსირებულსა! — მთელი ძალით უტყლაშუნებს ისედაც გაქაფულ ცხენს.

— ჰარალეე... — ზუზუნებს კაცი.

— ხმის ჩაწყვეტა! — ეპასუხება ქალი.

— რაისთვი? — ქმარი ძლივს ახელს დაწითლებულ თვალებს.

გულო კობიაშვილი
მოთხრობები

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სად დასწანწალებდი ემდენ ხანსა?

„სოიუზტრანსი“ სიგნალით უვლის გვერდს ურემს. სულ ჭრელა-ჭრულა ქაღალებითაა სავსე. იცინიან და ცხვირსახოცებს უქნევენ მეურმეებს. კაცი ბოლომდე ახელს გაბრწყინებულ თვალებს. თავიდან ბოხოხს იძრობს და მთელი ძალით უქნევს თვითონაც.

— ხელი მაგძვრება მაგდენი ქნევითა, — გესლიანად აფრთხილებს ქალი. ისევ უტყლაშუნებს ცხენს, მალულად ითვალიერებს გახუნებულ კაბას. ცოტა ხნის შემდეგ შემპარავი ხმით კითხულობს:

— რაიო, რას ანიშნებდით ერთმანეთსა?

— ჰა?

— რას ანიშნებდით-მეთქი, ერთმანეთსა, მაგ დასამიწებელის ხელებითა?

— ჰოო... — ბოხოხს თვალებზე იფხატებს კაცი, — წამოდიო, მეუბნებოდნენ, ემ დედაკაცს დავაბინავებ და გამაგყვებით-მეთქი.

ცხენი ისე უმატებს სისწრაფეს, ლამის ურმიდან გადმოცვივდნენ. კაცი ქალს უყურებს და ეცინება. მერე დათვივით ბღუჯავს შოლტიან პატარა ხელს და მკერდისკენ მიაქვს.

— შვილები არ გვყვანდეს, მე ვიცი, რასაც ვიზამდი, — შოლტი მეორე ხელში გადააქვს და ცხენის აცქვეტილ ყურებს ეთათბირება ქალი.

— ვერცრასაც ვერ იზამდი, — დარწმუნებით ამბობს კაცი, თავს მხარზე ადებს ქალს და თითქმის მაშინვე ხვრინვას იწყებს.

დაღლილი ცხენი თავის ნებაზე მიუყვება გზას.

# ციცია

არდადეგები მთავრდებოდა. ციცია უკვე მეორე დღეს აპირებდა ქალაქში წასვლას.

ბებია ეზოში იჯდა, წინდას ქსოვდა და დროდადრო ყურადღებით აჩერდებოდა ხან ციციას, ხან პანტელეი რუსს.

პანტელეი გაზაფხულიდანვე შეუდგა ბებიას ეზოს შელობვას, მაგრამ დამთავრებას რატომღაც არ ჩქარობდა. ბებიას ეცოდებოდა პანტელეი, არ აჩქარებდა, აჭმევდა, ასმევდა, აძინებდა.

ციცია ეშმაკური სახით იჯდა პანტელეის წინ. უზარმაზარი ბანტი დიდი ამბით წამოეკოსებინა თავზე, ლოყა ცალ ხელზე დაეყრდნო და გაფაციცებით უსმენდა რუსს. ბებიას უხაროდა, რომ ციცია ასეთი განათლებული იყო. ალბათ კარგად იცოდა რუსული, თორემ აბა რატომ აღებდა პირს, რატომ იცინოდა, ან რატომ აქნევდა თავს ისე მონდომებით.

პანტელეი მთვრალი იყო. ფეხებშუა ცარიელი ბოთლი ჩაედგა, მოხერხებულად ჩამომჯდარიყო მორზე და ჩეხოვის რომელიღაც მოთხრობას უყვებოდა ციციას.

ბოლოს და ბოლოს ბებიამ თავი ანება ქსოვას და ხმამაღლა ჰკითხა ციციას:

— რაიო, შვილო, რაი მინდაო?

— რაიო და, — გაიკრიჭა ციცია, ადგა და მთელი სოფლის გასაგონად ჩაჰყვირა ყურში ბებიას, — ბებიაშენი ჩაის მეტს არცრას მასმევს, შიმშილით მამკლა კაციო.

ბებია გაოცდა, წინდა გვერდზე მიაგდო და გაცეცხლებულმა დაიწყო მუხლებზე ხელების ტყაპატყუპი.

— აი, ეგ გასალოცავი, მაგას ამბობს, არა?! უთხარ, შხამად შეგერგას რაიც მე შენთვი ხაჭაპურები მიკეთებია, რაიც მე შენთვის არაყი ჩამიხეთქებია და რაიც ხბოს ხორცი მიჭმევია-თქო!

ახლა პანტელეი დაინტერესდა, — რას ამბობს ბებიაო.

— რაოდა, — უთარგმნა ციციამ, — პანტელეი კარგი კაცია, ნეტავ სულ ჩვენთან იქნებოდეს, არაფერს არ მოვაკლებო.

— სპასიბა, სპასიბაო, — გაუხარდა რუსს. — არსადაც არ წავალ, ღმერთივით ბებია გყავსო.

— რაიო, რაი თქო? — ყურზე ხელი წამოიფარა ბებიამ.

— რაიო და, — ისევ მთელი სოფლის გასაგონად ჩაჰღრიალა ციციამ, — ბებიაშენივით უსუფთაო ქალი ჯერ არ შამხვედრია, საინტერესოა, სად გაიზარდა, ქვეყანაზე არცრაი არ უნახავსო?

— ხალხნო! — გადაირია და გაიფოფრა ბებია, — ჩემი უსუფთაობა ჯერ არ თქმულა. ალიონიდან ვახშმობამდე ჩემი მუხლი არ ჩაიხრება, სულ წმენდაჩი და ლაგებაჩი ვარ და ამას რას ამბობს ეს ამასაწყვეტი. ქალავ, უთხარ ეხლა, არ ამაყენას, ეგრე ვეთრიას და ეგრე წეეთრიას აქათითა, თორო არ ვიცი, რას ვუზამ.

— Ну, что? — იკითხა პანტელეიმ.

— ამბობს, ისე მიყვარს პანტელეი, საკუთარ შვილში არ გამომერჩევაო, ახლავე არაყს გამოვუტან და დავალევინებო, — ისევ უთარგმნა ციციამ.

პანტელეი ცოტა ხანს შეყოყმანდა, ეტყობა, იფიქრა, ეს რა გაფოფრილი მეპატიჟება მაშო ბებია არაყზეო, მაგრამ ციციას სერიოზული სახის დანახვაზე დამშვიდდა და ისევ ჩამოჯდა.

— არ მიეთრევა? — მაშო ბებიას სიბრაზით სულ გადაავიწყდა, ციციას გადასარევად რომ ესმოდა და ისე ჩაჰყვირა ყურში, ციციას ყვირილი მონაგონი იყო.

ციციამ გამწარებით ააფახულა წამწამები, თვითონაც გაბრაზებული წამოხტა და ახლა იმან ჩაჰყვირა.

— არსადაც არ მიეთრევა. ეგრე ამბობს, ეს სახლიც ჩემია და ეს კარიცაო, რად უნდა მაგ ასი წლის ბებრუხუნასო, თაგვები შასჭამენ მარტო რომ დარჩება, ის ურჩევნია, თქვენთან წამოვიდეს ქალაქსაო.

მერე წინ პანტელეი გარბოდა და უკან ბებია მისდევდა. ჯოხით კი არა, უზარმაზარი სარით მისდევდა, ვიდრე კაცებმა არ დაიჭირეს და არ შემოიყვანეს ეზოში, — გამიშვით, უნდა მოვკლა, — ყვიროდა მაინც.

ციცია ღობეზე იჯდა. ფეხებს არხეინად უტყაპუნებდა ქვებს და რაც ძალი და ღონე ჰქონდა გაჰკიოდა ჭოტივით. ისე გაჰკიოდა, ბებიას ახლოს მისვლა არც დასჭირვებია იმის გასაგებად, ციცია რატომ არ აჩერებს პირსაო.

— რაი გაღრიალებს, ჩამეეთრიე მანდითა, შე თავისმამჭრელო, შენა, — ჭიშკრიდანვე დაუძახა ციციას, კაცებს თავისი სარი წაჰგლიჯა ხელიდან და ღობისაკენ წავიდა.

— ჩამოდი ეხლავეთ, შე გვარის მამთხრელო, ბუკიოტივით რო გასჭყივი, სიმღერა გგონია შენ ეგა?

ციციამ ერთი კიდევ ჩაუკრიმანჭულა თავისებურად და მიწაზე ჩამოხტა.

— ბაბო, ჰა ბაბო, ეს სარი შამფური გეგონა, პანტელას რო გემეეკიდე?

— რაი? — ყურს ხელი წამოიფარა ბებიამ.

— წავალ, წყალს მაგიტან, სულ ცხო შვილიშვილების ქებაჩი ხარ და, იქნება მემრე ჩემზეც რაიმე სთქო კარგი, — ჩასჭყივლა ციციამ.

— ვიტყვი, აბა არ ვიტყვი! ანგელოზი ხარ, ანგელოზი, — თვალები აუცრემლდა ბებიას.

— ჰოდა, თუ ანგელოზი ვარ, ავდგები და გავფრინდები. როდის იყო, ანგელოზები წყალს ეზიდებოდნენ.

— რაი სთქვი?

— ამხანაგები მიძახიან-მეთქი!

— რაისთვი?

— რაისთვი და იმისთვი, რო რაი ბებიას ტოლი ხარ, წამოდი, ჩვენთან ითამაშეო.

— ამხანაგებს მაგცემ მე შენა, შე არმასაკვდომო, აიღე ეხლა საკრეფელი და წამეეთრიე ჩემთანა, თივა მრჩება ასაგები.

ბებიამ, როგორც იქნა, დიდი წვალებით დაუდგა ძირი თივას, მერე კრუსუნ-

კრუსუნით აძვრა ზედ და ციციას გადმოხედა.

ციციას გაშლილი ხელები ცხვირთან მიეტანა, ცერა და ნეკა თითები ერთმანეთზე დაედო და მაიმუნივით ეჭყანებოდა ლობის გადაღმა ამოჩრილ გაბურძგნილ თავს.

— ციციავ! — ჩამოჰკივლა ბებიამ.

ციციას არც აინუნში ჩაუგდია ბებიას ხმა, მიწაზე ჩაცუცქდა და ოთხით წავიდა ლობისკენ.

— ციციავ! — ისევ ჩამოჰკივლა ბებიამ.

ციცია ახლა ყურებთან აპარტყუნებდა ხელებს, მუხლებზე ტრიალებდა და ძაღლივით ყეფდა.

ბებია ისევ კრუსუნ-კრუსუნით ჩამოვიდა დაბლა. ძაღლობანას თუ ვირობანას თამაშში გართულ ციციას ქორივით დააცხრა თავზე და ყურებით მიათრია თივასთან, თან ისევ კრუსუნებდა, რალას არ უწოდებდა ციციას, ვიდრე ბოლოს და ბოლოს ისევ არ შებობღდა თივაზე და გენერალივით არ გადმოსძახა:

— მამაწოდე!

— რაი? — აჰყვირა ციციამ.

— თივა, თივა! — ჩამოჰყვირა ბებიამ.

ციცია თივას ეცა. ორთითი მთელი ძალით აიქნია მაღლა და პირდაპირ ბებიას მუცელს დაუმიზნა.

— შენ არ მოუკვდი დედაშენსა, — გაცეცხლდა ბებია.

— მოვუკვდები! — იღრიალა ციციამ და ისევ ჭოტივით შემოსძახა.

— გაჩუმდი, სასაფლაოზე მაინც არ ვიყოთ, რაი გამღერებს, — ჩამოჰკივლა ბებიამ.

— მკვდრები უნდა გავართო, — აჰკივლა ციციამ, გამგელებული იქნევდა ორთითს. გაჰკიოდა და გამოჰკიოდა.

— გამარჯობათ! — ლობეს მეზობლის ქალი მოადგა, — ციციას შეხედა და გაუცინა, — როგორი ყოჩაღი ყოფილხარ, შენ გეეზარდე დედაშენსა.

— რაიო? — ჩუმად ჩამოსძახა ბებიამ ციციას.

— რაიო და ისაო, შენს უსირცხვილო ბებიას რაი ვუთხრა, თითის ტოლ გოგოს რო გამუშავებს, შენი საცოდაობით აღარ ვარ ქალიო, ადექ და ხვალვე წადი, რას ეჩაგვრინები მაგ ასეთ-ისეთსაო, — აჰკიოდა და აჰკიოდა ციცია, თან ციბრუტივით ტრიალებდა, პირდაპირ მუცელში უმიზნებდა ბებიას, ვიდრე ნახევარზე მეტად აგებული თივა სულ ბზრიალ-ბზრიალით არ წამოვიდა ძირს ბებიასთან ერთად.

მეორე დღეს ციციას მამამ ჩამოაკითხა და წაიყვანა.

— ბაბო, ჩემო ტკბილო ბაბოო, — ტიროდა ციცია, თან სულ ტკბილ-ტკბილ სიტყვებს ჩაჰყვიროდა ყურში. ბებია იმ სიტყვების გახსენებაზე მთელ ზამთარს იცრემლებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სულიკო დიასამიძე

## შენს საჯილდაო ქვას ვერვინ ასწევს!

შენს საჯილდაო ქვას ვერვინ ასწევს,
მხოლოდ და მხოლოდ შენ უნდა ზიდო,
მშობელი მიწის ბატონ-პატრონო,
შენ მისო ხორცო, სისხლო და მკვიდრო.
ლაჟვარდში უნდა სტყორცნო ფიქრები,
გულის ჩანგს სიმად უნდა გაუბა,
ყური მიუგდო ფრთოსანთა ჭიკჭიკს,
ყვავილთა ჩურჩულს, წყაროს საუბარს.
რომ არ დაკარგოს ზეცამ სილურჯე,
რომ არ დაკარგოს მიწამ სიმწვანე,
შენი ქვეყნისთვის უნდა იღვაწო,
მშვიდობისათვის — დედამიწაზე.
კვლავ გაზაფხულის ხმები გვესმოდეს,
ენგურის ტალღა ებრძოდეს გვალვას,
კვლავაც შეესწროს ხალხი მაისებს,
ქვეყნის სიხარულს და წინსვლას მრავალს.
შენს საჯილდაო ქვას ვერვინ ასწევს,
მხოლოდ და მხოლოდ შენ უნდა ზიდო,
მშობელი მიწის ბატონ-პატრონო,
შენ მისო ხორცო, სისხლო და მკვიდრო.

## გაზაფხულის სურათი

გადაბელილი ხეები
იფოთლებიან ახლად
და მძლავრდებიან ტოტები
ატყორცნილები მაღლა.

იღვიძებს მიწა ნაზამთრი,
ყინვისგან დაზაფრული
და ლხენით მოგვესალმება
კეკლუცი გაზაფხული.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ოვანეს კარაიანი

კარგად უთქვამს ჩვენს წინაპარს: — პოეტმა იმ ენაზე უნდა წეროს, რა ენაზეც ლოცულობსო... საქართველოს დედაქალაქში შობილს დედამ სომხური და ქართული ერთად შემასწავლა... დრო გავიდა, დედის ნასწავლი ლოცვები დამავიწყდა, ეს ორი ენა კი სალოცავად გადამექცა...

ენა... მართლაც, რა უსაზღვრო სიდიადეა ენა, როდესაც თითოეული სიტყვა მთელ სამყაროს შეიცავს...

ძვირფასო ქართველო მკითხველო!

ქართულად დაწერილი ლექსების წიგნის „ჩემი ქართულის" შემდეგ შენმა კეთილმა ღიმილმა გამაბედვინა კვლავაც მეთქვა შენთვის დიდი რუსთაველის ენაზე:

— გამარჯობა შენი!..

შენ ალბათ უკვე შეეჩვიე ჩემს თავისებურ კილოს, ბევრ რამეს მაპატიებ და ახლა უფრო კარგად ვამიგებ... მაშ მომისმინე...

## შვილის უკვდავება

ყურდაცქვეტილი მზისფერი შველი
მიმზერს თვალებში,
კოცნის მუშამბას
და ჩვეულებრივ განცდებს მაშორებს.
მას ახლაც, ნიკოს
ღვთაებრივი ფუნჯის ალერსი
აგონდება და გულაჩუყებულს
ტკბილად აჟრჟოლებს...
რა უშავს ახლა —
თუ მოსწყურდება ობლად დარჩენილს —
წამწამებს ესვრის,
ტუჩებს გაუწვდის წმინდა ალიონს.
რა უშავს მართლა —
ხომ შეუძლია თავის გამჩენის
სულის ფერები ფერხთით დაცვენილ
ცვარად დალიოს...
ტკბილად აჟრჟოლებს...
გაშტერებული მიმზერს თვალებში,
უკვირს —
ბუნებას, ჰაუ, რამდენი წყარო ჰქონია...
მიმზერს თვალებში...
ამ სველ წამწამთა თბილი ალერსიც
ალბათ იმ ციურ,

იმ მზიურ ფუნჯის სუნთქვა ჰგონია...
ჰგონია, ისევ ტყის სასწაული —
ნუკრია ნაზი,
გაოგნებული გამოქცევია
ტყვიას ულმობელს,
მან იცის — მორჩა, გაჰქრა წყვდიადი...
ამ ქვეყანაზე
მას ველარავინ,
ველარავინ
წაართმევს მშობელს...
კოცნის მუშამბას...
აქ ხომ უტურფეს ირმების მოდგმას
არ ემუქრება
თვით ულმობელი
დროის დამბაჩაც...
ტკბილად აჟრჟოლებს...
ო, ფიროსმანის ტილოზე დგომა
მას ურჩევნია
იმ შორეული
მინდვრების ფარჩას!..

## კვამლი

მიყვარს კვამლი,
უცებ შორს რომ გამოჩნდება,
ბინდში თეთრად დაირწევა,
ნისლში შავად...
კვამლი — მიწის სევდა, ლხინი და ოცნება,
მიწის ფიქრი,
აღმართული საოცრებად...
გახსოვს რბევა?..
შორს —
ჩამქრალი ძველი კერა...
არსად სახლი...
გაყინული მთა და ველი...
კვამლი ჩვენთვის
იყო ნატვრის ცისარტყელა,
დასტური, რომ
არ ჩამქრალა
ყველაფერი...
მაშინ კვამლი
წმინდა ელვა იყო ბნელში,
სულის სუნთქვა
და სიზმრების გაცოცხლება...
კვამლი იყო
პაპაჩემის ღვთიურ ხელში

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იმ ჩიბუხის წვა და ცეცხლი
    რომლის სუნთქვაც არ დაცხრება!..
კვამლი იყო
    მზისკენ კიბე,
        ჯაჭვის კიბე ერთადერთი,
მის გაჩენას
    დაივიწყებს გული განა?...
ეჰ, უწყალოდ როს ქრებოდა
    სომხის ბედი —
მან პირველმა
    თქვენს მხარეში მოგვიყვანა!..

---

„შრომის ახალი დისციპლინის აგება, ადამიანთა შორის საზოგადოებრივი კავშირის ახალი ფორმების აგება, შრომაში ადამიანთა ჩაბმის ახალი ფორმებისა და ხერხების აგება, — ეს არის მრავალი წლისა და ათეული წლების სამუშაო.
ეს ყველაზე უფრო მადლიანი და უკეთილშობილესი სამუშაოა“.

**ლენინი**

(თხზ., ტ. 30, გვ. 632).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლევან სანიკიძე




## ჯანიშინი

ახლა საჭიროდ მივიჩნიოთ ვახტანგ V შაჰნავაზის ვაჟიშვილთაგან ლ ე ვ ა ნ ი ს ოჯახური „შტოების“ განხილვა.

ლევანს პირველ ცოლად ჰყავდა თ უ თ ა, ქაიხოსრო გურიელის ასული, რომლისგანაც შეეძინა: ქაიხოსრო, ვ ა ხ ტ ა ნ გ ი, დომენტი და ხვარამზე.

თუთა გურიელის სიკვდილის შემდეგ ლევანი ხელმეორედ დაქორწინდა თ ი ნ ა თ ი ნ ზ ე, გიორგი ავალიშვილის ასულზე. ამათ ეყოლათ: იესე, სვიმონი და თეიმურაზი.

ლევანს „მესამე ცოლიც“ (თუ ხარჭა) ჰყოლია, რომლისგანაც წარმოიშვნენ: ადარნასე, კონსტანტინე, ხორაშანი და კიდევ ერთი ასული (სახელი ცნობილი არ არის).

ბოლოს, ლევანს ხარჭისაგან ჰყავდა როსტომი (რომელიც მომავალში იტყვის „თავის სიტყვას“).

მაშ, — ვახტანგი ლევანის მეორე ვაჟი იყო — ქაიხოსროს მომდევნო ძმა.

თვითონ ვახტანგს რუსუდან ჩერქეზი ქალისაგან ჰყავდა ხუთი შვილი — ორი ვაჟი და სამი ქალი: ბაქარი, თამარი, ანუკა, თუთა და გიორგი.

ამათ გარდა, ვახტანგს სამი ხარჭისაგან ცალკეულად ჰყავდა სამი ძე — ვახუშტი (ცნობილი ისტორიკოსი), პაატა და როსტომი.

როგორც ითქვა, 1703 წელს ვახტანგი, მამამისის ლევანის თხოვნითა და შაჰ სულთან ჰუსეინის ბრძანებით, ქართლის მაშინდელმა მეფემ — ერეკლე ნაზარ-ალი-ხანმა იმერეთიდან გადმოიყვანა და საუფლისწულო მიწები დაუბრუნა.

იმავე წელს შაჰმა ერეკლე სპარსეთს გაიწვია და ქართლის მეფედ გიორგი მეთერთმეტე გამოაცხადა. საქართველოში ხომ არც გიორგი გამოუშვა შაჰმა და მის ნაცვლად ქართლის სამმართველოდ „ნაიბად“ ანუ „ჯანიშინად“ (მოადგილედ) ლევანი დანიშნა.

ლევანიც მალე წაიყვანეს სპარსეთს და ქართლის ნამდვილი გამგებელი, გინა „ნამდვილი ჯანიშინი“ იყო ვახტანგი.

ხოლო ლევანის სიკვდილის შემდეგ, 1709-1711 წლებში ვახტანგი ქვეყანას განაგებდა მისი უფროსი ძმის, ქართლის მეფის („ვალის“) ქაიხოსროს ჯანიშინის სახელწოდებით.

---

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ცისკარი“ № 1, 2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახე რომ მთლიანობაში, ვახტანგის „ჯანიშინობა“ გაგრძელდა ცხრა წელიწადი.

ამ დროის გასწვრივ ქართლი დიდი ეროვნული აღორძინების, აღმავლობისა და აყვავების გზას შეუდგა. ვახტანგ „ჯანიშინი“ პირდაპირ „ღვთის წყალობასავით“ მოევლინა ქვეყანას. ეგრეთ წოდებული „საშინაო პოლიტიკის სფეროში“ — ქვეყნის ნივთიერ, სულიერ, სამხედრო, პოლიტიკურ და ზნეობრივ საქმიანობაში — ვახტანგი სწორედ ღირსეული მემკვიდრე გამოდგა დიდი სახელმწიფო და კულტურული მოღვაწეებისა.

ვახტანგი, ჯერ, პიროვნულად იყო მომზადებული ეგზომ მაღალსახელმწიფოებრივი და მაღალკულტურული მოღვაწეობისათვის. იყო იგი „ზნესრული“, „ფრიად მოღვაწე, სამღვდელოთა პატივისმცემელი, ქვრივ-ობოლთა, გლახაკთა მიმცემელი, შემბრალე, ეკლესიათა მაშენებელი, ხატთა და ჯვართა მამკობელი, მოწყალე, ცოდნისმოყვარე, ბრძენი, მხნე და ახოვანი, შვენიერ-ჰაეროვანი, მუშაკი, უხვი და მშვიდი, არამედ მრისხანე. ამან მოიწყო ყოვლითა ქართველნი“.

დიახაც მრავალმხრივი იყო მისი გონებისა და „მუშაკობის“ თვალსაწიერი. იგი არ ყოფილა მხოლოდ „მშრალი გვირგვინოსანი“, არამედ იყო ქვეყნის ჭეშმარიტი განმანათლებელი, დიდი მწიგნობრობის მოთავე და მეცენატმფარველი, თვითონ ფრიად მგრძნობიარე პოეტი, მეცნიერული მუშაობის სულისჩამდგმელი, სამწიგნობრო გამომცემლობის მესაფუძვლე, სამოსამართლო სჯულმდებელი და სახელმწიფოებრივი კანონმყრელი.

ვახტანგი არის დამაარსებელი საქართველოში პირველი სტამბისა, სადაც პირველად დაიბეჭდა „ვეფხისტყაოსანი“, თვითონ ვახტანგის მიერ მეცნიერულად კომენტირებული და რედაქტირებული. აქვე დაიბეჭდა მრავალი სასულიერო-ღვთისმეტყველო და საერო ხასიათის წიგნი; მბეჭდველობითი საქმიანობით ვახტანგმა შექმნა ისეთი განწყობილება, რომ „უმეცარნიცა სამღვდელოთა წერილთა იკითხვიდიან“.

სტამბის შექმნაში ვახტანგს ფასდაუდებელი დახმარება გაუწია რუმინეთში მცხოვრებმა დიდმა ქართველმა მოღვაწემ ა ნ თ ი მ ო ზ ი ვ ე რ ი ე ლ მ ა, დიდმა საეკლესიო რეფორმატორმა, ხუროთმოძღვარმა, მოქანდაკემ, მხატვარმა, ორატორმა, — რომელსაც მანამდე შექმნა სტამბები რუმინულ, ბერძნულ, სლავურ და არაბულ ენებზე.

ვახტანგი პირველი იყო, რომელმაც ხელი მოჰკიდა „ქართლის ცხოვრების“ მეცნიერულ შესწავლას, ხელახალ დამუშავებას, გასწორებას და შევსებას. საამისოდ მან, ბ ე რ ი ე გ ნ ა ტ ა შ ვ ი ლ ი ს მეთაურობით, შექმნა „მეცნიერ კაცთა“ კომისია, რომლის საკვლევაძიებო განზრახულება, სამუშაო განწესება და ჩატარებული მუშაობის შინაარსი წარმოდგენილია ვახტანგისეული „ქართლის ცხოვრების“ წინასიტყვაობაში, ანუ — თავისებურ მეცნიერულ „მანიფესტში“:

„პატიოსანნო და დიდებულნო ქართველნო, ჟამთა ვითარებისაგან „ქართლის ცხოვრება“ განრყუნილ იყო, რომელიმე მწერალთა მიერ და რომელიმე ჟამთა ვითარებისაგან არღარა წერებულ იყო. ხოლო მეექვსემან ვახტანგ, ძემან ლეონისმან და ძმისწულმან სახელოვნის გიორგისმან, შეკრიბნა მეცნიერნი კაცნი და მოიხუნა, საცა რამ „ქართლის ცხოვრებაები“ პოვნა, და კუალად გუჯარნი მცხეთისანი, გელათისანი და მრავალთა ეკლესიათა და დიდებულთანი, და შეამოწმეს, და რომელი განრყუნილ იყო, განმართეს. და სხუაცა წერილი მოიხუნეს, რომელიმე სომეხთა და სპარსთა „ცხოვრებისაგან“ გამოხუნეს და ესრეთ აღწერეს“.

ვახტანგმა ქართლის სამეფო სადარბაზოდან ზედიზედ გააძევა სპარსული ნასუფრალის შემყურე „ანტიქართველი“ თანამემამულენი და მათ ადგილზე დანიშნა ჭეშმარიტი პატრიოტები — გონიერნი, განათლებულნი, მამულისათვის თავდადებულნი, მსგავსნი დიდი მწერლისა და განმანათლებლის ს უ ლ ხ ა ნ-ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ს ა.

საქართველოს „ერთიანი იდეოლოგია“ ისევ ქრისტიანულ სარწმუნოებას ემყარებოდა, „ქრისტიანობა“ და „ქართველობა“ ისევ ერთ მთლიან სულიერ-სხეულებრივ ეროვნულ თვითმყოფობას გულისხმობდა. ეს ყველაზე კარგად ისევ ვახტანგ ჯანიშინმა იცოდა და იმიტომაც „ინება საქართველოს სარწმუნოების განძლიერება“, ქრისტიანული ეკლესიის განწმენდა, განმტკიცება და აღზევება.

1705 წელს საეკლესიო კრება მოიწვია და საქართველოს კათალიკოსად, „მხოლოდ საერო“ ნიკოლოზისა და „უვიცი“ ევდემოსის ნაცვლად, აკურთხა თავისი ძმა დ ო მ ე ნ ტ ი, რუსეთიდან ახლად დაბრუნებული, ფრიად განათლებული და განსწავლული კაცი.

ვახტანგმა აღაშენა და განაახლა მრავალი ტაძარი და ეკლესია, მათ შორის „სიონის გუმბათი და სამხრო და შეამკო ყოვლითურთ სიპატიოსნითა, განაპატიოსნა (მცხეთის) ცხოველისმყოფელი სვეტი და დაასვენა კარსა სვეტისასა ხატი პატიოსანი, შემკული ყოვლითურთ სიპატიოსნითა, შემოავლო სვეტსა ფარდა მძიმისა ზარბაბისა, გამოუცვალა კანკელსა ზევითა სვეტები, თლილისა ქვისა აღაშენა ურბნისის სამრეკლო და გალავანი, განაპატიოსნა შიგნით გარემდი“.

ადრე მეფე ერეკლე პირველმა ქართლიდან გლეხობის დიდი ნაწილი აყარა და კახეთში გადაასახლა. ახლა, 1707 წელს, ვახტანგმა, შაჰის ნებართვით, იგივე გლეხობის აყრა და კა-

ხეთიდან ქართლში უკანვე გადმოსახლება ვააჩადა. ამნაირი „მყრელობა“ ბევრ სიძნელესთან იყო დაკავშირებული (კახელი თავადების უკმაყოფილება, თვითონ გლეხობის ურჩობა, კახელ და ქართლელ ბატონთა „რჩევა“ — მათი სისასტიკისა და ლმობიერების მიხედვით), მაგრამ ეს საქმეც ვახტანგმა თითქმის ბოლომდე მიიყვანა.

გაჰყავდა გზები, აგებდა ხიდებს, სავაჭრო ქარვასლებს, წისქვილებს, წყაროებს („ვახტანგის რუ-ები“), მართავდა წყალსადენებს. „განილო რუ ნახიდურითგან ვიდრე ყისყალამდის“, „განილო რუ ნაგებიდამ ბოლოსა ყარაიისასა“.

აშენებდა ახალ ქალაქებს, დაბებს და სოფლებს, „აღაშენა ხუნანი და სოფლები უშენსა ადგილებსა“.

აშენდა, დამშვენდა და გაიზარდა თვითონ ტფილისი. საქართველოს სატახტოში მაშინ ოცი ათას სულზე მეტი ცხოვრობდა. იყო გაცხოველებული ვაჭრობა, „მრავალრიგეული“ ხელოსნობა — წარმოება საომარი საჭურველისა და სამუშაო იარაღებისა, ოქრო-ვერცხლის სამკაულთა, მუსიკალურ საკრავთა, ქსოვილთა, საოჯახო ჭურჭლეულთა, თოფის წამლისა და ტყვიისა, ცხენთა და აქლემთა მოკაზმულობისა, სალებავებისა, სასმელებისა.

ტფილისს აღაშენა ბრწყინვალე სასახლე — „სახლი პატიოსანი მიჭურიტნისა (სარკეებისა) და ოქროსა ვარაყითა შეთხზულნი. მზემან ამისმან, ამის უშვენიერესი სახლი არც ერანს შიგან მინახავს“ (სეხნია ჩხეიძე მოგვითხრობს).

ვახტანგი შეიქნა დიდი სამართლებრივი (გინა „იურიდიული“) სჯულმდებელი (გინა „კოდიფიკატორი“), რომელმაც „დასწერა წიგნი სამართლისა და მით სჯიდიან მსაჯულნი“.

„ვახტანგის სამართალი“ ეხებოდა ცხოვრების ყოველ მხარეს — საბატონყმო ურთიერთობებს, წოდებრივ მიმართებებს, ქონებას, ნასყიდობას, ვალს, მემკვიდრეობას, ქურდობას, მკვლელობას, ოჯახს, ზნეობას.

ცალკე საკანონმდებლო ძეგლად შეადგინა ვახტანგმა დ ა ს ტ უ რ ლ ა მ ა ლ ი, თავისებური „ახალი ვარიანტი“ ძველი „ხელმწიფის კარის გარიგებისა“, რომელიც განსაზღვრავდა სახელმწიფო „ინსტიტუტების“ გარეგნულ სახეს და შინაგან ხასიათს.

თავისი, ვითარცა ერთპიროვნული მეუფის ხელისუფლების ასამაღლებლად, ვახტანგმა „განაწყვნა სპანი როქითა მცველად თვისად“ გინა — სამეფო „გვარდია“. ეს უნდა ყოფილიყო ჯანიშინის საყრდენი ძალა „თავგანმზიდავი“ ფეოდალების დასათრგუნავად და „დასამშვიდებლად“. „მცველთა ჯარი“ მდიდარი ჯამაგირით ცხოვრობდა და მეფის ერთგულ თავად-აზნაურთა შვილებისაგან ივსებოდა. სათავეში ყულარაღასი ედგა. ჯარი სამ გუნდად იყოფოდა; ყოველ გუნდს უზბაში (ასის მეთაური) სარდლობდა.

და კიდევ — უდიდესი ჰუმანიზმი ვახტანგ ჯანიშინისა — მან „მოშალა ტყვის-ყიდვა“.

ამას კი არ შეურიგდნენ საქართველოს სატახტოში ჩამკვიდრებული სპარსელნი, რომლებიც ქართველი ტყვის ყიდვა-გაყიდვით დიდ შემოსავალს ღებულობდნენ. ასე არ უნდაო, და ვახტანგმაც „დაამდაბლნა თათარნი და უმეტეს ტფილისის ციხის მცველნი, და აღამაღლნა ქართველნი“. ამან სულ გააცოფა „ტფილისელი თათრები“, — ისინი „განდგნენ და დახშნეს კარნი ციხისა და იწყეს სროლა თოფ-ზარბაზანთა“. ვახტანგმა შაჰს „მიანდო“ ამბოხებულ ყიზილბაშთა „მოვლა“. შაჰ სულთან ჰუსეინს ეამა „ერთგული ჯანიშინის თავაზიანობა“ და „წარმოავლინა მტარვალნი“, რომელთაც შეიპყრეს მეამბოხე სპარსელნი, ხელ-ფეხზე ხუნდები დაადეს, ვახტანგის წინაშე მუხლებზე დააჩოქეს, მერმე ერანს წაიყვანეს და ალამუთის ციხეში ჩაჰყარეს.

ქართლში ტყვეთა სყიდვის აკრძალვა ძალაში დარჩა.

ვახტანგის ძალმოსილება და უზენაესობა უკვე ქართლის საზღვრებსაც სცილდებოდა: „ამას მორჩილებდნენ იმერნი, უსმენდნენ კახნი“.

კახეთთან და იმერეთთან „სიახლოვეს“ გულისხმობდა ვახტანგის ორივე ასულის ქორწინება. თამარ ბატონიშვილი მამამ ცოლად შერთო კახეთის მეფის, ერეკლე პირველის უმცროს ძეს — თ ე ი მ უ რ ა ზ ს (შემდგომში მეფე თეიმურაზ II. ეს ქორწინება უაღრესად „იღბლიანი“ გამოდგება თუნდაც იმიტომ, რომ თამარი გახდება დედა სახელოვანი ერეკლე მეორისა). ხოლო თამარის მომდევნო დაი, ანუკა, ვახტანგმა შეაუღლა იმერეთის დიდ ფეოდალს ვ ა ხ უ შ ტ ი ა ბ ა შ ი ძ ე ს.

ორჯერ, 1707 და 1711 წლებში, ვახტანგმა ილაშქრა ოსეთს, დაანგრია ოთხმოცი ციხე, „მოწვა და მოსტყვევნა ურჩნი, ჩავლო ზრამაგა და შემოვლო ჟღელის-ხევი და გარდმოვლო კედელსა ზედა და მოვიდა კუდაროს და კუდაროდამ ქართლს გამარჯვებული“. ერთი სიტყვით, მტკიცედ დაიმკვიდრა, დაიმორჩილა და დახარკა ოსური ტომებით დასახლებული ქართული „ქუეყანა“.

სვეამაღლებულად განაგებდა, უვლიდა და პატრონობდა ქვეყანას ვახტანგ ჯანიშინი. მისი მეოხებით „იქმნა წყალობა და სიმხიარულე“. კვირეული განწესებით განაგებდა ქვეყანას ვახტანგი: „ოთხშაბათსა და პარასკევსა დაჯდის სამდივნოსა სახლსა, განაგებდა სამართალსა მცირეთა და დიდებულთა-თანა, კვირესსა და

ეროვნული

სამშაბათსა განაგებდა მეჯლისსა, ნახევლის ლხინსა, გასცემდის უშურველსა საბოძვარსა და როიცა სამართლისა და ლხინისაგან მოიცალის, ინადირის და გავიდის მოედანსა, აბურთის და ისროდენ ყაბახთა"...

. . . . . .

სწრაფი აღორძინებისა და აყვავების გზას ადგა ქართლი.

მაგრამ ერანის ყაენი?!

ნუთუ ქართლის „მბრძანებელ" სპარსულ სახელმწიფო კარს შეეძლო დაეშვა მისი „ქვეშევრდომის" ეგზომ გამძლავრება?!

ნუთუ ისფაჰანიდან ტფილისამდე ველარ სწვდებოდა თვალი „ღვთაებრივი შაჰისა", გინა „ ალლაჰის ჩრდილისა"?!

დიახაც სწვდებოდა, მაგრამ...

მაგრამ ტფილისისკენ ისფაჰანიდან „ცქერის მოსურნე" შაჰს შუაზე ასვეტილი გიორგი მეთერთმეტის ახოვანი სხეული უხშობდა მზერას.

ვახტანგ ჯანიშინი, სახელოვანი ბიძის განიერ ზურგს ამოფარებული, ერანის ყაენის „ნამალევად", თავისუფლად (გინა „დამოუკიდებლად") მოქმედებდა და ილვწოდა მშობლიურ ქართლში.

მაგრამ, აჰა, 1709 წელი, და დაეცა გიორგი მეფე.

აჰა, კიდევ, 1711 წელი, და დაეცა ქაიხოსრო მეფე...

ახლა რასა იქმს „მბრძანებელი ყაენი"?!

და რასა იქმს ვახტანგ ჯანიშინი?!

## „ერთარსება სამეგისათვის"

„აწ გავათავე ლხინი და
ვთქვა ჭირი შეუწონარი".

ვახტანგ VI

ალბათ ძალიან ბევრს ხიბლავდა „გურჯისტანის ვალის" ტახტი — ბევრ „გათათრებულსა" და „გაუთათრებელს". ხიბლავდა, რამეთუ ვინც იქნებოდა, ქართლი ხომ ქართლად ექნებოდა და, ამასთან ერთად, ქართლის მეფობა ხომ ერანის მთავარსარდლობას და ბეგლარბეგობასაც ითავსებდა!

ერანის მაშინდელი მბრძანებლის, შაჰ სულთან ჰუსეინის ხუშტურა ხასიათის გადამკიდე, ვინ იცის, კიდევ რა მოხდებოდა და ვის ჩაუგდებდნენ ხელში საჯიჯგნად ვახტანგ ჯანიშინის კურთხეული გონებით მოვლილ ქართულ ქვეყანას.

მაგრამ, საბედნიეროდ, მაინც ვახტანგი მოუნიშნავს გიორგი მეთერთმეტისა და ქაიხოსროს მემკვიდრედ ერანის ხელმწიფეს.

1711 წლის 24 დეკემბერს გორში სპარსელი ფაიქები მოიჭრნენ, ვახტანგს შაჰის გამოგზავნილი ხალათი უძღვნეს, მისი სამძიმარიც მოახსენეს (ძმის — ქაიხოსროს სიკვდილის გამო) და ყველაზე უმთავრესიც აუწყეს: ამიერიდან ახლანდელი ქართლის „ჯანიშინი" ქართლის „ვალი" იქნება!

მაგრამ ასეთი „წყალობის" უკან უეჭველად რაღაც „პირობები" იყო ნაგულისხმევი. ამიტომ ვახტანგი აუცილებლად პირადად უნდა ჰხლებოდა შაჰ სულთან ჰუსეინს. იგი გორიდან ტფილისს ჩავიდა და სათათბიროდ შეჰყარა თავისი „წრე". ყველამ ურჩია ისფაჰანს გამგზავრება და შაჰთან პირადი შეხვედრა.

ვახტანგმა ერანის სატახტოში წინასწარ აფრინა თავისი ფაიქი და ყაენს შეუთვალა:

„რადგან შენს სამსახურზე მთელის გვარით ამოვსწყდი, მინდა გეახლო მეცა და მოვიკლა თავი ჩემი შენთვის "

ამ სიმწრით ნათქვამ ტკბილ სიტყვაში შაჰმა მხოლოდ „სიტკბოება" ამოიკითხა და აღტაცებულმა მაშინვე მეჰმანდარი გამოუგზავნა ვახტანგს, მიწვევითა და „წყალობის რაყამით".

ვახტანგმა ცოლ-შვილი გორში დატოვა, ქართლის გამგებლობა, სპარსეთიდან დაბრუნებამდე, თავის ძმას (ნახევარ-ძმას) ს ვ ი მ ო ნ ს დაავალა და სამგზავროდ გაემზადა.

1712 წლის 28 თებერვალს ვახტანგი, „დიდითა პატივითა და ხარჯითა", ტფილისიდან გავიდა და სპარსეთისკენ მიმავალ გზას შეუდგა.

. . . . . .

მაშ, ისევ შესდგომიან ქართველები ერანულ „შაჰ რას".

ეს მერამდენედ?!

„მილიონ ერთ?!"

და მაინც, რას მოუტანს საქართველოს ბოლოს და ბოლოს ეს გაუთავებელი „მი-მოსვლანი" ერან-„გურჯისტანის" გზებზე?!

სწორედ ეს „მარად პასუხგაუცემელი", კაეშნით გატენილი კითხვა ტრიალებს ვინმე გ ე რ მ ა ნ ე მ ღ ვ დ ლ ი ს მინაწერში:

„მეფე ვახტანგ წაბძანდა ისპაანს ყეენთან. ვნახოთ, ღმერთი რას მოწყალებას მოუვლენს საქართველოს..."

ვნახოთ ჩვენც, კეთილო მკითხველო!

. . . . . .

ამალად, „მცირედი და დიდი", მიჰყვებოდა სამასი ქართველი.

მაგრამ მათ შორის „ყველაზე დიდი" მაინც იყო სულხან-საბა ორბელიანი...

. . . . . .

22 აპრილს უკვე ისფაჰანს იყვნენ.

დილის ამბით შეეგება შაჰ სულთან ჰუსეინი ვახტანგს და მის მხლებლებს.

კარგა ხანს ვერ დაითრგუნა განცვიფრება:

როგორები არიან ეს ქართველები, — ყოველთვის ერთიმეორეზე უკეთესნი, თვალტანადნი, ნიჭიერნი, მამაცნი...

ასეთები არიან... თითქოს, მთელი ქვეყნის გამოსაჯავრებლად!..

ვახტანგი პირველ შეხვედრისთანავე „პატივცემულ იქმნა დიდითა პატივითა ყეენისაგან და შეუვარებულ ფრიად ყეენისაგან სიკეთისა მისისათვის“.

მერე დიდი მეჯლიში გაუმართა შაჰმა ქართველებს. ვახტანგი ღვინის სმაში გაიჯიბრა ჰუსეინმა. „სვეს ხუთსა საათსა“. ბოლოს შაჰმა თავი „დამარცხებულად სცნო“ და „გამარჯვებულ“ სტუმარს „უბოძა თასი მურასა“.

მიიყამა რამდენიმე დღე.

ჯერ ისევ არ უთქვამს ყაენს „რაიმე საპოლიტიკო“.

ვახტანგი ელოდა კამეჩური მოთმინებით.

ერთხელ გვიან ღამით „დაიძახა“ მასპინძელმა სტუმარი.

ვახტანგმა იფიქრა, ალბათ ახლა მეტყვის სათქმელსო, და სასწრაფოდ წავიდა.

შევიდა და ნახა შაჰი „თალარსა შვენიერსა“, სანადიმოდ გაწყობილ სუფრასთან. შემოეგება ქართველ სტუმარს „მხიარულისა პირითა. უბრძანა წყალობისა სიტყვები, დაალევინა აზარფეშა დიდი, თქვენმა მზემა, ჩავიდოდა ღვინო ლიტრა ერთი“. ვახტანგმაც „შესვა უტყუვრათ“.

ნადიმს ესწრებოდნენ: ზაზა ავალიშვილი, მოლარეთუხუცესი და ისტორიკოსი სეხნია ჩხეიძე, ბაგრატ ციციშვილი და მდივანი გიორგი.

ინადიმეს, იქეიფეს, წამოსვლისას შაჰმა ვახტანგს „უბოძა ოთხასი თუმანი“, მაგრამ „საპოლიტიკო რაიმე“ არც იმ ღამეს არ თქმულა.

ბოლოს და ბოლოს, მაინც ხომ უნდა თქმულიყო და ითქვა კიდეც.

ვახტანგ ლევანის ძე უცვლელად ღებულობს მისი უფროსი ძმის ქაიხოსროს მემკვიდრეობას — მეფობა ქართლისა, მთავარსარდლობა ერანისა, ბეგლარბეგობა თავრიზისა და ბარდისა, მაგრამ „გურჯისტანის“ ახალმა მბრძანებელმა წინასწარ უნდა განაგდოს ქრისტიანობა და მოინათლოს მაჰმადიანად!

აქ თითქოს მოულოდნელი და გასაოცარი არაფერი უნდა ყოფილიყო, რადგან აქი ვახტანგის გამეფებამდე ქართლში შვიდი მეფე იყო ზედიზედ „გათათრებული ქართველი“ (ბაგრატ VII, სვიმონ II, როსტომი, ვახტანგ V, ერეკლე I, გიორგი XI და ქაიხოსრო).

მაგრამ ვახტანგის „ქრისტიანობა“ და „ქართველობა“ თითქოს უფრო ძირმტკიცე გამოდგა. ანდა უფრო სრულად რომ ვთქვათ, — ქართლის მეფობა, ქრისტიანობა და ქართველობა ვახტანგს განუყოფელ „ერთარსება სამებად“ მიაჩნდა.

თვითონვე პირდაპირ ამბობდა ვახტანგი: „თუ მეფეს მეფობა შეეძლოს, ქნას, თუ არა მეფობის უქნელობა სჯობს და ხელი აიღოსო“.

უეჭველად ამ ნააზრევის შინაარსი სწორედ ეს იყო: ნამდვილი მეფობა ამ განუყოფელი „ერთარსება სამსახოვანის“ ხორცშესხმა არისო, ხოლო უკეთუ ერთ-ერთი (ვთქვათ — „ქრისტიანობა“) განეკვეთება, მაშინ ამნაირ „განკვეთილ მეფობას“ სჯობია სულაც ხელი აიღო მეფობაზეო!

და ვახტანგმა ცივი უარი სთქვა ქრისტიანობის დათმობაზე და მაჰმადიანობის მიღებაზე, გინა — „გათათრებაზე“.

მან პირდაპირ უთხრა შაჰს: მე თქვენთან იმიტომ მოვედი, რომ მტრებმა ქართლს ვერაფერი დააკლონ და ვერცა შეარყიონ; ამისთვის მე ქრისტიანი მოველ და ქრისტიანად უნდა დავრჩე, ხოლო უკეთუ ქართლის პატრონად აუცილებლად გამაჰმადიანებული ქართველი უნდა იქნას, აი, ჩემი ძმები გამაჰმადიანებულნი არიან (იესეს და სვიმონს გულისხმობდა. უმცროსი ძმა თეიმურაზი უკვე მკვდარი იყო) და რომელიმე მათგანი დასვი ქართლის ტახტზეო!

შაჰს ძალიან მოეწონა ქართველის ეგზომი სიმტკიცე და „ინება წარმოვლინება ვახტანგისა სჯულითავე თვისითა“. მაგრამ არ დაანებეს შაჰს მისმა მრჩევლებმა, ქართველთა მოძულე და მოქიშპე ერანელმა კარისკაცებმა. გამორჩევით, უკვე ეთიმადოვლეს (პირველი ვეზირის) „სახელოში გამძვრალი“ ფათჰ-ალი-ხანი ჩასჩიჩინებდა შაჰს: როგორ იქნება, ჩვენს სამფლობელო გურჯისტანში თქვენს „ნაცვალად“ („ვალი“) ქრისტიანი დასვათო!

ძნელი არ იყო „ლობიოს ხასიათის“ მქონე ყაენის დაყოლიება და დაიყოლიეს კიდეც — არ გაეშვა ქართლის ბატონად ქრისტიანი ვახტანგი.

ისევ შეუჩნდა შაჰი ვახტანგს, შედექი მაჰმადის სჯულზეო. ვახტანგი ისევ უარზე იდგა.

ისფაჰანში ფრანგი მისიონერი, პ ი ე რ ი ს უ დ ე ნ ი შეხვედრია და იმისთვის უთქვამს ვახტანგს: ნაკუწებად რომ მაქციონ, ქრისტეს სჯულს მაინც არ ვუღალატებ და მაჰმადიანად არ მოვიქცევიო. თვითონ ისუდენს ეჭვი ეპარებოდა, და ასედაც სწერდა იგი თავისი ქვეყნის ელჩს სტამბოლში: ძნელია, ბოლომდე გაუძლოს ვახტანგმა და სპარსელებმა მაჰმადიანობა არ მიაღებინონო; ბოლოს და ბოლოს ვახტანგიც თავისი პაპის (ვახტანგ V „შაჰნავაზი“), მამის (ლევან „შაჰ-ყული-ხანი“), ბიძისა (გიორგი XI „შაჰნავაზ II“) და ძმების (ქაიხოსრო „ხოსრო-ხანი“ და იესე „ალი-ყული-ხანი“) კვალს გაჰყვებაო (მათ მსგავსად „გათათრდებაო“).

ამოძრავდნენ ვახტანგის მეტოქეებიც. იესემ თავი ვერ შეიკავა და ძმის „გასაკაწრავად“ ავი

ბრჭყალი გამოაჩინა. მან შაჰს ჩააგონა: იმის გამო, რომ ვახტანგმა ტფილისში სპარსული ციხიონი მოსპო, ქართლის სატახტოში ხშირი უწესრიგობა ხდება, ქრისტიანები მაჰმადიანებს ავიწროებენ, ყოველგვარ მაჰმადიანურს აბუჩად იგდებენო; ჯერ კიდევ ვახტანგის ჟამს ტფილისელმა ქართველებმა ყურანიც კი დასწვესო.

აღშფოთებულმა შაჰმა ტფილისში მაშინვე აფრინა ვინმე ხ ო ლ ო ფ ა, რომელსაც საიდუმლოდ უბრძანა, — თუ ყურანის დაწვა მართალი აღმოჩნდება, მაშინ ქართლის გამგებლად შენ თვითონ დარჩი, ხოლო სვიმონი სპარსეთს გამოგზავნეო.

ტფილისში ჩამოსვლისთანავე ხოლოფას შეხვდნენ და შეეთქვნენ თვითონ სვიმონი და არაგვის ერისთავნი — გიორგი და დათუნა. ამათ ვახტანგი არ უყვარდათ, განსაკუთრებით მას შემდგომ, რაც ვახტანგმა ოხეთი დაიპყრო, არაგვის საერისთაოს ზურგში მოექცა და, მასთან, „მუდმივი ჯარის“ შექმნით, საარაგვოს წართმევის საფრთხე შეუქმნა გულმგავაიან ერისთავებს.

ერთი სიტყვით, ხოლოფამ „დამწვარი ყურანისა“ ვერაფერი შეიტყო, მაგრამ სვიმონი და არაგვის ერისთავები სპარსეთის „ემისარს“ შეეთქვნენ და შაჰს მისწერეს: „არა გვნებავს ვახტანგ, არამედ მოგვივლინე იესე“!

უცებ, საოცარი ის შეიქნა, რომ „ურჯულო თათართან“ შეკრული ფეოდალების განზრახვას ვახტანგის წინააღმდეგ დასტური დასცა ქართლის მღვდელმთავრობამ, თვითონ ვახტანგის ღვიძლი ძმისა და მისგანვე დანიშნული დომენტი კათალიკოსის მეთაურობით.

ის წერილი ახალი მისული თუ იქნებოდა ისფაჰანში, რომ სავსებით მოულოდნელი ამბავი გავარდა სპარსეთსა და საქართველოში:

ქართლის სამეფო ტახტს ითხოვდა თვითონ კათალიკოსი დომენტი!

იგი შაჰს სწერდა: ოღონდ ქართლის მეფობა მომეცითო და კათალიკოსობას თავს დავანებებო, ანაფორას გავიხდიო, ქრისტიანობას განვაგდებო და ისლამის სჯულს მივიღებო, ცოლსაც შევირთავო (ერეკლე პირველის ასული უნდოდა ცოლად), ყოველწლიურ ხარკს გამოგიგზავნითო, დიდი რაოდენობით ქართველ ტყვეებს მოგართმევთო, ვახტანგის ცოლ-შვილსაც ქართველ დიდებულებთან ერთად გაახლებთო.

შეუთვალა და სპარსული ციხიონისკენ გაიწია, „სპარსული შემწეობის“ საძებრად.

ყაენს ძალიან მოეწონა დომენტის „სამეფო ცუნდრუკი“. წერილიც გამოუგზავნა, საჩუქრებიც, ქართლში გამეფების აღთქმაც, მაგრამ...

სვიმონმა მღვდელმთავრის თავვასულობა დროზე აწონ-დაწონა, დაასწრო და შეიპყრო კათალიკოსი.

შეიპყრო და გორში ვახტანგის ძეს — ბაქარს გაუგზავნა, „რათა აღმოხადოს თვალნი“.

დედამ — რუსუდან დედოფალმა არ დაანება ბაქარს კათალიკოსისთვის თვალები დაეთხარა.

ამასობაში შაჰ სულთან ჰუსეინმაც გადაწყვიტა, როგორც იქნა.

გადაწყვიტა ისე, როგორც მისი ლაყეთავიანი კარისკაცები ურჩევდნენ: ქართლის მეფედ მან გამოაცხადა · კარგა ხნის გათათრებული იესე ბატონიშვილი, თათრული სახელით — „ალი-ყული-ხანი“, ხოლო „ქრისტიანობაზე გაჯიუტებულ“ ვახტანგს მიუსაჯა ქირმანს გადასახლება!

ყაენის ამნაირ გადაწყვეტილებას უეჭველად იმანაც შეუწყო ხელი, რომ იესე ალი-ყულიხანმა წინასწარ პირობა დასდო — გაგზავნიდა სპარსეთში ვახტანგის ცოლ-შვილსა და ხუთას ქართველს ფარაბადში დასასახლებლად.

. . . . . .

იმავე 1714 წელს ყიზილბაშურ ერანს აღმოსავლეთიდან ისევ წამოემართა ავღანური საფრთხე.

ერანის მესვეურებმა ისევ მიაპყრეს მავედრებელი მზერა „სპარსელ ქართველებს“.

ხოლო ქართველებმა (როგორც ამას გვაუწყებს ინგლისელი ჰანვეი) ყაენს ეს შეუთვალეს: ყოველი მარცხი, რაც კი ავღანელთაგან სპარსეთს უგემნია, არის მხოლოდ ყიზილბაშთა ლაჩრობისა და უნიჭობის შედეგი. ამიტომ ჩვენ საომრად წავალთ და ავღანელებს კიდევაც გავანადგურებთ, უკეთუ ჯარი მხოლოდ ქართველებისგან შეიყრება და საომარი ხარჯებიც საკმარისად და დროისად გაიცემაო!

ქართველთა სიტყვა მეხივით გავარდა ისფაჰანის სასახლეში.

ქართველები ცალკე, ყიზილბაშთაგან განკერძოებით ითხოვენ ჯარის შეყრას და საომრად გასვლას?!

ეჭვი არ არის, მართლაც გაიმარჯვებენ ქართველები ავღანელებზე (აკი თვითონ ამბობენ ავღანელნი: ყიზილბაშები ჩვენთან დიაცები არიან, ხოლო ჩვენ დიაცები ვართ ქართველებთანო!), მაგრამ შემდგომ როგორ მოიქცევიან ქართველები?!

ვინ დაგვარწმუნებს, რომ ავღანთა მძლეველი ქართველები ავღანელებზე „უფრო დიაც“ ყიზილბაშებს არ დაერევიან და „თავის მბრძანებელ“ სპარსეთს „თავის საყმო“ ქვეყნად არ გადააქცევენ?!

არა!

უმჯობესია გვეშინოდეს ავღანელებისა, ვიდრე გვემუქრებოდეს უეჭველი უღელი აღზევებული ქართველებისა!

## „მუდამ განდგომილი“

მაშ ასე — წელი 1714.

„გაათახსირეს ბატონიშვილი ვახტანგ... მისცეს ძმასა მისსა ალი-ყული-ხანს ქართლის ბატონობა და ბატონიშვილი ვახტანგ გაგზავნეს ქირმანსა. უკუყარეს ქართველნი, აახლეს მეფეს იესეს“.

სპარსეთიდან საქართველოში მომავალ რენეგატს შიმშილობა და „ცის დამაბნელებელი“ კალია მოსდევდა კვალდაკვალ.

ვახტანგის მეუღლემ, დედოფალმა რუსუდანმა ქმრის „გათახსირებისა“ და იესეს გამეფების ამბავი რომ შეიტყო, მაშინვე შვილებით გორიდან აიყარა და რაჭას გადავიდა თავშესაფარებლად.

სვიმონ ბატონიშვილი „გატეხილ ხიდთან“ შეეგება ახლად გამეფებულ უფროს ძმას. „შეიქნა მისალმება, როგორიც წინათ ყოფილიყო, გადაეხვივნენ ძმები ერთმანეთსა, შექმნეს ლხინი და უკუყრა, გაცემა საბოძვრისა“.

მოვიდა ტფილისში ახალი მეფე — იესე ალი-ყული-ხანი, ლევანის ძე მეორე ცოლისაგან — თინათინ ავალიშვილის ქალისაგან.

მამაცი ვაჟკაცი იყო, — ზევრჯერაც დაამტკიცა, გამორჩევით ავღანელებთან ბრძოლებში, მაგრამ ბოლოს აკი იქაც სძლია მისმა მუხანათურმა ბუნებამ და გადამწყვეტ ჟამს მიატოვა ძმა, ქაიხოსრო, საბედისწერო შეტაკებაში.

იყო ბოროტი, ცბიერი, მზაკვარი და ქვეგამხედვარი.

თვითონ ვახტანგი იტყოდა მასზე — „მუდამ განდგომილი მტერი და ეშმაკთაო“.

„იყო ფრიად მიქცეული მაჰმადიანობისა ზედა... მშვებელი და განმცხრომელი უწესოებითა ყრმათა თანა და უგვანთა მღერათა“.

მოსვლისთანავე დომენტი კათალიკოსი ეწვია და მეფობა მიულოცა. თავის მხრივ, „იესემ პატივსცა და დაადგინა კვალად კათალიკოზად“.

ვახტანგი ჯერ კიდევ ისფაჰანს იყო, როცა შაჰ სულთან ჰუსეინს იესე ალი-ყული-ხანის წერილი მიუვიდა: სანამ ვახტანგი შენს წინაშე არის, ქართლში თქვენი ღვთაებრივი ბრძანებების აღსრულება ძალიან გაჭირდება, ამიტომ გეაჯები, ვახტანგი წარავლინო პატიმრად ქირმანსო.

„ლომბიო-ყაენმაც“ თავისი ქვეშევრდომის თხოვნა ნაბრძანებივით შეასრულა და ვახტანგი „პატივით“ წარგზავნა ქირმანს

იესე ალი-ყული-ხანის შემდგომი „ღონისძიება“ ის გახლდათ, რომ მან ცოლად შეირთო ერასტი ყაფლანიშვილ-ორბელიანის ასული მ ა რ ი ა მ ი, სულხან-საბა ორბელიანის ძმისწული. აქ „საუცნაურო“ თითქოს არაფერი უნდა ყოფილიყო, მაგრამ იესეს მერე „გაახსენდა“, რომ მას მარიამის შერთვამდე დანიშნული ჰყავდა — მეფე ერეკლე პირველის ასული ე ლ ე ნ ე-ბ ე გ უ მ. ეს „უხერხულობა“ რომ წაეშალა, იესემ მარიამზე ქორწინებიდან მცირე ხნის შემდგომ ხელმეორედ იქორწინა ელენე-ბეგუმზე. ქორწილი გადაიხადა მარტყოფს, „ხევსა ნორიოსასა“. რვა დღე-ღამე გაგრძელდა ლხინობა, „სიმხიარულე, გამომჩვენება დიდი... ჩირახუანი, ბურთაობა და ფარჩათა ხევა“... ხალხში ლექსიც გამოთქმულა „იასე ნეფის“ საქორწინო ლხინის „უკვდავსაყოფად“:

> იასე ნეფე მობრძანდა, დადგა ქალაქის
> პირსაო,
> სასახლეები დამართა, საჩრდილობელი
> მზისაო,
> ზედ ნადირი გამოსახა: ნუკრი, ირემი,
> შვლისაო,
> ბეგუმ დედოფალს თხოულობს, ნეფის
> ერეკლეს ქალსაო,
> ორშაბათს ქორწილს აპირებს, ქართველთ
> უქადის ლხინსაო...

აღშფოთდნენ სამღვდელონი იესეს მრავალცოლიანობისათვის. გამორჩევით ჰკიცხავდა ი ო ა ნ ე ს ა ა კ ა ძ ე, გარეჯის ბერთუხნის წინამძღვარი. იესეს სიცილადაც არ ჰყოფნიდა „წმინდა მამების“ ახირებული „ქრისტიანული ფაფხური“. მე მაჰმადიანი ვარ და მრავალცოლიანობა კიდევაც მეკუთვნის, კიდევაც შემერგებაო! — ამბობდა იგი აგდებულად.

მის დროს ლეკებმა შემოუტიეს კახურ მიწა-წყალს და კახეთის მაშინდელმა ბატონმა დავით ერეკლეს ძე იმამ-ყული-ხანმა შემწეობა სთხოვა „მისებრ გათათრებულ“ სიძეს.

იესემ გაგზავნა ქვემოქართლელთა ჯარი, სპასპეტ ლუარსაბ ორბელიშვილის სარდლობით.

ბრძოლა მოხდა „წინა მინდორსა, დაუმარცხდა ქართველთა, მოვიდნენ დამარცხებულნი“.

მეორედ იესემ ზემოქართლელები გაგზავნა ა ვ თ ა ნ დ ი ლ ა მ ი ლ ა ხ ო რ ი ს სარდლობით კახელთა საშველად, მაგრამ ამილახორიც უკანვე „მოიქცა უქმი“.

მეორე წელიწადი მიდიოდა იესე ალი-ყული-ხანის ბატონობისა და უკვე ყელში ამოსვლოდა ქართლელ ხალხს ამ „გადარჯულებული“ რენეგატის „თათრული მეფობა“. არავინ არ თვლიდა იესე ალი-ყული-ხანს „მუდმივ მეფედ“; იგი „დროებით ბოროტებად“ იყო მიჩნეული, ხოლო „ნამდვილ“ და „მუდმივ“ საჭეთმპყრობლად ისევ ვახტანგი ეგულებოდა ხალხს, ჯარს, ერსა და ბერს.

იესეს საწინააღმდეგო მოძრაობა ქართლში მისი მოსვლის დღიდანვე დაიწყო. ამ „მოძრაობის“ მეთაური იყო ვახტანგის უფროსი ვაჟი ბ ა ქ ა რ ი.

---

ლევან სანიკიძე
უქარქაშო ხმლები

ეროვნული

## მამა და შვილი — მეფე და ჯანიშინი

ყველამ — მტერმა და მოყვარემ — ერთნაირად იცოდა, რომ იესეს მეფობის დღეები დათვლილი იყო.

ერანის შაჰიც მიხვდა, რომ იესეს „უსაქციელობამ“ ქართლი სახიფათო აჯანყების კერად აქცია და საჭირო იყო მისი თავიდან მოცილება. ესეც კარგად იცოდა შაჰ სულთან ჰუსეინმა — ქართველებს მხოლოდ ვახტანგის ხელმწიფობა „ესურვებოდათ“ და „ენატრებოდათ“. ამასთან, — აღმოსავლეთით „გათავხედებულ“ ავღანთა ასალაგმავად ისევ სჭირდებოდა ერანის მბრძანებელს ქართული ხმალი და ქართული მკლავი. ხოლო, ვახტანგი ნიჭიერ და მამაც მხედართმთავრად ეგულებოდა მაშინ ყველას — ქართველსაც, სპარსელსაც, სომეხსაც, ლეკსაც და ავღანელსაც.

მაშ, ისევ „ძლიერად“ დადგა „ვახტანგის საკითხი“ ერანის პოლიტიკურ წრეწირში.

ვახტანგიც მიმხვდარა, რომ „სხვა ჟამი“ დამდგარიყო და მარტო ქრისტეს სჯულისთვის გაკერპებით და „თავგადაკვდომით“ ხელმწიფედ მოწოდებული კაცი თავის ქვეყნისთვის ბევრს ვერაფერს გააკეთებდა.

მისი დროის ყველა კანონიერმა და უკანონო უფლისწულმა ქართლის და კახეთის მეფობა მხოლოდ „გათათრების“ გზით მოიპოვა. მაგრამ მთავარი აქ შინაგანი სინდისი ყოფილა და სხვა არაფერი. აკი ყველაზე დიდი „გათათრებული“ ხელმწიფეები — ვახტანგ მეხუთე, არჩილ მეორე, გიორგი მეთერთმეტე და ქაიხოსრო — ყველაზე „საქმიანი ქრისტიანები“ და ჭეშმარიტი მამულიშვილები გამოდგნენ!

ესეც არ იყოს, სულხან-საბა ორბელიანის „ევროპული კალმასობის“ შემდგომ, საქართველოს დახსნის „ევროპულმა გზამ“ საბოლოოდ შეირცხვინა თავი ვახტანგის თვალში.

. . . . . .

ყაენმა ქირმანიდან ისფაჰანს გაიწვია ვახტანგი, დიდი „სიყვარულით“ მიიღო და ერთად მიართვა მეფობა ქართლისა, მთავარსარდლობა სპარსეთისა და საბეგლარბეგოდ დაუმატა თავრიზი და ბარდა. „თათრობაც“ მიიღო ვახტანგმა და თათრული სახელიც — „ჰუსეინ-ყულიხან“. მაგრამ მისი „თათრობა“ იყო მხოლოდ გარეგნული, მოჩვენებითი — „მხოლოდ სიტყვით და არა საქმითაც“...

შაჰისთვის ვახტანგის „ფორმალური მუსლიმანობა“ სავსებით საკმარისი იყო და „მისცა პატივი და უშურველი წყალობა“ თავის ახალ დიდ „ქართულ იმედს“ — მეფეს, სპასალარსა და ბეგლარბეგს.

სპარსეთის „გვარდიის“ ყულარაღასობა და ქირმანის ბეგლარბეგობა შაჰმა მისცა როსტომს, ვახტანგის ნახევარძმას ([illegible] რჩისგან შესძენოდა ლევანს).

. . . . . .

1716 წელი იყო.

მეფობას იწყებდა ვახტანგ მეექვსე (1716-1737).

მაგრამ ქართლის მეფე ჯერ ქართლში ვერ წაბრძანდებოდა. ჯერ მას „აღმოსავლურ-ერანული საქმეები“ უნდა მოეწესრიგებინა! ხოლო ქართლს ჯანიშინის მეოხებით გასძღოლოდა.

ყაენმა ქართლის ახალ ჯანიშინად, ანუ ვახტანგის მოადგილედ დანიშნა მისი ძე ბაქარი.

ვახტანგის და ბაქარის აღზევება საფრანგეთის კონსულმა ანჟე დე გარდანმა ასე ჩაიწერა: „ის (ვახტანგი) დანიშნეს სპარსეთის ჯარების გენერალისიმუსად, ხოლო მისი შვილი საქართველოს მეფედ“...

ვახტანგი მხოლოდ თავრიზს მოვიდა, თავის საბეგლარბეგოში. აქ ჯარიც უნდა შეეკრიბა ხორასანს სალაშქროდ და ქართლის საქმეებსაც გადმოსწვდომოდა....

ვახტანგის ოჯახი, როგორც მკითხველს ახსოვს, იესეს შიშით, რაჭას აფარებდა თავს. ბაქარმა სწორედ იქ მიიღო შაჰის რაყამი და იქვე ეწვია „მტარვალიც“, რომელსაც ვახტანგის ბრძანებით უნდა შეეპყრო იესე. მაშინვე წამოემართა რაჭიდან ბაქარი და მოვიდა მცხეთას.

იესე მაშინ კოჯორს იყო. ტფილისში „მომხრველი ჟამი“ მძვინვარებდა და სატახტოში შესვლას ვერა ბედავდა. ახლა ვახტანგის გამეფების, ბაქარის ჩამოსვლის და მისი შეპყრობის განზრახვა რომ შეიტყო, კოჯრიდან კახეთს გაიქცა და დავით ერეკლეს ძე იმამ-ყული-ხანს შეაფარა თავი.

შაჰის „მტარვალი“ კახეთს მივიდა და იესე მოითხოვა, მაგრამ დავით იმამ-ყული-ხანმა არ გასცა მისებრ „გულწრფელად გათათრებული“ ქართველი .

ბაქარმა მამას შეუთვალა კახთა ბატონის „თვითნებობის“ ამბავი, ვახტანგმა ყაენს მოახსენა, ხოლო ყაენი „განრისხნა და წარმოავლინა მურდარი თვისი, ესე მოვიდა, შეიპყრა იესე, მოიყვანა და მოსცა ბაქარს“.

ბაქარმა ტფილისის ციხეში ჩააგდო გაბოროტებული ბიძა.

ისევ მამის ბრძანებით, დანარჩენ მოღალატეებს მისდგა ბაქარ ვახტანგის ძე.

ჯერ სპასპეტი ლუარსაბ ორბელიშვილი შეიპყრო და სასიკვდილოდ დაიღო, მაგრამ დედამისმა, დედოფალმა რუსუდანმა აალებინა ხელი.

ერეკლე მუხრანბატონს თვალები დასთხარა ბაქარმა და სამუხრანბატონო ლევან პაპუას ძეს მისცა.

პაპუნა დიასამიძე დაახრჩო.

სხვა ორგულნი და მოღალატენი ექსორიაჰყო ჯანიშინმა.

. . . . . .

კოჭრის სასახლეში იდგა ბაქარი.

საზაფხულო თალარში სუფრა გაეშალა ჯანიშინს, ერთგულ წარჩინებულთა საპატივცემულოდ.

ერანის შაჰს ძღვენი გამოეგზავნა ქართლის გამგებლისთვის — ძვირფასი ხალათი, ორი ლომი და ერთი ვეფხვი.

წამოდგა ბაქარი, ჩაეგება, მეწინავე ლომს ყანყრატოში ხელი შეავლო და შუბლზე აკოცა.

ყველა გაშრა — კაციც და მხეციც...

. . . . . .

შიკრიკები მოიჭრნენ, აქაფებულ ცხენებზე ამხედრებულნი.

რვა ათასი ჭარელი ლეკი შემოიჭრა ქართლის მიწაზე, აუოხრებიათ „ბოლნისი და ქციისხევნი თავ-მარგვალამდე".

ეს პირველი შემთხვევა იყო ქართლის მიწაზე ლეკთა შემოჭრისა.

სასწრაფოდ ბიძა, სვიმონი იხმო ბაქარმა.

სვიმონი მგლოვიარედ იყო მაშინ — ცოლშვილი და მსახურეულნი სრულიად ამოსწყვეტოდა ტფილისში მოთარეში „მომსრველი ჟამით".

მაინც მოვიდა იგი საომრად მოკაზმული. ხამასი მხედრით გაჭქუსლა და სოფელ ნაზარასთან მიუხდა მოთარეშე ლეკებს.

როცა ქართველთა სიმცირე შეიცნეს შემობრუნდნენ და გარს შემოერტყნენ ლეკები ანაზდაითად მოვარდნილ მტრებს.

ქართველებმა თოფები დაახალეს და ხმალამართულებმა ცხენები გააქანეს.

ლეკები მოიერიშე მოპირდაპირეს შეუდრკნენ და გაექცნენ.

სდიეს ქართველებმა და „სრვიდიან, ვითარცა ნადირსა".

მალე შემობრუნდნენ და წამოვიდნენ, გამარჯვებაში დაჯერებულნი.

გულხალვათად მოდიოდნენ, უზრუნველად, ნაწყვეტ-ნაწყვეტად, თითო-ოროლად...

უეცრად წამოეპარნენ და წამოესივნენ ლეკები, ხელახლად შეყრილნი ათასეულებად.

წამოესივნენ „და მოსრნეს ქართველნი და აოტნეს სრულიად".

მარნეულის გორამდე მოსდიეს და უკუიქცნენ.

ყარაიას ველზე რომ გავიდნენ, საშინელი სიცხე დაეცხრათ თავზე მტაცებლებს. ბევრი აზრაგი ჩაწყდა უსაშველო ალმურისა და წყურვილისაგან..

. . . . . .

ვახტანგ მეფემ სთხოვა შაჰს, — სანამ მე თქვენის ბრძანებისამებრ სპარსეთს ვიმყოფები, მანამ ჩემს შვილს, ბაქარს, აგრეთვე „მეფე" ერქვასო.

დათანხმდა „გულმოწყალე" ჰუსეინი.

1717 წლის 1 აგვისტოს ბაქარმა სპარსეთის შაჰისაგან ახალი წყალობა მიიღო: „საქართველოს ბატონობა" („მეფობა"), თაჯი, თომარი, ხმალი მურასა, ხანჯალი მურასა, მარგალიტითა და თვლით შემკული საბუხარი, სურა და თასი ოქროსი, ყალიონი მურასა ოქროთ შეკაზმული, ცხენი ბედაური".

მაგრამ ახალი სახელიც „შემოეპარებინა" ძღვენთან ერთად ერანის ხელმწიფეს — თათრული სახელი — შაჰ-ნავაზ-ხან II (შაჰ-ნავაზ „პირველად" ვახტანგ მეხუთე იგულისხმებოდა).

რა გაეწყობოდა, — მიჰყვა მაჰმადიანთა სჯულიერებას, მაგრამ მიჰყვა „წესისა და ადათის დაუცველად".

. . . . . .

იმჟამად „მეფე" ბაქარმა დ ა თ უ ნ ა ქსნის ერისთავს სახლთუხუცესობა ჩამოართვა და ე დ ი შ ე რ ც ი ც ი შ ვ ი ლ ს მისცა. დათუნამ ეს „შეურაცხება" იტკიცა და გადაუდგა ჯანიშინს.

ბაქარმა თავისი ძმა ვ ა ხ უ შ ტ ი (შემდგომში — სახელოვანი ისტორიკოსი) გაგზავნა ქსანზე.

ვახუშტის ბრძოლა აღარ დასჭირვებია, ისე უსისხლოდ დაუბრუნა ქსნის საერისთავო ქართლის ტახტს: დათუნა ერისთავი მოულოდნელად გარდაცვლილიყო, ხოლო მისი შვილები კახეთში გაქცეულიყვნენ.

მხოლოდ დათუნა ერისთავის ერთი ვაჟიშვილი — შ ა ნ შ ე სპარსეთის შაჰთან გაქცეულიყო.

შაჰ სულთან ჰუსეინი მაშინ ყაზვინს იდგა.

იქვე ვახტანგ მეფეც მიეხმო თავრიზიდან.

ვახტანგმა უკვე ყველაფერი იცოდა, რაც მომხდარიყო ქსნის ხეობაში.

შანშე გამოცხადდა, ყაენის წინაშე მუხლებზე დაეცა და სპარსეთის ქვეშევრდომობა შესთხოვა.

ვახტანგმა შაჰს სთხოვა, მისთვის ეჩუქებინა საქართველოდან გამოქცეული ქართველი.

ერანის მბრძანებელმა ასრულა ქართველი მეფის თხოვნა.

ვახტანგმა შანშე შეიპყრო და ბაქარს გამოუგზავნა.

ბაქარმა ტფილისის ციხეში ჩააგდო „სათათრო გზიდან" ძალით მობრუნებული ქართველი.

## დიასპანთა ჩანაწერები

1717 წელს სპარსეთში ჩავიდა რუსეთის ხელმწიფის, პეტრე პირველის ელჩობა, ა რ ტ ე მ ვ ო ლ ი ნ ს კ ი ს მეთაურობით.

...ელჩობის მთავარი მიზანი იყო ერანსა და რუსეთს შორის სავაჭრო ურთიერთობის დამყარება.

მაგრამ კიდევ ყოფილა ერთი „მთავარი მიზანი“, რომლის შესრულება ვოლინსკის მისი ხელისუფალისაგან საიდუმლოდ ჰქონია დავალებული: ნიადაგის მოსინჯვა კავკასიელ ქრისტიან ხალხებთან შესაძლებელი კავშირისათვის, „დიდ სამომავლო სამხრეთულ საქმეებთან“ დაკავშირებით.

როგორც ეტყობა, რუსეთის დიდ ხელმწიფეს, რომელსაც „ჩრდილოეთის ომში“ გამარჯვება საქმოდ აღარ მიაჩნდა, უკვე „სამხრეთულ წიაღსვლებზედაც“ დაეწყო ფიქრი.

პეტრე პირველის სამუშაო ოთახში სკანდინავიის რუკის გვერდით კავკასიისა და ერანოსმალეთის რუკაც ეკიდა...

ისფაჰანში ვოლინსკის ერთი კაცი გაეცნო, სახელად ფ ა რ ს ა დ ა ნ-ბ ე გ ი, წარმომავლობით ქართველი, გარეგნული „მოჩვენებით“ — მუსლიმანი. რამდენჯერმე გამოჩნდა და გაუჩინარდა ეს კაცი რუსთა თვალსარბიელზე...

ამასობაში არტემ ვოლინსკი დიდის გულისყურით სწავლობდა ერანის ქვეყანას, მის შინაგან წესრიგსა და უწესრიგობას, სიძლიერესა და სისუსტეს, სასახლის კარის ზნეობასა და უზნეობას, ნიჭსა და უნიჭობას, გონიერებასა და უგუნურებას.

უწინარეს ყოველთა რუსი დიპლომატი წერს თვითონ ერანის მბრძანებლის შესახებ, — მაგრამ რაღა მბრძანებელი, როცა შაჰი თვითონ ყოფილა თავის ქვეშევრდომთა ქვეშევრდომი. გარეგნულად ეს ახოვანი, ლამაზი კაცი არის საოცრად ჟეჟეჩი და იმდენად უგუნური, რომ მისი მსგავსი, არამცთუ გვირგვინოსანთა შორის, უბრალო მოკვდავ ვიგინდარებშიც არ მოიძებნება!

შაჰ სულთან ჰუსეინის ერთადერთი საზრუნავი „საქმე“ ჰარამხანა იყო. ჰოლანდიელი მხატვარი კ ო რ ნ ე ლ ი უ ს დ ე ბ რ ე ი ნ ი, რომელსაც ჰუსეინი დაუხატავს, წერდა: „ეს ხელმწიფე ისე არის გადაყოლილი ქალებს, რომ თავისი გარყვნილი ცხოვრების ზღვარიც არ იცის და სრულიად აღარ ზრუნავს სახელმწიფოს კეთილდღეობაზე. მისი ავი მაგალითი მიზეზია იმისა, რომ მართლმსაჯულება დაეცა სეფიანთა დიდ იმპერიაში, სადაც ახლა მეფობს აღვირახსნილობა და არ ისჯება ბოროტება“.

თ ა დ ე უ შ კ რ უ შ ი ნ ს კ ი — პოლონელი მისიონერი მოგვითხრობს: შაჰ სულთან ჰუსეინი თავის ჰარამხანას ცალკე სამეფოდ მიიჩნევს და საკუთრივ ერანის სახელმწიფოზე უფრო დიდი ზრუნვის ღირსად თვლის. ვერც ერთი მანამდელი შაჰი ვერ შეედრება შაჰ ჰუსეინს ცოლების სიმრავლით და მათ შესანახად გაწეული ხარჯებითო.

ისევ ვოლინსკის დავუბრუნდეთ: შაჰ სულთან ჰუსეინი სახელმწიფოს მართვა-გამგეობას და მოვლა-პატრონობას მთლიანად ანდობს თავის ეთიმადოვლეს (პირველ ვეზირს), „სახელმწიფოს ბურჯს“, რომელმაც ყოველი გონიერი მოღვაწენი ჩამოაშორა სახელმწიფო საქმიანობას.

(მხოლოდ ქართველებს — ვახტანგს და როსტომს ვერაფერი მოუხერხა ჯერჯერობით ეთიმადოვლემ — მზაკვარმა და გულბოროტმა ფათჰ-ალი-ხანმა).

ახლა ერანის სასახლის კარისკაცთა და სახელმწიფო „მოღვაწეთა მოღვაწეობა“ გასინჯეთო, — ამათ თავისი უსაქმურობითა და უმეცრებით ისე გააჩანაგეს სახელმწიფო, რომ ქვეყნის ასეთ ნგრევა-განადგურებას ალექსანდრე მაკედონელი ომითაც ვერ მოახერხებდაო( ოდესღაც ხომ დაანგრია სპარსეთი ალექსანდრე მაკედონელმა).

ერანის სეფიანთა დინასტია დღეს თუ ხვალ უეჭველად დაეცემაო!

მე მხოლოდ ის მაოცებს, — ამბობს ვოლინსკი, — საიდან შემორჩა ერანს ეგზომი სახელდიდება სხვა ქვეყნების თვალშიო.

მკვიანი რუსი ყოველ ფეხის ნაბიჯზე ხვდებოდა, როგორ ცდილობდნენ უნიჭო ერანელი „სახელმწიფო კაცნი“ მოეჩვენებინათ ერანის სამხედრო სიძლიერე, მზადყოფნა და სახელმწიფოებრივი ბრწყინვალება.

რუსეთი ჯერ კიდევ არ იცნობდა „პოტიომკინის სოფელს“, მაგრამ „გამოცდილება“ რა საჭირო იყო, როცა ყველაფერი აშკარად ჩანდა: ვოლინსკის და მის მხლებლებს ოქრო-ვერცხლში ახლად შეფერილი ზარბაზნები დაახვედრეს; მანამდე ეს ძველი ზარბაზნები (იმდენად ძველი, რომ ბევრი იმათგანი ასი წლის გაუთავებელი ომის მანძილზე ერთხელაც არ გავარდნილა) რუსების ჩამოსვლამდე უპატრონოდ, ფრინველის სკორეთი გათითხნილი, ეყარა ისფაჰანის მოედანზე.

ხოლო, როცა ერთ-ერთ შეხვედრაზე სიტყვა ჩამოვარდა რუსეთ-შვეციის გაჭიანურებულ ომზე, ერანის ეთიმადოვლემ მაშინვე შესძახა რუსთა ელჩობის მეთაურს: ორასი ათას მეომარს მოგაშველებთ შვეციასთან ომშიო!

ეს უსირცხვილო ტყუილი იყო, რადგან ვოლინსკიმ იცოდა, რომ ავღანთა შემოტევების მოსაგერიებლად მთელი წლის მანძილზე ოცი ათასი მეომარიც ვერ მოეგროვებინათ მთელს ერანში ერანის მესვეურებს.

მთელს ერანში საუკეთესოდ მიმაჩნია ქართველთა ჯარიო, — წერს ვოლინსკი.

(ქართველთა ჯარი — ერთადერთი ჯარი ერანში! ეს არის და ეს...

ხოლო ქართველები, რუსთა ქრისტიანი თანამოძმენი და თანამორწმუნენი, ბოლომდე ვერ დარჩებიან ერანის დამცველებად — თვითონ ერანის უპირველესი მოსისხარნი...).

ბოლოს ამას დასძენს არტემ ვოლინსკი: თუმცა შვეციასთან ომი ჯერ არ დავვისრულებია, მაგრამ ერანის მდგომარეობას და მის სისუსტეს რომ ვხედავ, ყოველგვარი სიფხიზლის გარეშე

შევვძლოთ არათუ არმიით, არამედ ერთი მცირე კორპუსითაც კი დავიპყროთ იგი; ამაზე ხელდახელი დრო აღარასოდეს დადგება ერანის დასაპყრობადო...

ვოლინსკიმ სპარსეთის მთავრობასთან „უწყინარი“ სავაჭრო საქმეები გაარიგა და ისფაჰანიდან გამობრუნდა. შირვანში, ქალაქ შემახას მოვიდა და იქ დადგა კარგა ხანს.

სწორედ შემახაში ისევ ეწვია რუს დიასპანს ფარსადან-ბეგი, რომელმაც ახლა თავი გააცნო, ვითარცა ქართლის მეფის — ვახტანგ მეექვსის ელჩმა.

ძალიან ესიამოვნა ვოლინსკის.

ფარსადან-ბეგი მოახსენებდა ვახტანგ მეფის დანაბარებს: ქართლის მეფე მადლობას უძლვნის პეტრე პირველს მის ძმაზე (არჩილ მეფე) და ძმისშვილებზე უანგარო ზრუნვისათვის. იგი შენდობას ითხოვს მართლმადიდებლური ეკლესიის წინაშე. რამეთუ ნუ შეაჩვენებს „ბილწი მაჰმადიანობის“ მიღებისათვის; ისედაც ვახტანგმა მაჰმადიანობა მიიღო მარტო „გარეგნულად“, ხოლო გულით მაინც ქრისტიანად დარჩა და საბოლოოდ დაუბრუნდება ქრისტიანობას რუსთა დიდი ხელმწიფის შემწეობით!

რუსთა ხელმწიფის შემწეობითო?!

დიახ, ქართლის მეფე რუსეთის მეფეს „შეწეობას“ და „კავშირს“ სთავაზობდა!

ფარსადან-ბეგი არ ცხრებოდა: დროა, სახელმწიფო საქმეებს მივხედოთ, ვახტანგთან წერილი გამატანე და გაგვაგებინე, როგორ მოვიქცეთ და როდისთვის მოვემზადოთო!

მოვემზადოთო? რისთვის?

ერანთან ომისთვის!

ეს უკვე აღარ იყო „ნიადაგის მოსინჯვა“.

„ქართულმა აფეთქებამ“ სწორედ „მოუმზადებელს“ მოუსწრო ვოლინსკის. იგი ჩაფიქრდა და ბოლოს ეს მიუგო ვახტანგ მეფის ელჩს:

„მე საომრად კი არა, მშვიდობისათვის ვარ გამოგზავნილი, გადარეული უნდა ვიყო, რომ ომი გავახურო, როდესაც მხოლოდ და მხოლოდ ჩემი ამალა მახლავს“.

— ერანში კი ჰგონიათ, რომ შემახაში ციხესიმაგრის ასაგებად შეყოვნდით, — გულდაწყვეტით უთხრა ფარსადან-ბეგმა.

კარგა ხანს ფიქრობდა რუსი დიასპანი.

— მაინც რა ძალას ვარაუდობს ქართველი მეფე ერანის წინააღმდეგ? — იკითხა მან.

— ვახტანგ მეფე ამას გითვლით: თუ პეტრე პირველი ერანის შაჰს ომს გამოუცხადებს, მაშინ მე ოცდაათი ათას ქართველ მხედარს გამოვიყვან და ისფაჰანამდე მივალ შეუჩერებლივ, რამეთუ ყიზილბაშები ნამდვილი დიაცნი არიანო!

— კარგი, მოვახსენებ ჩემს ხელმწიფესო! — დაბეჯითებით თქვა ქართველი მეფის სიტყვით გაოცებულმა არტემ ვოლინსკიმ.

## გახსენება თამარის „ხუმრობისა“

მანამდე არნახულად აიშვეს და აიწყვიტეს ლეკებმა. ქართული მიწა-წყლის აოხრებას აღარ კმარობდნენ და ერანის სამფლობელოებსაც მოედვნენ განუწყვეტელი ძარცვა-რბევით და ტყვევნა-წიოკობით.

ქართულ ხმლებთან ნაკვეთარი და ნაწრთობი ხმლებით ლეკები ადვილად ახერხებდნენ ერანის მუსლიმანურ სამფლობელოთა დაბრიყვებას, დაჯაბნებას და დაქცევას.

ქართულ ჭარ-ბელაქანში მძიმე სისხლის ფასად ჩასახლების შემდგომ, ლეკები „თამაშ-თამაშით“ ჩაიგდნენ შირვან-აზერბაიჯანის მთავარ ციხე-ქალაქებში — დარუბანდში, განჯაში და შემახაში.

ძლიერი ბელადები ჰყავდათ იმჟამად ლეკებს ჰ ა ჯ ი - დ ა უ დ ი და ს უ რ ხ ა ი - ხ ა ნ ი.

ბარდამდე აღწევდა ლეკთა თარეში (ხოლო ბარდა ვახტანგ მეფის საბეგლარბეგო იყო).

ახლა სპარსეთის მბრძანებელს ავლანელთაგან აღარ უჭირდა ისე, როგორც ლეკებისგან მისჭირვებოდა.

ხოლო „მიჭირვებულთა წამალი“ ისევ ქართველი კაცი და ქართული ხმალი უნდა ყოფილიყო. ასე ეწერა იმჟამინდელი სპარსეთის ბედის კარაბადინში!...

გაიძახა თავრიზიდან ყაზვინს შაჰ სულთან ჰუსეინმა ვახტანგ მეექვსე და „წარმოავლინა ქართლს, რათა განაგოს საქმე ლეკთა“.

(ლეკების „მადლიერი“ უნდა ყოფილიყო ვახტანგი, მათი „მეოხებით“ რომ ეღირსა სამშობლოში დაბრუნება!).

. . . . . .

იყო 1719 წელი.

ვახტანგ მეფე შვიდი წლის სპარსული „ტყვეობის“ შემდგომ მშობლიურ ქართლში ბრუნდებოდა.

ლორეს გზაზე შეეგება მამა-ხელმწიფეს ბაქარი, ქართული ლაშქრით.

სადროშოებად დაწყობილნი მიეახლნენ და მიესალმნენ მეფეს ქართლის ჯარები. მერე ძმა — კათალიკოსი დომენტი. — მივიდა და გადაეხვია. კათალიკოსს „მიჰყვნენ სრულად ეპისკოპოზნი“.

„და ბოლოსა ჟამსა ჩამოვიდა ზნე-სრული მხნე, შვენიერი მეფე ბაქარ, გადაეხვია მამა, თქვენმა მზემან და თავმან ამათმან, მნახველთათვის უამესი აღარა იქნებოდა რა“.

ტფილისი დიდის ზეიმით შეხვდა ვახტანგს — შვიდი წლის გადაკარგულ „ჭეშმარიტ მეფეს“, საყვარელ პატრონსა და „მამულის მამას“.

მეფედ კურთხევა ძველი ქართული წესით მოხდა.

ვახტანგი „დაჯდა სამეფოსა ტახტსა და დაისვა გვერდსა მნათობი, მზეებრ ბრწყინვალე დედოფალი რუსუდან, შექნეს მილოცვა, აუ-რიდენ ოქროსა და ვერცხლსა ქვიშასაებრ“.

მას შემდგომ, რაც კუთხევა, ოქრო-ვერცხლის „თავ-ყრა“ და ნადიმ-ლხენობანი განესრულა, ვახტანგ მეფემ მოღალატენი „მოიკითხა“.

სომხითის მელიქი, „ძე ქამარ-ბეგისა“, „დახ-ვრიტა თოფითა“.

მერე სასიკვდილოდ შეიპყრო ბაგრატ ციცი-შვილი, ფეშანგი ფალავანდიშვილი, ჯამასპი ხერხეულიძე, პაპუნა რევაზიშვილი და პლატონ ვეშაპიძე, მაგრამ დომენტი კათალიკოსმა არ და-ანება მათი სიკვდილი.

მაშინ ვახტანგმა აილო და ხუთივე მოღალატე თავადი ოსეთში ხუთ თხაზე გადაცვალა!

(ნეტარძი, თამარ მეფის „ხუმრობა“ ხომ არ გაახსენდა ვახტანგ მეექვსეს, დიდმა თამარმა ერზინკის თავგასული სულტანი ცხენის ნალზე რომ გაცვალა?!).

## „ჭირი ესე კახეთისა“

მარტო ქართლი კი არა, მთელი ამიერკავკა-სია შეარყია ვახტანგის „დაბრუნებამ“. ქართლის „შეგემონობა“ და მისი მოთავეობით ამიერკავ-კასიის ხალხთა „შეკავშირება“ და „თავის დახ-სნა“ იხევ დიდ იმედად ალიმართა აზია-ევროპის გზაკვეთილზე.

მთავარი მაინც კახეთი იყო, ქართლის მარა-დიული ტყუპისცალი, იმჟამად ავი საისტორიო ბედისწერით ისევ განკვეთილი და განრინებუ-ლი.

მცირე ხნით უკან დავიხიოთ.

**1708** წელს ერანის შაჰმა ერეკლე პირველი „ნაზარ-ალი-ხანი“ რომ სპარსეთს გაიწვია, კა-ხეთის მმართველად ერეკლეს თხოვნითვე მისი ძე — დავით იმამ-ყული-ხანი დასვა.

ამიერიდან ერანის ხელისუფლებამ ხელი აილო კახეთის მმართველად ყიზილბაში ხანების დანი-შვნაზე და ამ გზით კახთა „გაყიზილბაშების“ ცდაზე. ეს დიდი იძულება იყო კახელთა თავ-განწირული, მარად შეურიგებელი ბრძოლებით გამოწვეული. მარტო „ბახტრიონული ომი“ კმაროდა ყიზილბაშთა დასაშინებლად! სპარსე-ლთათვის ისევ ეს „ხჯობდა“ — თეიმურაზ მე-ფისა და ზეზვა გაფრინდაულის სამშობლოს მმართველად ყოველთვის „გასპარსელებული ქართველი“ დაესვათ.

მაშ, **1703** წელს დავით ერეკლეს ძე იმამ-ყული-ხანი ყარაღაჯს მოვიდა და იქიდან შეუდ-გა კახეთის გამგებლობას.

იყო 25 წლისა.

სახედ სახიერი — „პირ-მშვენიერ-ჰაეროვანი“.

ტანად „მცირე“ (მამის ახოვანებას არ დამსგავსებია).

ძალმოსილებით — სუსტი, ტანჭირიანი.

სჯულიერი სინდისით — „მიქცეული სრუ-ლიად წესსა ზედა და ჰსჯულსა მაჰმადისასა, რამეთუ არა რაი სწამდა ქრისტიანეთა, უმეცარი ზნეთა და სამხედროთა საქართველოსათა“.

უყვარდა წიგნი და სწავლანი. ბრწყინვალედ ფლობდა ორივე ენას — ქართულს და სპარ-სულს.

ცოლიც მაჰმადიანი ჰყავდა, ლეკის ქალი, შამ-ხალის გვარიდან, ისფაჰანში დაბადებული და გაზრდილი.

მოსვლისთანავე — „უმეცარმა ზნეთა და სამ-ხედროთა საქართველოსათა“ — თავგამოდებით დაიწყო სწავლა და ათვისება ყოველი ქართუ-ლი წესისა, ადათისა, ზნეობრივი და სამართლე-ბრივი განწესებისა და „გარიგებისა“.

ამიტომ ყარაღაჯს გარეთ, მინდორს მაღალი გალავანი შემოარტყა, შიგ ჩაიკეტა და ცნობის-მოყვარე ხალხისგან შეფარვით ქართულად „ახ-ბარეზობდა“ და სწავლობდა „ყოველივე ქარ-თულს“.

ხშირად კახელებს ჩაიკეტავდა გალავანს შიგ-ნით და მათთან ნადიმობდა, თუმცა თვითონ ღვინოს არ სვამდა, ჯერ ერთი — „მაჰმადიანო-ბისათვის“ და მეორეც — ღვინო სწყენდა, რა-მეთუ რაღაც „ხენი იყო მის-თანა“.

კახეთისთვის იმჟამად ყველაზე საშიში მტრე-ბი ჭარელი ლეკები იყვნენ. დავითმა მოლაპარა-კება გამართა მათთან. არავინ იცის, რა ითქვა იმ შეხვედრისას, მაგრამ ჭარმა მორჩილება და სიმშვიდე აღუთქვა და ხარკის გადახდაც იკისრა.

კახელებმა ურჩიეს დავითს, კახეთის საზღვ-რები მოიარე, შენის თვალით მოიხილე და „მოიხუნე“. მართლაც „ხთნდა ეხე“ დავითს, ამალა აიყოლია, ერწო-თიანეთი მოიარა, ჯვარს ჩავიდა, ჯვარიდან მცხეთას ესტუმრა.

მცხეთაში ვახტანგი (მაშინ — ჯანიშინი) შე-მოეგება.

ტკბილად შეხვდნენ ერთმანეთს. ინადიმეს, „იდარბაზეს“ და „ზავ-ჰყვეს სიყვარულსა ზედა“.

მცხეთიდან მარტყოფი მოიხილა დავითმა და ისევ ყარაღაჯს დაბრუნდა.

იმჟამად შეიქნა კახეთს „მყრელობა“: ყაე-ნის ბრძანებით და მისგან გამოგზავნილი „ამყ-რელის“ მეთაურობით, კახეთის მიწებიდან ოჯა-ხებიანად უნდა აყრილიყვნენ ქართლელები, რომლებიც ადრე, ერეკლე პირველის წაქეზე-ბით გადასახლებულიყვნენ ქართლიდან კახეთს. ბევრი ცრემლი ადინა ქართლელსაც და კახელ-საც ჯამიდან ჯამში გადაგდებულმა ლუკმამ...

ისევ აგორდა კახეთის აღმოსავლეთ კარი-ბჭესთან „ლეკიანობის“ კურუმი ტალღა. ისევ „დაუცხრომლად მტერობდნენ ლეკნი და უმე-ტეს ჭარელნი“. მაშინ შეუჩნდნენ კახეთის მეს-ვეურნი დავითს და „განუზრახეს, რათა შემუს-

როს ჭარი და დაამარცხოს ჭირი ესე კახეთისა, მერე დაიპყრას საზღვარი კახეთისა“.

შემოიყარა დავითმა ლაშქარი კახთა და თუშ-ფშავ-ხევსურთა. წარემართა და ბანაკად დადგა ვარდიანს, „რათა მუნიდან ბრძოს მარადის“.

ჭარელებმა მოციქულები გამოგზავნეს ვარდიანის ბანაკში: მარად თქვენი ყმები ვიქნებით, ხარკსაც ყოველთვის თავის დროზე მოგართმევთ და, რაც გასულ წლებში შეგვიგვიანდა, იმასაც უკლებლივ გაახლებთ, ოღონდ ნუ ამოგვხოცავთო.

დავით იმამ-ყული-ხანს, ვითარცა მაჰმადიანს, ჭკუაში დაუჯდა მაჰმადიან ლეკთა „სამშვიდობო წინადადება“, მაგრამ კახელებმა არ დაანებეს, „ვინაღგან აქუნდათ შური დიდი“.

ჩარდახიდან დაიწყეს შეტევა კახელებმა, მიუხდნენ ლეკებს, „მოსწყვიტეს იგინი და გარემონი დაბნები მოსწვეს ცეცხლითა და მოსტყვევნეს ვიდრე კავკასამდე და ვერვინ წინაალუდგათ“.

ეს კახელთა დიდი გამარჯვება იყო. მაგრამ თვითონ იმამ-ყული-ხანის ჭკუადამთხვეულობის წყალობით ყველაფერი წყალში ჩაიყარა.

ქართველთაგან დამარცხებულმა და გამოქცეულმა ლეკებმა თვალი მოჰკრეს ცალკე, მოშორებით შეყრილ სამოციოდე ქართველს. მეომრობისა არაფერი ეტყობოდათ; იარაღი აეყარათ და მიეყარ-მოეყარათ, ხელში ზოგს ჭიანური ეჭირა, ზოგს თარი და ზურნაიკი, ზოგსაც დოლი და დიპლიპიტო; უკრავდნენ და ცეკვა-მღერით გარს უვლიდნენ შუაგულში ჩამდგარ ჩია ტანის კაცს.

ის კაცი გახლდათ დავით იმამ-ყული-ხანი, რომელიც „გამოუცდელობის“ გამო, „რჩეულ სპათა“ ჩამოშორებოდა და „უგვანთა“ თანხლებით მისცემოდა „გამარჯვების ზეიმს“.

ცქაფად მიუხდნენ ლეკები და თოფები დააყარეს.

დავითის „უგვანმა“ მხლებლებმა მაშინვე ალმა-დალმა მისცეს თავი.

კახელები გაიქცნენო?! იარაღი შეეყინათ ხელში ლეკებს, „რამეთუ არავითარ ჰგონებდნენ“ კახთა გაქცევას.

მეფე საომრად გაიქაჩა, მაგრამ გაქცეულთაგან ვერავინ შეაკავა და ბრძოლაში ვერ შეიყოლია. წამით წამზე ან სიკვდილი ან ტყვეობა არ ასცდებოდა „მუსიყობის“ მოყვარე ხელმწიფეს.

მაგრამ, იღბლად, სწორედ წამი-წამზე მოიჭრნენ თუშები, ლეკები დაიფრინეს და უეჭველი დაღუპვის პირზე მიმწყვდეული მეფე გაიტაცეს ყარალაჯისკენ.

ეს ნერვული ინციდენტი სწორედ მაშინ მოხდა, როცა ქართველთა ჯარი, „საბოლოო გამარჯვებაში“ დარწმუნებული და დაარხეინებული, ნაწილ-ნაწილ ბრუნდებოდა უკან.

ქართველთ მეფის „გაქცევითა“ და გაუჩინარებით ფრთაშესხმულმა ლეკებმა ახკეცი ძალით წამოუქროლეს „გამარჯვების რწმენით“ [illegible]ტულ ქართველებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბევრი კახელი წარჩინებული შეაკვდა მტერს. უფრო მწარედ დაზარალდა გლეხთა ლაშქარი.

ლეკებმა „აღიღეს სიმდიდრე იმამ-ყული-ხანისა და ალაფი კახთა მრავალი“.

ეს ამბები 1706 წელს დატრიალდა.

ლეკები მტკიცედ ჩამკვიდრდნენ ჭარში, ბელაქანში, სრულიად ელისენში (საინგილოში).

დავით იმამ-ყული-ხანმა ყარალაჯში ყოფნა სახიფათოდ ჩასთვალა და სამეფო სასახლე თელავს დაიდგა. ზამთარს თელავსა და მანავში ატარებდა, ზაფხულს — მაღაროში.

ბრძოლები ლეკებსა და კახელებს შორის გრძელდებოდა. „ლეკნი თუცა მძლავრობდნენ, გარნა კახნიცა, სადა ვინ მოხვდიან ხოცდენ და მოსწყვეტდენ“ ლეკებსა.

ლეკები კლდეებში, ფლატე-ღრანტეებში უსაფრდებოდნენ და „წარმატებით“ ესხმოდნენ ზურგიდან. მინდორზე გასვლას გაურბოდნენ, „რამეთუ არა ძალედვათ მინდორთა დამართება კახთა ლეკსა...“

დავითი განაგრძობდა „ქართულად სწავლას“ და „ქართულად მართვა-გამგეობას“, მაგრამ შაჰი მაინც წყალობდა „ერთგულ იმამ-ყული-ხანს“. წყალობდა და აფასებდა, რადგან უდიდეს „საფასეებს“ უგზავნიდა იმამ-ყული-ხანი ერანელ მეუფეს — უმშვენიერეს კახელ ასულებს და უმამაცეს კახელ ჭაბუკებს...

ერთხელ ტფილისის აბანოები უქეს დავით იმამ-ყული ხანს. ისიც ადგა, ტფილისს გაქუსლა და ცხელ აბანოში ჩაესვენა განცხრომით და თავდავიწყებით. ვითომ ვინმე „კერძოობითი“ ვიგინდარა ყოფილიყოს, — არც კი შეუტყობინებია ქართლის გამგებლისათვის თავისი „საბანოვე ვიზიტი“

ვახტანგი კოჯრის სასახლეში იყო და იქ მოახსენეს დავითის „გაუფრთხილებელი სტუმრობა“.

ადგა და გაემართა ტფილისისაკენ ვახტანგი. წინასწარ მოციქულები აფრინა „უცნობელად“ გამოცხადებულ სტუმართან შესახვედრად.

დავითს მოახსენეს, ვახტანგი მოეშურებაო. მაშინვე გამოვარდა აბანოდან, ცხენს მოახტა და გაქუსლა. წინ ვახტანგის კარისკაცები შეეყარნენ. დავითმა ბოდიში მოუხადა და განაგრძო გზა კახეთისაკენ.

ვახტანგმა ველარ ჩაუსწრო „მოქცეულ“ და „გაქცეულ“ სტუმარს.

. . . . . .

1709 წელს ისფაჰანში მოკვდა ერეკლე პირველი ნაზარ-ალი-ხანი, ძე ბრწყინვალე მამულიშვილის — დავით (დათუნა) ბატონიშვილისა, შვილიშვილი დიდი თეიმურაზ პირველისა, ძმობილი დიდი რუსეთის მეფე-დედოფლისა.

**ოცდაორი წელიწადი რუსეთში გაატარა, ოცი წელიწადი — სპარსეთში.**

**46** წლისა გამეფდა ქართლში, **61** წლისა კახეთის მეფედ იწოდა, აღესრულა შობითგან 67 წლისა.

ყველაზე „უკეთესი ცხოვრებით“ მაინც რუსეთში იცხოვრა. სწორედ იქ ჰპოვა სამშობლოს სიდუხჭირით აფორიაქებულმა ყმაწვილმა ჭეშმარიტი თანაგრძნობაც, თანალმობაც და სიყვარულიც, იქ — დიდ, გულკეთილ „ქრისტესმიერ მოყვასთა“ შორის.

წამოვიდა და სამუდამოდ უკან დარჩა დიდი სიყვარულიც, დიდი ეჭვიც...

ხოლო დანარჩენად — უფერული ცხოვრებით იცხოვრა, უფერული მეფობით იმეფა, უფერული სიკვდილით მოკვდა.

დარჩა: ცოლი — ანა ჩოლოყაშვილის ქალი, ვაჟები — დავით იმამ-ყული-ხანი, კონსტანტინე მაჰმად-ყული-ხანი და თეიმურაზი; ქალები — ელენე (იესეს მეუღლე), ხვარეშანი, მაკრინე და ქეთევანი (ხარჭისაგან).

. . . . . .

მამის სიკვდილი რომ შეიტყო და ცოტა კიდევაც „წაიგლოვა“, — დავით იმამ-ყული-ხანმა გადაწყვიტა სპარსეთს წასულიყო. იქნებ ყაენმა დახმარება რაიმე მომცესო, არადა, სულაც სპარსეთში დავრჩები და საქართველოსკენ პირსაც აღარ ვიზამო, — იფიქრა, „მოიზრახა“ და „ამისთვის ცველრა ყეენსა, რათა მიუწოდოს“. შაჰ სულთან ჰუსეინმაც კახეთში მეჰმანდარი (მესტუმრე) გამოგზავნა და გაიწვია დავითი სპარსეთს.

სპარსეთისკენ მიმავალი დავითი ვახტანგმა ქართლის მაშინდელმა ჯანიშინმა, ტფილისს მიიწვია და დიდი პატივით ისტუმრა. ნადიმობასა და ნადირობას რომ მორჩნენ, სტუმარ-მასპინძელი დამოყვრდნენ: დავითმა თავის უმცროს ძმას თ ე ი მ უ რ ა ზ ს ცოლად შერთო ვახტანგის ასული თ ა მ ა რ ი, ქალი „შვენიერი და ქება მიუწთომელი“.

ამ ქორწინებისათვის, ეკლესიის დასტურით, დავითმა და ვახტანგმა „განატევებინეს პირველი ცოლი — ასული ბაინდურ ერისთავისა“. ასე რომ თამარი თეიმურაზის მეორე ცოლი იყო (დაიმახსოვრე, ჩემო მკითხველო, თამარ ვახტანგის ასული: იგი შეიქნება დედა უკანასკნელი დიდი ქართველი ხელმწიფისა — ერეკლე მეორისა).

ეს სტუმრობაც, მოყვრობაც და „სიყვარულიც“ ვახტანგ ჯანიშინს თავიდანვე ქართლისა და კახეთის ერთიანობისთვის ჰქონდა გაანგარიშებული.

დავით იმამ-ყული-ხანი სპარსეთს გაემგზავრა.

კახეთის მმართველად დარჩა თეიმურაზი — ძმა დავითისა და სიძე ვახტანგისა.

ხოლო, წელი იდგა 1710.

კახეთში ბატონისა და ყმის ჭიდილი უაღრესად გამძაფრებულიყო. მებატონის [illegible]გან გამწარებული ზოგი გლეხი ლეკებთან გარბოდა, მათ აქეზებდა, მეგზურად მოუძღოდა და საძულველი მებატონის დამხობას აზრაგად ალმდგარი ლეკების მეოხებით ცდილობდა.

ასე გაჩნდა კახეთში „ლეკიანობის“ გვერდით „გალეკიანება“.

გაერთიანებულმა „ნამდვილმა ლეკებმა“ და „გალეკიანებულმა ქართველმა გლეხებმა“ ჭარში, ბელაქანში და თალაში „უბატონო თემები“ შექმნეს.

კახელი თავადები თავგამოდებით იბრძოდნენ „თავისუფალი თემების“ დასაპყრობად. მრავალი გაწყდა ორივე მხრისა.

იმჟამინდელი სიმწრით ნათქვამი გახლავთ ეს სიტყვანი: ჭარში აღარ დარჩნენ ვაჟკაცები და კახეთში თავადებიო;

დღე ძვირად გავა, რომ ომი და ცემა არსად იქნასო.

ჟამ-ჟამად ერთიმეორეზე გადამტერებული თავადებიც უხმობდნენ ლეკებს, ერთიმეორის დასამხობად და ამოსაგდებად. ქიზიყის მოურავმა რ ე ვ ა ზ ა ნ დ რ ო ნ ი კ ა შ ვ ი ლ მ ა სწორედ ლეკები მიუსია ელისენის მოურავს — მ ე რ ა ბ ვ ა ჩ ნ ა ძ ე ს. ძლივს სახლის ერდოდან გადაასწრო სიკვდილს მერაბმა, ხოლო მისი სასახლე ლეკებმა გაძარცვეს და ააწიოკეს.

რაკი ეგრეა, მეცა მყავს ჩემი ლეკებიო, — შეუტრიალა ვაჩნაძემ და შეუსია „თავისი ლეკები“ ქიზიყის მოურავს...

იყო ვინმე ტ უ რ ა რ ა მ ა ზ ა შ ვ ი ლ ი, კახელთა და ლეკთა შორის სიმამაცით და თავზეხელაღებულობით სახელგავარდნილი. ლეკებს შავი დღე ადგათ რამაზაშვილისა და მისი ქართული გუნდის შურისმგებლური თავდასხმებისაგან. ერთხელაც მობრუნდა ტურა რამაზაშვილი ლეკთა ზედა მორიგი „ნადირობიდან“. მრავლად ლეკი ტყვეებიც მოიყვანა და ქონებაც ბლომად ჩამოიტანა თავისი ფეხმძიმე ცოლის გულგასახარად! თურმე მანდატურთუხუცესი პ ა ა ტ ა ჩ ო ლ ო ყ ა შ ვ ი ლ ი მტრობდა რამაზაშვილს და მაშინვე ბრძანება გაუგზავნა — ახლავე ყველაფერი — ტყვეებიც და ქონებაც — ჩემს ჩაფრებს გამოატანეო! ცოტა ხანს მაცალეთ, მშობიარე ცოლს ნუ მომიკლავთ და მერე ყოველივეს აგისრულებთო, შეეხვეწა რამაზაშვილი. მანდატურთუხუცესმა რამაზაშვილის ვედრება აინუნშიაც არ ჩააგდო და, რაც ბრძანა, კიდევაც აისრულა — ქვეშევრდომის ნაალაფარი წაიღო და დაისაკუთრა.

გაცოფებულმა ტურა რამაზაშვილმა ქართველობაზე ხელი აიღო, ჭარში გაიქცა და იქაური ლეკების ბელადი შეიქნა. ახლა ლეკების რაზმით თავის სამშობლო კახეთს აოხრებდა „გალეკებული ქართველი“ (ისევ კორიოლანუსი!).

პაატა ჩოლოყაშვილმა კახთა ჯარი შეჰყარა და რამაზაშვილის მოსასპობად გაემართა.

რამაზაშვილიც დაუხვდა ლეკთა ჯარით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი დატაკება და მაშინვე უკუიქცა რამაზაშვილი.

გამოედევნა ჩოლოყაშვილი.

ერთ ვიწრო ხევში რომ შეცვივდნენ, რამაზაშვილისგან ჩასაფრებულმა ლეკებმა ორივე მხრიდან თოფის გაბმული სროლა ასტეხეს.

კახელები უკუიქცნენ.

პაატა ჩოლოყაშვილს ცხენი წაექცა და მიწაზე დაენარცხა.

მიუსწრო ტურა რამაზაშვილმა, წაქცეულს ზედ დაეფრინდა და წიხლებით მანამ სცემა, სანამ გულ-ღვიძლი არ ჩაუნთხლია და სული არ გააფრთხობინა...

ძალიან მისჭირდა ჭაბუკ თეიმურაზ ერეკლეს ძეს უსაშველოდ აფორიაქებული კახეთის მთავლა-პატრონობა.

ქვეყნის სადავეს ჩაეჭიდა ეპისკოპოსი ნიკოლოზ ალავერდელი, კაცი ცბიერი და „ფრიად ხვანჯიანი“.

ხოლო დავით იმამ-ყული-ხანი ხუთი წელიწადი დარჩა ერანში, „წინაშე შაჰ სულთან ჰუსეინისა ვერა რაისა მყოფელი“. 1715 წელს შაჰმა ისევ გამოუშვა დავითი კახეთს.

მაშინ ქართლს, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, იესე ალი-ყული-ხანი განაგებდა — ვახტანგ მეექვსის გათათრებული ნახევარძმა. იესემ კახეთისაკენ მიმავალ დავითს ყაზახში კაცი დაახვედრა და ტფილისში მიიწვია. „ჩვეულებრივი წესით“ ინადიმეს, ინადირეს, სამოყვროდ ერთმანეთს ხელი ხელს მისცეს. სწორედ მაშინ გადაწყდა, რომ იესეს ცოლად შეერთო დავითის და ელენე-ბეგუმი.

თელავში დაბრუნებულმა დავითმა ქიზიყის მოურავობა და კახთა ჯარის სპასალარობა მისცა ყიასა ვეზირს, რომელმაც ერთხანს ალკვეთა კიდეც ლეკთა თარეში.

მანავის სასახლეში მყოფ დავით იმამ-ყულიხანს იესე ალი-ყული-ხანისაგან ელენეს დასანიშნავად „მენიშნენი“ მოუვიდნენ: ზურაბ მანდატურთუხუცესი, ზაზა ავალიშვილი და რევაზ ყაფლანიშვილი. სწორედ მაშინ შემოიჭრნენ ჭარელი ლეკები კახთა სარბევად და საძარცვად.

გაუხტნენ კახნი.

გაჰყვნენ საომრად ქართლელი მაჭანკლები.

უკუიქციეს ლეკები და „მიჰყვნენ წყვეტით კახნი“.

ვიწრო ხევში ხაფანგი დაეგოთ ლეკებს.

ორის მხრიდან ტყვიის მერეხში მოექცნენ ქართველნი.

ბრძოლაში დაეცნენ ელისენის მოურავი ზურაბ ვაჩნაძე და ქართლელი „მენიშნენი“ — ზაზა ავალიშვილი და რევაზ ყაფლანიშვილი. ამათ გარდა, მუხანათად ნასროლ ტყვიას შეაკვდა ოცდაოთხი კახელი წარჩინებული „და გლეხნი მრავალნი“. ლეკებმა „აღიღეს ალაფნი და წარვიდნენ“.

შემჭირვებულმა დავით იმამ-ყული-ხანმა დარბაზი შეჰყარა სათათბიროდ და „განიზრახვიდენ თუ რაი ჰყონ“.

ისევ ნიკოლოზ ალავერდელმა ბრძანა „თათბირი საკვირველი“: მოდით, ლეკებს გზები გავუხსნათ, ჩვენი მეგზურებიც ვაახლოთ და სხვა ქვეყნებზე მივუშვათ სარბევად და საძარცვად — ქართლზე, ყაზახზე, შამშადილუზე, ყარაბაღზე და შირვანზეო. ასე უნდა მოვიქცეთ, „რამეთუ მორჩების ამით ქვეყანა ჩვენი აოხრებისაგან“, ხოლო „სხვებს“ ჯანიც გავარდნიათ ლეკთა თარეშისაგანო!

აი, „ზოგად-ქართული“ მამულიშვილობა „ყოვლად უწმიდესი მამისა!“ კახეთს იქით საქართველოში ქვა ქვაზედაც ნუ დარჩეს, ჩვენ რა გვენაღვლებაო!

ასე „განიგულეს“ კახეთის მესვეურებმა „ხრიკი განზრახვითა ალავერდელისათა“. მაგრამ იმჟამად არ მოხერხდა ამ „სამამულიშვილო განაზრახის“ განხორციელება.

იმ დღეებში ქართლის მეფე იესემ მარტყოფში „ქრისტიანულ-მაჰმადიანური ქორწილით“ იქორწინა ელენე-ბეგუმზე. რვადღიანი ქორწილი ჩათავდა, ქართლის მეფე-დედოფალი ტფილისში წავიდა და ჭარელი ლეკები ხუნანს შემოესივნენ.

დავითმა დახმარება სთხოვა იესეს. სიძემაც შეიწყნარა ცოლისძმის თხოვნა და ქართლის სპასპეტი ლუარსაბ ორბელიშვილი წარუვლინა ქვემო ქართლის ჯარით. მაგრამ ლეკებმა მარცხი აჭამეს კახელებსაც და ქართლელებსაც.

მეორედ ავთანდილ ამილახორი წარუგზავნა ზემო ქართლის ჯარით იესემ დავითს, მაგრამ ამილახორიც უკანვე „მოიქცა უქმი“.

რჩებოდა „კახეთი მარადის ხლოშა-ბრძოლასა შინა“.

. . . . . . .

1716 წლის ვაზისღსხულზე პატარძეულს მიიცვალა დედოფალი ანა, მეუღლე მეფე ერეკლე პირველისა. მივიდნენ ელენე და იესე, დავითთან ერთად იტირეს, ალავერდის ტაძარში წაასვენეს და იქ დაკრძალეს, კახეთის მეფეთა საძვალეში.

იმავე წელს იესე ალი-ყული ხანს ქართლის მეფობაზე ხელი აალებინეს. ყაენმა ქართლი მის ჭეშმარიტ საჭეთმპყრობელს, ვახტანგ მეექვსეს უწყალობა და ჯანიშინ-მოადგილედ მისი ძე ბაქარი დაუნიშნა.

იესე კახეთს გაიქცა და თავი ცოლისძმას შეაფარა, მაგრამ შაჰის „მურდარმა“ იესე შეიპყრო და ბაქარს მიჰგვარა. ბაქარმა ბიძა ტფილისის ციხეში ჩააგდო.

იესე ახალი წაყვანილი იყო, რომ შილდა-ყვარელს ლეკები შემოესივნენ. დაუხვდნენ აქაური გლეხნი — „მდაბიურნი“ და „მოსრნეს მრავალნი ლეკნი“. მაგრამ მაინც იმძლავრეს ლეკებმა. ბევრი დედა-წული ასწყვიტეს, „გამოსწვეს სო-

ეროვნული

ლნი მრავალნი კოშკებთა შინა, მოსტყვევნეს და წარვიდეს". კახთა მდევარი ჯარი გვიან მოვიდა. უკვე გაესწროთ სამალავებში ლეკებს.

მაშინ ისევ აიჩემა ნიკოლოზ ალავერდელმა, — შევურიგდეთ ლეკებს და გზა მივცეთ ქართლისა და მისი მეზობლების საოხრებლადო.

ითქვა და აღესრულა ეს ბოროტი მონაფიქრი და მონაზრახი. და სწორედ მაშინ იყო — **1717** წელს — რვა ათასი ლეკი რომ შემოიჭრა ბოლნისსა და ქციის ხეობაში საშინელი ძარცვით და რბევით.

ქართლის მიწაზე ლეკთა ეს პირველი შემოსევა ნიკოლოზ ალავერდელის „კახური მამულიშვილობის" შედეგი გახლავთ (ზემოთ უკვე მოგახსენეთ, როგორც გათავდა ლეკთა ეს პირველი „ქართლური ლაშქრობა").

რაკი კახელთა შემდგომ ქართლსაც ხელი შეაჩვიეს, ლეკებმა უფრო თილად დაიბრიყვეს „დანარჩენები": შირვანი, შაქი, ყარაბაღი, არდაველამდე მიდიოდნენ ცეცხლით და რკინით შაჯი-დაუდისა და სურხაი-ხანის მოთარეშენი.

იმჟამად დავით იმამ-ყული-ხანმა რაღაც მიზეზით ჩამოვარდნილი მტრობის გამოისობით ქონება ჩამოართვა ყიასა ვეზირს, სპასალარსა და ქიზიყის მოურავს. თვითონ ყიასა ტყვეჰყო და პანკისის ციხეში ჩააგდო მეფემ. მაგრამ გაქცევა მოახერხა ყიასამ, ტფილისს მიასწრო და მაშინდელ ჯანიშინს — ბაქარ ვახტანგის ძეს თავშესაფარი სთხოვა. ბაქარმა კიდევაც შეიფარა და თავის სასახლეშიც დაუდო ბინა.

ქართლისა და კახეთის გამგებელთა შორის მტრობა ჩამოწვა.

ატყდა ხადოლე შეჯიბრი ორივე მხრიდან — ორივეს მიმართ მაბეზღარი წერილებით — სპარსეთის შაჰის წინაშე.

კახეთის მესვეურთათვის მთავარი მაინც ლეკებთან მშვიდობიანობის ჩამოგდება იყო. მაგრამ თურმე თუშებსაც „ლეკური ზავი" ისე როდი სწამდათ, როგორც ნიკოლოზ ალავერდელს დაეცნენ თუშები ლეკურ აულებს, „მოსრნეს რაოდენიცა ჰპოვეს ლეკნი და მწყემსნი და წარმოიღეს არვე დიდძალი".

გამოედევნენ ჭარელნი.

მიუტრიალდნენ თუშები და ერთიანად ასწყვიტეს მდევარნი ლეკნი.

ჭარიდან ლეკთა ელჩი მოვიდა თელავს და დავით იმამ-ყული-ხანს მოახსენა: „არს მშვიდობა ჩვენს შორის და, რად ჰყვეს თუშთა ესე?"

დავითი გარისხდა და ორჯერ გაუგზავნა თუშებს ბრძანება — ახლავე ყოველივე „მონალები" უკანვე ლეკებს დაუბრუნეთო.

თუშებმა ორივეჯერ უარი შემოთვალეს.

გაცოფებული გავარდა მეფე ჯარით, თუშებს მიადგა და მეთოფეებს „უბრძანა ცემა თოფთა".

თუშებმა ხელიც არ გამოიღეს, უიარაღონი მეფისგან ზურგშექცევით დადგნენ და არც მსროლელებისკენ „იკადრეს მიხედვად".

თოფები ხელში შეეყინათ კახელ მეომრებს.

დავითიც დალბა და დალლვა. თუშებს ურჩობა შეუნდო, ოლონდ მინატაცები საქონელი ჩამოართვა და ისევ ლეკებს დაუბრუნა.

ასეთი იყო „ბედი კახეთისა" **1719** წლამდე.

ხოლო **1719** წელს საქართველოში დაბრუნდა მეფე ვახტანგ მეექვსე.

## ეკრძალებოდათ მხოლოდ ქართველებს

**1719** წლის დეკემბერი.

სოფელი საფურცლე.

ვახტანგ მეფე მოსულა წარჩინებულ ქართლელთა ამალით და კახეთის მეფეს, დავით იმამ-ყული-ხანს ელოდება.

შაჰმა ვახტანგი „ლეკების მოსავლელად" წარმოგზავნა და კახეთთან შეკავშირება უცილობელ საქმედ მიაჩნია ქართლის საჭეთმპყრობელს.

და მარტო ლეკების „მოსავლელად" როდი სჭირდებათ ქართლელებსა და კახელებს „საერთო საქართველოდ" გაერთიანება...

საგურამოს მოვიდა კახეთის მეფე, კახთა ამალით. ერთხანს იყოყმანა და მერე გულმყარად გადავიდა არაგვის მარჯვენა ნაპირს.

ერთმანეთს მიეახლნენ ვახტანგი და დავითი, „იხილეს ურთიერთი, განაახლეს სიყვარული და ჰქმნეს პირი".

ასეთი ერთსულოვნება დიდი ხანია აღარ ჰქონიათ ქართლისა და კახეთის მესვეურებს. გამორჩევით კახელთა მხარე იჩენდა დიდ წადნიერებას ლეკების ასალაგმავად და გასაწყვეტად ერთობლივი გამოსვლისათვის. ყოველივე „მეწინავეობას" ქართლელებს მივცემთო „საერთობო" გალაშქრებისას, მთავარსარდალიც ქართლელი იყოსო, ნადავლისა და ნაშოვარის ლომის წილიც ქართლელებს დაეთმობათ, ხოლო ჩვენ, კახელნი, ვკისრულობთ ქართლელთა მოხმენას, აღსრულებას, „მოვლას, ყარაულობასა და სამსახურსო".

დაასკვნეს ლეკთა დალაშქვრა მომავალი წლისთვის და ერთმანეთს დაშორდნენ, „პირითა მტკიცითა" და „განახლებული სიყვარულითა".

მომდევნო, **1720** წლის გაზაფხულზე ვახტანგმა კახეთს გაგზავნა მეწინავე სადროშო — საბარათიანოს (ქვემო ქართლის) ჯარი, ე რ ა ს ტ ი ყ ა ფ ლ ა ნ ი შ ვ ი ლ - ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ს (სულხან-საბას ძმა) სარდლობით.

სამი თუ ოთხი თვე იდგნენ ქართლელები კარდანახს უქმად: არ იქნა და არ გაიყვანა ლეკებთან საომრად დავით იმამ-ყული-ხანმა არც ქართლელები და არც კახელები.

„პირი მტკიცე" და „განახლებული სიყვარული" ისევ ტყუილი ჩმახი გამოდგა.

ყაფლანიშვილ-ორბელიანმა ქართლის ჯარი ქართლს მოაბრუნა. იმ წელიწადმა უქმად ჩაიარა. ჭარ-ბელაქანის ქართულ მიწაზე ლეკურმა აულებმა შვებით ამოისუნთქეს.

დავით იმამ-ყული-ხანი ვახტანგ მეფის „ალმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხნულს“ აშკარად „დალმა ფარცხავდა“. ლეკიანობის მომაკვდინებელი საფრთხე შინაურმა კინკლაობამ გადაფარა. კახეთის ნამცეცა მეფუკა ვახტანგის მომტერე ქართლელ თავადებს მფარველობდა.

შანშე ქსნის ერისთავი ტფილისის ციხიდან გაქცეულიყო და ძმასთან, დავითთან ერთად ჯარების შეყრას შესდგომოდა ქსანზე და ლიახვზე.

ვახტანგ მეფის წინააღმდეგ ამხედრებულ ქსნის ერისთავებს კახეთის მეფე მფარველობდა და ეხმარებოდა.

ვახტანგმა თავისი ვაჟიშვილები გაგზავნა: ბაქარი — ქსანზე, ვახუშტი — ლიახვზე. „შევიდნეს ესენი და წარუხვნეს ყოველნი“. მაგრამ ჭურთას ციხესთან შანშეს ჯარმა უკუაქცია სამეფო სპანი.

მაშინ ვახტანგმა რაჭას და იმერეთს აფრინა კაცი მაშველის გადმოსაყვანად.

წამოვიდნენ რაჭიდან შოშიტა ერისთავი, იმერეთიდან — ხვიმონ და ლევან აბაშიძენი.

როგორც კი ჭურთას ერთად მიადგნენ ქართლელთა, რაჭველთა და იმერთა ჯარები, შანშე ერისთავმა მორჩილების ნიშნად ყელზე შიშველი ხმალი შეიბა და ბაქარს ჩაბარდა. ბაქარმა მამას მიჰგვარა ბორკილდადებული და პატივაყრილი ერისთავი.

ვახტანგმა რაჭველებსა და იმერლებს უმასპინძლა, დიდი ძღვენით უკანვე გაისტუმრა და ბორკილგაყრილი შანშე ერისთავიც მათ გაატანა „ჟამადმდე“.

მაგრამ გზიდან გამოექცათ იმერლებს შანშე. გამოექცათ და ისევ ჩაიკეტა ჭურთას ციხე-სიმაგრეში.

გაურჩებულ ფეოდალზე მეორედ გალაშქრება ველარ მოასწრო ვახტანგმა.

სწორედ იმჟამად სპარსეთის შაჰს შირვანის ხანი გამოეგზავნა დიდძალი ჯარით ჭარელი ლეკების ასაწყვეტად. აგრე არ უნდაო, და როგორც კი შირვანელებს შაქის მიწაზე ფეხი შემოუდგამთ, თავს დასცემიან ცქაფად ჭარელნი, თვითონ შირვანის ხანი მოუკლავთ და მისი ჯარებიც ერთიანად დაუჟლეტიათ.

ბრძანება მოუვიდა ვახტანგ მეფეს ძარღვებაშლილი შაჰ სულთან ჰუსეინისგან: ახლავე გაეშურე შენის ჯარებით, ჭარელი ლეკები ამოსწყვიტე და შირვანის ხანის სისხლი ამოიგეო.

იმ დღეებში ამიერკავკასიის ყველა სახანოსგან მიიღო ვახტანგმა მავედრებელი წერილები. შირვანი, ყარაბაღი, შემახა და ერევანი სწერდნენ ქართლის მეფეს: ჩვენი გმირი, ჩვენი მხსნელი, ჩვენი გამაერთიანებელი და ჩვენი ბელადი შენა ხარო; გაგვაერთიანე და წაგვიყვანე ერთხელ და სამუდამოდ ლეკთა გასანადგურებლადო; „თქვენი სიტყვის (გინა ბრძანების) მომლოდინე ვართო“, გვიყმე, გვიშველე და გვიპატრონეო!

ვახტანგს ლეკებთან თავისი „წმინდა ქართველი“ ანგარიშები ჰქონდა და წაქეზება აღარც სჭირდებოდა. ჯარი შემოიყარა და კახეთისკენ გაქუსლა.

კახელები შემოეგებნენ და მაღაროშდე მიუძღვნენ ქართლის მეფეს.

ლეკი მოციქულები მოიჭრნენ ჭარიდან მაღაროს. მოიჭრნენ და შეევედრნენ ვახტანგ მეფეს: შეგვიწყალე, შეგვივრდომე, მორჩილ და მოხარკე ყმებად მიგვიღეო.

ქართლის მეფეს ჭარელი ლეკების მორჩილება კი არა, დიდი ალაზნის აღმოსავლეთ მხარის — ჭარ-ბელაქან-ელისენის ქართული მიწებიდან აყრა და მათ სამშობლო დაღესტანში „უკუგადაყრა“ ჰქონდა გულს ამოჭრილი. ამიტომ მას არ შეეძლო „რაიმე“ დაეთმო ქართული მიწების დამპყრობთა და ქართული ოჯახების მაოხართათვის.

მაგრამ რა გამოვიდა! ლეკი ელჩები ვახტანგის კარვიდან ახალი გასული იყვნენ, რომ ანაზდაითად ერანის შაჰის ელჩმა, ბეჟან თოქალთოიანმა მოაგდო ცხენი.

შაჰ სულთან ჰუსეინი ვახტანგ მეფეს მკაცრად უბრძანებს: ლეკებზე ხელი აიღე და შენი ჯარებით ისევ ქართლს გაბრუნდიო!

დიდხანს გაოგნებული იდგა ვახტანგი.

რას ნიშნავდა ეს?! რამ წამოუარა და რა მოსურვებოდა შაჰს, რომელმაც გუშინ ლეკების ძირბუდიანად მოთხრა ბრძანა, დღეს კი იგივე ყაენი ლეკებისათვის ბუზის აფრენასაც კრძალავდა?!

თუმცა — ლეკების ხელყოფას საერთოდ კრძალავდა ერანის ჭკუანაკლული მბრძანებელი, თუ მხოლოდ ქართველებს უკრძალავდა?!

იქნებ ლეკთა განადგურების შემდგომ ქართველთა ძალმოსილების ზრდა აშინებდა ისფაჰანის შხამიან ბუდეს?!

. . . . . . .

ვახტანგი ერანის შაჰის ბრძანებას ისევ მორჩილად შეხვდა და უკან გამობრუნდა.

ისევ ამოისუნთქეს შვებით ქართულ მიწებზე ჩამოსახლებულმა ლეკთა აულებმა.

მოდიოდა ვახტანგ მეფე და ვერ კი გრძნობდა, რა სამომავლო ცოდვის ტვირთი დასწოლოდა ნაჯაფარ მხრებზე.

. . . . . .

იდგა 1720 წლის 7 ნოემბერი.

თელავის სასახლეში უფლისწული დაიბადა — ძე თეიმურაზისა და თამარისა, დისწული მეფე ვახტანგ მეექვსისა.

სახელად დაარქვეს — ერეკლე.

ხალხისაგან გაღმერთებული — „პატარა კახი“.

საქართველოს უკანასკნელი დიდი ხელმწიფე.

---

ლევან სანიკიძე
უქარქაშო ხმლები

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იყო მხოლოდ დიდი შეცდომა

1721 წლის გაზაფხულზე ვახტანგ მეფე ჯარით ახალგორს გაეშურა, მოღალატე შანშე ერისთავის შესაპყრობად და დასასჯელად.

შანშემ ზებეყურის ციხეში შეასწრო.

მეფემ ახალგორს განდგომილი თავადის სასახლე დასწვა და ზებეყურს მიადგა.

მაგრამ აღარ დასჭირდა ხელის გასვრა: შანშე თვითონ გამოვიდა ციხიდან „კვალად ვედრებული და ხრმალ-კისერ-კიდული", მეფის წინაშე დაემხო „მფიცარი ერთგულებასა ზედა" და მავედრებელი ულირსი სიცოცხლის დანარჩუნებისა.

შეუნდო მეფემ ამდენი ღალატი კადნიერ თავადს; დაუბრუნა ქსნის ერისთაობა, მისცა „საბოძვარი უშურველი და გაახტუმრა თვისსა საბატონოსა".

ტფილისს დაბრუნდა მეფე, ტფილისის ციხიდან თავისი მომტერე ძმა, იესე ალი-ყული-ხანი გამოუშვა და „უბოძა ბატონობა მუხრანისა, მდივანბეგობა და საქონელი თვისი სრულად".

(შენდობისა და პატიების „გუნებაზე" მდგარა იმჟამად მეფე).

ტფილისში მობრუნებულ მეფეს სპარსეთის შაჰის მოციქულები დახვდნენ. ამათ ჩამოეტანათ ძვირფასი ხალათი, მურასა ლახტი და რაყამი:

ვახტანგ მეფე დანიშნულია აზერბაიჯანის სპასალარად!

ეს იმას ნიშნავდა, რომ ამიერიდან ქართლის მეფის ხელში იქნება მთელი საომარი ძალები ქართლისა და აზერბაიჯანისა, გინა ერანის იმპერიის სრულიად ჩრდილოეთური ნაწილებისა!

კიდევ „რამ წამოუარა" ერანის უგერგილო მბრძანებელს აგრე რიგად რომ აუმაღლებია ამიერკავკასიის ხალხთა იმედი და ხაფიცარი მებაირაღტრე?!

ეს „უცნაურობაც" ადვილი ასახსნელი უნდა ყოფილიყო:

ლეკები ჰაჯი-დაუდისა და სურხაი-ხანის მოთაეობით თითქმის სავსებით დაუფლებოდნენ ერანის იმპერიის ჩრდილოეთურ მხარეებს, — და მხოლოდ ქართველთა ხმლებს შეეძლოთ ლეკური სატევრების ქვეშ გათანგული შირვან-აზერბაიჯანის გამოხსნა.

მერე, — აღმოსავლეთიდან ავღანელებს ისევ განუახლებიათ შემოტევები, აწ გარდაცვლილი მირ-ვეისის ვაჟის — მ ი რ-მ ა ჰ მ უ დ ი ს მეთაურობით. და ქართველების მეტს არავის შეუძლია ავღანთა დამარცხება (აკი ამას აღიარებენ თვითონ ავღანნი!).

ისევ — აღმოსავლეთიდან ყიზილბაშებს უტევენ ჰერათელ აბდალთა ტომები, ა ს ა დ უ ლ ა ს ბელადობით. და ისევ ქართველებს შესწევთ ხმლის ძალა აჯანყებულ აბდალთა განადგურებისა.

ბოლოს — ოზბეგებს, ყიზილბაშთა ოდინდელ მოსისხლეებს, ისევ განუახლებიათ შემოსევები და ხორასანსაც დაუფლებიან რბევით და ტყვევნით. და ქართველებზე უფრო საიმედონი ვინ ეყოლებათ სპარსელებს ოზბეგების სისხლის სათხევად და დასაქვესკნელებლად?!

უეჭველია, ყოველივე ამის გამო გახდა იძულებული შაჰ სულთან ჰუსეინი, კვლავ აღემაღლებინა ქართველი მეფე, — ვითარცა მხსნელი თისისფეხებიანი სპარსული ბუმბერაზისა.

მერე, — ვახტანგ მეფის ახალ აღზევებას ალბათ იმანაც შეუწყო ხელი, რომ უკვე ისფაჰანის სადავეებთან აღარ ჩანდა ეთიმადოვლე ფათჰ-ალი-ხანი, წარმომავლობით ლეკი (შამხალის საგვარეულოდან), ქართველთა დაუძინებელი მტერი. თურმე სახელმწიფო გადატრიალებას აპირებდა ფათჰ-ალი-ხანი. შეუტყო შაჰმა, თვალები დასთხარა, ქონება წაართვა და მალე სიკვდილიც შეჰყარა (სხვათა შორის, ფათჰ-ალი-ხანის ასული ცოლად ჰყავდა რ ო ს ტ ო მ ლევანის ძეს, ვახტანგ მეფის უმცროს ძმას, ერანის ყულარაღასს).

. . . . . .

ერთი სიტყვით, ვახტანგ მეფეს ერანის შაჰი ლეკებთან ბრძოლას აღარ უკრძალავდა, — უკრძალავდა კი არა, თვითონ უბრძანებდა და ახალ აღზევებასაც, უწინარეს ყოვლისა, ამისთვის აძლევდა.

და 1721 წლის ზაფხულს ისევ წარემართა ვახტანგ მეფე ლეკებთან საომრად.

ზედიზედ ეკვეთნენ ქართველები ლეკებს — ჭარში, ხუნანში, ზაგემში, განჯაში, შამქორში, ბარდაში — და ყველგან შავი დღე გაუთენეს.

აზერბაიჯანი სულ დაიცალა ლეკთაგან.

ისევ ჭარს მიაწყდნენ ქართველთაგან დევნილი ლეკები.

ჭარი ლეკთა მთავარ საყრდენად და „სამუსრად" გადაიქცა.

ვახტანგი ისევ კარდანახს მივიდა და დავით იმამ-ყული-ხანს მიუხმო კახელთა ჯარით.

დავითმა სნეულება მოიმიზეზა და კახთა ჯარით კარდანახს მივიდა დავითის უმცროსი ძმა და ვახტანგის სიძე თეიმურაზი.

ვახტანგ მეფის საომარი დროშის ქვეშ ახლა 60 000 მეომარი იდგა.

სამოცი ათასი! — ასეთი „რიცხვმრავალი" ლაშქარი მეთორმეტე საუკუნის შემდეგომ აღარ ახსოვს საქართველოს!

თითქოს დავით აღმაშენებლისა და თამარ შვიდმნათობიერის მხედრობა მოსულიყოს საომარ თალპიონზე!

სწორედ ასეთი „სადავითო" ლაშქარი უნდა დაძრულიყო ახლა პირდაპირ ჭარის გასწვრივ, ალაზნის გაღმა მხრისკენ. ქართველთა მარადიული ადგილსაცხოვრისის — კაკ-ელისენის დასახსნელად.

ისევ მოიჭრნენ ცქაფად ლეკი მოციქულნი: გვიყმეთ, გვიმონეთ, ქართველებო, ოღონდ ხელს საომრად ნუ გამოიღებთო!

ვახტანგს ხელში უქარქაშო ხმალი ეჭირა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეკებს ან უსისხლოდ უნდა დაეცალათ აღმოსავლეთ კახეთი, ან სამკვდრო-სასიცოცხლო ომი მიეღოთ!

სხვა არჩევანი გამორიცხულად ჩანდა.

მაგრამ...

მაინც ყოფილა „სხვა არჩევანი“.

რამეთუ ყოფილა ლაზლანდარა ფორტუნა ისტორიისა.

ერანიდან ელჩი — მურად-ბეგი მოიჭრა და ვახტანგს ძვირფასი ხალათი და ცინცხალი რაყამი მოართვა. რაყამში ეწერა:

„თუ თქვენ ფეხები უზანგებში გიდგათ, დაუყოვნებლივ ჩამოდით ცხენიდან; თუ თქვენ ხელში შიშველი ხმალი გიჭირავთ, უკანვე ქარქაშში ჩააბრუნეთ; თუ თქვენ ლეკებს მისდევთ, შესდექით და უკან მობრუნდით, ამ ბრძანების მიღებისთანავე!“

თითქოს მეხმა დაუარა და დაუწვა სრული ანაგება ვახტანგ მეფეს.

„უზანგიდან ფეხი დაისხლიტეო...

„ცხენიდან ჩამოხედ, დაქვეითდიო...

„ხმალი ქარქაშში ჩაიბრუნეო...

„ლეკებზე ხელი აიღეო...

„უკანვე გატრიალდიო...

„ეს რა თავხედობაა...

„რა ვერაგობა!“

რა მოხდა, კიდევ რამ „წამოუარა“ და რამ მოაწერინა ესოდენ თავხედური წერილი სპარსეთის რეგვენ ხელმწიფეს?! ანუ, ხელმწიფეს კი არა, მის მრჩევლებს და მოთათბირეებს (თორემ თვითონ შაჰ სულთან ჰუსეინს რამ უნდა „მოუაროს“ გონებაბრჯგუ თავში?!).

რა ღმერთი კაცს გაუწყრება, ჰკუაც დაეფანტებაო! — მწარედ გაეცინა სეხნია ჩხეიძეს.

მაგრამ სულ მალე გახდება საცნაური: სპარსეთის მესვეურებს ისევ ეშინოდათ ქართველებისი! შიში ყოველთვის ჰქონდათ „მბრძანებელ“ ყიზილბაშებს „ქვეშევრდომი“ ქართველებისა, მაგრამ ეს „ისტორიული შიში“, დრო-ჟამის ეტლისმწაფელის „განწესებით“, ხან დიდდებოდა, ხან მცირდებოდა. ხოლო ახლა უსაშველოდ მომძლავრებულიყო შიში სპარსელთა გულში, რადგან ძალიან გაზრდილიყო ძალმოსილება ქართველებისა. ამათ ხომ ახლახან ზედიზედ, „თამაშ-თამაშით“, გაანადგურეს მამაცი დაღესტნელები შირვან-აზერბაიჯანის მთავარ ციხე-ქალაქებში.

ახლა კიდევ — ვახტანგ მეფემ შირვან-აზერბაიჯანიდან ლეკები გარეკა და ეს ქვეყნები „თავისთვის დაიპყრა“, ჭარ-ბელაქანიც რომ „დაიპყროს“ (და რომ „დაიპყრს“, აქ საეჭვო არაფერია), მერე უეჭველად სხვა, უფრო დიდი ქვეყნის „დაპყრასაც“ მოინდომებს ქართველთა მეფე.

ხოლო, ეს „სხვა, უფრო დიდი ქვეყანა“ ალბათ იქნება ერანი!

დიახ, სწორედ ასე იქნება და ამიტომაც დაბეჯითებით გაიძახიან თურმე ახლა სპარსეთში: თუ ვახტანგ მეფემ ჭარი დაიპყრა, ქვეყანასაც ის დაიპყრსო!

დიახ, ერანსაც დაიპყრს!

60 000 მეომარი ჰყავს ვახტანგ მეფეს.

სამოცი ათასი ქართველი!

უეჭველად დაიპყრს ჭარ-ბელაქანს ქართველთა მეფე და მერე ერანისკენაც გაემართება!..

ძალზე საშფოთარი გახლავთ ერანის მესვეურთათვის კიდევ ერთი გარემოება: ყაენმა რომ ვახტანგს აზერბაიჯანის სამხედრო ძალების მთავარსარდლობაც მისცა, ქართველმა ეს დიდი „სპარსული სახელო“ თითქოს აინუნშიც არ ჩააგდო; მან ერთი მუსლიმი მეომარიც არ შეურია თავის ჯარებში. თურმე მხოლოდ ქართველები და სომხები შეჰყავს ვახტანგ მეფეს თავის მხედრობაში.

ქართველები და სომხები!

დიახ, თურმე ისევ სუნთქავს ქართველ-სომეხთა ერთიანობის, თანაძმობის, თანალმობისა და თანაპრძოლის ოდინდელი იდეა — მარად საოცნებო და სანატრელი განაზრახი ორი დიდკულტუროსანი ხალხისა!

ახლა თურმე განძასარის კათალიკოსი, სომეხთა ჭეშმარიტი სულიერი მამა — ესაია ჰასან ჯალალიანი გაიძახის ზეცისაკენ ხელაპყრობილი: სომხებსა და ქართველებს ერთი ღმერთი გვყავს, ერთი სული გვაქვს და პატრონიც ერთი გაგვაჩნია — „კეთილმოყვარე“ და „ღვთისნიერი“ ვახტანგ მეფეო!

ქართველ-სომეხთა ერთიანობას ცხოველებით ქადაგებდნენ დიდი სომეხი მოღვაწენი — ისრაელ ორი და ტიგრან მინასიანი. მათი ღრმა რწმენით, ორივე ხალხის მომავალი დაკავშირებული იყო ქართულ-სომხური „ფედერაციის“ შექმნასთან, რომელსაც სათავეში ქართველი მეფე უნდა ჩასდგომოდა.

ეჭვი არ იყო, სპარსელთაგან შეფარვით, ვახტანგ მეექვსეს უკვე დაეწყო ქართველთა და სომეხთა რაღაც „საძმო კავშირის“ სამზადისი.

უეჭველად ეს „კავშირი“ და „ერთიანობა“ მიმართული იქნებოდა საერთოდ მუსლიმანური გარემოცვის წინაამდეგ, ხოლო უწინარესად — ერანის უღლის დასამხობად, ან საერთოდ ერანის „დასამხობად“, გინა „დასაპყრად“.

ბოლოს — იყო კიდევ ერთი „მძლავრი გარემოება“ — რუსეთი!

სპარსელ მსტოვრებს არ გამოჰპარვიათ ვახტანგის „რწმუნებულის“ შეხვედრა რუსეთის ელჩთან — არტემ ვოლინსკისთან. მის შემდგომაც, როგორც ეტყობა, ვახტანგს „რაღაც კავშირები“ აქვს რუსეთის უმაღლეს კართან და დიდხელმწიფე პეტრე პირველთან.

გასულ, 1720 წელს არტემ ვოლინსკის, იმჟამად ასტრახანის გუბერნატორს, ქართველთა მეფისთვის მიუწერია: რუსეთის მხარეზე მტკი-

ცედ დადექი და ურწმუნოთაგან შენი ქვეყნის გათავისუფლების იმედი იქონიეო...

და აი, ბოლოს და ბოლოს, შეაგნებინეს ერანის ლაყუთავიან მბრძანებელს მისმა „ანტიქართველმა“ მრჩევლებმა:

ვახტანგ ქართველთა მეფე ჭარს დაიჭერს, აღმოსავლეთ კახეთიდან ლეკებს გარეკავს, სომხებთან კავშირს განამტკიცებს, რუსეთიდან დახმარებას მიიღებს და მაშინვე ერანის „დასაქცევრად“ წამოემართება!..

ისფაჰანის სასახლეში ავი ზარები რეკდნენ.

და ბრძანებს შაჰ სულთან ჰუსეინი:

ვახტანგ მეფემ ჭარზე ლაშქრობისგან ხელი აიღოს, უზანგიდან ფეხი დაიძროს, ხმალი ქარქაშში ჩაიბრუნოს და სასწრაფოდ ტფილისში დაბრუნდეს!

(ინგლისელ ჰანვეის ჩაუწერია: „ვახტანგი გასრესდა ლეკებს, მაგრამ მან მიიღო ბრძანება — სამშობლოში გაბრუნებულიყო“).

. . . . . .

ძლივს გამოერკვა ვახტანგი.

(იქვე შაჰის გამოგზავნილი „ძვირფასი ძღვენი“ — ოქრომკედით ნაქარგი ხალათი ეგდო. წესი კი მოითხოვდა, ჩაეცვა ყაენის წყალობით „გაბედნიერებულს“ ის ხალათი).

ერთხელ კიდევ დააშტერდა შაჰის რაყამს.

გარკვევით ეწერა: ჭარზე ხელი აიღე, ჯარი დაშალე და ტფილისში დაბრუნდიო.

რაყამს მოეშვა და შაჰის დიასპანს დაუწყო თვალით ძებნა.

მიაგნო და დააშტერდა მურად-ბეგს.

მერე სხვებს ჩამოუტარა თვალი — ქართლელ და კახელ წარჩინებულებს, სარდლებს და თანამებრძოლებს.

უეცრად ხმალზე ხელი დაიკრა, ქარქაშიდან ამოახლოინა, მაღლა აწვართა და ზარივით დაარიხა:

— აღესრულება შაჰის ბრძანება, — ხელი აგვილია ლეკთა დალაშქვრისგან, მაგრამ ეს ხმალი შაჰისა და მისი ერანის დასაცავად და დასახსნელად ქარქაშიდან აღარასოდეს ამოიწვდება!

ხმალი უკანვე ქარქაშში ჩააქვავა და დაიფიცა „ფიცითა საშინელითა“, რომ არასოდეს აწ ნათქვამ სიტყვას აღარ გასტეხდა!

აღარც გასტეხს.

და ძვირადაც დაუჯდებათ სეფიანებს და მათ ქვეყანას ვახტანგის ფიცი, — ჰანიბალის ფიცივით მტკიცე და განურღვეველი.

მაგრამ ვახტანგსა და საქართველოსაც ძვირად დაუჯდებათ ჭარ-ბელაქანის ლაშქრობაზე (და მას შემდგომ ერანის ლაშქრობაზე) ხელის აღება.

. . . . .

როცა ლეკებმა შეიტყვეს, ქართველები უომრად უკან გაბრუნდნენ და ბრძოლა შეიძლება მარტო ყიზილბაშებთან შეგვექნესო — უსაზღვრო აღტაცებამ და სიხარულმა მოიცვა მათი გულები.

„რადგან ლომთა ტორებისაგან მოვრჩენილვართ, ყიზილბაშთა ხმლებისა ჩვენ ვიცოდეთო!“ — მთელს აღმოსავლეთ კავკასიას („ამიერსაც“ და „იმიერსაც“) მოედო ეს „ლეკური შეძახილი“.

. . . . .

უკან ბრუნდებოდა ვახტანგ მეფე — დაშლილი ჯარით, აშლილი გონებით, ჩაშლილი სამამულიშვილო და საშვილიშვილო განაზრახით.

ალბათ, შეშინდა — თავადებმა არ მიღალატონო და იმიტომ თუ მოხსნა ლაშქრობა ჭარბელაქანზე (და მერე — ერანზე), — ფიქრობდნენ (და ფიქრობენ) ზოგიერთები.

ფუჭი იყო ყოველგვარი ეჭვი და ვარაუდი. იყო მხოლოდ დიდი შეცდომა.

## ისევ დიდი იმედი ჩრდილოეთიდან

მაგრამ იყო ქვეყანაზე დიდი რუსეთი.

იმდროინდელი საქართველოს დიდი იმედი.

სჯულით, სულით და გულით „ნათესავი დიდი ხალხი“ და „ნათესავი დიდი ხელმწიფე“.

პეტრე პირველს კასპიის აღმოსავლეთ სანაპიროთა დაპყრობა ჰქონდა გულს ამოჭრილი.

როგორც კი შვეციასთან ომს მორჩებოდა, მაშინვე უნდა წამოეწყო „კავკასიური ლაშქრობა“.

რუსეთის უმაღლეს კარს გაანგარიშებული ჰქონდა, ვინ უნდა ყოფილიყო მტერი და ვინ კიდევ მოყვარე მომავალ სამხრეთულ ომში.

რუსთა აშკარა მტრები იმჟამად ლეკები იყვნენ— ოსმალთაგან „ხელდადებულნი“ და წაქეზებულნი. ლეკებმა უკვე მოასწრეს რუსული სისხლის დაქცევა: შემახაში ორჯერ დაარბიეს და ამოწყვიტეს რუსი სოვდაგრები. ეს „სამომავლო ომის“ კარგი საბაბი იქნებოდა რუსეთის მეფისათვის.

1721 წელს ლეკებმა ისარგებლეს „ლომების“ (ქართველები) უკუდგომით და სასტიკად შეუტიეს შირვან-აზერბაიჯანში ჩამდგარ ყიზილბაშურ ციხიონებს. ჰაჯი-დაუდმა და სურხაი-ხანმა ხელში ჩაიგდეს შემახა, შირვანი და ალყაში ჩაიმწყვდიეს ბაქო.

დაღესტანი ოსმალეთის იმედად გულმაგრობდა და რუსეთს, ამდენად, ოსმალთა მტრობაც უნდა გაეთვალა მომავალ ომში.

ერანს ჯერ ისევ „რუსეთის მეგობარი“ ერქვა, მაგრამ ეს ფარისევლური „ძმობა“ და „მეგობრობა“ უმალვე „გულწრფელ მტრობად“ გადიქცეოდა, როგორც კი რუსი გრენადერი კასპიის მიწას ფეხს დააბიჯებდა.

„კავკასიურ ომში“ რუსეთის მოკავშირენი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისევ ქართველები და სომხები უნდა ყოფილიყვნენ.

ანტონ ვოლინსკისა და ვახტანგ მეექვსეს უკვე გაეჩაღებინათ მიწერ-მოწერა რუსეთ-საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური კავშირის გასარიგებლად.

ვახტანგმა „რუსული საქმეები“ სამეფო დარბაზზე გაიტანა სათათბიროდ.

მოდარბაზენი ორად გაიყვნენ: „რუსეთის მომხრენი“ და „რუსეთის მოწინააღმდეგენი“.

პირველ „პარტიას“ ვახტანგ მეფე უდგა სათავეში, მეორეს — მისი ძე ბაქარი.

ბაქარი და მისი თანამოაზრენი რუსეთთან კავშირის ძებნაში საქართველოს დიდ განსაცდელს ხედავდნენ. სანამ შორეული რუსეთიდან მაშველი მოგვისწრებს, მანამ ჩვენი ყურის მეზობელი მესისხლენი საქართველოს დაამხობენ და დააქცევენო („პეტრეს მოსვლამდე ვახტანგს ტყავს გააძრობდნენ“!).

მაგრამ მაინც უფრო ძლიერი იყო მეფის განაჩენი. იგი ლაპარაკობდა ურყევი რწმენით და დამაჯერებლობით. სრულიად საკმარისია რუსთა ხელმწიფემ ხუთი ათასი რუსი ჯარისკაცი გამოგვიგზავნოს და ჩვენც რომ ჩვენის ქართული ჯარით შევერთებით, ვერც სპარსეთი და ვერც ოსმალეთი კრინტის დაძვრასაც ვერ გაბედავენო.

ზოგმა მოდარბაზემ ესეც თქვა: რუსეთთან უალრესად ფარული კავშირი შევკრათო, რუსთა მცირე ჯარიც ფარულად შემოვიყვანოთ და შევინახოთო.

ბოლოს და ბოლოს, დარბაზის უმრავლესობამ მეფის მხარე დაიჭირა და რუსეთთან კავშირი და მეგობრობა დაასკვნა.

1721 წელს რუსეთისა და ქართლის სამხედრო-პოლიტიკური კავშირი მართლაც დაიდო, — დაიდო სიტყვიერად, რადგან პეტრე პირველი ქაღალდებს არ ენდობოდა, — ვაითუ, საომარი სამზადისი გაგვიხმიანდეს და ერანის შაჰმაც საწინააღმდეგო ღონისძიებებს მიმართოსო.

რუსთა და ქართველთა ხელმწიფეებს ერთად უნდა შეეტიათ ერანისათვის. სანამ პეტრე კასპიის გასწვრივ გამოჩნდებოდა, ვახტანგი გამალებით ემზადებოდა „სანატრელი ომისათვის“. ემზადებოდა ფარულად, შენიღბულად. სომეხთა თავკაცებთან ცხოველი ურთიერთობა გაება. სომეხ მამულიშვილებს ჯარების შეყრასა და გაწვრთნაში შველოდა.

. . . . . .

1721 წელს პეტრე პირველმა ბრწყინვალედ დაასრულა შვეციასთან ხანგრძლივი ომი.

საზეიმო სვლა ვსესვიატსკოედან დაიწყო პეტრემ, ქართული „კოლონიიდან“. პირველი საზეიმო შეხვედრა ქართულ ოჯახში მოაწყო ქართველებზე შეყვარებულმა ხელმწიფემ — მისი უსაყვარლესი ადამიანების, არჩილისა და ალექსანდრეს ოჯახში. მასპინძლობდა პეტრეს „ძვირფასი ნათესავი“ ქართველი ქალი, არჩილის ასული და ალექსანდრეს დაი — დარეჯანი. შვედებზე გამარჯვების პირველი საზეიმო სუფრაც „ძვირფას დარიას“ გაეწყო. რუსული იარაღის გამარჯვებისა და რუსული მამულიშვილობის აღსანიშნავი პირველი სადღეგრძელოც აქ შესვა პეტრემ და მისმა ამალამ — ქართულ ოჯახში, ქართველი ქალის ხელით ავსებული სასმურით.

მთელი ღამე ქართველებთან იდუმალ საუბარში გაატარეს პეტრემ და დარეჯანმა. საუბარს ესწრებოდნენ: სამეგრელოს მთავრის ლევან IV-ის ვაჟი, კაპიტან-პორუჩიკი გიორგი დადიანი, ბადურ (ბორის) თურქესტანიშვილი, ძმები პეტრე და მოსე ამბრასაძეები და დიმიტრი მოსეს ძე ამბრასაძე.

მეორე დღეს პეტრე და მისი ბრწყინვალე ამალა „ქართული სიყვარულით“ გულნაჯერნი გაემართნენ მოსკოვისაკენ, რომელიც საზეიმოდ აღმდგარი და აღკაზმული ელოდა ძლევამოსილ მეუფეს.

. . . . . . .

ხოლო სამხრეთში ქართველები და სომხები დღე-დღეზე ელოდნენ ჩრდილოეთიდან გამათავისუფლებელი ომის შემობრძანებას ამიერკავკასიის განაწამებ მიწაზე.

. . . . . . .

1722 წელს მოკვდა კახეთის მეფე დავით II იმამ-ყული-ხანი.

სპარსეთს წაასვენეს და დაკრძალეს ქალაქ ყუმში, საძვალეში, სადაც განისვენებდნენ — დიდი შაჰ აბასი და ქართველი მეფენი — როსტომი და ვახტანგ მეხუთე.

დავითს დარჩა ერთი ასული და ორი ძე — მაჰმად-მირზა და ალი-მირზა, რომელთაც მეფობა არ ჰღირსებიათ.

კახელებმა მეფედ „ინებეს“ თეიმურაზი, დავითის უმცროსი ძმა, ვახტანგ მეექვსის სიძე.

იმ დღეებში ლეკები შემოიჭრნენ თიანეთს. თეიმურაზი გაუხტა ჯარით. ლეკებს საფარი მოეწყოთ და მძიმედ დააზიანეს კახელნი. ტყვიით განგმირული დაეცა ხარჭაშნელი ეპისკოპოსი — ფილიპე ჩოლოყაშვილი.

როგორც იქნა, შეუხტნენ კახელები მტერს საფარსა და სიმაგრეში. შეუხტნენ, „მოსრნეს და მოსწყვიტნეს ლეკნი, რამეთუ მცირედნიღა გარნერნეს. ხოლო კახთა აღიღეს ნატყვენავი და მოვიდნენ გამარჯვებულნი...“

მაგრამ ის, რაც კახელებმა „ინებეს“, არ ნებავდა ერანის ყაენს.

შაჰ სულთან ჰუსეინმა თეიმურაზი მეფედ არ დაამტკიცა და კახეთის პატრონად მისი ძმა გამოგზავნა ერანიდან — კონსტანტინე მაჰმად-ყული-ხანი, რომელსაც შაჰმა კა-

ხეთთან ერთად სამმართველოდ უძღვნა ერევანი, ყაზახი და შამშადილი.

„ხოლო იყო ესე მაჰმად-ყული-ხან ფრიად მაჰმადიანი, ლაღი და ამაყი, მდიდარი და მესისხლე, რამეთუ არა რიდებდა მცირეხა ზედა კაცთა სიკვდილსა“.

ახლად მოვლენილ კახთა ხელმწიფეს არც ქართველები ეხატებოდა გულზე, არც სომხები და არც რუსები.

## სიცილით კვდებოდა ბედისწერა

ერანში ისეთი ამბები დატრიალებულიყო, პირდაპირ „ზედმისწრება“ რომ იქნებოდა დიდი საქრისტიანო სამეფოსთვის.

ისფაჰანი საშინელ სულიერ სისუსტესა და დაუძლეველ აპათიას მოეცვა. თითქოს ყველა „უტყუვრად“ გრძნობდა რაღაც შემაძრწუნებელი კატასტროფის მოახლოებას. ქვეყანა გაივსო შარახვეტია ჰოროსკოპებით, მკითხავებით, მუცლით მეზღაპრეებით, „წინასწარმეტყველებით“, შარლატანი დერვიშებით და ალლაჰისაგან „ხელდადებული“ სალოსებით.

მანამდე სავსებით ჩვეულებრივი ყოველი ბუნებრივი მოვლენა ახლა ზებუნებრივ ღვთისრისხვად ეჩვენებოდათ. ქარის რიალი და ცაზე მეტეორის კრთომაც მეორედ მოსვლის ნიშნად მიაჩნდათ. მუნეჯიმ-ვარსკვლავთმრიცხველნი მთელი ღამეები ვარსკვლავებსა და ცთომილებს ჩხრეკდნენ და სეფიანური დინასტიის დამხობას „კითხულობდნენ“.

1721 წლის ივნისში ათი დღის სიგრძეზე მზე აღარ გამოჩენილა. მხოლოდ მძიმე, სისხლისფერი ღრუბლებით ავსებულიყო ცისგვამი ისფაჰანისა. თავზარდაცემული დამხობილიყო სპარსეთის სატახტო ქალაქი. მუნეჯიმთაგან ზოგი დამანგრეველ მიწისძვრას წინასწარმეტყველებდა, ზოგი ზეციურ ცეცხლსა და ხანძარს, ზოგიც მტრის გამანადგურებელ შემოსევას.

ხალახანა ჰუსეინ შაჰმა ალლაჰის რისხვის მოვლინება ჭეშმარიტებად მიიჩნია, სასახლიდან გამოვარდა და განრინებით დადგმულ კარავში შეძვრა. ყველამ მიატოვა სახლი და კარი, ყველამ საზნად ცა დაიხურა და ლეიბად მიწა დაიგო. შეწყდა გართობანი. შეწყდა ხორციელი ტრფიალებანი. როსკიპი ქალები და ხოდომიტები ქალაქიდან გარეკეს შოლტების ცემით. დადგა მარხვა. დადგა გაუთავებელი ლოცვა, მოლებისა და მუეძინების ამაზრზენი წივილ-კივილი. შიშით და ძრწოლით თვალებდაჭიქული გასცქეროდა ქალაქი ისფაჰანი „არაფერს“.

. . . . .

ყანდაჰარიდან ისფაჰანისკენ გასროლილ ცხელ გზაზე მოჰქრის ჯარი — 8000 ავღანი მხედარი.

მოუძღვის ბელადი — მ ი რ-მ ა ჰ მ უ დ ი, ძე სახელოვანი მირ-ვეისისა.

(იმ მირ-ვეისისა, რომელმაც პირველმა სთქვა: ყიზილბაშები ჩვენთან შეწონებით ერთგულნი არიან, ხოლო ჩვენ, ავღანელნი, მხოლოდ ქართველებთან შეწონებით ვართ დიაცებიო!).

მოჰქრის მირ-მაჰმუდი ისფაჰანისკენ, მამის ანდერძით გულდანაჯერი: უკეთუ ყიზილბაშებმა ყანდაჰარის კედლებს მოატანონ, მაშინვე ზავი ჩამოუგდე მოიერიშე მტერს, ხოლო თუ ყიზილბაშებმა ომი ვერ შემოგბედონ, მაშინ ავღანელებმა თვითონ უნდა დაიწყოთ და ისფაჰანის დაუფლებით უნდა გაათაოთო, — უთქვამს მირ-ვეისს სიკვდილის წინ.

ასედაც ხდება ახლა: ყიზილბაშებმა ვერ გაბედეს ყანდაჰარის დალაშქვრა, „სამაგიეროდ“ ავღანელნი ლალაშქრავენ ისფაჰანს.

კარავში შეჩუმქრულ შაჰ სულთან ჰუსეინს მოახსენეს: მართლა დამდგარა განკითხვის ჟამი, თუ ხუმრობას თავს არ დავანებებთ და ხელს არ გამოვიღებთო.

— მაინც რა მომხდარაო? — უაზროდ იკითხა შაჰმა.

— მირ-მაჰმუდი მოდის ავღანთა ლაშქრით; უკვე ერთი კვირის სავალზე იქნებიან ისფაჰანიდანო.

სულელურად გაეცინა ჰუსეინს: თუ მტერი მართლა მოდის, მისი დახვედრა თქვენი საქმეა და თქვენ იფიქრეთ სამოქმედარი, ხოლო მე, თუ არ წამართმევენ, ფერაბადში რომ სასახლე მაქვს, ისიც მეყოფა საცხოვრებლადო.

ამნაირი „ხელმწიფური განასაჯის“ შემდეგომ ყოველი დამთხვეულიც მიხვდებოდა, რომ ერანს ხელმწიფე აღარ ჰყავდა. თვითონ უნდა ამოძრავებულიყო სამეფო კარი, უკეთუ იმას მაინც ჰქონდა „ამოძრავების“ უნარი.

სახელმწიფოს დახსნისათვის ბრძოლას იხევ „სახელმწიფოს ბურჯი“ — ეთიმადოვლე (პირველი ვეზირი) უნდა ჩასდგომოდა სათავეში.

მირ-მაჰმუდი ისფაჰანიდან ოთხი დღის სავალზე იქნებოდა, როცა მას ერანის ეთიმადოვლემ, მ ო ჰ ა მ ე დ ყ უ ლ ი-ხ ა ნ მ ა ელჩები შეაგება, თხუთმეტი ათასი თუმანი შესთავაზა და უკან გაბრუნება სთხოვა.

მირ-მაჰმუდი ადვილად მიხვდა, რომ მტერმა თავისი უკიდურესი სისუსტე თვითონვე გაამხილა. ავღანთა ბელადი გიჟი უნდა ყოფილიყო, თხუთმეტი ათასი თუმნის გულისთვის მთელს ერანზე ეთქვა უარი! მან სპარსი ელჩები გარეთ გამოჰყარა და გზა განაგრძო.

სოფელ გულნაბადთან მოვიდნენ ავღანელნი, ისფაჰანიდან ოც კილომეტრზე, და იქ დაიბანაკეს.

შაჰ სულთან ჰუსეინი, როგორც იქნა, საგანგებო სამხედრო თათბირზე დაითანხმეს. შეიქნა ბჭობა, — როგორ მოვიქცეთო.

ეთიმადოვლე მოჰამედ ყული-ხანი ამტკიცებდა, დაცვაზე დავდგეთ, ქალაქი გავამაგროთ და დაველოდოთ, სანამ საბეგლარბეგოებიდან ჯარები მოგვეშველებიანო.

არაბისტანის ვალი და როსტომ ყულარაღა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხი ეთიმადოვლეს არ დაეთანხმნენ: ქალაქში ჩაკეტვა მტერს დააჯერებს ჩვენს სისუსტეში და გაათკეცებული ძალით წამოვა იფრიშზეო; მტერს ყოველთვის ის უნდა დამართო, რასაც არ ელოდება. ამიტომ სჯობია, ქალაქიდან გავიდეთ და ავღანელთა ბანაკს მანამ დავეცეთ, სანამ გულნაბადიდან ფეხი გამოუდგამთო, — მოითხოვდნენ არაბისტანის ვალი და ქართველი სარდალი.

მოჰამედ ყული-ხანი მაინც თავისას გაიძახოდა, დავობდა, ჭინჭყლობდა, ჭირვეულობდა.

ქართველმა სარდალმა მკაცრად თქვა:

„ახლა იმის დრო არ არის, რომ ვიდავოთ, უნდა ვიომოთ. სირცხვილი იქნება უკანდახევა ეგზომ უზარმაზარი მხედრობით, რომელთა რიგებში გახლავთ იმპერიის რჩეულნი, მძარცველ ავაზაკთა და ამბოხებულთა ხროვის წინაშე!“

ყველას გასაოცრად, გულჩუკენმა ხელმწიფემ ბრძოლად გასვლას დაუჭირა მხარი.

სასწრაფოდ ჯარის შეყრას შეუდგნენ ისფაჰანის გარემო სოფლებში. ვინც ხაომრად გამოვა, ექვსი თვის ბეგარისგან თავისუფლდებაო, — ესეც გამოაცხადეს შაჰის ბრძანებით.

ჯარი დიახაც შეიყარა, სულ — ახლად მოსული და უკვე იარაღად მდგარი — 40 000 მეომარი. მაგრამ დიდი ნაწილი მაინც სახელდახელოდ შეყრილი ლაშქარი იყო. ზოგს თავის დღეში მხოლოდ კომბალი ეჭირა და ახლაც მხოლოდ კომბლით „აღჭურვილი“ იდგა საომარ მწყობრში. ზოგი უბრალო ბრძოლაგაუსინჯავი მიწის მუშა, ან ხელოსანი-დაბალი, ანუ ვაჭარი-მეწვრილმანე.

მაგრამ მაინც იყო ყიზილბაშურ ყაიდაზე გაწყობილი ჯარი.

და იყო ოთხასი ქართველი და მათი სარდალი, სპარსეთის ყულარაღასი როსტომ.

ზარბაზნებიც აღმოაჩნდათ, სულ — ოცდაოთხი ლულა.

მაგრამ თოფჩიბაში, ანუ „არტილერიის სარდალი“ ჰყავდათ პირდაპირ „მომაკვდინებელი“. მას სახელად ერქვა ა ჰ მ ე დ-ხ ა ნ ი, რომელსაც იქ დამსწრე ინგლისელი თურმე ამნაირი ბრიყვული შეკითხვით განუცვიფრებია: ისფაჰანიდან გასროლილი ყუმბარა გულნაბადამდე თუ ჩააღწევსო!

სიცილით ჩაბჟირებულან ევროპელები — ისფაჰანსა და გულნაბადს შორის ოცი კილომეტრი მანძილი იყო გაჭიმული!

ზარბაზნების საქმიანი მეთაურობა მაინც უცხოელისთვის მიენდოთ. ეს იყო ვინმე ავანტურისტი ფ ი ლ ი პ კ ო ლ ო მ ბ ი, ტომით ფრანგი, ერთხანს რუსულ არმიაში ნამსახური, იმჟამად ერანს ჩახვეწილი.

სპარსელთა მხედრობა ისფაჰანიდან გავიდა და მტრისკენ გაემართა. 5 მარტს უკვე ადგილზე იყვნენ, ავღანთა პირისპირ დაბანაკებულნი.

ბრძოლა 8 მარტისათვის დანიშნეს, რადგან მუნეჯიმმა მკითხავებმა ახე „იწინასწარმეტყველეს“ — რვა მარტამდე ვარსკვლავები ჩვენს წინააღმდეგ არიან „განწყობილიო“!

საბედისწერო შეტაკებამდე კიდევ ერთი „ბრძნული ღონისძიება“ გაატარა ჭკუის კოლოფმა ჰუსეინ ყაენმა. რომელიღაც მის სარდალს „ჯადოსნური წვნიანი“ გამოუგონებია; ვინც ამ „წვნიანს“ შეჭამს, მაშინვე უჩინარი შეიქნებაო! შაჰს დაუჯერებია ეს ახალი სიშლეგე და უფიქრია — თუ ამნაირ „ღვთაებრივ შეჭამანდს“ ჯარს შევაჭმევ, უჩინოქმნილებს მტერი ვეღარ დაინახავს და ვეღარც იარაღს მოიხმარს, ხოლო გაუჩინარებული ჩემიანები საიდანაც უნდათ, იქიდან შეუტევენ და „უჩინარად“ ამოაძრობენ სულს ავღანელებსო!

ჭკუაც ხომ ამას ერქვა და გასცა განკარგულება ყაენმა „ჯადოსნური წვნიანის“ გამზადებისა.

ქვაბები წყლით აავსეს და ცეცხლზე შემოდგეს. ყოველ ქვაბში ვაცის ორ-ორი ფეხი და სამას ოცდახუთი ცერცვის მარცვალი ჩაყარეს. ყოველ ქვაბთან თითო ქალწული მიიყვანეს და ყურანიდან ერთი სურა-ლოცვა სამას ოცდახუთჯერ ათქმევინეს.

ხარშვა და ლოცვა ჩათავდა. ბრძოლის წინარე ღამეც დადგა და ჯარი „სასწაულთმოქმედი სახვრეპელით“ გაძღეს.

ყველაფერი „რიგზე“ იყო. ჯარისკაცები ერთმანეთს ჰხედავდნენ, მაგრამ საფიქრალი და საეჭველი მაინც არაფერი იყო: მხოლოდ მტრისთვის იქნებოდნენ ისინი უჩინარნი, — ასე ამტკიცებდა იმ „სასწაულთმოქმედი“ შეჭამანდის „დებულება“.

ბრძოლის დღეც გათენდა — 1722 წლის 8 მარტი. სოფელი გ უ ლ ნ ა ბ ა დ ი.

დიდი საბედისწერო სამანი ერანის ისტორიისა (იქნებ, მასთან საქართველოს ისტორიისა?!).

ბრძოლას ხომ მთავარსარდალი სჭირდება — ერთი მთავარსარდალი, და შაჰმა აქაც საოცარი „თავისთავადი სიბრძნე“ გამოამჟღავნა: მთავარსარდლად, ერთის მაგივრად, ორი დანიშნა! თანაც, ერთმანეთის მომტერენი და მოსისხლენი — ეთიმადოვლე მოჰამედ ყული-ხანი და არაბისტანის ვალი.

დანიშვნისთანავე დაეტაკნენ ერთმანეთს: ეთიმადოვლე ბანაკის გამაგრებას და თავდაცვას მოითხოვდა, არაბისტანის ბატონი კი — ბანაკიდან გასვლას და შეტევაზე გადასვლას.

თავისი გაიტანა არაბისტანის ვალმა და ჯარი საომრად გაემზადა:

შუაგულში ეთიმადოვლე მ ო ჰ ა მ ე დ ყ უ ლ ი-ხ ა ნ ი დადგა.

მარცხენა განაკიდურზე — ა რ ა ბ ი ს ტ ა ნ ი ს ვ ა ლ ი.

მარჯვენაზე — ყულარაღასი რ ო ს ტ ო მ ი, ოთხასი ქართველით.

---

ლევან სანიკიძე
უძარაშამო ხმლები



8. „ცისკარი“, № 3.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავლანელებიც ალიმართნენ საომრად:

შუაგულში — მ ი რ-მ ა ჰ მ უ დ ი (ეთიმადოვლეს პირისპირ).

მარჯვენა განაკიდურზე — ა მ ა ნ ო ლ ა-ს უ ლ ტ ა ნ ი (არაბისტანის ვალის პირისპირ).

მარცხენაზე — ნ ა ს რ ო ლ ა-ს უ ლ ტ ა ნ ი (როსტომის პირისპირ)

ერთიმეორის ცხვირწინ იდგა 40000-იანი სპარსული და 8000-იანი ავლანური მხედრობანი.

დილიდან ნაშუადღევის ოთხ საათამდე იდგნენ შიშით გაცქნაფულნი და ბრძოლაში ჩაბმას ვერა ბედავდნენ.

ყიზილბაშებს ეშინოდათ ავლანთა სიმამაცისა.

ხოლო ავლანებს — ყიზილბაშთა მარჯვენა განაკიდურზე მცირე კორომად ჩაგუბებული ოთხი ასეული ქართველისა...

როგორც იქნა, გაბედეს ბრძოლად გასვლა.

დაჯახება ყველგან ერთდროულად მოხდა — ცენტრშიც და ფლანგებზეც.

არაბისტანის ვალი თავისი მხედრობით მარცხენა მხრიდან გაიჭრა, ავლანთა მარჯვენა განაკიდურს (ფლანგს) გვერდით ჩაუქროლა და მტრის ზურგის გასწვრივ გაალწია.

იმავდროულად როსტომმა და მისმა ქართველებმა გაანგრიეს და გაიტანეს ავლანთა მარცხენა განაკიდური, რომელსაც ნასროლა-სულტანი მეთაურობდა.

წუთი წუთზე არაბისტანის ვალი და როსტომ ყულარალასი, — როგორც მათი განაზრახი თავიდანვე გულისხმობდა — ავლანთა ზურგში მარყუჟს შეჰკრავდნენ და მტერი სარეჯგველა-ტომარში მოექცეოდა.

როსტომის შემოტევამ ისევ აღუძრა ავლანელებს „ქართველთა წინაშე დიაცური შიში“. თვითონ ბელადი მირ-მაჰმუდი ის იყო, გაქცევას აპირებდა, მაგრამ ამანოლა-სულტანმა არ დაანება და შეუჩნდა, — ყიზილბაშების ნუ ჰგეშინია, მთელი ძალები ქართველებისკენ მიმართე!

მართლაც, მირ-მაჰმუდმა ცენტრიც მოხსნა, მარჯვენა ფლანგიც და მთელი მხედრობა ქართველებს მიუსია.

ეთიმადოვლე მოჰამედ ყული-ხანი აღარ გამოედევნა ცენტრიდან გასულ მირ-მაჰმუდს და თხუთმეტი ათასი ყიზილბაშით თვალსასეიროდ დადგა და გაქვავდა.

არაბისტანის ვალიც თავისი მხედრობით აღარ ჩანდა ბრძოლის ველზე. ისინი ზურგიდან „შემოჭრის“ ნაცვლად, ზურგიდან „გაჭრილიყვნენ“; ავლანთა მიტოვებულ ბანაკში „შეჭრილიყვნენ“ და ძარცვა-გლეჯას და ალაფალას შესდგომოდნენ თავდავიწყებით.

ქართველები კი მარტო შერჩენოდნენ ყოველის მხრიდან შემოწოლილ მტერს.

ლურისტანის ვალიმ სცადა ქართველების მიშველება და თავისი მხედრობით დაიძრა კიღეც ავლანთა მარჯვენა ფლანგისაკენ ავლანელნი თითქოს ამას ელოდნენ, უცებ უკუიქცნენ და სივრცე მისცეს დაჩოქილი აქლემების ზურგებზე გამართულ ზამბურაკებს — მცირე ყალიბის ქვემეხებს. დაიგრიალეს ზამბურაკებმა. ჩაწვნენ და ჩაიკაფნენ მოიერიშე ყიზილბაშები, თვითონ დაჭრილი ლურისტანელი ძლივს გაათრიეს გადარჩენილმა მეომრებმა სამშვიდობოზე.

მაინც საოცარი მხნეობით იბრძოდნენ ქართველები, ყოველის მხრიდან გარშემორტყმულნი.

ეთიმადოვლე მოჰამედ ყული-ხანმა „დიდი სტრატეგიული“ ჩანაფიქრი ჩაიფიქრა და განასრულა კიდეც: სანამ ქართველები ავლანებს „იჭერენ“ მანამ ჩემს ყიზილბაშებს სიკვდილისგან გადავარჩენო და უკანდახევა უბრძანა ჯარებს.

უკანდახევაო?!

მგელთაგან დამფრთხალი საქონლის ჯოგივით მოსწყდა და უგზოუკვლოდ გაიქცა სპარსელთა ლაშქარი.

მხოლოდ სამჯერ მოასწრო ზარბაზნის გასროლა ფილიპ კოლომბიმ და მისი ზარბაზნებიც და მეზარბაზნენიც იერიშზე გადმოსულმა ავლანელებმა გადათქერეს.

ქართველები კი იბრძოდნენ ისევ, ძველებურად, ქართულად, უცხოელთათვის „თავგადაკვდომით“.

ბრძოლის ველს არხი ჩაუდიოდა და სწორედ იმ არხისკენ მიაწვა როსტომი ავლანთა სალტეს.

„სალტე“ განიდრიკა.

ქართველებმა არხს მიატანეს, მეწინავე ავლანელნი ჩაკაფეს და რამდენიმე ქართველმა კიდევაც მოასწრო მეორე მხარეს გადახტომა.

აჰა, როსტომ ყულარალასმაც ახკუპა ცხენი.

მძიმედ აიტანა დაქანცულმა ცხენმა ტანი თვისი და ტანი მხედრისა; გადამხტარს შლამიან-ლაფიანი მიწა ჩაექცა და ჩაიკეცა შიგ შუაგულ არხში.

ალტაცებული ბლავილ-ღლავილით მიესივნენ ავლანელნი.

\- - - - - - -

ბრძოლა დასრულდა.

ეყარა მკვდრები — 6000 ყიზილბაში, 400 ქართველი და 500 ავლანი.

და ხუთასივე ავლანი — მხოლოდ ქართული ხმლებით განგმირულნი...

იწვნენ ქართველები, იქვე — მათი მამაცი სარდალი, ვახტანგ მეექვსის უმცროსი ძმა, ლევან ბატონიშვილის ტრფიალების ნაყოფი („ხარჭის ნაშობი“).

საბედისწერო იყო ეს ბრძოლა სპარსეთისათვის. იგი მოიგეს ავლანებმა, მაგრამ გმირობის გვირგვინი მაინც მხოლოდ ქართველებმა „დაისაკუთრეს“.

დიდი, სანიშანსვეტო შედეგი ჰქონდა ბრძოლას, ხოლო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველებს ისევ „გმირული სიკვდილი“ და სხვა არაფერი!

სიცილით კვდებოდა ბედისწერა!

. . . . .

ძალიან ძნელი გახლავთ მსჯელობა იმის თაობაზე, რაც არ მოხდა, მაგრამ მოვლენათა მსვლელობის მკაცრი ლოგიკით სწორედ ნამდვილად უნდა მომხდარიყო.

გულნაბადის ბრძოლის მსვლელობასა და შედეგს დაუკვირდით და მერე თქვენ თვითონ განსაჯეთ, კეთილო მკითხველო!

ხომ დადასტურდა, რომ სპარსეთის იმჟამინდელ სახელმწიფოს აღარც თავი უვარგოდა და აღარც ტანი — ვერც ხელმწიფე ხელმწიფობდა, ვერც ვეზირი ვეზირობდა და ვერცა ჯარი ჯარობდა.

მერე, თვითონ ავლანთა ნათქვამის პარაფრაზი რომ მოვახდინოთ — ერთი-მეორესთან „შეწონვით“ ავლანელნი „ცხვრები“ იყვნენ და ქართველები „ლომები“.

და ამნაირმა რვა ათასმა „ცხვარმა“ გაანადგურა ორმოცი ათასი ყიზილბაში.

ხოლო ვახტანგ მეფეს მაშინ სამოცი ათასი „ლომი“ ჰყავდა ქართულ ლაშქარში.

ახლა ეს ვიკითხოთ, რა იქნებოდა კეთილო მკითხველო, სამოცი ათასი „ლომის“ პატრონს უკვე დაჭირიანებული სპარსეთის ლაყეთავიანი საჭეთმპყრობელისთვის მაშინ ანგარიში არ გაეწია და ჭარიც დაელაშქრა და თვითონ ერანიც ზედ მიეყოლებინა?!

როგორც ვნახეთ, ეს არ მოხდა და „ლომების“ მოსაგები „ცხვრებმა“ მოიგეს.

ახლა ის „ცხვრები“ ერანის სნებამორეული სატახტოს ასალებად მიეშურებიან.

ხოლო „ლომები“ ისევ დგანან და ელიან...

ამიტომაც კვდებოდა სიცილით ბედისწერა.

(გაგრძელება იქნება)

---

„რაც შეიძლება ნაკლები პოლიტიკური ლაქლაქი, მეტი ყურადღება კომუნისტური მშენებლობის უაღრესად მარტივი, მაგრამ ცოცხალი, ცხოვრებიდან აღებული, ცხოვრების მიერ შემოწმებული ფაქტებისადმი — ეს ლოზუნგი განუწყვეტლივ უნდა ვიმეოროთ ჩვენ ყველამ, ჩვენმა მწერლებმა, აგიტატორებმა, პროპაგანდისტებმა, ორგანიზატორებმა და სხვ“.

**ლენინი**

(თხზ., ტ. 29, გვ. 488).

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ლენინი

ვლადიმერ ბონჩ-ბრუევიჩი

## დ ე დ ა

დიდი ხნის წინათ, საზღვარგარეთ ემიგრაციაში ყოფნისას, როდესაც ჯერ კიდევ ვერ ვერწმუნა, რომ დადგებოდა დრო და იქუხებდა რევოლუცია, შევიყრებოდით თუ არა ერთად, უეჭველად ვლადიმერ ილიჩის დედასაც გავიხსენებდით.

ძალზე ძუნწი და ნაწყვეტ-ნაწყვეტი ცნობები მოგვდიოდა მასზე, მაგრამ ვიცოდით, რომ ჩვენგან შორს მყოფი, მწვავედ განიცდიდა ყველაფერს, რაც მის შვილს შეეხებოდა. განა არ კმაროდა, რომ მისი უფროსი ვაჟიშვილი ვაჟკაცურად დაიღუპა ჯალათის ხელით ცარიზმთან ბრძოლაში, რა უნდა ეგრძნო და ეფიქრა, როცა ეს მეორეც, მისი სათაყვანო ვალოდია, მტკიცე ნაბიჯით დაადგა გზას, რათა ბოლომდე ებრძოლა არა მარტო ცარიზმის, არამედ მშრომელი ხალხის ყველა ჯურის მჩაგვრელთა წინააღმდეგ.

მაშინ ორნი იბრძოდნენ ერთმანეთის პირისპირ, ახლა კი კლასი ებრძოდა კლასს, პარტია — მემამულეების, სამღვდელოების, სამხედრო პირთა, ჩინოვნიკებისა და აზნაურების მძლავრ ორგანიზაციებს.

მუდმივი შიში, გამუდმებული ტანჯვა-წამება ყოველდღე, ყოველ წამს, ყოველ დროს, თვიდან-თვემდე თუ წლიდან-წლამდე.

მაგრამ, აი, იქუხა 1905 წლის რევოლუციამ და ვლადიმერ ილიჩი, რა თქმა უნდა, ერთ-ერთი პირველთაგანი არალეგალურად ჩამოვიდა რუსეთში, მიიღო ლეგალურად ცხოვრების უფლება, პასპორტი ჩაწერა, მაგრამ ორი დღის შემდეგ იძულებული გახდა, იატაკქვეშეთში შეეფარებინა თავი.

აი, რას ნიშნავდა იმდროინდელი თავისუფლება! ვლადიმერ ილიჩს გაუძნელდა ასეთ პირობებში ყოფნა, უნდა დამალულიყო და რაც შეიძლებოდა მალე გასცლოდა პეტროგრადს.

მარია ალექსანდროვნა, ილიჩის დედა, ისევ უნდა დაშორებოდა შვილს, ვისი ნახვაც 1905 წლის ოქტომბრის „თავისუფლების“ დღეებში ბედმა მხოლოდ მცირე ხნით არგუნა.

დაიწყო ხანა სასტიკი რეაქციისა. დამცველი განყოფილების ჩინოვნიკები ცოფმორეულნი დაძრწოდნენ ყველგან. ჩხრეკდნენ, არბევდნენ და აწიოკებდნენ უდანაშაულო ხალხს, ანადგურებდნენ რევოლუციური ორგანიზაციების ნაშთებს.

ციხეები პატიმრებით გაიჭედა. პოლიტიკურებს ეშელონებით გზავნიდნენ მუდმივ გადასახლებაში, კატორღულ სამუშაოებზე. მოსკოვის, ორლოვის, ხარკოვის ცენტრალებში ტევა აღარსად იყო. აივსო პეტრო-პავლოვსკის ციხე-სიმაგრე, შლისერბურგის განმარტოებული საკ-

ნეში. საზარელი იყო მეფის, ამჟამად „კონსტიტუციური" მთავრობის ბნელი ძალების პარტიის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძალზე საძნელო შეიქმნა ჩვენთვის პარტიულ სამუშაოთა წარმოება, რადგან არავინ იცოდა, სად და რა შეიძლებოდა მომხდარიყო, როდის მოგვაკითხავდნენ არასასურველი სტუმრები ან სულაც სადმე ალყაში მოგვიმწყვდევდნენ.

ყოველთვის გული მიგვიწევდა ელიზაროვების ოჯახისკენ. იქ, სადაც თავის გათხოვილ ქალიშვილთან, ანა ილინიჩნასთან ცხოვრობდა ვლადიმერ ილიჩის დედაც. გვინდოდა მათი ნახვა, მათთან საუბარი, თანაც იმედი გვქონდა, რაიმეს მაინც გავიგებდით ვლადიმერ ილიჩზე.

მივიდოდით. ალერსიანი მარია ალექსანდროვნა ჩაით გაგვიმასპინძლდებოდა, ყურადღებით ისმენდა ჩვენს საუბარს და მერე აქეთ დაგვიწყებდა გამოკითხვას: ხომ არაფერი გაგიგიათ ვალოდიაზე, ხომ არავინ ჩამოსულა იქიდან ან წერილი ხომ არ მიგიღიათო. ჩვენც გულთბილად ვუყვებოდით ყველაფერს, რაც ვიცოდით ვლადიმერ ილიჩზე, იგი ხომ დედისთვის, პირველ ყოვლისა, საყვარელი შვილი, საყვარელი ვალოდია იყო, ყველა ჩვენგანისთვის კი უსაყვარლესი მეგობარი და პარტიის ბელადი.

ყურადღებით რომ მოგვისმენდა და საუბრით გულს იჯერებდა, ეს პატარა, გამხდარი ქალი, თვალებში ღრმა სიკეთე და მოუშუშებელი სევდა რომ ჩადგომოდა, როიალთან მივიდოდა, სახურავს ახდიდა და თითქოს ფიქრებმა სადღაც შორს გადაკარგესო, დაკვრას იწყებდა. შესანიშნავად უკრავდა წყნარ, ნაღვლიან მელოდიებს, ასე რომ ესადაგებოდა მის განწყობილებას.

მე მუდამ გულს მიფორიაქებდა ეს ჰანგები, ნარნარად რომ იღვრებოდა ოთახში, როცა ეს ფერმკრთალი, დატანჯული მოხუცი ქალი როიალს მიუჯდებოდა. მაგონდებოდა მრისხანე და ულმობელი ოთხმოციანი წლები, შლისელბურგის კაზემატები, სადაც ჯალათის ხელით დაეცა იგი, ვისდამი ხსოვნასაც, როგორც ვფიქრობდი, დაეგუბებინა დედის გულში ეს ნაღვლიანი, სულში ჩამწვდომი ჰანგები, ნაზი მელოდიები.

მეჩვენებოდა, თითქოს შვილების უსაზღვროდ მოყვარული დედა მარტოდმარტო იდგა ცეცხლის რკალში და მათ კეთილდღეობას დარაჯობდა, თუმცა იცოდა, კარგად იცოდა, რომ ყველა ისინი — ვაჟები, ქალიშვილები და სიძეც, მზად იყვნენ დაცემულიყვნენ იმ წარმტაცი იდეისთვის ბრძოლაში, რომელსაც ერთმა უკვე უშიშრად და გაბედულად შესწირა თავი; მუდამ მზად იყვნენ, ყველაფერი გადაეტანათ, ყოველგვარი განსაცდელისთვის გაეძლოთ, ოღონდ კი გაემარჯვა იმ საქმეს, ასე ღრმა რწმენით რომ ავსებდა მათ გულებს.

დედა იტანჯებოდა საყვარელი შვილების გამო, მაგრამ ამაყობდა კიდეც თავისი შვილებით, რომელთაგან ერთი, საუკუნეებისა და ათასწლეულთა ისტორიაში ბედის მიერ იქნა გამორჩეული.

განვლო იმპერიალისტური ომის საზარელმა წლებმა. ცხოვრება ბობოქრობდა, დუღდა და ადამიანებს აქეთ-იქით ერეკებოდა. მისი მშფოთვარე ტალღები მარია ალექსანდროვნას ოჯახსაც მისწვდა.

როგორღაც, განთიადისას, საათის ექვსზე, ტელეფონის ზარის წკრიალმა გამომაღვიძა. უეჭველია, რაღაც საგანგაშო უნდა ყოფილიყო. საწოლიდან წამოვხტი და ყურმილს დავწვდი.

— ხომ ვერ შეძლებდით ჩემთან მოსვლას? — ჩამესმა მოხუცი ქალის მისუსტებული ხმა.

„ვინ უნდა იყოს?" — გავიფიქრე. მოიცათ. ეს ხომ მარია ალექსანდროვნაა!

— რა საკითხავია, ახლავე მოვდივარ, ამწუთას, — ვუთხარი და ენა აღარ მომიბრუნდა მეკითხა, რა მოხდა-მეთქი.

— მალე წამოდით, თუ შეიძლება, ნუ დაიგვიანებთ, — ძლივს მესმოდა ყურმილში. — მანია დაიკარგა.

— რას მეუბნებით! — წამოვიძახე და სხაპასხუპით მივაყარე: — არა, არა, მანია კარგადაა, სწორედ გუშინ მივიღე ვერა მიხაილოვნას წერილი. ფრონტზე ყოფილა, იქ შეხვედრიან ერთმანეთს.

— ნუთუ მართლა? — სიხარულმა ხმა თითქოს ააფრთხიალა.

— მართალს გეუბნებით.

— ხომ არ მატყუებთ?

— არა-მეთქი, არა, მარია ალექსანდროვნა, ახლავე მოგიტანთ წერილს.

— გელოდებით.

— ჰა და ჰა, მოვრბივარ.

და ზაფხულის ამ ადრიან დილით მართლაც გავიქეცი მარია ალექსანდროვნასთან. წარმოდგენილი მქონდა, რა შიშის გადატანა მოუხდებოდა ღამით.

ვრეკავ. კარს თავად მიღებს. კიდევ უფრო გამხდარი, აღელვებული... ვუკითხავ წერილს, მთხოვს ერთხელ კიდევ წავუკითხო. ხელმეორედ ვკითხულობ წყნარად, დინჯად, გარკვევით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარია ალექსანდროვნა აღარ ღელავს, მაგრამ გამოსაცდელად კითხვას კითხვაზე მაგრამ ვუჩვენებ კონვერტზე ფოსტის შტემპელს. ეს უკვე ამშვიდებს, სათნოდ იღიმება და ალერსიანად მიხდის მადლობას კეთილი ამბის მოტანისთვის.

— თორემ მთელი ღამე თვალი არ მომიხუჭავს, სულ მანიაზე ვფიქრობდი, მეგონა, რაღაც უბედურება შეემთხვა-მეთქი.

მარია ალექსანდროვნამ ჩაიზე მიმიპატიჟა, ბლითებიც გამოიტანა და მე სიამოვნებით ვუამბე ყველაფერი, რაც ვიცოდი მარია ილინიჩნაზე: სად შეხვდა ვერა მიხაილოვნას, რამდენი კილომეტრი იყო იქიდან ფრონტამდე, ხომ არ ემუქრებოდა საფრთხე, შეიძლებოდა თუ არა, ტყვედ ჩავარდნილიყო. მერე მტკიცედ შევპირდი მარია ალექსანდროვნას, ფრონტის ამბებს ხშირ-ხშირად მოგიტანთ-მეთქი. შევთანხმდით, რომ დაუყოვნებლივ მივწერდი ჩემს მეუღლეს, ვერა მიხაილოვნას, ეცნობებინა ჩემთვის ყველაფერი, რასაც გაიგებდა მარია ილინიჩნაზე.

მერე ერთმანეთს დავშორდით.

დრო სწრაფად გადიოდა და აი, დადგა წუთი, როცა მარია ალექსანდროვნა ჩვენს შორის აღარ იყო. მან ანა ილინიჩნას მკლავებზე დალია სული. დავკრძალეთ პეტროგრადში, ვოლკოვოს სასაფლაოზე. ომმა ბევრი ჩვენგანი სხვადასხვა მხარეს გადახვეწა, ამიტომ დაკრძალვას ცოტანი ვესწრებოდით. ყველამ სასაფლაოს ეკლესიაში მოვიყარეთ თავი.

მარია ალექსანდროვნა კუბოშიაც ისეთივე სათნო და ტანჯული ჩანდა, როგორიც სიცოცხლეში იყო. გამაოცა კუბოს სიმსუბუქემ, როცა მე და ელიზაროვს მოგვიხდა მისი გამოსვენება ეკლესიიდან, სადაც მაშინდელი კანონების მიხედვით, სავალდებულო იყო მიცვალებულისთვის წესის აგება, რათა დაკრძალვის ნებართვა მოეცათ.

სამარეზე სწრაფად ამოიზვინა პატარა ბორცვი, რომელიც ცოცხალი ყვავილებით შევამკეთ, ერთხანს ფიქრში წასულნი, ნაღვლიანად ვიდექით. მერე ნელ-ნელა დავიშალეთ.

მარია ალექსანდროვნა ისე გარდაიცვალა, საყვარელი შვილის ნახვას ვერ მოესწრო.

იფეთქა თებერვლის რევოლუციამ. მოვლენები სწრაფად მიჰყვა ერთიმეორეს. ბოლოს ვლადიმერ ილიჩიც ჩამოვიდა პეტროგრადში. მას საზეიმოდ შეხვდნენ რევოლუციური პროლეტარიატი, მეზღვაურები და ჯარისკაცები.

გაილია პირველი საღამო, პირველი ღამე. იმართებოდა მიტინგები, ისმოდა მოწოდებები, ფიცი, იყო მოგონებები და აი, გათენდა პირველი დილა, როცა ვლადიმერ ილიჩს დაუბრკოლებლად შეეძლო ევლო ქალაქის ქუჩებში.

დამირეკა და მანქანა მთხოვა. ვიცოდი, რომ პირველად ვოლკოვოს სასაფლაოზე, დედის სამარის მოსანახულებლად წავიდოდა. ეს იქნებოდა მისი პირველი მოგზაურობა პეტროგრადის ქუჩებში.

ვლადიმერ ილიჩი მუდამ თავდაჭერილი, სერიოზული და დაფიქრებული იყო. არ უყვარდა თავისი ინტიმური გრძნობების გამომჟღავნება, მით უფრო, უცხოებთან, მაგრამ ჩვენ ყველამ ვიცოდით და ვგრძნობდით, რომ ვოლკოვოს სასაფლაოზე იმ პატარა ბორცვაკისკენ მიმავალი ბილიკი მისთვის ყველაზე მძიმე და ძნელად სავალი გზა იქნებოდა.

თარგმნა ეთერ თვარაძემ

ფილიპე მახარაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საჩუქრები ბელადს

ლენინი ერთ-ერთი ყველაზე დიდი და განუმეორებელი პიროვნებაა ისტორიაში.

ადამიანი, რომელზე მეტიც არავის გაუკეთებია უბრალო ადამიანებისათვის.

და ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ კაცობრიობის ისტორიაში ძნელად მოიძებნება პიროვნება, რომელიც იპყრობდეს ისეთ ყურადღებას, როგორც ლენინი.

დიდი სიყვარულით და გაგებით აგვიწერეს იგი მისმა თანამებრძოლებმა, მოწაფეებმა და მეგობრებმა. მას აძლევდნენ დახასიათებას პოლიტიკური მოღვაწენი, მეცნიერები, პოეტები, ჟურნალისტები...

მას სწერდნენ, ეპატიჟებოდნენ სტუმრად, აინტერესებდათ მისი ჯანმრთელობის ამბავი. ულოცავდნენ რევოლუციურ დღესასწაულებს ახალ წელს და თავის შესახებ უამბობდნენ უბრალო ადამიანები.

ვლადიმერ ილიას ძე ლენინი ხშირად დღეში 18-20 საათს მუშაობდა, მაგრამ პოულობდა დროს სისტემატურად მიეღო მნახველები. ბევრს უნდოდა მისთვის რაიმეს საჩუქრად დატოვება, რაც მას ძალზე უხერხულ მდგომარეობაში აყენებდა. დელეგაციისა თუ ცალკეული პირების წასვლის შემდეგ იგი იწვევდა მდივანს და სთხოვდა ნივთი გადაეცა მშიერთა დახმარების ფონდში. თუ დელეგატებს სასურსათო ამანათები მოჰქონდათ, ვლადიმერ ილიას ძე მაშინვე უგზავნიდა მათ საბავშვო ბაგებს და საავადმყოფოებს აუცილებელი შეტყობინებით იმის შესახებ, თუ ვისგან არის ამანათი.

1920 წლის ნოემბერში მიმდინარეობდა დაღესტანის ხალხთა ყრილობა, რომელმაც რუსეთის მშრომელებთან ურყევი კავშირი გამოაცხადა. არჩეულ იქნა დელეგაცია ოთხი კაცის შემადგენლობით მოსკოვში, ლენინთან წასასვლელად. იგონებენ, რომ ლენინი დელეგაციას კარის ზღურბლზე შეეგება. იგი გულითადად მიესალმა თითოეულ მათგანს. დაიწყო საუბარი, ლენინი სთხოვდა სტუმრებს, გულახდილად მოეთხროთ რესპუბლიკის საჭიროებათა შესახებ. გავიდა 45 წუთი. ბელადმა შეაჯამა შეხვედრის შედეგები, ილაპარაკა დაღესტნის კომუნისტების ამოცანებზე.

დამშვიდობებისას სტუმრებმა გაიხსენეს, რომ ლენინთან ხელცარიელნი არ მოსულან. ერთ-ერთმა მათგანმა გახსნა ფუთა და ამოალაგა მაგიდაზე ხელნაკეთი საგნები — საწერი მაგიდის კომპლექტი — კალმისტარი კალმით, საშრობი თავისი ქაღალდით და ფურცლების საჭრელი დანა, ორი შანდალი, ვერცხლის პორტსიგარი და ჭიქის ჩასადგმელი, რომლის შიგნით ამოტვიფრული იყო წარწერა: „საყვარელ ბელადს ვლადიმერ ილიას ძეს დაღესტანელი ლატაკებისაგან“.

დაღესტნის ხალხებმა, ვლადიმერ ილიას ძევ, — თქვა სტუმარმა, — მთხოვეს გადმოგცეთ ეს მოწყობილობა. იგი გააკეთეს ყველაზე ნიჭიერმა, ყველაზე ბრძენმა ოსტატებმა. მათ უნდოდათ თქვენთვის ხანჯლის ჩუქება — ასეთია მთიელთა ადათი. მაგრამ უხუცესმა ოსტატთაგანმა თქვა: „კალამი ლენინის ხელში უფრო ბასრია, ვიდრე ყველაზე მჭრელი ხანჯალიო“. ჩვენში კი მოხუცებს უჯერებენ, პატივს სცემენ მათ, ამხანაგო ლენინ!

ვლადიმერ ილიას ძე ინტერესით ათვალიერებს საჩუქრებს. ხელოვნების ამ დიდებული ნიმუშებით მხოლოდ მე დავტკბე? — თქვა მთიელთა უჩვეულო ხელოვნებით გაოცებულმა, — დაე, ამით ყველანი დატკბნენ... ეს მუზეუმში უნდა გაიგზავნოს, რათა ყველამ იცოდეს, რა შესანიშნავი ოსტატები ჰყავს დაღესტანს.

დაღესტნის წარგზავნილებმა ერთხმად უარყვეს ეს აზრი, მუზეუმი თავისთავად მიიღებს ექსპონატებს. მაგრამ ესენი მხოლოდ ილიჩს უნდა ეკუთვნოდეს. ნუ გვაწყენინებთ უარით... და ლენინიც დანებდა. ეს საწერი მოწყობილობა დღესაც დგას ვ. ი. ლენინის კაბინეტში, კრემლში.

საუბრიდან რამდენიმე ხნის შემდეგ ახალგაზრდა დელეგატს, სპილოს ძვლის ჩიქილებიან ჩოხაში გამოწყობილ მაღალ ალიბეკს გადასცეს ლენინის ფოტოსურათი წარწერით: „წითელი დაღესტანისათვის. ვ. ულიანოვი (ლენინი)“.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-5 წლისთავთან დაკავშირებით კლინცის სტოდოლის მაუდის ფაბრიკის მუშების წარმომადგენლებმა ლენინს გორკაში ჩაუტანეს მისასალმებელი ადრესი და საჩუქარი — თავიანთი წარმოების მაუდის ნაჭერი. მუშები წერდნენ: „ამ შემთხვევასთან დაკავშირებით, ჩვენ სადღესასწაულოდ გითვლით ჩვენს მხურვალე მილოცვას და გიგზავნით ჩვენი შრომით შექმნილ უბრალო საჩუქარს. ჩვენ ბედნიერები ვიქნე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბით, თუ შენ, ჩვენი მასწავლებელი და ბელადი, ჩაიცვამ ჩვენი ხელით მოქსოვილ კოსტუმს... იცოდე, რომ ჩვენ ყოველთვის შენთან ვართ.

რევოლუციის და თქვენი ერთგული, კლინცის ლენინის სახელობის ფაბრიკის მუშები. კლინცი, 1922 წლის 3 ნოემბერი". წერილს ხელს აწერდა 400-ზე მეტი მუშა.

ვ. ი. ლენინმა წერილით უპასუხა: „ძვირფასო ამხანაგებო! გულითად მადლობას გიძღვნით მისალმებისა და საჩუქრისათვის. საიდუმლოდ უნდა გითხრათ, რომ საჩუქრებს არ უნდა მიგზავნიდეთ, ძალიან გთხოვთ ეს საიდუმლო თხოვნა რაც შეიძლება ფართოდ გააცნოთ ყველა მუშას.

საუკეთესო მადლობა, სალამი და სურვილები.

თქვენი ვ. ულიანოვი (ლენინი)".

ეს წერილი წაკითხულ იქნა სტოდოლის მაუდის ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა კრებაზე. იგი შემდეგ დაიბეჭდა გაზეთებში და მთელმა ქვეყანამ გაიგო ლენინის ამ „საიდუმლოს" შესახებ.

ასე იქცეოდა დიდი ლენინი. და თუ მან არ თქვა უარი საჩუქარზე, — როგორც წერდა „პრავდის" ფურცლებზე გამოჩენილი ბოლშევიკი-ლენინელი, პუბლიცისტი მიხეილ ოლმინსკი. — მხოლოდ იმიტომ, რომ არ გაენაწყენებინა მუშები. მან მეტად დელიკატურად მიახვედრა მუშებს, რომ საჩუქრების მირთმევა არ არის საჭირო, გულში კი ნაწყენი დარჩა მუშების ასეთი საქციელით.

ცნობამ ბელადის ავადმყოფობის შესახებ 1922 წლის ზაფხულში თავზარი დასცა მშრომელებს. ამას დიდად განიცდიდა ახალგაზრდა ლატაკი გლეხი, მეფუტკრე ვასილ დიმიტრის ძე კუზნეცოვიც. მას სხვაზე მეტად სჯეროდა თაფლის სამკურნალო თვისებები. „ყოველ შემთხვევაში ჩემი თაფლისაგან იგი უარესად არ გახდება. ეგებ მოუხდეს?" — ფიქრობდა ვასილი. იგი გაემართა ფოსტისაკენ და მოსკოვში ლენინს ამანათი — ორი ჩარჩო თაფლი გაუგზავნა.

მალე მეფუტკრეს გადასცეს კონვერტი მოსკოვის შტამპით:

„ძვირფასო ამხანაგო!

თქვენი საჩუქარი მივიღეთ. და ვლადიმერ ილიას ძემ დამავალა გადმოგცეთ თქვენთვის მადლობა გემრიელი თაფლისა და კეთილი სურვილებისათვის.

ვლადიმერ ილიას ძის ჯანმრთელობა უმჯობესდება და იგი იმედოვნებს, რომ მალე კვლავ შეუდგება მუშაობას.

მას ძლიერ აინტერესებს, როგორ არის საქმე თქვენს სოფუტკრეში, რამდენი ხანია, რაც მანდ მუშაობთ. მოგვწერეთ ამის შესახებ.

კიდევ ერთხელ გმადლობთ, მოკითხვა და წარმატების სურვილები ვლადიმერ ილიჩისაგან.

ვ. ი. ლენინის და ნ. ულიანოვა".

რა თქმა უნდა ახალგაზრდა მეფუტკრე დიდად აღელვა ამ ბარათმა. შემდეგ კუზნეცოვი აქტიურად მონაწილეობდა პირველი კოლმეურნეობების შექმნაში.

1918 წლის 7 ნოემბერს მძიმე ბრძოლების შემდეგ წითელმა არმიამ თეთრგვარდიელებისაგან გაათავისუფლა ქალაქი იჟევსკი. იარაღის ქარხნის მუშებმა გადაწყვიტეს ლენინისათვის გაეგზავნათ საჩუქარი — მინიატურული სამხაზიანი თოფი, რომლის სიგრძე იყო 317 მილიმეტრი, ხოლო წონა — 76 გრამი. საჩუქარი დაამზადა ქარხნის მუშამ ა. ვ. ალექსეევმა.

სამოქალაქო ომის წლებში ბევრი საჭაროსო ნაწილი ირჩევდა ლენინს საპატიო წითელარმიელად და საპატიო მეზღვაურად, ეს იყო ლენინისადმი მეომართა კოლექტივების უდიდესი პატივისცემის გამოხატულება. მოსკოვში ვ. ი. ლენინის ცენტრალურ მუზეუმში, მნახველები ინტერესით ათვალიერებდნენ წითელარმიელის ჩასაცმელებს: ფარაჯას, ჩექმებს, ორჩაჩქანს, რომლებიც საყვარელ ბელადს გადასცეს, ეისკის მსროლელთა 195-ე პოლკის წარმომადგენლებმა 1922 წლის 18 აპრილს, რომლის საპატიო წითელარმიელიც იყო ვლადიმერ ილიას ძე ლენინი.

ურალისა და ციმბირის სამთოელთა I ყრილობამ, რომელიც 1918 წლის 29 ნოემბერს გაიმართა, ლენინს საჩუქრად გადასცა სასარგებლო წიაღისეულის კოლექცია — 200 მინერალი, რომლებიც ურალისა და ციმბირის სხვადასხვა საბადოში შეაგროვეს.

მოსკოვის მეტალურგიული ქარხნის „ნამგლისა და უროს" მუშებმა მიართვეს მინის ფილი მარქსისა და ენგელსის ბარელიეფით, რომელზეც წარწერილი იყო: „ძვირფას ვლადიმერ ილიას ძეს მოსკოვის დიდი მეტალურგიული ქარხნის „ნამგლისა და უროს" მუშებისაგან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-5 წლისთავის გამო", ხოლო ქალაქ ბაქოს და აზნავთობის მუშებმა — მარმარილოსა და ვერცხლისაგან დამზადებული სამელნე და საწერი მოწყობილობა წარწერით: „ძვირფას ამხ. ლენინს ბაქოს და აზნავთობის მუშებისაგან 7/XI-22 წ. ნავთობის მრეწველობის სამახსოვროდ". მბეჭდავთა მელიტოპოლის კავშირმა გამოუგზავნა სამკერდე ნიშანი დამზადებული აბრეშუმისა და ლითონისაგან. ლენტზე წარწერაა: „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მეხუთე წლისთავის დღეს ვულოცავთ ჩვენს ძვირფას ილიჩს და გამოვთქვამთ მტკიცე რწმენას, რომ ეს დღე იქცევა მთელი მსოფლიოს მუშათა კლასის განთავისუფლების დღედ".

შორეული უკრაინული სოფელ პოტაშიდან გლეხმა ვლადიმერ ილიას ძეს 1923 წლის აპრილში გაუგზავნა ალუმინის ორი კოვზი (სუფრის და ჩაის), რომლებიც თვითონვე ჩამოასხა.

საჩუქრის ავტორი ტ. ფ. ვიტკოვსკი — ხოფელში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების აქტიური ორგანიზატორი, სასოფლო საბჭოს და ღატაკთა კომიტეტის ერთ-ერთი პირველი თავმჯდომარეთაგანი იყო.

1920 წელს ურალის კუსინსკის ქარხნის მუშებმა გააკეთეს თუჯისაგან ჩამოსხმული ლამფა მჭედლის ფიგურის სახით, რომელიც გრდემლთან დგას. მჭედელი ომის იარაღისაგან — ხმლისა და ქვემეხის ლულისაგან სჭედს შრომის იარაღს —გუთანს, რაც სიმბოლურად გამოხატავს ჩვენი ქვეყნის გადასვლას სამოქალაქო ომის პერიოდიდან მშვიდობიან აღმშენებლობითს შრომაზე. ხელმარჯვე ოსტატებმა ლითონით გამოხატეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის უდიდესი ისტორიული მონაპოვრები — დეკრეტები ზავისა და მიწის შესახებ. მუშებმა ქანდაკება ისე გააკეთეს, რომ ვლადიმერ ილიას ძეს შეეძლო მისი მაგიდის ნათურად გამოყენება.

კაბინეტში მაგიდაზე დევს ლითონის საფერფლე სანთებელათი ქვემეხის ფორმით — მიხელსონის ყოფილი ქარხნის (ახლა ვლადიმერ ილიჩის სახელობის ქარხანა) მუშების საჩუქარი. იგი დაამზადა ძველმა მუშამ მ. ვ. რაზუვაევმა. იგი იხსენებს: „ჩვენ ძალიან ვცდილობდით, რომ ილიჩი გაგვეხარებინა. სამწუხაროდ, არ ვიცოდით, რომ ლენინი არასდროს არ ეწეოდა. მაშინ სხვა რამეს გამოვსახავდით", მაგრამ იმ ქარხნის მუშათა სამახსოვროს, სადაც იგი ხშირად გამოდიოდა, ლენინი ძლიერ უფრთხილდებოდა.

აქვეა თუჯის პატარა ობელისკი, გამოდნობილი ურალის გურევსკის პირველი აღდგენილი ბრძმედის პირველი თუჯისაგან. იგი გამოგზავნეს გურევსკის ქარხნის მუშებმა 1922 წლის მარტში. არის ტყავის საქაღალდე, შემკული შესანიშნავი ხალხური ორნამენტით — ქართველ პოლიგრაფისტთა საჩუქარი, გამოგზავნილი 1922 წელს. კაბინეტში დევს სტეფანე ზალტურინის ბარელიეფი — მოქანდაკე ნ. ალტმანის ნამუშევარი.

ვ. ი. ლენინის პირად ბიბლიოთეკაში ინახება მრავალი წიგნი, რომლებიც ბელადს საჩუქრად გადაეცა. ამ წიგნების წარწერები ნათლად მეტყველებს მისდამი მხურვალე სიყვარულსა და ღრმა პატივისცემას. დიდმა რუსმა მეცნიერმა კლიმენტი არკადის ძე ტიმირიაზევმა ვლადიმერ ილიას ძე ლენინს გამოუგზავნა თავისი წიგნი „მეცნიერება და დემოკრატია" წარწერით: — ღრმად პატივცემულ ვლადიმერ ილიას ძე ლენინს ტიმირიაზევისაგან, რომელსაც ბედნიერებად მიაჩნია იყოს მისი თანამედროვე და მისი სახელოვანი მოღვაწეობის მოწმე".

ძალიან ხშირად ბელადი ჩვეულებრივ ამ საჩუქრებს არ ღებულობდა. ს. ნ. ალიკინი იგონებს: „ერთხელ სერგი მირონის ძე კიროვმა, რომელიც სამხრეთ რუსეთში, ასტრახანში, მუშაობდა, შიკრიკის საშუალებით საიდუმლო პაკეტი გაუგზავნა ლენინს, რომელშიც აცნობდა, თუ როგორ მოაწოდეს ასტრახანს ბენზინი ბაქოს მუშებმა თეთრგვარდიელთა დაცვის გვერდის ავლით, იცოდა რა მოსკოვში სურსათის გაჭირვების ამბავი, სერგი მირონის ძემ გაუგზავნა ილიჩს ამანათი — ცოტაოდენი კარაქი და ხიზილალა.

შიკრიკი ჩავიდა მოსკოვში, მივიდა ილიჩთან და გადასცა პაკეტი და ამანათი. ვლადიმერ ილიას ძემ წერილი წაიკითხა. შემდეგ დაუძახა მდივანს ლ. ა. ფოტიევას და სთხოვა ამანათი კარაქით და ხიზილალით გადაეცა საბავშვო ბაღისათვის ან ბაგისათვის.

შიკრიკი გაოცდა და ცოტა არ იყოს დაიბნა კიდეც. — ეს ამანათი პირადად თქვენ გამოგიგზავნეს, ვლადიმერ ილიჩ, თქვა მან — თქვენ კი მას საბავშვო ბაღს უგზავნით, როგორ ვუთხრა ეს სერგი მირონის ძეს?

— ამხანაგო, თუ თქვენ ეჭვი გეპარებათ, რომ ეს ამანათი მე გადმომეცა, — თქვა ლენინმა. — მე შემიძლია ხელწერილი მოგცეთ, რომ ამანათი კარაქით და ხიზილალათი მე მივიღე..."

ასეთი შემთხვევაც მოხდა: კრემლში მოვიდა წითელარმიელი. ინახულა ლენინის მდივანი და გადასცა ნახევარი პური: „გადაეცით ილიჩს, ახლა შიმშილობაა და ღმერთმა შეარგოს". იგი არ ჩაწერილა მიღებაზე. მხოლოდ ითხოვა, როცა ჩაივლის, დამანახეო, რომელია ლენინიო.

ვ. ი. ლენინის სამუშაო კაბინეტში კრემლში მაგიდაზე დევს ბრინჯაოს ფიგურა-მაიმუნი, რომელიც ზის ჩარლზ დარვინის წიგნზე „სახეთა წარმოქმნა" და დაკვირვებით უყურებს ადამიანის თავის ქალას. თითქოს ევოლუციაზე ფიქრობსო. ეს ნივთი ყველა მნახველის ყურადღებას იპყრობს.

1964 წლის ნოემბერში ჩვენს ქვეყანაში ჩამოსულმა ამერიკელმა ბიზნესმენებმა კრემლის დათვალიერების სურვილი გამოთქვეს. ლენინის სამუშაო კაბინეტში ისინი ჩუმად, მოკრძალებით შევიდნენ. დიდი ყურადღებით უსმენდნენ ექსკურსიამძღოლის განმარტებებს.

— ეს ქანდაკება კი — თქვა ქალიშვილმა — ექსკურსიის მძღოლმა, — ლენინს 1921 წელს აჩუქა რომელიღაც ამერიკელმა საქმოსანმა, რომელიც ცოცხალი აღარ არის.

— მე შემიძლია დაგეხმაროთ, ვიცნობ ამ ამერიკელს, — თქვა ერთ-ერთმა ტურისტმა, — მისი გვარია ჰამერი, არმანდ ჰამერი. მე მას ძალიან კარგად ვიცნობ... ეს მე ვარ!

— გვიამბეთ, როგორ იყო ეს, — სთხოვეს სტუმარს.

---

ფილიპე მახარაძე
საჩუქრები ბელადს

**და ჰამერმა მოკლე პაუზის შემდეგ გაიხსენა: მაშინ მე სრულიად ახალგაზრდა ყმაწვილი** ვიყავი — სულ 21 წლისა. დავამთავრე სამედიცინო ფაკულტეტი და ექიმის დიპლომი მივიღე. მაგრამ ადამიანთა დაავადებანი ნაკლებად მაინტერესებდა. მე მინდოდა მქონოდა ჩემი საქმე — ბიზნესი. ამერიკაში მაშინ ბევრს ლაპარაკობდნენ რუსეთზე, შექმნეს კიდევაც ტექნიკური დახმარების საზოგადოება. მე კი გადავწყვიტე რომ რუსეთში შეიძლება ბიზნესის გაკეთება და გამოვემგზავრე ფაბრიკანტ ბენრი ფორდის დავალებით ტრაქტორების გასაყიდად.

ბევრი კარგი რამ მსმენია ლენინის შესახებ, გავიგე, რომ მას უყვარს ხელოვნება. რადგან ლენინთან შეხვედრის იმედი მქონდა, გადავწყვიტე, რაიმე საჩუქარი მიმეძღვნა მისთვის. მოსკოვისაკენ მომავალი გზად ლონდონში ჩამოვხდი, შევედი ანტიკვარულ მაღაზიაში და ვიყიდე ეს ქანდაკება. ვიფიქრე, ლენინს მოეწონება-მეთქი. გარდა ამისა, გაგებული მქონდა რომ, რუსეთში შიმშილი და ტიფი მძვინვარებდა და საჩუქრად წავიღე საავადმყოფოს აღჭურვილობა და მედიკამენტები, რომლებიც გადავეცი კომისარ სემაშკოს საშუალებით. ეს სასიამოვნო, ინტელიგენტი კაცი იყო, ურალზე წასვლის სურვილი რომ გავუმჟღავნე, მან მაშინვე გამომიყო სპეციალური მატარებელი.

— ურალზე რატომ გაემგზავრეთ? — ჰკითხეს ჰამერს კოლეგებმა.

— მე იქ ბიზნესის გაკეთება მინდოდა. არასოდეს დამავიწყდება ეს მოგზაურობა. ირგვლივ ყველაფერი დანგრეული იყო, შემომცქეროდნენ მშიერი ადამიანები, მე ვერ დავრჩებოდი გულგრილი და გადავწყვიტე დავხმარებოდი მათ. რუსეთს შევთავაზე მილიონი ფუთი პური. ეს ძალიან ცოტა იყო დიდი რუსეთისათვის, ჩემი წინადადება მიიღეს.

ურალში ყოფნისას სრულიად მოულოდნელად მივიღე ლენინისაგან დეპეშა. იგი მთხოვდა მოსკოვში ჩავსულიყავი. შეხვედრა ამ კაბინეტში გაიმართა: ლენინმა მკითხა:

— რა ენაზე ინებებდით საუბარს: ინგლისურად თუ რუსულად?

მე ვუთხარი, რომ ძლიერ კარგად ლაპარაკობს ინგლისურად, და ჩემს მშობლიურ ენაზე მირჩევნია-მეთქი საუბარი. იგი დამეთანხმა, ლენინი ამბობდა, რომ სასურველი იყო ამერიკისაგან დახმარების მიღება რუსული მრეწველობის განვითარებისათვის.

როცა ჩვენი საუბარი დამთავრდა, მე მას ეს ბრინჯაოს მაიმუნი ვაჩუქე. ლენინმა, სიამოვნებით მიიღო იგი, ყურადღებით დაათვალიერა ყველა მხრიდან, წაიკითხა წიგნის სათაური, რომელზეც მაიმუნი ზის, გაიღიმა და მკითხა:

**— ამხანაგო ჰამერ, — ლენინმა ამხანაგი მოწოდა, — თქვენ როგორ გესმით ამ ქანდაკების ალეგორიული აზრი?**

— როგორც ჩანს, ის არის ილუსტრაცია დარვინის თეორიისათვის: ადამიანი მაიმუნისაგან წარმოიშვა, — ვუპასუხე მე.

— არავითარ შემთხვევაში, — მითხრა ლენინმა, — არავითარ შემთხვევაში, — გაიმეორა მან. წამოდგა და სწრაფად გაიარა კაბინეტში. ცოტა ხანს დადუმდა, შემდეგ თქვა:

— ეს ალეგორია მე ამგვარად მესმის: მოქანდაკე გვაფრთხილებს: კაცობრიობა შეიძლება თავის საწყისს, თავის წინაპარს დაუბრუნდეს, თუ არ მოსპობს ომებს, თუ ადამიანები მშვიდობიანად არ იცხოვრებენ. მე ეს ასე მესმის.

— მე დავეთანხმე, — დაასრულა საინტერესო საუბარი ამერიკელმა.

ვლადიმერ ილიას ძემ ჰამერს აჩუქა თავისი ფოტოსურათი, რომელზეც წარწერილია ინგლისურად: „ამხანაგ არმანდ ჰამერს ვ. ულიანოვისაგან (ლენინი) 10. XI. 1921 წ.“.

1921 წელს არმანდ ჰამერი რუსეთში ჩამოვიდა როგორც მილიონერის შვილი, ხოლო 1964 წელს, როგორც მილიონერი, რომლის სიმდიდრე შეადგენდა 200-250 მილიონ დოლარს. იგი ჩვენს ქვეყანას 1972 წლის ოქტომბერშიც ეწვია.

ვიგონებ ერთ საინტერესო შემთხვევას ჩვენი მუზეუმის დარბაზში ერთ მდიდარ უცხოელ ტურისტს მოეწონა ერთ-ერთი საჩუქარი, ბელადისადმი გაგზავნილი. მან ქედმაღლურად მკითხა: რა ღირს ეს?

მე ვუპასუხე: მსოფლიოს ყველა მილიონერის ფული რომ შეგროვდეს, მაინც არაფერი გამოვა: იგი ფასდაუდებელია!

იგი ისევ მეკითხება: მაინც რა ღირს?

ვუპასუხე: როგორ ფიქრობთ, რა ღირს მზე?

უცხოელი ტურისტი შეცბუნდა და გაჩერდა.

დიახ, ეს საჩუქრები თავისებური შედევრებია, მათ ფასი არა აქვთ.

ყველა მათგანი, ისინიც, ვინც საჩუქრები გამოგზავნა და ისინიც, ვინც კაბინეტში ტოვებდა მათ, გულწრფელნი იყვნენ თავიანთ სურვილებში. ამას შვრებოდნენ სიყვარულით და რწმენით იმ კაცისადმი, რომელზე მეტიც არავის გაუკეთებია უბრალო ადამიანებისათვის.

დიდი ლენინის სახელი ახლობელი და ძვირფასია ყველა მშრომელისათვის.

ლენინი ყოველთვის ჩვენთანაა — ჩვენს გულში.

ჩვენს აზრებში.

ჩვენს საქმეებში.

ლენინის სახელი და საქმე უკვდავია!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წერილები

ირაკლი ციციშვილი

## წარსულის აწმყო და მომავალი

### (ისტორიისა და კულტურის ძეგლების თანამედროვე მნიშვნელობა)

**განვითარებულ** საზოგადოებაში ისტორიული ძეგლების მნიშვნელობა, მათი აღმზრდელობითი როლი ყოველთვის იყო აღიარებული. ცნობილია, რომ კულტურის ძეგლები ხალხის ისტორიის თვალსაჩინო მოწმეა, ქვაში გამოძერწილი ისტორიის ყველაზე უტყუარი და თვალსაჩინო ფურცლებია, რომ ძეგლების მიხედვით ადამიანი ეცნობა წარსული ეპოქების აზროვნებას, ხელოვნებას, სამშენებლო ტექნიკას, რომ ძეგლები ქმნიან ბუნების გარემოსთან ორგანულად შერწყმულ ადამიანთა გარემოს. ძეგლები წარმოადგენენ ხიდს ძველსა და ახალ თაობათა შორის, ფესვებს იმ მუხისა, რომელსაც სამშობლოს ვუწოდებთ. ვინაიდან სწორედ ძეგლებია ხალხის კულტურის გამომხატველი და ხალხის შრომითა და ნიჭით შექმნილი, სამშობლოც ხომ, პირველყოვლისა, ეს არის და მხოლოდ შემდეგ — მისი ტერიტორია, ისტორიის მანძილზე ჩამოყალიბებული მიწა-წყალი.

სწორედ ამიტომ იყო, რომ დამპყრობელნი წარსულში ბარბაროსული სიმკაცრით და სრული შეგნებით ანადგურებდნენ ჩვენს მიწაზე არა მარტო ადამიანებს, არამედ ხეებს, ვენახს, კულტურის ძეგლებს, რათა ჩაეხშოთ ხალხში ეროვნული სიამაყე, სამშობლოს გრძნობა. უკანასკნელი ბარბაროსებიც — გერმანელი ფაშისტები ასევე შეგნებულად ანადგურებდნენ ეროვნულ კულტურას დაპყრობილ მიწაზე. ცნობილია ფელდმარშალ ვალტერ ფონ რეიხენაუს 1941 წლის 10 ოქტომბრის, თვით ჰიტლერის მიერ მოწონებული დეკრეტი, რომლითაც მოითხოვდა ყველა ისტორიულ ფასეულობათა მოსპობას, ვინაიდან „აღმოსავლეთში არავითარ ისტორიულ და მხატვრულ ძეგლებს არა აქვთ მნიშვნელობა".

ზარზმის ტაძარი როდია ჩვენთვის მხოლოდ ხუროთმოძღვრების ბრწყინვალე ძეგლი, არამედ ქართველთა დიდების ძეგლიც. მის სამრეკლოზე მიბჯენილ სამლოცველოს კედელზე შემორჩენილი წარწერა მოგვითხრობს 979 წლის ბრძოლაზე, სადაც ქართველმა ლაშქარმა თორნიკე ერისთავისა და ჯოჯიკის მეთაურობით დაამარცხა ცნობილი მხედართმთავარი ბარდა სკლიაროსი. პატარა ეკლესია თეთრი წყაროს მახლობლად აგრეთვე წარმოადგენს ძეგლს, აგებულს ქართველთა გამარჯვების აღსანიშნავად თურქეთის სულთან რუკნადინზე 1204 წელს.

1867 წელს მცხეთის მიდამოებში აღმოჩნდა წარწერიანი ქვა, რომელმაც გააშუქა ისეთი რთული საკითხები, როგორიც იბერიის პოლიტიკური ურთიერთობა იმპერატორ ვესპასიანეს პერიოდში ა. წ. ა. 75 წელს. მეორე, უკვე საფლავის ქვა იმავე მცხეთაში გვატყობინებს, რომ ჯერ კიდევ ახ. წ. ა. III-IX ს. ს. ქალაქს ჰყოლია „არქიტექტონი და არქიზოგრაფი ავრელი აქოლისი" ე. ი. მთავარი არქიტექტორი და მთავარი მხატვარი, რომელსაც ევალებოდა ქალაქის გაშენება და მისი მხატვრულ სახეზე ზრუნვაც. ეს კი, ცხადია, ძველი საქართველოს მაღალი საქალაქო კულტურის უტყუარი მოწმეა.

ბევრს ალბათ შეუნიშნავს, რომ ყველა პა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტარა ხოფელში ან ნასოფლარში დღემდე შემონახულია ხადა, ღარიბი ეკლესიის ნანგრევი, XVI-XVIII საუკუნეებში აგებულ ამ შენობებს თითქმის არავითარი მხატვრული ღირებულება არ გააჩნიათ, მაგრამ თვით მათი აგება მუდმივი შემოსევებისა და ნგრევა-აწიოკების ვითარებაში, მიგვითითებს თავისუფლებისმოყვარე ხალხის გმირულ წინააღმდეგობაზე, მის ბრძოლაზე დამოუკიდებლობისათვის და რწმენისათვის. ვინ იცის, რამ უფრო შემოგვინახა სამშობლო დღემდე — შესანიშნავი ლაშქრის იარაღმა და თავდადებამ თუ ხალხის ერთგულებამ და ძლიერმა სულმა.

უკანასკნელი ოციოდე წლის მანძილზე მთელ მსოფლიოში შეიმჩნევა განსაკუთრებული ყურადღება ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობისადმი. ამ მოვლენას მრავალი ფაქტორი განაპირობებს. XX საუკუნის მეორე ნახევარი აღინიშნება მეცნიერებისა და ტექნიკის არნახული განვითარებით. ტექნიკური პროგრესის შედეგად კაცობრიობამ მოიპოვა ისეთი შესაძლებლობანი, ცხოვრების ისეთი კომფორტული პირობები, რაზედაც წინა თაობები ვერც კი ოცნებობდნენ. მაგრამ ბუნების ძალების დაუფლების ამ პროცესს თან სდევს ისეთი უარყოფითი მოვლენები, როგორიცაა მიწის, წყლისა და ჰაერის გაბინძურება და ეკოლოგიური წონასწორობის დარღვევა, ტექნიკურმა პროგრესმა და მრეწველობის განვითარებამ გამოიწვია უდიდესი მასშტაბის ურბანიზაცია და ამჟამად კაცობრიობის დიდი ნაწილი იძულებულია იცხოვროს ქალაქის აგლომერაციაში, მოწყვეტილმა მიწას, ბალახს, ხეებს, სადაც აჩხორილი ერთფეროვანი, უსახო და უხალისო შენობები ფარავენ ცას, გზას უხშობენ სუფთა ჰაერის ნაკადს, რომელსაც ცვლის ავტომანქანათა ძრავების გამონაბოლქვი, ხოლო ბუნების დამაწყნარებელი სიჩუმე იცვლება უბედური ხმაურით.

ჩვენ მიგვაჩნია სავსებით მართებულად, რომ ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვა წარმოადგენს ეკოლოგიური სისტემის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილს, ამასთანავე იგი ეხება ისეთ განსაკუთრებულ სფეროს, როგორიცაა ადამიანზე მორალურ-ზნეობრივი და ფსიქოლოგიური ზეგავლენა.

ისტორიისა და კულტურის ძეგლები გვიხატავენ ადამიანთა ცხოვრებას და სწრაფვას წარსულში. დღეს, განსაკუთრებული სოციალური განვითარების ვითარებაში, ჰუმანიზმის მაღალ იდეათა ეპოქაში ხალხი ცდილობს შეიცნოს ამ განვითარების კანონები, წარსულ საუკუნეთა ცოდნა, გამოცდილება და მიღწევები. მემკვიდრეობის შეცნობისას ადამიანი აფართოებს თავის განვითარებას და, რაც მთავარია, იქმნება მემკვიდრეობითობის გრძნობა, წარმოდგენა წინამორბედებზე, რომელთაც დაუტოვეს მას მატერიალური და კულტურული ფასეულობანი, რათა შემოინახოს, გაამდიდროს და თავის მხრივ გადასცეს თავის მემკვიდრეთ, შთამომავლობას.

ჩვენს ეპოქაში პლანეტის ჯერ კიდევ მრავალ ტერიტორიაზე არსებობს სოციალური უთანასწორობა, ძალადობა იარაღის მეშვეობით. ასეთ ვითარებაში კულტურულ მემკვიდრეობას, ძეგლებს შეუძლიათ ითამაშონ მნიშვნელოვანი როლი. კულტურის ძეგლების იდეურ-მხატვრული შინაარსის გამოვლენა განსაზღვრავს ყველა ხალხთა კულტურის თანასწორუფლებიანობას, გამორიცხავს მაღალ და დაბალ ცივილიზაციათა არსებობას, გამორიცხავს ერთი ხალხის მიერ მეორის დათრგუნვას. კულტურის ძეგლები, ხელოვნების ძეგლები ასრულებენ კეთილშობილურ მისიას ხალხთა შორის პატივისცემის განმტკიცებაში, და ამგვარად დედამიწაზე მშვიდობის განმტკიცებაში.

## კულტურის ძეგლთა დაცვის ისტორიიდან

ოქტომბრის რევოლუციამდე კულტურის ძეგლების დაცვა, ბუნებრივია, არ იდგა სათანადო სიმაღლეზე, თუმცა არ შეიძლება ითქვას, რომ ეს ძეგლები სრულიად მივიწყებული ყოფილიყო. ამ მხრივ რუსეთმა ნაწილობრივ გაუსწრო კიდევაც დასავლეთ ევროპის ქვეყნებს (თუმცა აქ შეიძლება მოგვაგონონ რაფაელის, ვიოლე ლე დიუკის ან პროსპერ მერიმეს მოღვაწეობაც). უკვე პეტრე I ეკუთვნის პირველი საკანონმდებლო ღონისძიებანი არქეოლოგიურ ძიებათა შესახებ, ვ. ტატიშჩევს კი მიწის წიაღიდან სიძველეთა მოპოვების პირველი ინსტრუქცია. XVIII საუკუნეში დაარსდა ხელოვნებისა და არქეოლოგიური ძეგლების მსოფლიოში უდიდესი მუზეუმი — ერმიტაჟი. XIX საუკუნეში რუსეთში უკვე მოღვაწეობდა სიძველეთა დაცვის რამდენიმე საზოგადოება. 1839 წ. დაარსდა ოდესის ისტორიისა და სიძველეთა საზოგადოება, 1846 წ. პეტერბურგში რუსეთის არქეოლოგიური საზოგადოება, 1859 წ. იმპერატორის არქეოლოგიური კომისია, 1864 წ. მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოება, 1883 წ. მოსკოვში დაარსდა ისტორიული მუზეუმი და სხვ.

1873 წ. დაარსდა კავკასიის არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოება, რომელსაც მიზნად ჰქონდა დასახული კავკასიის შესანიშნავი ძეგლების დაცვა შემდგომი განადგურებისაგან, უძველესი ძეგლების შესწავლა და არქეოლოგიურ სიძველეთა შეძენა. 1901 წ. თბილისში გაიხსნა მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების კავკასიის განყოფილება. მისი მუშაობა გამოიხატა ქართულ სიძველეთა და

ხუროთმოძღვრების ძეგლთა შესწავლა-გამოცემაში, რაც საფუძვლად დაედო ძეგლთა აღწერილობას ცალკეული რაიონების მიხედვით. მთავარი ყურადღება, როგორც ჩანს, ექცეოდა ძეგლების აღრიცხვას. რამდენადმე ადრე 1888 წ. დაარსებული საეკლესიო მუზეუმი აგროვებს ძველ ხელნაწერებს, მინანქრებს, ხისა და ქვის რელიეფური ქანდაკების ნიმუშებს და სხვ. ამ მუზეუმის დაარსების გამო ილია ჭავჭავაძე სწერდა: „ამ მუზეუმის დაარსებას ყველა ჩვენის ქვეყნის მოყვარე კაცი დიდის სიხარულით უნდა მიეგებოს და დიდი მადლობა ჩაინერგოს გულში იმათ მიმართ, ვინც ეს ფრიად სასარგებლო საქმე ითავეს და შესრულებამდე მიიყვანეს“.

1907 წელს ექვთიმე თაყაიშვილის თაოსნობით დაარსებულმა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ მიზნად დაისახა საქართველოს ეროვნული წარსულისა და აწმყოს ძეგლების შეკრება, შესწავლა და დაცვა.

ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდნენ ძეგლების შესწავლა-პატრონობის მხრივ დიმიტრი ბაქრაძე, პლატონ იოსელიანი, ექვთიმე თაყაიშვილი, აკადემიკოსი ნიკოდიმ კონდაკოვი, თედო ჟორდანია, მოსე ჯანაშვილი და სხვ. როგორც ვხედავთ, ძეგლების დაცვა საქართველოში საზოგადოებათა და ცალკეულ ენთუზიასტთა მზრუნველობით იფარგლებოდა. ისინი ძირითად ყურადღებას აქცევდნენ მასალის შეგროვებას და ძეგლების აღრიცხვას და არა ძეგლების დაცვა-აღდგენას. ამასთანავე მათი მოღვაწეობა იყო დაქსაქსული, შემთხვევითი — არ ემორჩილებოდა რაიმე გეგმას. მაგრამ აღნიშნულ საზოგადოებათა და ცალკეულ მოყვარულ პატრიოტთა მუშაობას ხელს უშლიდა მეფის მთავრობის უყურადღებობა და გულგრილობა (თუ მეტი არა). მათ არ ჰქონდათ სათანადო სახსრები, არ იყო სათანადო საკანონმდებლო ღონისძიებები. საყურადღებოა ამ მხრივ „კავკასიის არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოების“ მდივნის საანგარიშო მოხსენება, გამოქვეყნებული 1875 წ. საზოგადოების ბიუჯეტი 1875 წელს განისაზღვრებოდა 1075 მანეთით. 1874 წელს დაიხარჯა სულ 1494 მან. და 67 კაპ. აქედან უმეტესი ნაწილი მოდის თანამშრომელთა შენახვაზე და ბინის ქირაზე. არქეოლოგიურ გათხრებზე კი სულ დაიხარჯა 625 მან. აქედან 600 მან. ფ. ბაიერნის მიერ მცხეთაში სამთავროს სამაროვანზე წარმოებულ გათხრებზე და 25 მან. მიეცა კარაბანოვს არქეოლოგიური დაზვერვებისათვის სოფ. საგარეჯოში. ამასთანავე, როგორც გულისწყრომით აღნიშნავდა ე. თაყაიშვილი — „არ იყო ხალხი, თითო-ოროლა კაცის მეტი არ ეკარებოდა ასეთ საქმეს; არ ესმოდათ ამის მნიშვნელობა და გემო“.

თუმცა საზოგადოებათა მიერ სიძველეთა შეკრებას და გარკვეულ ნაცავებში თავმოყრას უცილობლად ჰქონდა უდიდესი მნიშვნელობა. თუნდაც იმიტომ, რომ ამ დროისათვის ზოგიერთმა კოლექციონერმა, ეგზარქოსების ხელის შეწყობით, მთელი რიგი მონასტრებისა და ეკლესიების საგანძურებიდან გაიტაცა ძველი ქართული ხელოვნების ფასდაუდებელი ძეგლები, განსაკუთრებით მინანქრები და ჭედური ხატები.

ქართული ხელოვნების ძეგლების მიტაცებაში დიდი „ღვაწლი“ ეკუთვნის ქუთაისის გუბერნატორს გრაფ ლევაშოვს, რომელმაც დაისაკუთრა გელათის მონასტრის სახარების მინანქრიანი ოქროს მოჭედილობა და განთქმული ხახულის ღვთისმშობლის X საუკუნის მინანქრის ხატი. ხოლო ამის ნაცვლად 1865 წელს, საზეიმო ვითარებაში „შესწირა“ გელათს ახალი ხატი, ვინმე საზიკოვის ნახელავი (1923 წ. რსფსრ-ს ცაკ-ის დადგენილებით ეს ხატი, დაუბრუნდა საქართველოს და ხელოვნების მუზეუმში ინახება).

პეტერბურგელმა ფოტოგრაფმა საბინ-გუსმა ძველი ხატების განახლების საბაბით გაძარცვა დასავლეთ საქართველოს მრავალი მონასტერი. ჯუმათიდან მან გაიტაცა მიქელ და გაბრიელ მთავარანგელოზთა ტიხროვანი მინანქრით შემკული ხატები, შემოქმედის მონასტრიდან X საუკუნის ქართული ჯვარი, ჯვარცმის გამოსახულებითა და სხვ. ზვენიგოროდსკისა და ბოტკინის განთქმული კოლექციებიც ძირითადად შედგებოდა საქართველოდან სხვადასხვა პირის დახმარებით გატანილი მინანქრებისაგან.

ქართულ სიძველეთა მიტაცებისა და განიავების წინააღმდეგ იბრძოდნენ ჩვენი მოღვაწენი და პირველ რიგში დ. ბაქრაძე, რომელმაც აკად. ნ. კონდაკოვის მხარდაჭერით ენერგიული პროტესტი განაცხადა ამის გამო. ამას მოჰყვა სპეციალური კომისიის შექმნა ნ. კონდაკოვისა და დ. ბაქრაძის მონაწილეობით. მათ შემოიარეს საქართველოს მრავალი კუთხე, აღრიცხეს და აღწერეს მონასტრებში შენახული ხელოვნების ნიმუშები. დ. ბაქრაძემ პირველად აღნუსხა კავკასიის და საქართველოს სიძველეთა შესახებ არსებული ლიტერატურა და მასალა, ანბანის მიხედვით დაალაგა ძეგლები და თითოეულს დაურთო სრული ბიბლიოგრაფია. 1873 წ., „ცისკრის“ ფურცლებზე დ. ბაქრაძე მოუწოდებდა ქართველ ხალხს, სასტიკი ბრძოლა გამოეცხადებია ქართული ძეგლების განადგურებისა და დატაცების წინააღმდეგ.

როგორც ჩანს, დ. ბაქრაძისა და სხვა მოღვაწეთა თავდადებულმა შრომამ ხელი შეუ-

წყო ხალხის შეგნების გაღვიძებას. ამას თითქოს მოწმობს მ. ჯანაშვილის შემდეგი სიტყვები — „დღეს უკვე მცირეხაც ესმის ღირსება თვით ხელის-გულის ფარატინაზედ დაწერილ ძველ ხელთ-ნაწერისა. ბაქრაძის მეოხებით დღეს ამ ხელთნაწერებისა და ჭურჭელ-სამკაულისათვის არის დადგმული მკვიდრი სავანე — საეკლესიო ნივთთა მუზეი თბილისის სიონის კარი-ბჭეში. განსვენებულისავე შთაგონებითა და ქადაგებით ძველი ძეგლების წინამძღვარნი და მათი მაშენებელნი დღეს აღარ სცვლიან ძველს აღნაქსს, ძველ ჩუქურთმას არ აოხრებენ და ძველს მხატვრობას აღარ ათეთრებენ თეთრი კირითა და გაჯით“. ამ სიტყვების განმარტებისათვის აუცილებელია მოვიგონოთ, თუ რა ვითარება იყო შექმნილი XIX საუკუნეში, თუნდაც კანონმდებლობის მხრივ. ყველაზე მეტად ძეგლების გამოკვლევისა და დაცვის საქმეს აფერხებდა მიწის კერძო საკუთრება. სახელმწიფო კანონის მიხედვით: „მიწაზე საკუთრების სრული უფლებით, მიწის პატრონს აქვს უფლება ყველა მის ნაწარმოებზე, ყველაფერზე, რაც მოთავსებულია მის წიაღში“. ამგვარად, ყოველი კვლევა-ძიებისა და არქეოლოგიური გათხრებისათვის აუცილებელი იყო მიწის მფლობელის ნებართვა. სიძველეთა ძეგლები, დაცული მიწის წიაღში, კანონის ძალით განიხილებოდა, როგორც განძი, განძი კი ამავე კანონით „ეკუთვნის მიწის მფლობელს და მისი ნებართვის გარეშე არა მარტო კერძო პირებს, არამედ ადგილობრივ ხელისუფლებასაც არა აქვს უფლება მისი მოძებნისა“. ამავე კანონის ძალით ყველა საერო ნაგებობა კერძო მფლობელთა ხელში იმყოფებოდა, ხოლო საკულტო შენობები ეკლესიის საკუთრებას შეადგენდა. ამის გამო ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც ისტორიული მნიშვნელობის ძეგლი ინგრეოდა ან უხეშად გადაკეთდებოდა ხოლმე.

გასული საუკუნის 30-იან წლებში ნიკოლოზ I კავკასიაში ჩამოსვლის მოლოდინში ეკლესიის მესვეურნი შეეცადნენ ძირითად ქართულ ტაძრებში დაემყარებიათ, „სისუფთავე და კეთილსახიერება“ („Чистоту и благолепие“), ამის შედეგად დაანგრიეს მცხეთის სვეტიცხოვლის „დაძველებული“ სტოანი, რომლებიც იმდენად მაგარი გამოდგა, რომ მათ დასანგრევად აფეთქება გახდა საჭირო. ამჟამად სვეტიცხოველი, გრძივ ფასადების მხარეს, დგას გაშიშვლებული. დარღვეულია მისი კომპოზიციური წყობა, ვინაიდან შენობას მოაკლდა ქართული ხუროთმოძღვრებისათვის დამახასიათებელი, მოცულობათა ერთი საფეხური.

ამავე მიზნით შეათეთრეს კედლები და ნალესობით დაფარეს ფრესკები სვეტიცხოველში, ალავერდში, სამთავროში, ქვათახევსა და სხვა ტაძრებში. 1819 წ. დაანგრიეს მეტეხის ციხე და მის ადგილას საპყრობილე აიგო. 1854 წ. ქვათახევის ტაძარს შეუცვალეს გუმბათის ფორმა — სფერულზე, რაც ეწინააღმდეგება ქართული ხუროთმოძღვრების ტრადიციებს. მანგლისის ტაძრის რესტავრაციის დროს შესანიშნავ კარიბჭეში ჩართული იქნა უხეში და უცხო დეტალები — ორთავიანი არწივი, ჩირადდნები და სხვ. ბედიაში ახლად დამკვიდრებულმა მონასტერმა „განაახლა ტაძარი“ და დაანგრია გუმბათი და მოსპო ქვის პერანგის უმეტესი ნაწილი. ასევე „განახლებულ“ იქნა მოქვის ტაძარიც, სადაც დაანგრიეს გალავანი და მცირე შენობები, გადაკეთდა სამრეკლო და მთავარი ტაძარი. აქ გუმბათზე აიგო სვეტებიანი კოშკი, მიუშენდა კარიბჭეები და შიგნით მთლიანად შეილესა. საკულტო ნაგებობებთან ერთად განადგურდა საერო ნაგებობებიც. თბილისში 1843 წ. კერძო მესაკუთრის სურვილით გადაკეთებულ იქნა სვიმონის სასახლე, დაინგრა ძველი ზარაფხანა და სხვა მრავალი.

ასეთ ვითარებაში განსაკუთრებული აღნიშვნისა და მადლობის ღირსია ის ღვაწლი, რომელიც საქართველოს ძეგლების შესწავლისა და დაცვის მხრივ მიუძღვის ექვთიმე თაყაიშვილს. მისი ინიციატივით დაარსდა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება და მუზეუმი. მან გამოიკვლია საქართველოს სხვადასხვა კუთხეში თავისი მრავალგზის მოგზაურობებისას აღმოჩენილი ქართული ხუროთმოძღვრების არაერთი მნიშვნელოვანი ძეგლი, აწარმოებდა ფრესკული ფერწერის სისტემატურ ფიქსაციას, გადაურჩინა მომავალ თაობებს უამრავი ეპიგრაფიკული ძეგლი, რომელსაც დღემდე ვერ მოუღწევია. მანვე გადაარჩინა სამშობლოსათვის მენშევიკების მიერ უცხოეთში გატაცებული ქართული ეროვნული განძეულობა.

საბჭოთა წყობილების დამყარების პირველ დღიდანვე საქართველოში მიღებულ იქნა დეკრეტი მიწის ნაციონალიზაციის შესახებ. ამ დეკრეტს ყველაფერთან ერთად ჰქონდა ის დიდი მნიშვნელობა, რომ იძლეოდა ძეგლთა დაცვის სრულ საშუალებას. 1921 წლის 15 აპრილს გამოცხადდა დეკრეტი ეკლესიის სახელმწიფოდან გამოყოფის შესახებ — „საქართველოს რესპუბლიკაში არსებული საეკლესიო ქონება გამოცხადებულია სახალხო კუთვნილებად“. 1921 წლის 21 მაისში გამოქვეყნდა ბრძანებულება — „ხელუხლებლად და დაუზიანებლად იქნეს დაცული ყველა არსებული სიძველეთა და ხელოვნების ნაშთი“. დეკრეტით აიკრძალა რესპუბლიკის საზღვრებს გარეთ ხელოვნებისა და სიძველეთა ძეგლების გატანა. ამ დეკრეტის საფუძველს წარმოადგენდა მენშევიკური მთავრობის ბოროტი მოქმედება, რაც გამოიხატა ეროვნული განძეულის საზღვარგარეთ გატაცებაში. როგორც

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ბლინიშში**, ეს განძეული ე. თაყაიშვილის თაოსნობით იყო დაცული და 1945 წელს სამშობლოში დაბრუნებული.

1921 წლის აპრილში საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატთან შეიქმნა მუზეუმების, სიძველეთა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის ქვეგანყოფილება. როგორც ჩანს, თანდათან მზადდებოდა ნიადაგი სახალხო საგანძურის დაცვისათვის. მაგრამ ამ პერიოდში, კერძოდ 1922-23 წლებში საქართველოს რიგ რაიონში დაშვებულ იქნა გამოუსწორებელი შეცდომა. ანტირელიგიური პროპაგანდის კომპანიასთან დაკავშირებით, ზოგიერთმა უგუნურმა ხელი მიჰყო ხუროთმოძღვრული ძეგლების განადგურებას, ხატების მოხსნობასა და სხვ. ამის შედეგად 1923 წლის 21 მარტს შეიქმნა სიძველეთა და ხელოვნების ძეგლთა საგანგებო კომიტეტი, რომელმაც დაუგზავნა ადგილობრივ საბჭოთა ორგანოებს ცირკულიარი, რომლის ძალით სასტიკად იკრძალებოდა ძეგლების დაზიანება და საეკლესიო ფასეულობათა დატაცება.

ამას მოჰყვა რამდენიმე ღონისძიება — 1923 წ. გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნდა ინსტრუქცია ხელოვნების ძეგლთა აღრიცხვის შესახებ, ამავე წლის მაისში გამოიცა კანონი ძველი ძეგლების დაცვის შესახებ, 12 ნოემბერს საქართველოს სსრ სახკომსაბჭომ მიიღო დადგენილება სამუზეუმო საქმის რეორგანიზაციის შესახებ და ისტორიულ ფასეულობათა მოვლა-პატრონობა მუზეუმებს დაეკისრა. ამავე საკითხს დაეთმო 1924 წლის 4 ივნისის საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება — „სიძველეთა, ხელოვნებისა და ბუნების ძეგლთა დაცვის შესახებ“. 1924 წლის 20 სექტემბერს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატში შეიქმნა სიძველეთა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის განყოფილება, რითაც დასაბამი მიეცა ისტორიულ ძეგლთა აღრიცხვას, შესწავლასა და დაცვას. ამავე წელს დაიწყო მცხეთის ჯვრის პირველი გამაგრება-რესტავრაცია.

1921-1930 წლებში ეწყობა რამდენიმე გამოფენა ქართული ხელოვნების განვითარების გზების ჩვენებით. ცხადია, ამ გამოფენებს ჰქონდა უაღრესად დიდი მნიშვნელობა ისტორიულ ძეგლთა პოპულარიზაციის თვალსაზრისით. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე და მუზეუმებში წარმოებდა დიდი სამეცნიერო მუშაობა და ძეგლთა სისტემატიზაცია. ამ საქმეს სათავეში უდგნენ ი. ჯავახიშვილი, გ. ჩუბინაშვილი, შ. ამირანაშვილი და სხვ.

შემდგომ პერიოდში ძეგლთა დაცვის საქმე თანდათანობით ვითარდება, მნიშვნელოვნად იზრდება ძეგლების დასაცავად მთავრობის მიერ გამოყოფილი თანხა და სამუშაოთა მოცულობაც.

1934 წლის 16 აპრილს მიღებულ დადგენილებაში ნათქვამია, რომ „მატერიალური კულტურისა და ხელოვნების ძეგლების დაცვას აქვს დიდი მნიშვნელობა სოციალისტური მშენებლობის კულტურის ფრონტზე“ და ამ ამოცანის გადაწყვეტის მიზნით იქმნება „კულტურისა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის კომიტეტი“. დადგენილებას თან ერთვის ძეგლთა დაცვის კომიტეტის დებულება, რომელიც გვიჩვენებს, თუ რაოდენ განვითარდა ძეგლთა დაცვის საქმე. აქ მოხსენებულია ხუროთმოძღვრების და მონუმენტური ფერწერის ძეგლების რემონტი და რესტავრაცია, არქეოლოგიური რუკის შედგენა, ექსპედიციების მოწყობა და მოპოვებული მასალის კამერული დამუშავება, ძეგლთა დაცვის პროპაგანდა და პოპულარიზაცია. სამწუხაროდ, 1937 წლის დადგენილებით ძეგლთა დაცვის კომიტეტი გადაეცა საქართველოს სახკომსაბჭოსთან არსებულ ხელოვნების საქმეთა სამმართველოს, სამმართველო და კომიტეტი ვალდებული იყვნენ აღერიცხათ კულტურის ყველა ძეგლი, გაეძლიერებინათ ძეგლების დაცვა და სხვ.

დიდი სამამულო ომის დაწყებამ, ბუნებრივია, გამოიწვია სარესტავრაციო სამუშაოთა შემცირებაც და დროებით შეჩერებაც. თუმცა ომის წლებშიც საქართველოს მთავრობა ზრუნავს კულტურის ძეგლებზე და 1942 წელს გამოუყო კომიტეტს 70 ათასი მან. ისტორიულ ძეგლთა აზომვა-ფიქსაციისათვის. ომისშემდგომი პერიოდის აღდგენითი სამუშაოთა მასშტაბის გათვალისწინებით 1943 წლის 29 სექტემბერს შეიქმნა არქიტექტურის საქმეთა სამმართველო და ძეგლთა დაცვის კომიტეტიც ამ სამმართველოს დაექვემდებარა.

1947 წ. 23 დეკემბერს გამოდის დადგენილება „ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის მდგომარეობის შესახებ“. ერთი წლის შემდეგ კი 1948 წ. საქართველოს სსრ ცკ კპ (ბ) და მინისტრთა საბჭოს მიერ მიღებულია დადგენილება „კულტურის ძეგლთა დაცვის გაუმჯობესების შესახებ“, სადაც ნათქვამია: „ვინაიდან საქართველოში არსებობს არქიტექტურის ძეგლთა დიდი რაოდენობა ეთხოვოს საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს, ნება დართოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ არქიტექტურის სამმართველოსთან მოეწყოს სამეცნიერო-სარესტავრაციო საწარმოო სახელოსნოები... და ნება დაერთოს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიას შექმნას სამეცნიერო-მეთოდური საბჭო, რომელიც განახორციელებს სამეცნიერო-მეთოდურ ხელმძღვანელობას კულტურის ძეგლთა დაცვასა და შესწავლას“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამგვარად, პირველად საბჭოთა კავშირში შეიქმნა სამეცნიერო-სარესტავრაციო სახელოსნოები. აღსანიშნავია, რომ 1959 წელს ძეგლთა დაცვის საზოგადოება პირველად საქართველოში დაარსდა, მხოლოდ შემდეგ ამ ორივე წამოწყებას ბევრი მიმდევარი გაუჩნდა და ყველა რესპუბლიკაში ჩამოყალიბდა მსგავსი საზოგადოება.

1964 წლიდან საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოება გამოსცემს საკუთარ მოამბეს — ჟურნალს — „ძეგლის მეგობარი“, რომელიც საზოგადოებრივ საწყისებზე გამოდის და დამსახურებულად საყოველთაო აღიარება ჰპოვა.

ძეგლთა დაცვის საქმის გაუმჯობესებას ხელი შეუწყო საქართველოს მთავრობის მიერ ძირითადი ანსამბლების ნაკრძალებად გამოცხადებამ. 1933 წ. ნაკრძალად გამოცხადდა თბილისის მეტეხი, 1935 წ. დევის ხვრელი და ვარძიის ქვაბები, ვამოქვაბულები, 1941 წ. საქართველოს უძველესი დედაქალაქი მცხეთა 1948 წ. ახმეტის რაიონში მიკვლეული უძველესი სამაროვანი.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უკანასკნელ წლებში მიღებული დადგენილებები.

1968 წ. 6 ნოემბერს „ქალაქ მცხეთის მუზეუმ-ნაკრძალად გამოცხადების შესახებ“, 1970 წ. II მარტს — „ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიული ძეგლის შატილის ნაკრძალად გამოცხადების შესახებ“, 1970 წ. 18 სექტემბერს — „დაბა მესტიის ტერიტორიის ზონების არქიტექტურულ ნაკრძალად გამოცხადების შესახებ“, 1971 წ. „უშგულ-ჩაჟაშის არქიტექტურულ ნაკრძალად გამოცხადების შესახებ“, 1975 წ. საქართველოს კპ ცკ-ს და მინისტრთა საბჭოს ერთობლივი დადგენილება — „ქალაქ თბილისის ისტორიული ნაწილის სახელმწიფოებრივი დაცვის ზონის შექმნის შესახებ“, 1976 წ. „ქალაქების თელავისა და სიღნაღის ისტორიული უბნების დაცვის ზონების შექმნის შესახებ“, 1977 წ. „ქალაქ მცხეთის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალის შექმნის შესახებ“, 1979 წ. 31 ოქტომბერს — „არქიტექტურულ-ისტორიული ძეგლის უფლისციხის შესწავლის, დაცვისა და გამოყენების ღონისძიებების შესახებ“.

1976 წელს საკავშირო უმაღლესმა საბჭომ, ხოლო 1977 წელს საქართველოს უმაღლესმა საბჭომ მიიღეს კანონი „ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენების შესახებ“. ძეგლებზე დიდი მზრუნველობა აისახა აგრეთვე საბჭოთა კავშირის ახალ კონსტიტუციაში. ამგვარად, ძეგლების დაცვა მიჩნეულია სახელმწიფოებრივი ორგანოების დიდმნიშვნელოვან საქმედ და თითოეული საბჭოთა მოქალაქის კონსტიტუციურ მოვალეობად.

ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვა-პატრონობის საქმის ხარისხობრივი გაუმჯობესების მიზნით საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა 1977 წ. 25 ოქტომბერს და შესაბამისად საქართველოს მინისტრთა საბჭომ 1978 წ. 24 თებერვალს მიიღეს დადგენილება — „საქართველოს სსრ ისტორიის, კულტურის და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“. ამ დადგენილებით ლიკვიდირებულია ძეგლთა დაცვის ყველა მანამდე არსებული ორგანო და შექმნილია „ისტორიის, კულტურის და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო — საწარმოო სამმართველო“, რომელსაც დაეკისრა ძეგლთა დაცვის კეთილშობილი საქმე.

## ისტორიის, კულტურის და ბუნების ძეგლთა დაცვის მდგომარეობა დღეს

საქართველოს მცირე ტერიტორიაზე შემორჩენილია მრავალი ათასი ძეგლი. თავისი ხანგრძლივი არსებობის მანძილზე მათ განიცადეს ატმოსფერული მოვლენების გავლენა, ნგრევა სტიქიურ უბედურებათა შედეგად, შემოსევებისა თუ შინაბრძოლების შედეგად, გადაკეთებანი ეპოქების მოთხოვნილებათა შესაბამისად. ამჟამად ამას დაემატა ძეგლთა დაზიანება ჰაერის გაჭუჭყიანებით და თვითმფრინავების ფრენის შედეგად გამოწვეული ვიბრაცია. ძეგლების მდგომარეობა ამჟამად, უმეტეს შემთხვევაში, მეტად სავალალოა და, ცხადია, ის, რაც ინგრეოდა საუკუნეთა მანძილზე, მოკლე დროში ერთბაშად ვერ აღსდგება.

ამასთანავე, ჩვენი მემკვიდრეობის ტიპოლოგია საოცრად გაფართოვდა. თუ აქამდე დაცვის საგანი იყო მხოლოდ მონუმენტური ნაგებობები დ უპირატესად საკულტო ძეგლები, ამჟამად გადაწყვეტილია დავიცვათ სხვა ნაკლებად შემორჩენილი ძეგლებიც — სასახლეები, ხიდები, ციხე-გალავნები, დარბაზები, ქარვასლები, აბანოები, საცხოვრებელი სახლები და სამეურნეო ნაგებობანი. ამჟამად დაცვის ობიექტად იქცა მთელი ანსამბლები, ციხე-ქალაქები და ძველი ქალაქების ისტორიული უბნები. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ქართული კედლის მხატვრობა, რომელიც სწრაფად და სამუდამოდ ქრება. ჩვენ მოვალენი ვართ დაუყოვნებლივ გავამაგროთ ადგილზე და გადავარჩინოთ შემორჩენილი ფრესკები.

ერის ნივთიერი კულტურის შესწავლა ძირითადად არქეოლოგიური მონაპოვრით ხერხდება. მაგრამ გათხრებით გამომზეურებული ძეგლები, უმეტეს შემთხვევაში, სწრაფად ილუპებიან. გადაწყვეტილი გვაქვს ძეგლის გახსნის და გაწმენდისთანავე დავიწყოთ მისი კონსერვაცია და დაცვა.

დაცვას მოითხოვენ მრავალრიცხოვანი ბუნე-

ეროვნული

ბის ძეგლები — მღვიმეები, გამოქვაბულები, სადგომები. აქამდე არაა სათანადოდ დაცული დინოზავრის ნაკვალევი სათაფლიაში და მრავალი სხვა საინტერესო ძეგლი.

როგორც ვხედავთ, სამუშაო განუზომელია. ამიტომ ძეგლთა დაცვის მთავარმა სამეცნიერო-საწარმოო სამმართველომ, რომლის შემადგენლობაშია სამი სამმართველო — ძეგლების სამეცნიერო შესწავლის, სარესტავრაციო-საპროექტო და სარესტავრაციო საწარმოო სახელოსნოების გაერთიანება, გადაწყვიტა, პირველი სამმართველოს ძალებით აწარმოოს საქართველოში არსებული ყველა ძეგლის აღრიცხვა (რაიონების მიხედვით), პასპორტიზაცია და ძეგლების დაცვის ზონების შექმნა. სამწუხაროდ, ასეთი სამუშაო სისტემატურად და მეცნიერულ დონეზე დღემდე არ ჩატარებულა.

გადავწყვიტეთ საგრძნობლად გავადიდოთ სარესტავრაციო სამუშაოთა მასშტაბი, რაც ბუნებრივია, მოითხოვს სათანადო თანხების ზრდას. შარშან სარესტავრაციო სამუშაოებზე დაიხარჯა 3 მილ. მან. რაც სამჯერ აღემატება წინა წლებში დახარჯულ თანხას. სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილ თანხასა და მთავრობის მიერ გამოყოფილ ლატარიის გათამაშებიდან მიღებულ თანხას მიემატება საწევრო გადასახადების, საიჯარო ხელშეკრულებების და ძეგლის დათვალიერების ბილეთების საფასურის თანხები, რამაც ვარაუდით მომავალში 5-6 მილ. მან. უნდა შეადგინოს.

საქართველოს კომპარტიის ცკ-ს და მინისტრთა საბჭოს მზრუნველობის შედეგად მთავარმა სამმართველომ 1979 წელს მიიღო სპეციალური მანქანები, რომლებიც უზრუნველყოფენ ექსპედიციების ჩატარებას ძეგლთა აღრიცხვის, შესწავლის, აზომვისა და რესტავრაციის მიზნით. სამწუხაროდ, 1978 და 1979 წწ. სარესტავრაციო სამუშაოები არ იყო უზრუნველყოფილი მასალებით. მომარაგება სამშენებლო მასალებით არ უპასუხებდა რეალურ მოთხოვნილებას და თანაც ეპიზოდურ ხასიათს ატარებდა. ამიტომ გადავწყვიტეთ სათანადო სამშენებლო ბაზის შექმნა (მისი მშენებლობა 1980 წ. უნდა დაიწყოს). იგულისხმება სპეციალური საამქროები, სხვადასხვა სახის ქართული აგურის, ქართული კრამიტის დამზადება, ხისა და ლითონის ნაკეთობათა წარმოება, საკირეების ამუშავება და სხვა ღონისძიებანი, რომლებიც ნაწილობრივ მაინც უზრუნველყოფენ სარესტავრაციო სამუშაოებს მასალებით. ალბათ უკვე საჭიროა არქიტექტორ-რესტავრატორებისა და მხატვარ-რესტავრატორების კვალიფიციური კადრების გამოშვება და განსაკუთრებით კვალიფიციური ოსტატების — ქვით და ხით ხუროების მომზადება (ეს საკითხები პრინციპში გადაწყვეტილია). ზემოთ მოყვანილი პრობლემების გადაწყვეტის შემდეგ, რაშიაც ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, ძეგლეთა დაცვა სულ სხვა ხასიათს მიიღებს.

## ისტორიული ანსამბლები ქალაქებში

ქალაქების ზრდამ, დიდმა სარეკონსტრუქციო ღონისძიებებმა და მასობრივმა განაშენიანებამ, რომელთაც წარმოუდგენელი სისწრაფით სახე უცვალეს ძველ ქალაქებს, ახლო წარსულში მეტად დააზიანეს და ზოგან გაანადგურეს კიდევაც არქიტექტურულ ძეგლთა გარკვეული ნაწილი. დღეს უკვე ყველამ აღიარა ისტორიული უბნების შენარჩუნების აუცილებლობა, რათა დაცულ იქნას ქალაქისათვის დამახასიათებელი თავისთავადობა და განუმეორებელი სახე.

ბუნებრივია, რომ ქალაქის ფუნქციურ-სივრცითი ორგანიზაციის და მხატვრული სახის გეგმარებითი სტრუქტურის ევოლუცია წარმოადგენს ისტორიული განვითარების ობიექტურ კანონზომიერებას. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ქალაქის ძველი ნაწილების ფორმირება მიმდინარეობს საუკუნეთა მანძილზე, ამჟამად კი ქალაქის ზრდის პროცესი მეტად დაჩქარებულია და წარმოიშვება ურთულესი პრობლემები. ჯერ კიდევ ახლო წარსულში ჩვენი ქალაქთმშენებლობის მეცნიერება და პრაქტიკაც არ იყვნენ ჯეროვნად მომზადებული და ალბათ უფლებამოსილნიც ამ რთული ამოცანების გადასაწყვეტად. ამის შედეგად ახალი განაშენიანება გაბედულად და უხეშად შეიჭრა საუკუნეთა მანძილზე ჩამოყალიბებულ ქალაქის ლანდშაფტში და დაარღვია იგი. ასე მოხდა სიღნაღში, თელავში, ნაწილობრივ მცხეთასა და თბილისში.

როდესაც ვუყურებთ თბილისის ან სიღნაღის ისტორიულ უბნებს, ციხისა და ეკლესიების შესანიშნავ განლაგებას, საცხოვრებელი სახლების რელიეფთან შეხამებას, ვრწმუნდებით, რომ საქმე გვაქვს ბრწყინვალე ანსამბლებთან ხედების გახსნით, დასახსომებელი სილუეტით, დაცული მასშტაბით. ეს არის არქიტექტურის ბუნებასთან, რელიეფთან, ლანდშაფტთან ორგანული შერწყმის უბადლო ნიმუშები. ამგვარად, აუცილებელია ქალაქების ისტორიულ ზონებში დაცულ იქნას არა ცალკეული ძეგლები ან შენობათა კომპლექსები, არამედ მთელი ტერიტორია, მთელი განაშენიანება — მოედნებით, ქუჩებით და ჩიხებით. სწორედ ამას გულისხმობენ საქართველოს კპ ცკ-ის და მინისტრთა საბჭოს დადგენილებები თბილისში, თელავსა და სიღნაღში დაცვითი ზონების შექმნის შესახებ.

აქვე უნდა ითქვას, რომ თუმცა ქალაქის ძველი რაიონები განსაკუთრებით ძვირფასია ჩვენ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვის, ისინი წარმოადგენენ ქალაქის განვითარების ცოცხალ მატიანეს, მაგრამ შენობები, მით უმეტეს, მთელი უბნები ვერ გადაიქცევა რელიკვიებად. ეს რაიონები უნდა იყოს დაცული, მაგრამ აქტიურად ჩართული თანამედროვე ქალაქის ცხოვრებაში. ამ მხრივ პირველი ცდა უკვე ჩატარებულია თბილისის ბარათაშვილის ქუჩაზე, სადაც აღებულ იქნა არსებული უსახო შენობები, რომლებიც მოგვიანებით გაშენდა. გაიხსნა ძველი თბილისის განაშენიანება, რომელიც შეიქმნა XIX საუკუნის პირველ ნახევარში ძველი გალავნის ხაზზე. გამოვლინდა თვით ეს გალავანი წრიული ფორმის კოშკებით და შემდეგ რესტავრირებულ იქნა როგორც გალავანი, ისე მასზე აგებული სახლებიც. შეიქმნა საკმაოდ ეფექტური ხედი ძველი განაშენიანებისა, რომელმაც ყველანი დაარწმუნა ამ ისტორიული უბნის აღდგენის რეალობაში და მხატვრულ შესაძლებლობაშიაც. მაგრამ ვფიქრობ, დანარჩენი უბნების რეკონსტრუქცია უნდა წარიმართოს სხვა მეთოდოლოგიით. თუმცა ძველი ქალაქი გათვალისწინებულია ტურიზმზეც, მაგრამ ეს არ უნდა იგრძნობოდეს. იგი უნდა ცხოვრობდეს სრულფასოვნად, აკმაყოფილებდეს თანამედროვე ადამიანთა მოთხოვნილებებს და ალბათ იყოს ნაკლებ დეკორატიული და უფრო მიახლოებული თავის პირვანდელ სახეს. ამიტომ უნდა გვახსოვდეს, რომ ყოველი რესტავრაცია და რეკონსტრუქცია პირველყოვლისა არის მეცნიერება და არა მხოლოდ მშენებლობა. მომავალი წლისათვის გათვალისწინებულია დაიწყოს რეკონსტრუქცია აბანოს უბნის, პურის მოედნის, ნარიყალას ციხის. საჭიროა, რომ აქ დაცული იყოს რესტავრაციის ყველა დებულება და მოთხოვნილებანი.

## ხალხური ხუროთმოძღვრების ძეგლები სოფლად

საქართველო განსაკუთრებით მდიდარია ხალხური ხუროთმოძღვრების ძეგლებით, რომლებიც უშუალოდაა დაკავშირებული ხალხის ყოფასთან და შემოქმედებასთან. ამ ძეგლებში ვლინდება ხალხის აზროვნება, რაციონალიზმი, უნარი — დააკმაყოფილოს როგორც მატერიალური, ისე ესთეტიკური მოთხოვნილებები. გლეხური დარბაზები, ოდა-სახლები, სვანური მაჩუბები, თუშური ციხე-სახლები, ხევსურული კალოიანი სახლები თავისი კარ-მიდამოთი და სამეურნეო ნაგებობებით, ყველა თანაბრად საყურადღებოა და დაცვას მოითხოვს.

მაგრამ ჩვენს დროში, სოფლის სწრაფი გადახალისების ვითარებაში, ეს ძეგლები უკვე რუდიმენტებად იქცევიან და საკმაოდ სწრაფად ქრებიან. ჩვენი ვალია ხალხური შემოქმედების ეს ბრწყინვალე ნიმუშები შევუნახოთ მომავალ თაობებს და მივცეთ მათ საშუალება რეალურ ნიმუშებზე გაეცნონ გარდასულ ყოფასა და კულტურას, ხალხის აზროვნებას და გემოვნებას. მეორეს მხრივ, ცხადია, აბსურდულია ძველი სოფლური სახლების მთლიანად დაცვა და ამიტომ აუცილებელია მათი აღრიცხვა და შერჩევა დაცვის მიზნით.

ერთ-ერთი საშუალება ხალხური ხუროთმოძღვრების დაცვისა არის ე. წ. მუზეუმები ღია ცის ქვეშ. ასეთი ხალხური ხუროთმოძღვრების და ყოფის მუზეუმი შექმნილია თბილისში, სადაც უკვე გადმოტანილია 50-მდე მნიშვნელოვანი ნაგებობა (გადმოსატანია კიდევ დაახლოებით 250) კომპლექსში შემავალი დამხმარე ნაგებობებით და სათანადო გარემოცვაში. მართალია მუზეუმისათვის შერჩეული ადგილი არ იყო სწორად გააზრებული და არ იძლევა საშუალებას შენობათა სათანადო გაშლისა მათი კარმიდამოებით, მაგრამ ამაზე უკვე გვიანაა ლაპარაკი. ყველა შემთხვევაში ასეთი მუზეუმი არის საშუალება ხალხური ხუროთმოძღვრების თუნდაც თითო ნიმუშის გადარჩენისა.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ როდესაც ძეგლს აღარ აქვს ფუნქციური დატვირთვა და მოწყვეტილია მის საწყისს, ბუნებრივ გარემოს, ცხადია, იგი რამდენადმე ნაკლულია. ამიტომ ჩვენ გადავწყვიტეთ, იქ, სადაც ეს შესაძლებელია, დავიცვათ სოფლის არქიტექტურა, რომელმაც შემოინახა თავისი პირვანდელი სახე, ან განიცადა უმნიშვნელო ცვლილებები. დაცული იქნება მთელი სოფელი ჩაჟაში უშგულის თემში, შატილი ხევსურეთში, დარბაზი დუშეთში და სხვა. ეს რთული პრობლემაა და მის გადასაწყვეტად საჭიროა გავუწიოთ დახმარება ადგილობრივ მაცხოვრებლებს შენობათა შეკეთებაში (ვინაიდან თვითონ ამას ვერ შესძლებენ და არცა აქვთ სურვილი), ვიფიქროთ მათ დასაქმებაზე და ცხოვრების პირობებზე.

## კულტურის ძეგლები და ტურიზმი

ჩვენი საუკუნისათვის მეტად სიმპტომატურია ტურიზმის არნახული განვითარება. ამჟამად მარტო საქართველოში ყოველწლიურად ჩამოდის ათ მილიონზე მეტი ადგილობრივი ტურისტი და რამდენიმე ასეული ათასი უცხოელი ტურისტი. ისტორიისა და კულტურის ძეგლების როლი ტურიზმისათვის დღითიდღე უფრო მნიშვნელოვანი ხდება, ვინაიდან წარსულის მემკვიდრეობის გაცნობა კულტურული ტურიზმის, მოგზაურობის ყველაზე დამაჯერებელი და გასაგები საბაბია. მრავალ ქვეყანაში ტურიზმი სახელმწიფო ბიუჯეტის მნიშვნელოვანი ნაწილია და ამიტომ ხშირია ძეგლების და მათი გარემოს დაუშვებელი ექსპლოატაცია. იგულისხმება სასტუმროების აშენება, კაფე-რესტორნების მოწყობა, თვით ძეგლების განადგურება ტურისტების დიდ

რაოდენობასთან დაკავშირებით (მაგალითად, იაპონიის ქალაქ კიოტოს სატაძრო კომპლექსებს ყოველწლიურად ნახულობს 50 მილიონამდე მომსვლელი, რის შედეგად ძეგლი ცვდება). მაგრამ ვითვალისწინებთ რა ტურიზმის უდიდეს აღმზრდელობით როლს, განსაკუთრებით ახალგაზრდობისათვის, მისი შეზღუდვა არაა სასურველი. თუმცა ზოგიერთი რეკომენდაცია ალბათ აუცილებელია. ვფიქრობთ, ყველა ძეგლი უნდა იყოს მომზადებული ტურიზმისათვის. იგულისხმება ძეგლის და მისი გარემოს კეთილმოწყობა, დასვენების ადგილების შერჩევა, საინფორმაციო მასალით უზრუნველყოფა (ბუკლეტები, გზამკვლევები, მონოგრაფიები). ამასთანავე საჭიროა მკაცრი მოთხოვნა ძეგლის გაფრთხილების მხრივ, რაც სამწუხაროდ ყველა ტურისტს როდი აქვს შეგნებული. ვფიქრობთ, ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკური საბჭო ჯერ ვერ იჩენს სათანადო ინტერესს ძეგლების დაცვა-კეთილმოწყობისადმი და ეს სხვის საქმედ მიაჩნია, თუმცა ამაზე არსებობს სათანადო დადგენილებები. (მრავალ ქვეყანაში ძეგლთა დაცვა-რესტავრაცია ხორციელდება ძირითადად ტურიზმის შემოსავლის ხარჯზე).

ყოველწლიურად იზრდება სამეცნიერო კონფერენციების, სიმპოზიუმების, კოლოკვიუმების რიცხვი, რომლებიც ძირითადად დედაქალაქებში ტარდება. გაცილებით მიზანშეწონილია მათი ჩატარება ისეთ პატარა ქალაქებში, სადაც არის საყურადღებო ძეგლები. ეს გაზრდის მონაწილეთა ინტერესს და ალბათ დაეხმარება ასეთ ქალაქებს (სიღნაღი, თელავი, მცხეთა და სხვ) განვითარებაში.

## ახალგაზრდობის როლი ისტორიული ძეგლების დაცვაში

საქართველოში არსებული ყველა ძეგლის მოვლას, ცხადია, მარტო სახელმწიფო ორგანოები ვერ მოუვლიან. ჩვენ გვწამდა, რომ ძეგლების დაცვა, რომელსაც დღეს ახალი შინაარსი ენიჭება, მთელი ჩვენი საზოგადოების და განსაკუთრებით ახალგაზრდობის შეგნებულ მოთხოვნილებად იქცევა, რომ ყველა გახდება ჩვენი თანამოზიარე და სულისკვეთებით ჩაებმებოდა ძეგლთა დაცვის საერო საქმეში. ეს ასეც მოხდა, გამოჩნდა მრავალი მოხალისე, რომელიც მზადაა უანგაროდ, თავისუფალ დროს, შვებულების პერიოდში იმუშაოს ძეგლთა რესტავრაციაზე. უკვე მეორე წელიწადია სტუდენტი ახალგაზრდები ნაყოფიერად მუშაობენ ციხე-ქალაქ უჯარმაზე, თბილისის ბარათაშვილის ქუჩაზე, ბოჭორმაში, ხუჯაბზე და სხვ. შარშან ამ სამუშაოში ჩაება სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოება, ახალგაზრდა მეცნიერები. მრავალმა ორგანიზაციამ იკისრა გარკვეული ძეგლების მოვლა-პატრონობა, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს. უკვე აქტიურად მუშაობენ ძეგლებზე კიბერნეტიკის ინსტიტუტი ხერთვისში, ელმავალმშენებლის გაერთიანება — საფარის მონასტერში, კვების მრეწველობის გამოთვლით ავტომატური მართვის საკონსტრუქტორო ბიურო — სამშვილდეში, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეტალურგიის ფაკულტეტის ენთუზიასტები — ტბისში, წერაქვში, ბირთვისის ციხეზე, თბილზნისპის თანამშრომლები სამღერეთის მონასტერზე და სხვა მრავალი. საშეფო ორგანიზაციები პატრონობენ და იცავენ ძეგლებს, აწარმოებენ მის გაწმენდას და ამზადებენ სარესტავრაციო სამუშაოებისათვის. ყოველივე ეს მეტად სასარგებლოა და კარგ შედეგებს იძლევა. მაგრამ განსაკუთრებით მოველით ჩვენ ამ საქმეში განათლების სამინისტროს ამოქმედებას. ცხადია, დაწესებულებებს და უმაღლეს სასწავლებლებს შეუძლიათ შეფობა გაუწიონ მხოლოდ მნიშვნელოვან ძეგლებს და ისიც გარკვეული რაოდენობით, მაგრამ რა ვუყოთ იმ მრავალ ათას ძეგლს, რომლებიც მოფანტულია მთელს ჩვენს ტერიტორიაზე და სადაც ჯერჯერობით ხელი ვერ მიგვიწვდება! მათი დაცვა ეკისრება ადგილობრივ ხელისუფლებას და, ვფიქრობ, ყველაზე მიზანშეწონილია მათი მოვლა დაეკისროს სკოლებს. განა არაა მართებული, რომ სოფლის სკოლამ ითავოს სოფელში ან მის გარემოში მდებარე ძეგლის მოვლა! ეს ხომ დიდი საერო საქმეა და ამასთანავე აქვს სხვა მნიშვნელობაც. პირველყოვლისა, ახალგაზრდობა ძეგლთან ურთიერთობაში ამდიდრებს თავის ცოდნას, სასიამოვნოდ და სასარგებლოდ ატარებს დროს, რაც მთავარია, ჩვენს ძეგლებზე ნაკლებად, მაგრამ მაინც ჯერ კიდევ ჩნდება წარწერები, უგუნურ ადამიანთა „ავტოგრაფები“ რომლებიც ხშირად გამოუსწორებელ ზიანს აყენებენ ძეგლებს და განსაკუთრებით კედლის მხატვრობას. ამ წარწერების უმრავლესობა შესრულებულია მოსწავლეთა ხელით. საკმარისია შევხედოთ დავით გარეჯის ქვაბულებს, შიო-მღვიმეს, წინარეხის ლავრას ან ნიკორწმინდას, სადაც უწარწეროდ ცოცხალი ადგილი ვერ მოიძებნება.

თუ თვით მოწაფეები ითავებენ ძეგლების მოვლას, ეს დიდი საქმე წარმატებით დასრულდება.

ისტორიული ძეგლების დაცვა წარმოადგენდა ელიტარულ მოვლენას, მანამდე ამ საქმეს მხოლოდ „რჩეულნი“ განაგებდნენ. დღეს ეს პროცესი შეიცვალა, ხალხის ფართო მასებს, მთელ საზოგადოებას ესმის ძეგლების კულტურული ღირებულება და ძეგლთა დაცვა სახალხო საქმედ იქცევა.

მართლაც, საკმარისი როდია მხოლოდ ვიამაყოთ წარსულის შესანიშნავი ძეგლებით. თვით მათი არსებობა გვავალდებულებს მათ დაცვა-პატრონობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევგენი ბართაია

# ნოველა და ახალგაზრდობის პრობლემა

ჩვენს საზოგადოებას ყოველთვის აფიქრებდა ახალგაზრდობის პრობლემა. ამ საკითხით დაინტერესებამ განსაკუთრებით იჩინა თავი ოცდაათიანი წლებიდან, რადგან ამ დროისათვის შესამჩნევად შემოიჭრა ახალგაზრდობაში სოფლის დატოვებისა და ქალაქისაკენ ლტოლვის საშიშროება. ამ პრობლემით ქართული საბჭოთა მწერლობაც დაინტერესდა და მის მრავალფეროვან თემატიკაში ერთ-ერთი ადგილი დაუთმო მას.

ჯერ კიდევ ოცდაათიან-ორმოციან წლებში ჩვენი მწერლობა სწავლობდა ახალგაზრდობის სოფლად სამუშაოდ წასვლის გადაუწყვეტელ პრობლემას, რაც მაშინ აწუხებდა ჩვენს პარტიას. თავი იჩინა ახალგაზრდობის ლტოლვამ სოფლიდან ქალაქისაკენ. ამ ძნელ პრობლემას მიუძღვნა კ. გამსახურდიამ ნოველა „გამოუყენებელი ბინოკლი“ (1934). მწერლის აზროვნება, იდეური მიმართულება, საკითხისადმი მიდგომის მეთოდი და განწყობა უაღრესად თანადროული და საბჭოურია.

„ახალი ადამიანის“ ფორმირება ოცდაათიან წლებში არ ამოწურულა. „ახალი ადამიანის“ ჩამოყალიბებისათვის საკმარისი როდი იყო ერთი ათეული წელი. კლასობრივი ბრძოლა, საზოგადოებრივი ურთიერთობა და ამ ურთიერთობით გამოწვეული წინააღმდეგობანი აფოლადებდა ადამიანების ნებისყოფას, აწრთობდა მათ ხასიათს.

კ. გამსახურდიას „გამოუყენებელი ბინოკლის“ გამოქვეყნებიდან ხუთი წლის შემდეგ აკ. ბელიაშვილმა დაწერა ნოველა „პირველი პაემანი“ (1939), სადაც მწერალმა დაგვიხატა სასახელო ახალგაზრდის სახე, რომელმაც თავისი კეთილსინდისიერი შრომით სახელი მოიხვეჭა და ამის შემდეგ გახდა თავისი სატრფოს ღირსი.

სოფლიდან ჩვენი ახალგაზრდობის მიგრაციის პრობლემა დღის წესრიგიდან არც ორმოცდაათიან წლებში მოხსნილა. ამ წლებში მისი პიონერია ს. კლდიაშვილი. ეს პრობლემა მწერალმა დაუკავშირა მშობლიური მიწის სიყვარულის თემას („ნაბოლარა“, 1955). თუ ნოველაში „შორეული“ (1958) ს. კლდიაშვილის ეინარი უცხო მხარის დროებით მკვიდრად გვევლინება და დიდი ხნის შემდეგ ისევ უბრუნდება თავის მშობლიურ მხარეს, „ნაბოლარაში“ იგრძნობა მწერლის დამოკიდებულება გმირისადმი, რომელიც შვილების გამოისობით უნუგეშოდ დარჩენილა და სასოწარკვეთილი მისტირის თავის უმწეობას. მწერალი იმასაც კარგად ხედავს, რომ სოფლიდან ერთეული ადამიანების გაქცევას არ შეუძლია სოფლის ცხოვრების შეჩერება.

ს. კლდიაშვილისათვის, როგორც მწერლისათვის, შესამჩნევია ის ფარისევლობა, მაამებლობა, თვალთმაქცობა, მლიქვნელობა, რაც ჯერ კიდევ არსებობს ჩვენს საზოგადოებაში. სამწუხაროდ ამ სამარცხვინო ტრადიციებზე იზრდებიან ჩვენი ახალგაზრდების მცირე, მაგრამ მაინც საგრძნობი ნაწილი („თავხედი ბავშვი“. 1961).

ნოველა „მოულოდნელად ნაღვლიანი დასასრული“ (1972) სიხარულისა და სევდის განწყობის ურთიერთშერწყმაა. ნოველის ლირიკული გმირი თვით მწერალია — მოხუცი კაცი, რომელიც შვილიშვილებთან პაექრობაში ამჟღავნებს გათვითცნობიერებული ბავშვების სულისკვეთებას და ამით გამოწვეულ სიხარულსაც და სევდასაც. მწერალი ნოველაში ხატავს გამეტიჩრებული ბავშვების ზოგად სახეებს.

რამდენიმე წლის შემდეგ კვლავ დაუბრუნდა ამ თემას აკ. ბელიაშვილი. შექმნა ახალი ნოველები — „აღდგენილი ხიდი“ და „ვადიდოთ ალალი მარჯვენა“ (1956). ახალი სახეა ქართულ მწერლობაში გიორგი ჯალაბაური, ახალგაზრდა, რომელიც, მიუხედავად უმაღლესი განათლებისა, საჭიროების შემთხვევაში ფიზიკურ შრომას არ თაკილობს. ახალგაზრდობის თემას

ეროვნული

მიუძღვნა აკ. ბელიაშვილმა, აგრეთვე, ვრცელი მოთხრობა „ახალგაზრდები“ (1938).

თანამედროვეობის თემაზეა დაწერილი გრ. ჩიქოვანის პუბლიცისტური მოთხრობა „მშვიდობით, არჩილ!“ (1969). მწერალი ეხება მრავალ პრობლემატურ საკითხს და ორი პერსონაჟის — არჩილ ჯაიანისა და თენგიზ გაბუნიას დაპირისპირებით ლაპარაკობს იმის შესახებ, რაც ჩვენს საზოგადოებაში, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ვერ აღმოფხვრილა. ეს არის სამოციანი წლების ხატკივარი. იგი ჩვენს საზოგადოებაში ხედავს ისეთ ადამიანებს, რომელთაც არ იციან შრომის ფასი, არა აქვთ შრომის სიყვარული, ჭეშმარიტი ნიჭის პატივისცემა. არიან ისეთი უღირსი ადამიანებიც, რომლებიც „პირში რომ აქებენ ერთმანეთს, ზურგს უკან კი დასცინიან, სამარეს უთხრიან“...

გრ. ჩიქოვანს აქვს ერთი მოთხრობა „სიყვარული“. ამ მოთხრობის მთავარი პერსონაჟებია მზია და ელგუჯა. სწორუპოვარი ახალგაზრდაა ელგუჯა — მისი გადაწყვეტილებაა: ისწავლოს ტრაქტორის მართვა, იმუშაოს მეურნეობაში და ისწავლოს დაუსწრებლად. მზიას, რომელიც სწავლას მოწყურებულია, ელგუჯა უყვარს და მისი საქციელი მოსწონს, თუმცა მას მშობლები და ზოგიერთი თანასოფლელი ალმაცერად უყურებენ.

თანამედროვე ახალგაზრდები არიან გ. ნატროშვილის ნოველების გმირები, რომელთაც ცხოვრების გზაზე უნებლიე შეცდომები მოსდით, მაგრამ ამ შეცდომების მალე დაძლევის უნარიც აქვთ.

მიტო („მინდვრის ბიჭი“) ჯერ ახალგაზრდაა, ცხოვრების გამოცდილება არა აქვს და ამიტომ, რომ იტყვიან, თავში აუვარდა დაწინაურება და გაუყუოჩდა, მაგრამ მალე მიხვდა თავის შეცდომას და დაჰგმო იგი, როგორც მავნე სენი. ირაკლი („შინდისფერი ყელსახვევი“) თავიდანვე დინჯი და მგრძნობიარე ვაჟკაცია, რაც ყველაფერში ჩანს. მან ყველას თავი შეაყვარა და მოწინავე ახალგაზრდა გახდა მთელს რაიონში. მისი ყველა ნაბიჯი მოზომილი და შეუმცდარია. ასევე დადებითი ახალგაზრდაა ამავე ნოველის პერსონაჟი ეთერი. ეთერიც ისევე ჭკვიანი ქალიშვილია, როგორც ნანა („მინდვრის ბიჭი“). ამ გოგონების შესანიშნავი სახეები მწერალმა სხვადასხვა კუთხით დახატა. ნანა რომ აჩქარებული და მხოლოდ ვნებებს აყოლილი ქალი ყოფილიყო, იქნებ, მიტო არც გამოსწორებულიყო. ეთერს რომ გულწრფელობა და ადამიანური გრძნობები არ გამოეჩინა, იქნებ, ირაკლის გული ვერ მოეგო და ოჯახიც ვერ შეექმნა. ნანას და ეთერის ორეულია ნატო („ნიშნობა“). ნატოს უყვარს ქვემოუბნელი ზაქარა, ეს „ზაქივით ენაჩათხრობილი“ ბიჭი, რომელსაც მთის გადმოტრიალება შეეძლო და ნატოს წინაშე კი ენა ვერ მოუბრუნებია პირში. გ. ნატროშვილი თანამედროვე ახალგაზრდებს ხატავს ფსიქოლოგიურ ნიუანსებში, ამიტომ წარმოგვიდგებიან ისინი, როგორც ცოცხალი სახეები თავიანთი სულიერი ბუნებით და გარეგნობითაც.

ჩვენი ახალგაზრდობის მიერ ახლად შექმნილი ოჯახის ამსახველი ნოველაა რ. ინანიშვილის „ერთი ბოთლი შამპანური“.

ამ ციკლის ნოველებისათვის საერთოდ დამახასიათებელია რწმენა სიცოცხლისა და სიყვარულისა. ინანიშვილის ნოველების ახალგაზრდების უმანკოება ბუნების უმანკოებასთანაა შერწყმული („ბეჟანა“, „ხევსური“). მწერალი ამ ორი ნოველით სოფლის კეთილ პროპაგანდისტად გვევლინება.

ჩვენი ახალგაზრდობის, სიცოცხლით სავსე ჭაბუკებისა და ქალიშვილების, ცხოვრების ლამაზი სურათებია დახატული ინანიშვილის ნოველაში „ცუდი სიზმარი“. რ. ინანიშვილის აზრით მხოლოდ ხალას სიყვარულს შეუძლია ახალგაზრდა ბედნიერებას აზიაროს („უკანასკნელ არდადეგებზე“).

რ. ინანიშვილის ნოველებიდან განსაკუთრებით ყურადღებას იპყრობს ორი ნოველა „ვიღაცას ავტობუსზე აგვიანდება“ და „ცისფერი გორგალი“. ეს ნოველები გამოირჩევიან პრობლემურობითა და ხასიათების ახლებური ხატვით. ეს ხასიათები ერთმანეთის ანტიპოდები არიან. ელენე („ვიღაცას ავტობუსზე აგვიანდება“) და ლიტა („ცისფერი გორგალი“) „საკუთარ თავზე გაჯავრებული“ (აპ. ჟორდანია) ქალები არიან. მათი ამგვარი „გაჯავრების“ მიზეზი კი ზოგჯერ გაურკვეველია მათი მღელვარე და დაუმცხრალი გრძნობების გამო. ელენე წმინდა სიყვარულის, მაღალი ზნეობის ქალია, ლიტა კი შორსაა ზნეობრივი სიწმინდისაგან. ორივე გამოსავალს ეძებს, მაგრამ ძიების გზა და შედეგი სხვადასხვანაირია. ელენე გულში იკლავს მოზღვავებულ სურვილს, ლიტა კი ვერ იჭერს აფორიაქებული ვნების სათავეს. ელენე მართალია და მისი სიმართლე ყოველ მის სიტყვაში მჟღავნდება. ელენეს ძირითადად სალი შეხედულება აქვს ცხოვრებაზე. ელენე მტკიცე ნებისყოფის ქალიშვილია, მაგრამ სულხანის სიყვარული ზოგჯერ აცდუნებს ხოლმე. თუმცა ეს ცდუნება მის ფიქრს არ ცილდება, იქვე ითრგუნება. ეს ფიქრი შედეგია და ამის გამო სევდაც ერევა, რაც ზოგჯერ უცვლის შეხედულებას ადამიანებზე და სიმართლის გზიდან აცდენს. სულხანზე ფიქრი ადამიანურია და კი არ ამცირებს ელენეს, არამედ ამაღლებს, რადგან იგი ზნეობრივად სპეტაკია. სულხანზე ფიქრი ამშვენიერებს მის ქალობას. ელენეს სახით ქართული მხატვრული ლიტერატურის პერსონაჟთა გალერეას შეემატა ერთი ფაქიზი გრძნობების, მაგრამ ვაჟკაცური ქალი.

ყოველ მწერალს თავისი სტილი აქვს და რ.

ეროვნული

ინანიშვილიც თავისებურად ამბობს სათქმელს. მრავალთაგან ერთ მაგალითს დავასახელებ. ავიღოთ თუნდაც ნოველა „ლამაზი ქალი“. ამ ნოველაში მთავარია ხასიათის გამოვლინება, რასაც ავტორმა თავისებური მწერლური სტილით მიაღწია. თავისებურია მაგალითად, გოგონას დამოკიდებულება ვაჟთან. რამდენად მართალია იგი, ქვა რომ ჩაარტყა მისი მეგობრების (ბრაკონიერების) მამხილებელ უდანაშაულო კაცს (დათიკოს). ეს გოგონა ისე „რბილად“ არის დახატული, რომ თან შეგზიზღდება და თან არა. ამ ლამაზმა გოგონამ, თუმცა არასწორად, მაგრამ მაინც, თავისი მეგობრები (იქნებ მათ შორის სატრფოც) დაიცვა. ამ ფაქტით მწერალი „ღიმილით“ შესცქერის სიტუაციას: დათიკო „მიეზაყებოდა ცხენზე — სველი, შუბლზე თმამიწებებული, შიგადაშიგ იღიმებოდა და თან სულ ამას იმეორებდა: „გაიგე ლამაზი ქალისა რამე! გაიგე ლამაზი ქალისა რამე!“ ასეთი ფარული ტონის გამოა, რომ რ. ინანიშვილის ნოველებში, ერთი შეხედვით, თითქოს, „უგულვებელყოფილია“ კონფლიქტი.

მწერალს მხედველობიდან ისიც არ რჩება, რომ ახალგაზრდებს შორის უსაქმურებიც არიან და, სამწუხაროდ, ასეთები, დედური სიყვარულით დაბრმავებულნი, თვალებში შესციცინებენ თავიანთ უსაქმურ შვილებს („დედები“). ასეთი დედების გვერდით არიან ჭკვიანი, კარგის მრჩეველი, ჭკუისდამრიგებელი, გამამხნევებელი დედებიც („გაზაფხული“).

ამ ნოველების ჯანმაგარი და სოფლისმოყვარე მშრომელების გვერდით არიან ადამიანებიც, რომლებსაც მიუტოვებიათ თავიანთი ბაღვენახები და ქალაქში გადაკარგულან საცხოვრებლად („მიტოვებული ბაღი“).

„თავსაფრიანი დედაკაცის“ (ნ. ლორთქიფანიძის ამავე სახელწოდების ნოველიდან) ორეულია ბარბალე ბადიაური („სიკვდილი ბარბალე ბადიაურისა“). ამიტომ მიუძღვნა ინანიშვილმა ეს ნოველა „თავსაფრიან დედაკაცს“. ბარბალე ბადიაური ოთარაანთ ქვრივსაც მოგვაგონებს — შვილზე გადაგებულს, კეთილს, მოჭირნახულეს, ჭირსა შიგან გამაგრებულს. ბარბალეს ცხოვრების დასასრულიც ისევე საბედისწეროა, როგორც თავსაფრიანი დედაკაცისა. ისიც ისევე უმწიკვლოდ და ვალმოხდილად მიდის ამ ქვეყნიდან, როგორც „თავსაფრიანი დედაკაცი“.

ბარბალესავით გამრჯე ქალია ირინე („კიტრის ქურდი“).

ნოველაში „ევა“ ის კი არ არის მთავარი, უყვარს თუ არ უყვარს აბელას ევა, არამედ მთავარია ის, თუ რას წარმოადგენს ევა, როგორც ადამიანი. ევა კეთილი, გულუბრყვილო ქალიშვილია. მის პატიოსნებას სავსებით არ ბღალავს ის ფაქტი, რომ მას სამჯერ აკოცეს „მთლად უცნობმა ბიჭებმა ქუჩაში“. ეს ფაქტი მან თავის სატრფოს, აბელს არ დაუმალა.

ო. იოსელიანის ნოველებში გაშუქებულია ერთი უაღრესად სასარგებლო პრობლემა. ეს პრობლემა დასმულია მის სამ ნოველაში („თეთრი ქალიშვილი“. „ლევანა“ და „ნაცრისფერი დღე“).

უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ჩვენს ნოველისტიკაში იშვიათად შემხვედრია რაიმე მიზეზით საზოგადოებისაგან ან ცხოვრებისეული სინამდვილისაგან ადამიანის „განდგომის“ და ამასთან ისევ დაბრუნების პრობლემის დასმა და მისი რეალური გადაწყვეტა. ო. იოსელიანმა ეს პრობლემა დასახელებულ ნოველებში სხვადასხვანაირი კუთხით დასვა და გადაწყვიტა. ერთი, როცა ადამიანი თავის ბუნებით „გაექცა“ ცხოვრების ნორმებს („ნაცრისფერი დღე“), მეორე, როცა ადამიანი უნებლიე უბედურებამ ჩამოაშორა საზოგადოებას („ლევანა“) და მესამე, როცა ადამიანი თავისი სუსტი ნებისყოფის შედეგად მოსწყდა გარემოს („თეთრი ქალიშვილი“). „ნაცრისფერ დღეში“ ამის ნათელი დადასტურებაა ჯაბას ხასიათი. ჯაბა, ვიდრე ცოლს შეირთავდა არ ეწეოდა ნორმალურ ცხოვრებას — სამსახურში არ გულმოდგინეობდა, მწერლის სიტყვებით რომ ვთქვათ: „ცერცეტი იყო“. და ეს ცერცეტი კაცი დაოჯახების შემდეგ სავსებით გამოიცვალა — დასერიოზულდა, ოჯახისა და წარმოების ერთგული გახდა. მის გარდაქმნაში არავინ ჩარეულა, მან თვითონ შეიგნო ის შეცდომები, რასაც ჩადიოდა და დაჭგმო იგი ერთბაშად.

ნათიას („თეთრი ქალიშვილი“) „განდეგილობა“ კი მარტო მისმა ავადმყოფობამ ან ცუდმა აღზრდამ კი არ გამოიწვია, არამედ ამხანაგების უყურადღებობამ და კიდევ რაღაც „საიდუმლომ“: „სკოლაშიც თავისთვის იყო ნათია, მზეზე თბებოდა ყოველთვის, იდგა რომელიმე სამზეურ კედელს აკრული და იქედან უცქეროდა ბავშვების თამაშს. არავის არაფერს უშავებდა. ერთხელ თავსაფარი გადაეგდო ვიღაცას, არ დადევნებია, არც ხმა ამოუღია, იდგა იქვე ამორჩეულ კედელთან, დაეხარა თავი და ფერმკრთალ სახეზე ლაპალუპით ჩამოსდიოდა ცრემლები, სწავლა უჭირდა და ამისათვის იცრემლებოდა. დილით იგვიანებდა, ეკითხებოდნენ მიზეზს, ის კი ტიროდა, გაკვეთილების შემდეგ ბავშვები ჟივილ-ხივილით გარბოდნენ, ხტოდნენ, ერთმანეთს ეკინკლავებოდნენ. ნათია წყნარად მიდიოდა თავისთვის გზის კიდეზე თავჩაღუნული, მოწყენილი, ფერმკრთალი“ („თეთრი ქალიშვილი“, წიგნიდან: ო. იოსელიანი, ნოველები, თბ., „მერანი“, 1974 წ., გვ. 109). ნათია ბაჭუამ გამოიყვანა მდგომარეობიდან და კვლავ დაუბრუნა საზოგადოებას.

მოთხრობაში — „ლევანა“ მსჯელობაა მარტოხელა კაცის ბედზე. ეს თემა, როგორც ვიცით, მ. ჯავახიშვილმა დაამუშავა „ტყის კაცში“, მაგრამ „ლევანაში“ სულ სხვანაირია ამ თემის გახსნის მეთოდი. პავლემ („ტყისკაცი“)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერ გაუძლო ტრაგედიას (ცოლ-შვილის ამოხოცვას) და დაიღუპა. ლევანმა, მართალია, ზმანებებში (თუ მოჩვენებებში), მაგრამ მაინც გადაიტანა ტრამვა. ლევანას ზმანებებშიც არ შორდებოდა ფიქრი ოჯახზე, ცოლ-შვილზე, შრომაზე. პავლე მოდუნდა, ორიენტაცია დაკარგა. ამრიგად, ადამიანის ხასიათის ნორმირება და საზოგადოებაში მისი დაბრუნების სამი გზა აირჩია მწერალმა და სამივე დადებითად გადაწყვიტა: თვითდარწმუნებით (ჯაბა), სხვისი ჩარევით (ნათია) და შრომით (ლევანა). ამ ნოველაში საკმაოდ სერიოზულად არის დასმული სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემა. ლევანას ინტელექტი არ ყოფნის უცებ, გონებით აიდოს ორიენტაცია, თუმცა პავლეზე („ტყისკაცი") მაღლა მაინც დგას.

ნ. დუმბაძის ნოველაში „უმადური" ასი წლის გუდული ბერეჟიანს უპირისპირდებიან თავისი შვილები, რომელთაც ოჯახი მიუტოვებიათ და სხვადასხვა ქალაქში ცოვრობენ. მამა, რა თქმა უნდა, ამის გამო, არ იყო მადლიერი თავისი შვილებისა; შვილები კი ვერ უგებდნენ მამას, თუ რატომ იყო იგი ცხოვრების უმადური. ბოლოს და ბოლოს ყველაფრით კმაყოფილი, მაგრამ შვილებით უკმაყოფილო ასი წლის მოხუცი ბერეჟიანი, უკვე უილაჯო და „უპატრონო", გადაწყვეტს, თვითონვე გამოუტანოს განაჩენი თავის თავს — თავს იკლავს. მამის ასეთი საქციელით განაწყენებული ერთ-ერთი ვაჟი კი საყვედურობს: „უმადური იყო მისი დღე და მოსწრება და ასე უმადურად გაათავა სიცოცხლეცო". („უმადური").

დამაფიქრებელია ა. სულაკაურის „ძველი ამბავი". მე ამ ნოველის მთავარ თემად შევიცანი ადამიანის შინაგანი ბუნების როლი საზოგადოებაში და ამ ბუნების ძალით შებოჭილი და ამავე ბორკილიდან თავახსნილი ახალგაზრდა კაცის სახე.

ბეჟანი „მწიგნობარია", იგი ძალიან ბევრს კითხულობს ისეთ ლიტერატურას, რომელიც მას არ სჭირდება. მას „გობსეკი" ჰქონდა ამორჩეული საკითხავად, დიდი ძალა შეალია ამ მოთხრობის დასწავლას. რატომ ამოირჩია ბეჟანმა მაინცდამაინც „გობსეკის" კითხვა? ამ კითხვის პასუხია საჭირო. ცხოვრება რთულია, ცხოვრების ფილოსოფია ძნელი ამოსახსნელია და ვერც ამოხსნა ბეჟანმა ეს ფილოსოფია, ვერ გასცა პასუხი მოძალებულ იდუმალ კითხვას. ამიტომ დაიღალა იგი, დაავადდა, დაუძლურდა და გარდაიცვალა კიდევაც.

ცნობილია, რომ დიდმა ფრანგმა მწერალმა ბალზაკმა „გობსეკით" წარმოგვიდგინა ოქროთი დაბრმავებული საფრანგეთის საზოგადოებრიობა. გობსეკი ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ სიმდიდრე შეიძინოს. ამ მევახშემ ხელთ იგდო ძალაუფლებაც და სიამოვნებაც. „ძალაუფლება — განა ეს არის მთელი თქვენი სოციალური წყობილების დედააზრი?... — ნიშნის მოგებით ეკითხება გობსეკი ახალგაზრდა ვექილს — დერვილს... — ოქროა თქვენი თანამედროვე საზოგადოების სული და გული". — განაგრძობს იგი (ფრანგული ნოველები, თბ., „საბჭოთა მწერალი", 1956 წ., გვ. 180). გობსეკის ფილოსოფიაა: „გვრჩება მხოლოდ ერთადერთი გრძნობა, რომელიც ბუნებამ ჩაგვინერგა: თავდაცვის ინსტიქტი. ჩვენს ევროპაში ამ ინსტიქტს პირად ინტერესს ეძახიან... ოქრო შეიცავს ადამიანთა მთელ ძალას. უმჯობესია, რომ სხვას ჰყვლეფდე, ვიდრე შენ გყვლეფდნენ... დიდებისმოყვარულობა არის ყოველთვის „მე", დიდებისმოყვარულობა მხოლოდ ოქროს ნიაღვრებით კმაყოფილდება („ძველი ამბავი". წიგნიდან: ა. სულაკაური, მოთხრობები, თბ., „საბჭოთა საქართველო", 1972 წ., გვ. 170). ბალზაკს გობსეკისნაირი ადამიანებისადმი რწმენა დაკარგული აქვს. რაოიგად ჰგავს გობსეკის „მჭევრმეტყველებას" — („უმჯობესია რომ სხვას ჰყვლეფდე, ვიდრე შენ გყვლეფდნენ") ბეჟანის ფილოსოფია: „ჩვენ ერთმანეთს ყოველთვის რაღაცით ვძარცვავთ, რაღაცას ვართმევთ, შესაძლებელია ძალიან მცირეს, მაგრამ მაინც რაღაცას ვტაცებთ".

გობსეკის ფილოსოფიამ ხომ არ დაღალა ბეჟანი — ეს მებრძოლი, ძლიერი ადამიანი? ასეთი კითხვა იბადება ნოველის კითხვისას და ეს კითხვა შემთხვევითი როდია. ამ კითხვის პასუხია გუიას შეხედულება ბეჟანის ავადმყოფურ „ფილოსოფიაზე": „ყველა ადამიანში ზის პატარა გობსეკი, — ასე თქვა ერთხელ ბეჟანმა, — — მე მგონი, არ არის მართალი, ყველაში არც შეიძლება იჯდეს გობსეკი"... (იქვე, გვ. 167).

ბეჟანის ფილოსოფია უკვე არ მოსწონს გუიას და იგი უკმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამო, რომ მას არ გაუვიდა არაფერი და ამხანაგებმაც ვერ გაუგეს ბეჟანს. „დღეს ისე გავბრაზდი, — ამბობდა გუია, — როცა გავიგე ბეჟანს „გობსეკი" მოუმზადებია. სულ არ უფრთხილდებით, ასე არ შეიძლება" (იქვე, გვ. 167). „რანაირი მეგობრები ხართ, ერთმანეთის არაფერი იცით?" — ასეთი რამ ჰკითხა ერთხელ გუიამ ნუგზარს — ბეჟანის მეგობარს. — არც ეს არის მართალი, ზოგჯერ თუ ვძარცვავთ, უმეტეს შემთხვევაში, ვამდიდრებთ ერთმანეთს..." ამბობს გადაჭრით გუია (იქვე, გვ. 168).

ნუგზარი ჯერ კიდევ უნდობლად, მაგრამ დამშვიდებით უმზერდა გუიას. „უკვე აღარაფერზე აღარ ვფიქრობდი, თითქოს ყველაფერი დავივიწყე და აღარაფერზე აღარ ვფიქრობდი, მხოლოდ გუიას ვუმზერდი, ვიზეპირებდი მისი სახის ნაკვთებს და ვცდილობდი დავმშვიდებულიყავი" (იქვე. გვ. 169). „ჩემზე ბედნიერი კაცი ქვეყნად არ მეგულებოდა! მე სხეულით მომ-

ქონდა გუიას თირთოლვა და სითბო“ (იქვე, გვ. 171).

საბოლოოდ გუია იმარჯვებს ბეჟანზეც და ნუგზარზეც. ნუგზარი ძალიან გვიან მიხვდა, რომ გუია ჭკვიანი გოგო იყო, მაგრამ, როგორც ნუგზარი ამბობს, ეს არც გუიასათვის და არც ნუგზარისათვის არ იყო ნუგეში, ეს იყო საუკუნო დაღი „სიყრმის ოცნებებზე დაჩნეული“. სწორედ ამ „დაღმა“ ათქმევინა ნუგზარს: „ჩვენ გავამდიდრეთ ერთმანეთი და გავძარცვეთ კიდეც. მაგრამ მე მგონია, გუია მართალი იყო, ჩვენ უფრო გავამდიდრეთ, ვიდრე გავძარცვეთ. მე ახლა თქვენით ვარ სავსე. რა გაძარცვული და გაქურდული ვიქნებოდი, ოდესღაც თქვენ რომ არ შემხვედროდით — შენ და გუია. ჩემი სიმდიდრე ხსოვნაში აღბეჭდილი მახლობელ ადამიანთა ძვირფასი სახეებია“ (იქვე, გვ. 174). ეს არის ამ ნოველის იდეა, რაც უპირისპირდება „გობსეკის ფილოსოფიას“.

„ხიდის“ იდეური ჩანაფიქრი — თემა იგივეა, რაც ნოველისა „ძველი ამბავი“ — ორივე ნოველაში თანამედროვე ახალგაზრდობა დანახულია სხვადასხვა, შეიძლება ითქვას, თავისებურ, ახალ ასპექტში. მაგალითად, ბეჟანი („ძველი ამბავი“), როგორც ზემოთაც აღვნიშნე“, ისეთივე მეოცნებეა, როგორც გივი („ხიდი“). ერთსაც ხელოვნებისაკენ უჭირავს თვალი და მეორესაც. ორივე ცდუნებულია ხელოვნების მანიით, მაგრამ ამ ცდუნებას დიდი ხნის არსებობა არ უწერია — ბეჟანი ისე კვდება, რომ საწადელს ვერ აღწევს; ხოლო გივის მომავალი ბურუსითაა მოცული. გივი თავის თავში დარწმუნებული კაცია, მეგობრის რჩევა არ ესმის, ჯიუტია, მორალურადაც არაჯანსაღი. გივიმ შეაცდინა თავისი თანაკლასელი, გულუბრყვილო გოგონა — ნაი. საერთოდ „ხიდის“, „ძველი ამბავის“, „ზევით და ქვევითის“ პერსონაჟები დიდობაშიც გონებით იგივენი არიან თითქმის, რაც იყვნენ ბავშვობაში. მაგალითად, გივის გონებას არ მოშორებია ფიქრი ხელოვნებაზე, მაგრამ იგი არც მაშინ იყო „დამდგარი“ ბავშვი და არც შემდეგ — დამდგარი კაცი. უორიენტაციო ტიპია გურამი („ხიდი“).

თანამედროვე ახალგაზრდობის თემაზეა დაწერილი ა. სულაკაურის ნოველა „ზევით და ქვევით“. გოგი და ლია უფაქიზესი გრძნობებით ეტრფიან ერთმანეთს. სიყვარულის დიდმა გრძნობამ თითქოს შეუმჩნევლად მოიკიდა ფეხი მათ გულში. სიყვარულის კეთილშობილური გრძნობისა და ნებისყოფის არაჩვეულებრივი სიმტკიცით მიაღწიეს მათ თავიანთ მიზანს.

დიდი სამამულო ომის თემაზე არჩილ სულაკაურმა დაწერა ორი საინტერესო ნოველა „მტრედები“ და „ტალღები ნაპირისაკენ მიისწრაფიან“. „მტრედებში“ მწერალი უბრალოდ ჰყვება ამბავს, მაგრამ ამ უბრალო ამბავში ბევრი კარგი და საინტერესო აზრია გატარებული. ლევანი და ნანა სიმწიფის ასაკში არიან, ჯერ კიდევ ვერ გასცილებიან სკოლის მერხს, მაგრამ, სწავლასთან ერთად, საერთო, სახელმწიფო საქმესაც ბეჯითად ასრულებენ. ამ ნოველის მიხედვით იმედითა და გამარჯვების რწმენით აღსავსე ჩვენი ახალგაზრდობა სიცოცხლის სიხარულით სუნთქავს.

„ტალღები ნაპირისაკენ მიისწრაფიან“ არჩილ სულაკაურის პირველი ნოველაა, რომელმაც მიიპყრო ლიტერატურული კრიტიკის ყურადღება. მის გარშემო შეიქმნა აზრთა სხვადასხვაობა.

ნოველის გმირები არიან ჯარისკაცები, ზემდეგი და „ცისფერკაბიანი ქალი“. სამივენი ახალგაზრდები არიან, და გამოუცდელნი. სწორედ ცხოვრების გამოუცდელობამ, საკუთარი ფიქრის შეუმოწმებლობამ, რაც მოუმწიფებლობას მიეწერება, სანანებელი გაუხდა ჯარისკაცს ცისფერკაბიანი ქალის უდროოდ დაღუპვა. ქალიშვილი ჯარისკაცის მკლავებზე მოკვდა. ეს მკლავები იყო მისი სარეცელი. მისი სამარე ღიად დარჩა, ჯარისკაცმა ვერ მოასწრო მიწისთვის მიებარებინა იგი. ყუმბარამ ქალიშვილის სხეული ნაფლეთებად აქცია. შურისგების გრძნობა უფრო აზღვავდა ჯარისკაცში. ახლა მას სისხლი სწყუროდა, შურისძიება სურდა ღიად დარჩენილი საფლავისათვის, ჯარისკაცს უპირისპირდება ზემდეგი. ჯარისკაცი სიცოცხლისათვის იბრძვის და ამ სურვილს ყოველნაირად ამჟღავნებს, ზემდეგი „უკან იხევს“, მიუხედავად იმისა, რომ ისიც მიისწრაფვის სიცოცხლისაკენ. ჯარისკაცს სიცოცხლე უნდოდა, თუნდაც სულ მცირე ხნითაც კი. ბნელში, ზღვის ტალღები რომ მათს ნავს მიაქანებდა, იგი განთიადის მოახლოებას ნატრობდა. სასიკვდილოდ დაჭრილს თვალწინ ესახებოდა ის ქალიშვილი და ღია სამარე. სიცოცხლეზე ფიქრობდა, ბრძოლის სურვილი კლავდა.

ნოველის იდეა ნათელია: ადამიანი უკვდავია, თუ იგი ცხოვრებისეულ დიად მიზნებს ემსახურება. უკვდავება სამშობლოს, ხალხის სიყვარულშია ფესვგადგმული. მოთხრობის სამივე გმირი — ჯარისკაცი, ზემდეგი და ქალიშვილი ამ განწყობით, ამ იდეით სუნთქავენ და ცხოვრობენ. ასეთი ახალგაზრდების და საერთოდ ასეთი ადამიანების დამარცხება კი შეუძლებელია.

ჩვენს ლიტერატურაში საკმაოდ ცნობილ თემას — სოფლიდან ახალგაზრდების ქალაქად გადასახლებას ასახავს ო. ჩხეიძე ნოველებში „ახალწლის ღამეს“ და „დედა“. ფრიდონი და მისი ძმები სოფელში ჩამოვიდნენ საახალწლოდ. მამა კი ერთი თვის მკვდარი ყოფილა თურმე და ცხედარი მეზობლებსაც კი არ ენახათ („ახალწლის ღამეს“). დედა ელოდება შვილებს, სიზმარში თუ ცხადში ელანდება შვილები, მაგ-

რამ შვილები არ ჩანან. ნეტავ მეხრეებად დამეზარდენითო, ნატრობს დედა („დედა“).

ხვალინდელი დღის იმედით ცხოვრობს გ. გეგეშიძის ნოველის („საყვარელი“) გმირი მერაბ ახვლედიანი. ეს ახალგაზრდა, რომელმაც დიდი ტანჯვა და იმედის გაცრუება გადაიტანა სიყვარულის გამო, ქუჩაში რომ გამოვიდა, ბედნიერი იყო იმით, რომ არ შიოდა და არ სწყუროდა. ბედნიერი იყო, რომ ხვალ კვირა თენდებოდა და შეიძლებოდა, სასიამოვნო რამ მოეხდარიყო. ბედნიერი იყო იმით, რომ დიდი ქვის ხიდის (სადაც ახლა მიაბიჯებდა) ქვემოთ მოჩანდა მდინარე, რომლის ბრტყელ, მწვანე ზედაპირს სერავდა ლამაზი, თეთრი გემები. ბედნიერი იყო, რომ კრემლის გალავანს შიგნით, ჩამავალი მზის სუსტი სხივების ქვეშ, ყვითლად ელავდა რომელიღაც მაღალი, თეთრი ტაძრის წვეტიანი, მოოქროვილი გუმბათი (იქვე, გვ. 93).

გ. რჩეულიშვილის ნოველების პერსონაჟები გონიერი ახალგაზრდები არიან. სიყვარულის გრძნობას ისინი არასოდეს გადაუცდენია სწორი გზიდან. მათ სიყვარულს ალამაზებს ჭეშმარიტი, ადამიანური გრძნობები („სიყვარული მარტის თვეში“).

გურამ რჩეულიშვილის მოთხრობების ქალაქელი პერსონაჟები — ახალგაზრდები სიხარულით გარბოდნენ ქალაქიდან სოფელში. მართალია, იქვე სოფელში ვეცნობით მათ ხასიათს, მაგრამ ქალაქური ფონის იქით. ეს ახალგაზრდები მთებში და სოფელში უფრო ლაღად გრძნობენ თავს („ნათვლა“), ვიდრე ქალაქში.

თანამედროვე გმირის, ქალაქელი ახალგაზრდის სახე განსაკუთრებით გამოიკვეთა გ. რჩეულიშვილის ფართოდ გახმაურებულ ნოველაში „ალავერდობა“. ამ ნოველის ერთადერთი გმირი გურამი სულ ახალი სახეა თანამედროვე ქართულ პროზაში. გმირის მაძიებელი სული, შეუდრეკელი ნებისყოფა, წინსვლისა და ლტოლვის სურვილი, რწმენისა და მისწრაფების ერთიანობა სრულიად ახლებურად აქვს გაგებული მწერალს ამ ნოველაში.

თამაზ ნატროშვილის ნოველების ახალგაზრდა გმირები უაღრესად კეთილშობილნი, მორალურად სუფთა, უმწიკვლო, უანგარო არიან. მათი გარემოც მშვიდი და კეთილია; ერთმანეთის სიყვარულით ხუნთქავენ, ადამიანური ცხოვრებით ცხოვრობენ.

თბილისელი ახალგაზრდა როინი („სიმაღლე“) ხევსურ მამუკას დაუძმობილდა. ასევე დაუძმობილდნენ ხევსურებს მისი ამხანაგებიც. საინტერესო ურთიერთობა დამყარდა ქალაქელ და ხევსურ ახალგაზრდებს შორის. მამუკა სისხლის აღებაზე ფიქრობს (ძმა მოუკლავთ მისი), ხოლო როინი — მის დაშოშმინებაზე. ნოველაში, რა თქმა უნდა, ყველაფერი არ არის ახსნილი, მაგრამ მისახვედრია, რომ როინი თავისი დაძმობილებით ხელს აალებინებს მამუკას სისხლის აღების მავნე ტრადიციაზე. როინი ხევსურთა სასურველი სტუმარია.

ნ. წულეისკირის „ჩემი ცაუ“ სიმღერაა დაძმის სიყვარულზე. შესაშურია ამ ნოველის გმირის, ბატას სულის სიფაქიზე საკუთარი დის მიმართ. ასევე ფაქიზი სულის პატრონია მისი საყვარელი და ცაუ. ამ ორი სულით წმინდა ადამიანს წინ ეღობება ყოვლად ბინძური პიროვნება ჯაგა. მაგრამ რა აღმაფრთოვანებელია ბატას მიერ ჯაგას, როგორც ფიზიკურად ისე მორალურად „განადგურება“. „შემოდგომის თბილი საღამოა. ბატას ჩაუვლია თავის დისთვის ხელი და რუსთაველზე გამოსულა. მკერდგაშლილი ბატა მიაბიჯებს რუსთაველზე და გულში თავისი ანგელოზი დით ამაყობს“ („ჩემი ცაუ“, წიგნიდან: ნ. წულეისკირი, „შეჩვევა“, თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1967 წ.). და განა მარტო ბატა, მკითხველიც ამაყობს ბატათი და ცაუთი, მწერალი ერთხელ კიდევ ხაზს უსვამს ბატას კარგ კაცობას: „რუსთაველზე ბატაც დადის, რუსთაველი ბატასაც ეკუთვნის, მიაქვს თავისი გოლიათური მხრები, მიაბიჯებს ამაყი, მკერდგადაშლილი, ზვიადი და ანგელოზივით და ესახელება“ (იქვე, გვ. 187).

რ. ჭეიშვილის ნოველათა თემატიკაში განსაკუთრებით გამახვილებულია ყურადღება მოლიტერატურო-მოპოეტო ახალგაზრდებისადმი, რომელთაც რაიმე სასარგებლო ღირებულების შექმნა არ ძალუძთ ლიტერატურაში, გრძნობენ ან ვერ გრძნობენ ამ უსუსურობას და, წყალწაღებულისა არ იყოს, ხავსს რომ ეკიდება, მაინც არ ეშვებიან მას. ასეთი ახალგაზრდობა, თავისი ფუჭი ოცნებით, უნაყოფო ხეხილივითაა მსხმოიარე ბაღში და ხელს უშლის სხვას („ლიტერატორი“, „ნოველა სალუდეში“, „მეოთხე პალატა“ და „მოგონილი ამბავი“). ეს ახალგაზრდები დაბნეული, თავის თავში დარწმუნებული ახალგაზრდები არიან. მათი ცხოვრების დასასრული ტრაგიკულია.

დ. ჯავახიშვილის ნოველების თემაც ჩვენი თანამედროვე ახალგაზრდობის ცხოვრებაა, მათი იმედი და სწრაფვა, მათი შეხედულებები სიცოცხლესა და მორალზე, ბუნების მშვენიერებაზე და ადამიანისა და ბუნების ურთიერთობაზე.

კრიტიკის განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია დ. ჯავახიშვილის ნოველამ „ზღვა“. მასში აშკარად იგრძნობა მწერლის ჰუმანიზმი, რაც ეყრდნობა პრინციპს — „ადამიანი ადამიანისადმი სიყვარულითაა ძლიერი და არა სიძულვილით“ (გ. გვერდწითელი). მწერალს აწუხებს ფაქტი, რომ ადამიანები ხშირად ვერ უგებენ ერთმანეთს. ასეთი გაუგებრობის მსხვერპლიც კი ხდება ზოგჯერ ადამიანი. ამ ნოველის გმირი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერი მაზეზლარობის და გაუგებრობის შედეგად დაილუპა.

მ. ელიოზიშვილი კიცხავს უსაქმურ ახალგაზრდებს, რომელთაც შრომის ფასი არ იციან. ანდალუზა („იპოდრომი") ჯანლონით სავსე ახალგაზრდაა, მაგრამ დროს უქმად კარგავს. მწერალს ასეთი ახალგაზრდა დაცინვის ღირსად მიაჩნია.

რ. მიშველაძის აზრით, ყველაფერი ის, რაც ახალი და უცხოა ჩვენს თვალში, მავნე როდია, თუ იგი გადაჭარბებული და საზღვარს გამცდარი არ არის. ჩვენი ახალგაზრდობის ერთი ნაწილი, მართალია, აყოლილია მოდას და ეს აყოლა ზოგჯერ მავნეა, მაგრამ დიდი და საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი ახალგაზრდებისა ჯანსაღი და ძლიერია. ნოველაში „ბებერი" მწერალი ამ საკითხზე მსჯელობს.

მწერალმა კარგად მიაგნო ისეთ ფაქტსაც, როცა ახალგაზრდა თავისი გარეგნული სილამაზის წყალობით, ზოგჯერ პოპულარული ხდება, რასაც, სამწუხაროდ ხელს უწყობს ხელოვნების დარგის ზოგიერთი მუშაკი. სწორედ მათი წყალობით გახდა პოპულარული უსაქმური ადამიანი კოტე მარდალეიშვილი. თუმცა კოტეს პოპულარობას სამარცხვინოდ მოელო ბოლო („პოპულარული").

მიშველაძის აზრით დაუმსახურებელი სახელის მაძიებელი ახალგაზრდა ბოლოს დამარცხებული რჩება („ქორეოგრაფი"). მწერალი სასტიკად კენწლავს შვილზე „მზრუნველ უპრინციპო მამას („ექიმი").

დღეს როცა ჩვენს ახალგაზრდობას თუ ადვილად არა, მაგრამ მაინც მიუწვდება ხელი უცხოეთში სამოგზაუროდ, როცა მისი ცოდნის ჰორიზონტი და შთაბეჭდილების არე საკმაოდ ვრცელია და უსწრაფესად მაღლდება მისი სულიერი მოთხოვნილების დონე, არ შეიძლება შრომისა და ფიქრის მისწრაფებისა და რწმენის ეს გზა ყველგან და ყოველთვის უჩრდილო იყოს. იმ გიგანტური აღმშენებლობის ეპოქაში, როცა ადამიანის გონება ათასი საზრუნავითაა დაძაბული ჩვენი დიადი სამშობლოს კეთილი სამსხურისათვის, ახალგაზრდობის ფორმირება, სკოლასთან და ოჯახთან ერთად, ევალება ქართულ მხატვრულ ლიტერატურასაც, კერძოდ კი პროზას, მაგრამ ჯერ მაინც არ არის საკმარისი ახალგაზრდობის პრობლემებზე შექმნილი პროდუქცია.

---

> „...ახალგაზრდობის კავშირმა და საზოგადოდ მთელმა ახალგაზრდობამ, რომელსაც სურს გადავიდეს კომუნიზმზე, უნდა ისწავლოს კომუნიზმი".
>
> **ლენინი.**
>
> (თხზ., ტ. 31, გვ. 339).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვახტანგ პაიკიძე

# „ხიდი წყალზე გადასასვლელი საშუალებაა“

დისერტაცია სამეცნიერო ხარისხს იძლევა. სამეცნიერო ხარისხი აიოლებს უხეირო წიგნების ბეჭდვას. ამ წიგნებს ხალხი კითხულობს, კითხულობენ ხარისხის მაძიებელნიც და... ამის დაწერას რა უნდაო, გაიფიქრებენ, თვითონაც ჩაუჯდებიან, დაწერენ რაღაცას, ცოტას მიდგებ-მოდგებიან და მზად არის დისერტაციაც და წიგნიც. ერთ ასეთ წიგნზე უნდა ჩამოვაგდოთ სიტყვა.

მეო, — ამბობს რაფიელ შამელაშვილი — „წიგნზე „ვეფხისტყაოსნის ენის საკითხები“ თითქმის ათი წელი ვმუშაობდიო“. „რადგან ვიცოდიო, — განაგრძობს იგი, — რომ ადამიანის ყველაზე სასარგებლო, ყველაზე გულწრფელი, ყველაზე უანგარო და ერთგული მეგობარი და დამრიგებელი კარგი წიგნია, ამიტომ ყოველნაირად ვცდილობდი, ნაშრომში რაც შეიძლება ნაკლები შეცდომა და უზუსტობა გაპარულიყო. ამ მიზნით (ე. ი. რომ ნაკლები შეცდომა გაპარულიყო — ვ. პ.) ხელნაწერი წაიკითხეს სპეციალისტებმა.... მათი შენიშვნები დიდად დამეხმარა“ და ასე შეიქმნა „ჩემი ახალი სათვალავით მეათე წიგნი“, რომელიც ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის არისო განკუთვნილი („გვესაუბრება წიგნის ავტორი“; „წიგნის სამყარო“, 25. V. 1977).

თვითრეკლამის პირობაზე ამ „საუბარს“ არა უშავს. მაგრამ როგორია თვითონ წიგნი, რომელსაც ათ წელიწადს წერდა ავტორი და მეთერთმეტე წელს ათიოდე კაცს მიუღია მონაწილეობა მის „საბოლოო დახვეწა-სრულყოფაში“? რომ ის სარეკლამო „საუბარი“ არა, ხმას არ ამოვიღებდი — საცა ცხრა, იქაც მეათე-მეთქი, ვიფიქრებდი. მაგრამ როცა ავტორი ასე გულდაგულ სთავაზობს თავის ნაშრომს „ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებს“ (თანაც სპეციალისტების დამოწმებით), გაჩუმება აღარ შეიძლება.

რ. შამელაშვილის „ვეფხისტყაოსნის ენის საკითხები“ სტუდენტებს სარგებლობას ვერ მოუტანს, პირიქით, შეცდომაში შეიყვანს მათ. იმის მიუხედავად, რომ ავტორი ცდილობდა, „რაც შეიძლება ნაკლები შეცდომა და უზუსტობა ვაპარულიყო“ წიგნში, იგი სავსეა კურიოზული შეცდომებით (უზუსტობაზე აღარას ვამბობ), არაფრისმთქმელი მსჯელობებით.

წიგნი ასე იწყება:

„ვეფხისტყაოსანი“ ძველი საქართველოს თავისებური ენციკლოპედიაა. მასში სხვა საკითხებთან ერთად საკმაო ადგილი აქვს დათმობილი მეტყველების კულტურასაც“ (რ. შამელაშვილი, „ვეფხისტყაოსნის“ ენის საკითხები“ 1977, გვ. 4). „ვეფხისტყაოსანზე“ ასე წერა პოემისა და მისი ავტორის, რბილად რომ ვთქვათ, უპატივცემლობაა.

ჯერ ვნახოთ, როგორ ესმის რ. შამელაშვილს „ვეფხისტყაოსანი“ და მასთან დაკავშირებული საკითხები. იგი წერს:

„ყურადღება უნდა გავამახვილოთ ერთ მომენტზე: „ვეფხისტყაოსნის“ მოქმედი პირები (ავთანდილი, ტარიელი, თინათინი, ნესტანი, ფარსადანი, როსტევანი, ფატმანი, ფრიდონი, შერმადინი და სხვ.) ერთმანეთს სახელით არ მიმართავენ (გარდა ერთი შემთხვევისა). საკუთარი სახელის ნაცვლად მოქმედი პირები ერთიმეორეს სხვადასხვა ეპითეტებით ელაპარაკებიან: მეფეო, ხელმწიფეო, მაღალო, ლომო, გმირო, მარჩენალო, მოწყალეო და სხვ. ეს არის ურთიერთმიმართვის წესი, რომელიც გაბატონებულია „ვეფხისტყაოსნის“ საზოგადოებაში. როგორც სპეციალურ ლიტერატურაშიც შენიშნულია, მხოლოდ ერთადერთი (ერთადერთს

„მხოლოდ“ რაღად უნდა? — ვ. პ.) შემთხვევაა გამონაკლისი. ავთანდილი გულანშაროდან ფრიდონს სწერს: „ფრიდონ მაღალო, სვე-სრულო მეფეთ-მეფეო“ (1318,1).“ (გვ. 13).

ვთქვათ, ეს დაისწავლა ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტმა, რომელსაც თავის წიგნს სთავაზობს ავტორი. ახლა ამას დავუმატოთ ის, რომ ავტორი თურმე „მოკრძალებულად ამბობს“, რომ მისი წიგნი „დახმარებას გაუწევს ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებს“. მაგრამ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ სარეცენზიო წიგნი არა მარტო სტუდენტებს, არამედ მკითხველთა ფართო წრესა და სპეციალისტებსაც გამოადგება“ (ნ. აფხაზავა, „საყურადღებო ნაშრომი“; „წიგნის სამყარო,“ 10. VIII. 1977). კიდევ მეტი: წიგნი „დახმარებას გაუწევს იმათაც, ვინც დამოუკიდებლად სწავლობს „ვეფხისტყაოსნის“ ენის საკითხებს“, რადგანაც „პოემის ენის შესახებ პოპულარულ ნაშრომთა შორის ეს წიგნი ერთ-ერთი საუკეთესოა“ (ა. ბოტკოველი, „ვეფხისტყაოსნის“ ენის საკითხები“, „თბილისი“, 11. V. 1977).

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ მე მაინც იმ სტუდენტზე ვფიქრობ, რომელმაც რ. შამელაშვილის წიგნი წაიკითხა და ხვალ გამოცდა უნდა ჩააბაროს. რა მოუვა მას? უთუოდ „ორიანს“ („ერთიანი“ არ იწერება!) მიიღებს „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის, შინაარსის უცოდინარობისათვის. პოემის მოქმედი პირები ერთმანეთს სახელით არ მიმართავენ, მხოლოდ ერთი გამონაკლისი გვაქვსო, ამბობს რ. შამელაშვილი და იმოწმებს სპეციალურ ლიტერატურას. თუ მართლა ასე წერია „სპეციალურ ლიტერატურაში“ (რ. შამელაშვილის წიგნის გარდა), ეს იმას მიგვანიშნებს, რა მდგომარეობაში ყოფილა „სპეციალური ლიტერატურა“ (მეცნიერება). „ვეფხისტყაოსანში“ კი ასეთი მდგომარეობაა:

1. „ავთანდილ გასცა პასუხი, სიტყვები ლამაზებია:
„ᲚᲝᲛᲝ ᲓᲐ ᲒᲛᲘᲠᲝ ᲢᲐᲠᲘᲔᲚ, ვის თავი გინაზებია.“

(აქაც და ქვემოთაც ხაზს მე ვუსვამ — ვ. პ.).

2. ავთანდილ თქვა: „ᲡᲝᲒᲠᲐᲢ, ვკითხოთ, გვითხრას რადმცა შეგვეცილა.“

3. „უბრძანა: „აჰა, ᲨᲔᲠᲛᲐᲓᲘᲜ, ამად მე შენგან მრცხვენიან...“

ამასაც ავთანდილი ამბობს.

4. „ყმამან უთხრა: „ᲓᲐᲝ ᲐᲡᲛᲐᲗ, ხიდნი ზღვასა ჩაგვიცვივდეს.“

ეს ყმა ტარიელია.

5. „ᲐᲡᲛᲐᲗ, მოწამე ყოვლისა ხარ ჩემი, ფერმიხდილისა.“

ამასაც ტარიელი ეუბნება ასმათს.

6. „ებრძანა: „ᲨᲕᲘᲚᲝ ᲢᲐᲠᲘᲔᲚ, ნუ ხარ შავითა ღებული.“

ეს მეფე ფარსადანის ნათქვამია.

7. „მოახსენე, ᲐᲡᲛᲐᲗ, დაჯდეს, ამირბარსა“ — ნესტანი ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲗ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲕᲡ თავის დობილს.

8. „შევსთვალე: „ᲠᲐᲛᲐᲖ ᲛᲔᲤᲔᲝ, ვცან შენი დანაპირები.“

რამაზი ხატაეთის მეფის ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲐ.

9. „შვილო ᲢᲐᲠᲘᲔᲚ, ვით გითხრათ, ვით გვიხარიან?!“ — ინდოეთის მეფე-დედოფალი ეუბნებიან ამირბარს.

10. „ᲤᲐᲢᲛᲐᲜ, — მითხრეს, — ბრძანებაა ღმრთისა სწორთა.“

ასე მიმართავენ ფატმანს ზღვათა მეფის მსახურები.

11. „ჰე, ᲤᲐᲢᲛᲐᲜ, ვიცი ეს საქმე შენია“

„მოდი და, ᲤᲐᲢᲛᲐᲜ, მეწიე, ვეცადნეთ მათსა რგებასა.“

ამას ავთანდილი ეუბნება ფატმან ხათუნს.

12. „ჰე, ᲐᲡᲛᲐᲗᲝ, მოგვივიდა მოწყალება ღმრთისა ზენით“, —

„შემოჰყივლეს“ ტარიელმა და ავთანდილმა ასმათს.

13. „ავთანდილ უთხრა: „ჰე, ᲤᲠᲘᲓᲝᲜ, მოყვასნი ვერ გიჩივიან.“

ასეა „ვეფხისტყაოსანში“, რ. შამელაშვილი კი გვარწმუნებს, პოემის მოქმედი პირები „ერთმანეთს სახელით არ მიმართავენ,“ „ერთადერთი შემთხვევაა გამონაკლისიო“. რანაირად შეისწავლა მან „ვეფხისტყაოსნის“ ენა, როცა პოემა არ წაუკითხავს (ან ვერ გაუგია)? ის „ერთადერთი გამონაკლისი“ ერთ-ერთი თავის დასაწყისი სტრიქონია და ვიფიქრე, ალბათ, მარტო თავების დასაწყისი წაუკითხავს-მეთქი. მაგრამ არც ეს ვარაუდი გამოდგა მართალი: „ავთანდილ უთხრა: „ჰე, ფრიდონ, მოყვასნი ვერ გიჩივიან“ ასევე პირველი სტრიქონია თავისა — „თათბირი ავთანდილისა“. თავების დასაწყისი რომ წაეკითხა, ორ „გამონაკლისს“ მაინც დაუშვებდა. მაშ, რანაირად ახერხებს რ. შამელაშვილი პოემის ენის შესახებ მსჯელობას, ხომ იმოწმებს და „აანალიზებს“ სიტყვებს, გამოთქმებს, სტრიქონებს, სტროფებს? — იკითხავს გაოცებული კაცი. რანაირად ახერხებს და... მაგრამ ამაზე ქვემოთ მოგახსენებთ. ჯერჯერობით კი ისევ გავსინჯოთ, როგორ იცის მან „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტი.

„კოკასა შიგან რაცა დგას, იგივე წარმოსდინდების,“ — ამბობს ავთანდილი. რ. შამელაშვილი ასეთ კომენტარს იძლევა:

„აქ „კოკის“ ქვეშ გონება, აზროვნება, განათლება იგულისხმება. სწორედ ამიტომ (!) გონების, აზროვნების განვითარება თავისთავად ენის განვითარებასაც გულისხმობს“ — (გვ. 4). ამას კომენტარი აღარ ჭირდება.

„ავთანდილი მიმართავს სხვადასხვა მეთოდსა და ხერხს, რათა ცნობაზე მოიყვანოს დაბნედილი ტარიელი. იგი ხან ემუდარება, ევედრება ევგობარს, ხან არწმუნებს, ხანაც ემუქრება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველივე ამას კი მეტყველებით, ენით. ტკბილი ქართულით აკეთებს.“ (გვ. 5).

დაბნედილი გულწასულს, გონდაკარგულს ნიშნავს. ტარიელი ერთხელ მაშინ „და-ცაბნდა“, როცა ნესტანის ნაჩუქარი სამხრე მოიგონა. იგი ასმათმა **მოასულიერა წყლის დასხმით**. მეორედ ავთანდილმა იპოვა დაბნედილი ტარიელი, რომელსაც ლომ-ვეფხვი დაეხოცა, ნესტანთან წაჩხუბება გახსენებოდა და გული წასვლოდა. გულწასულს „წყაროხაებრ თვალთაგან ცრემლი სდის გაფიცხებული“. ავთანდილმა სახელი დაუძახა („სახელდებით უყივის“), მაგრამ „ველარ ასმინა“; მაშინ ცხენიდან ჩამოხტა, სახელოთი ცრემლი მოხწმინდა, რამდენჯერმე სახელი დაუძახა, კიდევ „ცრემლნი მოხწმინდა თვალთაგან“ და „მოაცნობილა“. ავთანდილი ბრძენი კაცია და იცის, რომ მუდარით, ვედრებით, დარწმუნებით თუ მუქარით გულწასულს ვერ მოასულიერებ. ეგეც არ იყოს, თუ კაცი ვინმეს ემუქრება, მაინცდამაინც „ტკბილი ქართულით“ მეტყველება არ გამოუვა.

მესამედაც წაუვიდა გული ტარიელს. ეს მაშინ მოხდა, როცა ავთანდილი აჩქარდა, ნესტანის წერილი და რიდე უცბად აჩვენა ტარიელს. ავთანდილმა მოასულიერა („ცნობაზე მოიყვანა“) იგი, მაგრამ არა მუდარით და მუქარით, არამედ იმით, რომ „მკერდსა დაასხა მას ლომსა სისხლი ლომისა“ (წყალი ვერ იპოვა ახლომახლო, მაგრამ მუქარა და ხვეწნა მაინც ვერ მოიგონა).

„პოეტი ტკბილ ენას და ტკბილ საუბარს „ტკბილ ქართულს“ უწოდებს. **ამის დამადასტურებელი** მრავალი მაგალითია პოემაში“, — წერს რ. შამელაშვილი (გვ. 7) და მოაქვს მაგალითები: „ეუბნა ტკბილითა საუბნარითა,“ „ლაღმან სიტყვითა ტკბილითა“, „ტკბილი სიტყვითა გავმართოთ“, „ენა ტკბილად მოუბარი“, „ტკბილად იტყვის, არ გამწყრალი“. როგორ ადასტურებს ეს მაგალითები, რომ რუსთაველი „ტკბილ ენას და ტკბილ საუბარს „ტკბილ ქართულს“ უწოდებს“?!

„ტარიელმა ნესტანის დავალებით მოკლა **ხვარაზმშა მეფის** შვილი“ (გვ. 11).

„ხვარაზმშა მეფე“ უაზრობაა. ხვარაზმშა ნიშნავს ხვარაზმის შაჰს (ეს მოწაფეებმაც იციან, მერვეკლასელებმა მაინც). „ხვარაზმშა მეფე“, მაშასადამე, ნიშნავს **ხვარაზმის შაჰის მეფეს!**

„ამ სტროფში „**სიკვდილისა**“ და „**სოფლით გაღმა გაებიჯა**“ შინაარსეულად ერთსა და იმავეს ნიშნავს“ (გვ. 14). „სიკვდილისა“ საერთოდ ნიშნავს რამეს?!

საოცარ რამეს წერს რ. შამელაშვილი „ვეფხისტყაოსანში“ **ზმის** თაობაზე. „ლიტერატურული ტერმინებიდან „ვეფხისტყაოსანში“ გვხვდება: ამბავი, ალმაფრენა, გმირი, ზმა...“ (გვ. 5?). თავი დავანებოთ იმას, იხმარება თუ არა „ვეფხისტყაოსანში“ ამბავი, ალმაფრენა, გმირი ლიტერატურულ ტერმინებად (ასეთ ტაეპებში: „გიამბო ჩემი ამბავი, განა რაზომცა ძნელია“, „ჩემი ამბავი ამბავთა მაგათგან უკეთესია“, „შავი ცხენი სადავითა ჰყვა ლომსა და ვითა გმირსა“, „ერთსა მცავს ერთი სამეფო ბევრჯერ ათასი გმირები“) ანდა საერთოდ არის თუ არა ალმაფრენა ლიტერატურული ტერმინი. უფრო საოცარია ზმა. ცოტა გრძელი ციტატა უნდა ამოვწეროთ:

„ვეფხისტყაოსანში“ გვხვდება, როგორც ლიტერატურული ტერმინი, ზმა: „გახსოვს, ოდეს „ჰაჲ-ჰაჲ-ს“ ჰზმიდი, ცრემლნი შენნი ველთა ჰბანდეს“ (529,1).

ზმა წარმოშობით ქართული ტერმინია. იგი წარმოადგენს წინადადებაში სიტყვას, რომელიც შედგენილია ერთი სიტყვის ბოლო მარცვლისა და მომდევნო სიტყვის პირველი მარცვლისაგან. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ზმას ეძახიან გალექსილ თქმაში შერჩეულ ორ ისეთ მოსაზღვრე სიტყვას, რომელთა ნაწილების შეერთებით მიიღება ახალი სიტყვა; ამ სახის ლექსები მიღებული იყო ძველ საქართველოში სახუმაროდ, დროს სატარებლად, როგორც სახე მოსწრებული და მახვილი გამოთქმისა. ხშირად ზმებს საზოგადოებაში იდეური ბრძოლის იარაღადაც იყენებდნენ, ზმა იმპროვიზაციური მეტყველების სახე იყო და ითქმოდა ექსპრომტად. სიტყვა „**ზმას**“, **როგორც ჩანს, შ. რუსთაველის ეპოქაშიც ის მნიშვნელობა ჰქონდა, რაც დღეს აქვს.** ამას გვაფიქრებინებს „ვეფხისტყაოსნის“ ორი ტაეპი:

„ავთანდილ სჭვრეტს გაკვირვებით მათსა ეგრე **ქცევა-ზმასა**“ (224,4).

„ჭვრეტა ახელებს მჭვრეტელთა, ყოფა-ქცევისა და ზმისა“ (1518,3)“.

ზუსტად ასე წერია რ. შამელაშვილის წიგნის 56-57-ე გვერდებზე. ეს ვრცელი ამონაწერი გვჭირდება ორი მიზნით: მკითხველს ვაჩვენოთ, როგორ ესმის ციტირებული ფრაზის ავტორს „ვეფხისტყაოსანი“ და როგორ წერს იგი წიგნებს.

არავითარი კავშირი ზმასთან, როგორც ლიტერატურულ ტერმინთან, „ვეფხისტყაოსნის“ ციტირებულ სამ ტაეპს არა აქვს. პირველ მაგალითში ნესტანი ეუბნება ტარიელს: აღარ გახსოვს, ჩემი სიყვარულის გამო „ჰაის“ რომ იძახდი, წუხდი და ოხრავდიო? ზმა აქ ქმნას ნიშნავს. მეორე ტაეპის აზრი ასეთია: უცხო მოყმე და ქალი თმას იგლეჯენ, „იზახდიან, მოსთქმიდიან“; ავთანდილი შორიდან უყურებს ამას, არ იცის მათი სატკივარი და გაკვირვებულია ამ ადამიანების **საქციელით, მოქმედებით, „ქცევა-ზმით“**. ამასვე ნიშნავს ზმა მესამე ტაე-

---

ვახტანგ პაიკიძე

„ხიდი წყალზე გადასასვლელი საშუალებაა“

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პშიც: როსტევანი და ტარიელი პირველად შეხვდნენ ერთმანეთს, დასხდნენ, „ტარიელს პირსა ციმციმი ათქს“ (ნათელი ადგას სახეზე, ლამაზია იგი და მხიარული) და მჭვრეტელნი მოხიბლულნი არიან მისი ყოფა-ქცევით, საქციელით, თავდაჭერილობით. და ეს მარტივი, სრულიად ნათელი აზრი კალამბურად აქცია რ. შამელაშვილმა.

ახლა ზმის განმარტების თაობაზე, 1975 წელს რ. შამელაშვილმა გამოსცა წიგნი „ენათმეცნიერულ ტერმინთა მოკლე ლექსიკონი“. იმ წიგნში ზმაც არის შეტანილი (მაშასადამე, მაშინ იგი ენათმეცნიერული ტერმინი ყოფილა!) და მისი განმარტება სიტყვა-სიტყვით, ასო-ასო გადმოწერილია ანდრო ჭილაიას წიგნიდან — „ლიტერატურისმცოდნეობის ძირითადი ცნებები“ (1971 წ., გვ. 156). ლექსიკონის წყაროებში შემდგენელი ასახელებს კიდეც ამ ნაშრომს. შემდეგ ლექსიკონიდან თავის ახალ წიგნში გადმოწერა ზმის, ახლა როგორც ლიტერატურული ტერმინის, განმარტება და საბოლოოდ გაითავისა.

მომდევნო, 58-ე, გვერდზე რ. შამელაშვილი წერს:

„შ. **რუსთაველის გაგებით**, შაირი თექვსმეტმარცვლოვანი ლექსია. მართალია, **არსებობს ათ და ოცმარცვლოვანი შაირიც**, მაგრამ შ. რუსთაველი უპირატესობას ანიჭებს სწორედ თექვსმეტმარცვლოვანს.“ შეიძლება, არც დაიჯეროს კაცმა, რომ ეს წერია 1977 წელს დაბეჭდილ წიგნში. მაშინ გავიმეორებ: გადაშალეთ რ. შამელაშვილის „ვეფხისტყაოსნის“ ენის საკითხები“ 58-ე გვერდზე და წაიკითხეთ ქვემოდან მეორე აბზაცი. ზუსტად ასეა!

„შ. რუსთაველის გაგებითო“, ალბათ, იმიტომ ამბობს, რ. შამელაშვილი, რომ თვითონ სხვა „გაგება“ აქვს: „ათ და ოცმარცვლოვანი შაირიც არსებობსო“. 1977 წლამდე შაირად ითვლებოდა რვა და თექვსმეტმარცვლიანი ლექსი.

ახლა მე მაინც ფილოლოგიის ფაკულტეტის იმ სტუდენტზე ვფიქრობ, რომელმაც გამოცდა უნდა ჩააბაროს ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიაში, რუსთველოლოგიაში, ლიტერატურის თეორიაში. თუ ამ შერკინებაში მან რ. შამელაშვილს დაუჭირა მხარი, სამივე საგანში „ორიანს“ მიიღებს. აბა, რა ქნას მან? რა ქნას და გამომცდელს უთხრას, რომ ოცმარცვლიანი ლექსი არის შავთელური, ჩახრუხაული, ძაგნაკორული, ფისტიკაური და არამც და არამც არ არის შაირი! ნამდვილად ასე აჯობებს.

„შ. რუსთაველი სიტყვას „გაყრა“ სწორედ იურიდიული მნიშვნელობით ხმარობს:

„მათთავე სახელ, რომელსა ესენი დაუბადიან,

იგივე **გაჰყრის**, სიშორე არა თუ ნებით სწადიან.“

„აღარ შეგყარნა, **გაგყარნა**, თვალნი ცრემლისა დადენით.“

„მას თუ **გამყრი**, საწუთროო, ჩემი ლხინი გარდასრულა.“ —

წერს რ. შამელაშვილი (გვ. 63).

რა შუაშია იურიდიული მნიშვნელობა?! „გაყრას“ იურიდიული მნიშვნელობა მხოლოდ მაშინ აქვს, როცა ოჯახის წევრთა გაცალკევებასა და ქონების გაყოფას გულისხმობს. „ვეფხისტყაოსანში“ ასეთ გაყრაზე ლაპარაკობს, მაგალითად, ფრიდონი, ტარიელს რომ უამბობს: „მამის ძმა და მამაჩემი პაპაჩემმან **გაყვნა** ოდეს“, ერთს ეს არგუნა და მეორეს ესო. აი, ეს „გაყვნა“ არის იურიდიული მნიშვნელობის მქონე, ზემოთ ციტირებული „გაჰყრის“, „გაგყარნა“ და „გამყრი“ კი განშორებას ნიშნავს და მეტს არაფერს. პირველ მაგალითში ლაპარაკია ნესტანისა და თინათინის განშორებაზე: ღმერთმა დააშორა ისინი ერთმანეთს, თუმცა თვითონ განშორება არ უნდოდათო. მეორე მაგალითი: ავთანდილი ეუბნება ტარიელს, ღმერთი როგორ იზამს იმას, რომ თქვენ (შენ და ნესტანი) საბოლოოდ ერთმანეთს დაგაშოროსო. მესამე: ავთანდილი ტარიელს ეძებს და საწუთროს შესჩივის, თუ მას არ შემახვედრებ (დამაშორებ), ჩემი ლხინიც გათავებულიაო. გაყრა და შეყრა უთვალავჯერ იხმარება „ვეფხისტყაოსანში“ და განშორებას და შეხვედრას ნიშნავს, რ. შამელაშვილი კი იურიდიულ ტერმინებად მიიჩნევს ამ სიტყვებს. ის კი არა, მას იურიდიულ ტერმინად მიუჩნევია **ბიძა** (გვ. 62), **მეძავი** (გვ. 66). გაუგებარია, რატომაა იურიდიული ტერმინი მაინცდამაინც ბიძა და არა მამა, მამიდა, ძმა, და, დედა, პაპა და მისთანანი.

„პოემის დასათაურება შ. რუსთაველს არ ეკუთვნისო“, — აცხადებს რ. შამელაშვილი (გვ. 68). საიდან დაადგინა მან ეს?

„ვეფხისტყაოსანში“ მეტროლოგიის ტერმინებიც გვხვდება. შ. რუსთაველი ამ ტერმინებს პირდაპირი მნიშვნელობით ხმარობს; თუმცა გამორიცხული არ არის მათი გადატანითი გაგებით გამოყენებაც.

ჩვენ გავაანალიზებთ ისეთ ტერმინებს როგორიცაა: გობი, დრაჰკანი, ეჯი, თითი, კვერცხი, კოკა, ლიტრა, მილი, ფარჩი, ჯამი“, — წერს რ. შამელაშვილი (გვ. 95) და იწყება ახალი საოცრება. გობის შესახებ ავტორი წერს:

„გობი ქართულში ზომის ერთეულად იყო მიღებული. „ვეფხისტყაოსანში“ ვკითხულობთ: „თვალ-მარგალიტი ლარიბი უძლვნა ოქროსა გობითა“ (1384,4). ჩვენ მოკლებული ვართ შესაძლებლობას დაბეჯითებით ვთქვათ, შ. რუსთაველი ხმარობს თუ არა ამ ტერმინს მეტროლოგიის გაგებით“ (გვ. 95).

რატომ „ვართ მოკლებული შესაძლებლობას“? განა აშკარად არ ჩანს, რომ „გობი“ მეტროლოგიური ტერმინი არ არის?! (პოემაში ეს სიტყვა მხოლოდ ერთხელ იხმარება).

ეროვნული ბიბლიოთეკა

არც „თითი“, „მილი“, „ჯამი“ და „კვერცხი“ იხმარება „ვეფხისტყაოსანში“ მეტროლოგიის ტერმინებად („ბეჭდითურთ თითი მოჰკვეთა“, „ამა თითი და ბეჭედი“, „თითითა ეხვეწებოდა“, „ამას ზედა იტირებდი, დაიდებდი თვალთა მილსა“, „დადენა ცრემლთა მილისა“, „ჯამი და ჰიქა ყველაი“, „ოქროსა ჯამითა“, „ცხრა მარგალიტი, სიდიდით მართ ვითა კვერცხი ბატისა“, „კვლა მარგალიტი ათასი, მართ ვითა კვერცხი ტრედისა“. სად ბატისა და სად მტრედის კვერცხის ზომა!). ამას თითქოს რ. შამელაშვილიც გრძნობს, მაგრამ მაინც მსჯელობს მათზე, როგორც მეტროლოგიის ტერმინებზე. რისთვის მსჯელობს? იმისთვის, რომ გვაუწყოს, რაც იცის ამ სიტყვების შესახებ: „თითი ადამიანის ხელის (ფეხის არა? — ვ. პ.) თითოეული ხუთი ბოლო ნაწილის ერთ-ერთი შემადგენელთაგანია“ (სხვათა შორის, ამ უაზრობას რ. შამელაშვილი „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონს“ მიაწერს), „სარფში (ლაზეთი) მილა მეტსახელია კაცისა, ხოლო მილადა ქალსაც ჰქვია“ აღმოსავლეთ საქართველოშიო, „ჯამი ხის საინია, მათლაფა, ხის პაწია თეფში შეჭამანდისათვის“ და სხვა მისთანანი (გვ. 97, 99, 100).

ზემოთ ჩვენ ვნახეთ, რომ, რ. შამელაშვილის აზრით, პოემაში „კოკის ქვეშ გონება, აზროვნება, განათლება იგულისხმება“. მაგრამ მეტროლოგიის ტერმინების ძებნა რომ დაიწყო, ავტორმა კოკა ზომის ერთეულად გამოაცხადა (გვ. 98). კოკაც ერთხელ იხმარება „ვეფხისტყაოსანში“ (ეს რ. შამელაშვილმაც იცის) და, თურმე, მასში იგულისხმება „გონება, განათლება, აზროვნება“ (გვ. 4) და „შეიძლება იგულისხმებოდეს წყლის საზიდი თიხის ჭურჭელიც და ღვინის საწყაოც“ (გვ. 98).

109-ე გვერდზე რ. შამელაშვილი მსჯელობს ქვისა და ძვირფასი ქვის შესახებ. იგი წერს:

„ვეფხისტყაოსანში“ ერთ ადგილას ვკითხულობთ: „ასმათ ვანი გაამრავლნა, ცრემლმან მისმან ქვანი ხვრიტნა“ (502,2) ისმის კითხვა: შეიძლება ცრემლმა ქვა გახვრიტოს?... შეიძლება, ნამდვილად შეიძლება!“.

შეიძლება, მართლა დაისვას ასეთი კითხვა პოემის ციტირებული სტრიქონის გამო? თურმე შეიძლება. და ამასაც მეცნიერება ჰქვია!

რ. შამელაშვილი წერს: „ვეფხისტყაოსანში“ **ამირბარად მხოლოდ ტარიელი იხსენიება** (გვ. 129).

შოთა რუსთაველი კი წერს:

„ერთი სამეფო საკარგვად, უბოძა ამირბარობა“. მბოძებელი არის მეფე ფარსადანი, ხოლო ვისაც მან ამირბარობა უბოძა, იგი **ტარიელის მამა** სარიდანი გახლავთ.

„თქვა: „ჩემებრი ამირბარი, ნაძლევი ვარ, ვისმცა ჰყავსა“. ეს თქვა ფარსადანმა, ის ამირბარი კი, რომლის მსგავსი არავის ჰყავს, არის **ტარიელის მამა** სარიდანი.

„ვაჰ, კრულია დღემცა იგი, მე მივეცა ამირბარსა“. ამას ტარიელი ამბობს. მაინც რას ამბობს იგი? რას ამბობს და, ის დღე დაიქცეს, როცა მე **მამაჩემს, ამირბარ სარიდანს** გავუჩნდიო (არა, „მამაჩემი“ და „სარიდანი“ არ არის ნახსენები, მაგრამ მგონი სადავო არ უნდა იყოს, რომ ტარიელი მამამისმა გააჩინა, **მამამისს, ამირბარს** „მიეცა“). ასე იცის რ. შამელაშვილმა შ. რუსთველის პოემის ტექსტი, მაგრამ იგი მაინც წერს წიგნს „ვეფხისტყაოსნის“ ენის შესახებ.

ამის თაობაზე მსჯელობა გაგვიგრძელდა, მაგრამ ერთი მაგალითი კიდევ უნდა მოვიტანოთ. რ. შამელაშვილი წერს:

„ვეფხისტყაოსანში“ **ხშირად გვხვდება ზოგადპედაგოგიური შინაარსის ტერმინები**: ყმაწვილი, უწვრთნელი, მასწავლებელი, მოსწავლე, **გაკვეთილი**“... (გვ. 59).

თავი დავანებოთ იმას, რომ ჩამოთვლილი სიტყვების უმრავლესობა პოემაში ხშირად არ იხმარება. ყველაზე საოცარია „გაკვეთილის“ ამბავი. ეს სიტყვა ერთხელ იხმარება „ვეფხისტყაოსანში“. ტარიელი ამბობს: დავერიე ხატაელებს, „კაცს შუბი ვჰკარ, ცხენი დავეც“, შუბა რომ გამიტყდა, ხმალს მოვკიდე ხელი და

„ცხენსა კაცი გაკვეთილი მანდიკურად გარდავჰკიდი.“

სრულიად ნათელი აზრია: კაცი შუაზე გავჭერი (გავკვეთე) და ცხენზე ხურჯინივით გადავკიდეო. ახლა მითხარით, თუ ღმერთი გწამთ, აქ კაცი „ზოგადპედაგოგიურ ტერმინს“ გაკვეთილს (урок-ს) თუ ამოიკითხავს?!

კი მაგრამ, — იკითხავს გაოცებული მკითხველი, — თუ რ. შამელაშვილმა „ვეფხისტყაოსნის“ შინაარსი ბუნდოვნად იცის, როგორ იკვლევს იგი თხზულების ენას, როგორ წერს წიგნს პოემის ენის შესახებ?

პირდაპირ უნდა განვაცხადოთ: რ. შამელაშვილი „ვეფხისტყაოსნის“ ენას კი არ იკვლევს, არამედ პოემას იყენებს იმისათვის, რომ თავისი მეცნიერობა დაგვიმტკიცოს, გვიჩვენოს, თუ რა აქვს წაკითხული, ვინ რას ამბობს ამა თუ იმ საკითხზე, გადმოგვცეს ელემენტარული ცნობები ენათმეცნიერებიდან, ლიტერატურათმცოდნეობიდან, ფოლკლორიდან, ისტორიიდან... და ყველაფერ ამას უმეტეს შემთხვევაში კავშირი არა აქვს „ვეფხისტყაოსანთან“.

ავტორი პირველი ციტატის მოტანისას სქოლიოში მიუთითებს: „შოთა რუსთველი, ვეფხისტყაოსანი, ტექსტი ძირითადი ვარიანტებით, კომენტარებითა და ლექსიკონითურთ ორ ტომად, ა. შანიძისა და ა. ბარამიძის რედაქციით, ტ. 1, ტექსტი და ვარიანტები, თბ.,

1966. შემდგომ დამოწმება ყველგან ამ გამოცემიდანაა“ (გვ. 4). მაშ ასე, რ. შამელაშვილი „ვეფხისტყაოსნის“ ენას იკვლევს ამ გამოცემის მიხედვით. ახლა ვნახოთ, რას წერს იგი თავის წიგნში:

„ეს სიტყვა (ამირბარი) პოემაში 14-ჯერ გვხვდება“ (გვ. 129). ხსენებულ გამოცემაში „ამირბარი“ ნახსენებია არა 14-ჯერ, არამედ 11-ჯერ. რაშია საქმე? როგორ დათვალა რ. შამელაშვილმა თერთმეტი თოთხმეტად?

საქმე ის გახლავთ, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ენის ჩვენი მკვლევარი პოემას რიდი კითხულობს! მას ხელში უჭირავს აკაკი შანიძის ხელმძღვანელობით შედგენილი და გამოცემული „ვეფხისტყაოსნის სიმფონია“, რომელიც დაიბეჭდა 1956 წელს. სიმფონია შედგენილია პოემის 1951 წლის გამოცემის მიხედვით. ეს გამოცემა უფრო ვრცელია, ვიდრე 1966 წლისა და მასში ამირბარი მართლაც თოთხმეტჯერაა ნახსენები. რ. შამელაშვილმა „სიმფონიაში“ ერთად თავმოყრილი ამირბარის ხმარების მაგალითები დათვალა და გვამცნო—თოთხმეტიაო. ასევე დათვალა მან „სიმფონიაში“ ამოწერილი მაგალითები „ალვა“ სიტყვის ხმარებისა და გვამცნო, „პოემაში ეს ტერმინი 35-ჯერ გვხვდებაო“, თუმცა 1966 წლის გამოცემაში (რომელსაც ეყრდნობა რ. შამელაშვილი) იგი 35-ჯერ არ წერია.

ამ გზით იკვლევს ჩვენი ავტორი „ვეფხისტყაოსნის“ ენას.: ნახავს „სიმფონიაში“ რომელიმე სიტყვას, დათვლის რამდენჯერ იხმარება იგი, მიათვლის იმ ფრაზებსაც, რომელიც რუსთაველს არ ეკუთვნის, და შემდეგ მსჯელობს ამ სიტყვებზე.

მთავარი ის არის, როგორ მსჯელობს. აი, მაგალითად, რა უწერია მას „ლომის“ შესახებ:

„ლომი (ოთხფ.) (1 მეფ. 17.24)“ (საბა)“, „ნადირთ მეფე“ (ფსალ. 7,2 და 11,11), лев (ნ. ჩუბინ.); „მოყვითალო ფერის დიდი მტაცებელი ძუძუმწოვარა ცხოველი... ხვადისათვის დამახასიათებელია ხშირი ფაფარი“ (ქეგლ. 4,1572).

ამ სიტყვიდან (ე. ი. სიტყვისგან — ვ. პ.) არის ქართულში ნაწარმოები შემდეგი გვარები: ლომაშვილი, ლომოური, ლომინაძე, ლომაური, ლომიძე, ლომაძე, ლომაია, ლომსაძე (ლომისაძე აღნიშნული აქვს ი. ქერქაძეს); სახელები: ლომკაცი, ლომარი, ლომგულა, ლომერი, ლომი, ლომია, ლომიკა, ლომიკია, ლომილე, ლომინ, ლომისი, ლომიტა, ლომკა, ლომკაცი, ლომნია (მეტსახელი მთიულეთში), ლომჟა, ლომფუზა (მეტსახელი გურჯაანის რ), ლომშერა და სხვ., ხოლო შემოქმედში (მახარაძის რ.) ქალის სახელად გვხვდება ლომინა“ (გვ. 84). აქვს ამას რაიმე კავშირი „ვეფხისტყაოსანთან“?

ახლა ვნახოთ „ხიდი“. ავტორმა ამოწერა პოემიდან ორი სტრიქონი, რომლებშიც ნახსენებია ეს სიტყვა და „ვეფხისტყაოსანთან“ მისი ურთიერთობა ამით დამთავრდა. შემდეგ შამელაშვილი გვმოძღვრავს:

„მოყვანილ მაგალითებში ხიდის მნიშვნელობა იგივეა, რაც ახლა: ნაგებობა მდინარეზე, ხევზე და მისთ. გადასასვლელად; აღსანიშნავია, რომ იმერეთსა და გურიაში ხიდის მაგივრად ამბობენ: ხიდე, ქართულში გვაქვს სიტყვა ხიდისთავი, რაც ხიდის დასაწყისს, ხიდის ყურეს ნიშნავს; გარდა ამისა, ხიდისთავი გვარიცაა (მოვიგონოთ თეიმურაზ ხიდისთავი მრევლიშვილის ნაწარმოებში „ხარატაანთ კერა“). ხიდი წყალზე გადასასვლელი საშუალებაა. იგი გვხვდება უძველეს ქართულ ძეგლებში: „შუშანიკის წამებაში“, „აბო ტფილელის მარტვილობაში“, „ქართლის ცხოვრებაში“. სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ხიდი ქართული სიტყვაა...

აჭარაში ხიდი გვხვდება სათესი ადგილის სახელად (ხიხაძირის სასოფლო საბჭო), ჩაის ეძახიან ხიდისთავს (მახუნცეთის სასოფლო საბჭო), აგრეთვე სათეს ადგილს, საძოვარს და სხვ.

ხიდი შედის ტოპონიმებში: (ჩამოთვლილია— ვ. პ.)... გვაქვს გვარი ხიდაშელი, ხიდეშელი“ (გვ. 114).

რაღა დარჩა, ჩვენმა ავტორმა ყველაფერი იცის ხიდის შესახებ. მაგრამ არა, ერთი მაინც გამორჩენია: ხიდს, თურმე, „ხიდ“ ჰქვია უნგრულად და ამის თაობაზე ლექსი დაწერა გ. ლეონიძემ. აი, ეს რომ მოეგონებინა ავტორს მკითხველისათვის, „ვეფხისტყაოსნის“ ენის კვლევის საქმეს დიდად წასწევდა წინ, თორემ „თეიმურაზ ხიდისთავი მოვიგონოთ მრევლიშვილის ნაწარმოებშიო“, რომ წერს, უკმარობის გრძნობა გვრჩება. მით უფრო, რომ ვერაფრით ვერ მოვიგონეთ ასეთი პერსონაჟი მიხეილ მრევლიშვილის „ხარატაანთ კერაში“ (საეჭვოა, რომ გვარი ხიდისთავი საერთოდ არსებობდეს), სამაგიეროდ გაგვახსენდა მიხეილ ჯავახიშვილის თეიმურაზ ხევისთავი „ჯაყოს ხიზნებიდან“. რ. შამელაშვილმა, ეტყობა, აურია ეს ორი თხზულება ერთმანეთში, ხევისთავი ხიდისთავად გაახსენდა, რადგან მას ხიდი („წყალზე გადასასვლელი საშუალება“) სჭირდებოდა და არა ხევი. მწერლების არევა კი დიდ ცოდვად არ ჩაეთვლება, რადგან ორივეს მიხეილი ჰქვია!

ისე კი, სჯობდა, სულ არ ეხსენებია „ხარატაანთ კერა“ და „გვარი“ ხიდისთავი, რადგან არც სჭირდებოდა. არც ახსენებდა, „ვეფხისტყაოსანი“ რომ კარგად იცოდეს: ბრძენი შოთა ხომ ამბობს, რატომ გააკეთე ეს, „თავსა რად უგდე ჭირიო?“

ასე „განიხილავს“ რ. შამელაშვილი სხვა სიტყვებსაც. „გავაანალიზოთ კიდევ რამდენიმე ტერმინიო,“ ამბობს იგი და „აანალიზებს“:

„ვირს სამეგრელოში გირინი ჰქვია, ჭანურად კი გურუნი, სვანურად — წელ“ (გვ. 78); „საბას

ეროვნული

განმარტებით, „ჯორი კერძოვირი...“ ქართულში არის ხატოვანი თქმა „ჯორზე შეჯდა“, რაც ნიშნავს ახირებას, დაჟინებას... ჯორი უძლებს შიმშილსა და ხედნას, მომთმენია, მეტად ღონიერი... იგი ცხენსა და ვირზე მეტ ხანს სძლებს — 40 წლამდე. შთამომავლობის გაჩენის უნარს მოკლებულია. ქართულ-მეგრულ-ჭანურში ჯორი დასტურდება... ჯორ საერთო ფუძეა ქართულსა, ჭანურსა და მეგრულში... საგულისხმოა, რომ ქართულში გვაქვს სახელი ჯორზაქარა (გავიხსენოთ ს. მგალობლიშვილის მოთხრობა), შესაძლებელია, გვარი ჯორჯიაშვილიც იყენებდეს ჯორ ფუძეს“ (გვ. 79); „ძაღლ-ს ქართველურ ენებში შეესატყვისება: ქართ. ძაღლ-, ზანჯოღორ-, სვან. ჟეღ-... ძირეულია აქ ღ“ (გვ. 78). შემდეგ ავტორი ლაპარაკობს ცხვარზე, ავაზაზე, ასპიტზე, აქლემსა და სხვა ცხოველებზე, რამდენიმე გვერდის შემდეგ მოაგონდება ძაღლ სიტყვისგან ნაწარმოები სიტყვები და აგრძელებს: „ძაღლ-ფუძის აგებულება, მისი აქტიურობა ძველ ქართულში და შესატყვისები მეგრულ-ჭანურსა და სვანურში სპეციალურ ლიტერატურაში კარგადაა გაანალიზებული და შესწავლილი. ჩვენ სხვა ასპექტით შევეხებით მას: ძაღლ-ფორმისაგან არის ნაწარმოები ვაჟის საკუთარი სახელები: ძაღლია (ფშავი), ძაღლიკა (ხევსურეთი)...“ და ა. შ. (გვ. 84-85).

„წიგნ“ სიტყვასთან დაკავშირებით რ. შამელაშვილი წერს:

ეს სიტყვა ძველ მწერლობაში ხშირად იხმარებათ და ეს „ქართული დამწერლობის (!!! — ვ. პ.) სიმდიდრეზეც მიგვანიშნებს და ქართული ენის კულტურის სიძველეზეც მიგვითითებს... შეგვიძლია დავასახელოთ „წიგნნი ძუელისა ალთქმისანი“. ამასთან ერთად გასათვალისწინებელია ბიბლიური წიგნების სათაურებიც“ (გვ. 36-37).

რაკი ბიბლია ახსენა, იქვე მიაყოლა მისი განმარტებაც: „ბიბლია ებრაული და ქრისტიანული რელიგიების საღვთო წერილების წიგნების კრებულს ეწოდება“. აბა როგორ, ხომ უნდა ვიცოდეთ, რა არის ბიბლია!

მკითხველის წრთვნა ბიბლიის საკითხებში ამით არ მთავრდება. ქვემოთ ავტორი გვაუწყებს, რომ სიტყვა წიგნი „საკმაოდ ხშირად გვხვდება ვლადიმერ ბენეშევიჩის მიერ გამოცემულ სახარებაში, ოთხთავსა და ძველი ქართულის სხვა ძეგლებში“ (გვ. 38). ძვირფასი ცნობაა, მაგრამ ახირებული კაცი მაინც შეიძლება დაეჭვდეს: სახარება წმინდა წიგნია და ნუთუ სხვა გამომცემლები იმდენად გაკადნიერდნენ, რომ ეს სიტყვა შეცვალეს ან გამოტოვეს?! დაეჭვება კანონიერია, მით უფრო, რომ ამას ამბობს კაცი, ვისაც სახარება და ოთხთავი სხვადასხვა წიგნები ჰგონია. დავუჯეროთ?

მაგრამ როგორ დავუჯეროთ რ. შამელაშვილს, რომელსაც თვითონვე არ სჯერა თავისი ნათქვამი. მაგალითად, 41-ე გვერდზე იგი წერს: „მე-9, მე-10 საუკუნიდან მოყოლებული სიტყვა სოფელი კარგავს თავის ძველ მნიშვნელობას და დავიწროებულად იხმარებათ,“ მაგრამ იმავე გვერდზე, 9 სტრიქონის შემდეგ, ამბობს: „თავისი თავდაპირველი მნიშვნელობა ამ სიტყვამ მე-19 საუკუნის 30-40-იან წლებამდე შეინარჩუნა“. მე-9 და მე-19 საუკუნეებს შორის განსხვავება ათასი წელიწადია.

ამისთანა სალაღო ამბები ბევრია სარეცენზიო წიგნში. კიდევ რამდენიმე მაგალითს დავუმატებთ:

„რა თქმა უნდა, ქართულში გვაქვს მონგოლური წარმოშობის სიტყვები; ჩვენ სახელდახელოდ რამდენიმეს დავასახელებთ: ელჩი, იასაული, (მართალია, თურქულიდან შემოვიდა ჩვენს ენაში, მაგრამ ქართულში დამკვიდრდა სწორედ მონგოლთა ბატონობის ხანაში), მანდატური (ეს უკანასკნელი ლათინური წარმოშობის ტერმინია“ (გვ. 45). ბევრჯერ წავიკითხე ეს ფრაზა, თვალი ხომ არ მატყუებსმეთქი? არა და არა! სწორედ ასე წერია 45-ე გვერდზე. 46-ე გვერდზე კი აი, რას ვკითხულობთ: „ქართულიდან უნდა იყოს შესული ინდო-ევროპულ ენებში სემიდალი; ქართულიდან შევიდა რუსულში სიტყვები: აფხაზეთი, აჭარა, ამერი, ჯავახეთი, იბერია, ქართლი, კახეთი, კოლხეთი, ლაზები, ლეჩხუმი, მესხი, სვანეთი, თუშეთი, ხევი, ალადასტური, ალექსანდროული, მწვანე, რქაწითელი, უსახელოური, ჩხავერი, ახმეტა, მაჭარი, გოზინაყი, საწნახელი, დევი, გელათი, ურმული, ხევისბერი და სხვ.“

ეს მართალია, მაგრამ „ვეფხისტყაოსნის“ ენის შესწავლა რომ დამთავრებულად ჩაითვალოს, ამ სიას უნდა დაემატოს: ცოლიკაური, ხაჭაპური, მაწონი, ხინკალი, სამტრედია, ფოთი (რუსულად ითქმის „პოტი“), სალხინო, ტიბაანი, საცივი, ქინძი, რერო, წერეთელი და კიდევ რამდენიმე ათასი სიტყვა. ეს შესაძლებელიცაა, რადგან „ქართულ ენაში ასეულ ათასობით სიტყვა გვაქვს“ და „ყველა მათგანი გარკვეული მნიშვნელობის მატარებელია“ (გვ. 55).

დავუბრუნდეთ ტერმინების ანალიზს. ავიღოთ, მაგალითად, ღვინო.

ღვინო „ვეფხისტყაოსანში“ ორჯერ გვხვდებათ, გვამცნობს რ. შამელაშვილი, მოაქვს სათანადო ტაეპები პოემიდან და დასძენს: „ღვინო ფუძეზე ა-ს დართვით ვღებულობთ ღვინ-ა-ს, სადაც ა გამოყენებულია მსგავსების აღსანიშნავად. ღვინია—ღვინის ფერი; აქედან ცნობილია: ღვინია — ხარის სახელია“. სამწუხაროდ, არ არის ნახსენები „ღვინიას გადაიჩეხა“, მაგრამ სამაგიეროდ ნათქვამია: „ცნობილ პედაგოგსა და

---

ვახტანგ ბაიკიძე
„ხიდი წყალზე გადასასვლელი
საშუალებაა“

საზოგადო მოღვაწეს **ა. ჭარაიას მოცემული** აქვს „ღვინის“ ეტიმოლოგია და მისი ევროპულ ენებში გავრცელებულობა“ (გვ. 71). შემდეგ ისიც არის აღნიშნული, რომ „ღვინო-საგან არის ნაწარმოები ქართული გვარები“ (და ჩამოთვლილია გვარები). მკითხველმა არ უნდა იფიქროს, რომ ავტორმა ღვინის შესახებ სხვა არაფერი იცის. როგორ არ იცის! იცის, მაგალითად, რომ „ოქტომბრის თვის ძველი ქართული ხალხური სახელწოდება იყო ღვინობისთვე“, იცის, რომ „სულხან-საბა ორბელიანი თავის ლექსიკონში იძლევა ღვინის ტექნოლოგიის მრავალ ტერმინს“, ისიც იცის, რა ჰქვია ღვინოს ქართულად (ღვინო), მეგრულად, ჭანურად, სვანურად და იცის, რომ „გ. დეეტერსი და ბოპი ამ სიტყვის ფუძეს თვლიან ინდოევროპული ენებიდან ნასესხებად“ (გვ. 72).

ნახევარი გვერდი უკავია წიგნში ვარდისაგან ნაწარმოები სიტყვების ჩამოთვლას; არც ის გამორჩენია ავტორს, რომ „თეიმურაზ 1-ს აქვს ნაწარმოები სათაურით „ვარდბულბულიანი“ (გვ. 74) და რომ „რუსთაველის პოეტური ენისათვის საერთოდ დამახასიათებელია მეტაფორული მეტყველება; კიდევ მეტი: პოემის სტილი ერთგვარად მეტაფორულია“ (გვ. 75).

„ვეფხისტყაოსანში“ იხმარება სიტყვა „ალმასი“. ამ ფაქტმა ავტორს ასეთი მსჯელობისაკენ უბიძგა:

„ალმასა კახეთში ქალის სახელია, ალმაზი რაჭაში (ნიკორწმინდა) — ვაჟის სახელი, გვხვდება აგრეთვე ალმასხან (სამტრედიის რ.)“ (გვ. 101). ხედავთ, როგორ დაზუსტებულია ყველაფერი? ისიც კი დაადგინა ავტორმა, რომ ალმაზი ნიკორწმინდაში ცხოვრობს, ალმასხანი კი სამტრედიის რაიონში (სოფელი ან ცნობილი არ არის, ან რამდენიმე ალმასხანია, სხვადასხვა სოფლებში ცხოვრობენ და ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა).

რუსთაველი ბროლსაც ახსენებს. ამიტომ „შეიძლება არ იყოს ზედმეტი მოვიგონოთ, რომ ლ. ქიაჩელს „ტარიელ გოლუაში“ აღწერილი აქვს მდინარე ბროლიას სანაპირო და მიდამოებიო“, — შენიშნავს ავტორი (გვ. 103), ნამდვილად ზედმეტია! მაგრამ ამას ვერ გრძნობს რ. შამელაშვილი.

„სიტყვაში ქვითკირი მომხდარია ასიმილაცია (უნდა გვქონდეს ქვიტკირი)“, — წერს რ. შამელაშვილი (გვ. 111). პირიქით, ქვითკირი უნდა გვქონდეს და გვაქვს ქვიტკირი.

„ა. შანიძის აზრით, ნახლი წარმოშობით არც სპარსულია, არც არაბული, არც ბერძნული, არც სომხური, არც ოსური,“ — გვაუწყებს რ. შამელაშვილი (გვ. 115), სამი სტრიქონის შემდეგ კი წერს: „ნახალი, ა. შანიძის ვარაუდით, იგივეა, რაც სპარსული ნაჰალი“ (გვ. 116). მაშასადამე, სპარსული არ არის, მაგრამ „იგივეა რაც სპარსულიო“. ვფიქრობ, მკითხველს ვაცნობო: არა, აკაკი შანიძე ამას არ ამბობს!

უბრალოდ, რ. შამელაშვილმა ვერ გაიგო და დაამახინჯა აკადემიკოსის აზრი.

ასევე უცერემონიოდ ეპყრობა ავტორი ივ. ჯავახიშვილსაც. იგი წერს:

„ლაშქარი წარმოშობით სპარსულია და ქართულად ჯარს, საომარს, სამხედრო ძალას ნიშნავს. „ჯარად“ ესმის ეს სიტყვა ივ ჯავახიშვილსაც“ (გვ. 123). ე. ი. რ. შამელაშვილის აზრით, ლაშქარი ჯარს ნიშნავს და ამ აზრისაა ივანე ჯავახიშვილიც.

კიდევ რამდენიმე მოკლე ფრაზას ამოვწერ უკომენტაროდ და დავამთავრებ.

„კაპარჭიდან ნაწარმოებია კაპარჭინა, რომელიც გურიაში თევზია (121).

„ამჟამად ქართულში ციხისთავი გვარადაც იხმარება“ (112).

„კახეთში (!) ლახტაობა ბავშვთა თამაშობაა ქამრებით“ (124).

„რაზმიდან არის ნაწარმოები... გვარი რაზმაძე“ (126).

„ქარქაშიდან არის ნაწარმოები გვარი ქარქაშაძე“ (132).

„ქართულში გვხვდება გვარი ქაფიანიძე“ და იმოწმებს: „ძველი საქართველო,“ წიგნი III, გვ. 268. ბუჭუკა ქაფიანიძე“ (იქვე).

„ბურთისაგან არის ნაწარმოები... გვარი ბურთიკაშვილი“ (135).

„ჩვენ მიერ დამოწმებულ ტაეპში („ვეფხისტყაოსნის“ ტაეპში — ვ. პ.) სროლა ცეცხლმსროლელი იარაღის დაცლას კი არ ნიშნავს, არამედ ისრის ტყორცნას. ეს ნათლად ჩანს კონტექსტიდან“ (137).

ვითომ „ვეფხისტყაოსნის“ რომელიმე კონტექსტში სროლა ნიშნავს „ცეცხლმსროლელი იარაღის დაცლას“?!

„პოემაში სულ რაღაც ექვსიოდე შემთხვევაა მისი (-ძი ნაწილაკის — ვ. პ.) ხმარებისა. ისინი გაბნეულია სხვადასხვა თავში“ (147). სამაგიეროდ „სიმფონიაშია“ თავმოყრილი; დავთვალე და სწორედ ექვსია.

„ყველაზე მეტადაა ამ მიზნით გამოყენებული მცა (ცა) ნაწილაკი, რომელიც მოითხოვს თხრობითკილოიან ფორმას“ (151).

ცა ნაწილაკი — მცა ნაწილაკის ვარიანტი არ არის. იგი სულ სხვაა და არც „თხრობითკილოიან ფორმას“ მოითხოვს.

„სიტყვათა შემოკლებით აღწევს შ. რუსთაველი ფრაზის მოქნილობას... იცავს გრძელი სიტყვის მოკლედ თქმის რაინისეულ კანონს“ (158). „სიტყვათა შემოკლებაში“ ნაგულისხმევია როსტან (როსტევანის ნაცვლად), ტარია (ტარიელი), ჩინს (ჩინეთს), ქვე (ქვევით), ზე (ზევით) და მისთანანი. თურმე, ამას გულისხმობდა რუსთაველი, როცა ამბობდა „გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმისო“.

„ქართულში გვაქვს გვარი ლეკვეიშვილი“ (77).

„ქართულში გვაქვს გვარი ავაზაშვილი“ (81).

„ქართულში გვაქვს გვარი გველესიანი“ (82).

„ჩვენში გვხვდება გვარი ბუაძე“ (89).

„კაკაბიდან არის ნაწარმოები გვარი კაკაბაძე“ (90).

კმარა! ასეთი ბანალური ფრაზებით არის სავსე სარეცენზიო წიგნი. მთელი გვერდები უკავია მსჯელობას ელემენტარულ საკითხებზე, რომლებსაც „ვეფხისტყაოსანთან“ არცა აქვს კავშირი. ვთქვათ, ავტორმა დაწერა სათაური „სიტყვათწარმოების ზოგიერთი საკითხი“ (გვ. 48). ამას მოსდევს ორგვერდიანი თხრობა იმის თაობაზე, თუ რა არის სიტყვათწარმოება, რა ადგილი უკავია მას ლინგვისტიკაში („ჯერჯერობით გარკვეული არ არისო“), ვინ რას ამბობს ამ საკითხზე, როგორ იცვლება სიტყვა ფორმისა და შინაარსის მიხედვით, ნათქვამია, რომ „ენის სიტყვათა მარაგი განუწყვეტლივ ვითარდება“, რომ „წარმოქმნილ სიტყვას აქვს ფუძე“, რომ „ქართულში სახელთა წარმომქმნელი 58 აფიქსია“, რომ „მაწარმოებელი შეიძლება იყოს: პრეფიქსი, სუფიქსი, ან ორივე ერთად — პრეფიქს-სუფიქსი“, რომ „წარმოქმნილ სახელებში გამოიყოფა ჯგუფები“ (ჩამოთვლილია), რომ „სიტყვათა წარმოქმნას მალიან დიდი ხნის ისტორია აქვს...“ მოკლედ რომ ვთქვათ, გადმოცემულია სასკოლო გრამატიკა. გზადაგზა იმასაც გვამცნობს ავტორი, თუ რა მოსაზრება გამოთქვა „მისმა“ სტუდენტმა „დავარ“ სახელის თაობაზე (გვ. 11).

„ერთმა ჩემმა სტუდენტმა... ცხინვალის პედინსტიტუტში გრამატიკული გარჩევისას (ასე წერს საერთოდ ჩვენი ავტორი — ვ. პ.) დავარის შესახებ აღნიშნა: ეს სიტყვა ასე დაიშლება: დავარ, ე. ი. და ვარ (მეფისა). ეს მართლაც ასეა პოემის მიხედვითო“, — დასძენს სტუდენტის ნათქვამს მასწავლებელი, თუმცა სიტყვის მისეულ ეტიმოლოგიას არ ეთანხმება. არ არის წიგნში ჩასაწერი ამბავი?!

ასეთი წიგნებია, სახელის თუ სახრავის მოყვარულთ რომ აფიქრებინებს, ამისთანას ხომ მეც დავწერო. და წერენ, წერენ... მერე აქებენ ერთმანეთს, აგროვებენ ამ სახოტბო რეცენზიებს და ბეჭდავენ ახალ წიგნებს. დროა, დიდი ხანია დროა, **გზა გადავუღობოთ მაკულატურას მეცნიერებაში!**

---

**„მუშაობის გარეშე, ბრძოლის გარეშე კომუნიზმის შწიგნობრივი ცოდნა კომუნისტური ბროშურებიდან და ნაწერებიდან სრულებით არაფრად არა ღირს“...**

**ლენინი.**

(თხზ., ტ. 31, გვ. 341).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# გახსენება

იოსებ მეგრელიძე

## დაუვიწყარი შალვა ნუცუბიძე

უაღრესად კოლორიტული პიროვნება იყო ფილოსოფოსი, ფილოლოგი, ქართული კლასიკური პოეზიის საუკეთესო ძეგლების მთარგმნელი, ქართული უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი და მისი პირველი პროფესორთაგანი, ჩვენი მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, სახელგანთქმული მჭევრმეტყველი და ქართველი პატრიოტი შალვა ისაკის ძე ნუცუბიძე (1888-XII. 14 — 1969. I. 6).

კამათში წარმოთქმულ მის მოხდენილ სიტყვებზე ადრევე მსმენოდა. პირადად იგი 1927 წელს გავიცანი და შემდეგ ვხვდებოდი მას ჩვენს უნივერსტეტში, საზოგადოებრივ შეკრებულებებსა და ზოგ ოჯახშიც.

საშუალოზე მომაღლო, ბეჭებგანიერი, სახენათელი და მოწაბლისფერო თმიანი გახლდათ შ. ნუცუბიძე, რომელსაც საოცრად შთამაგონებელი გამოხედვა ჰქონდა. უყვარდა აუჩქარებელი სიარული ხელში თავმოხრილი მსხვილი ჯოხით. გვერდით მიმავლებს თითქოს არც კი ამჩნევდა. ლექციის კითხვის თუ სიტყვის საჯაროდ გამოსვლისას ბეჭებგაშლილი იდგა და უფრო ხშირად რომელიმე წერტილს მიაჩერდებოდა ხოლმე შორს. მხოლოდ ზოგჯერ თუ გადაჰკრავდა თვალს აუდიტორიას, მაგრამ თუ ვინმეს უშუალოდ ეკამათებოდა, მას მხედველობის არედან არ უშვებდა; ისე ჩააცივდებოდა, რომ მოწინააღმდეგეს შიშის ზარს ჰგვრიდა, იმისი ემოციების მიხედვითაც ჩაურთავდა ხოლმე სიტყვებს მსჯელობაში...

ეტყოდნენ: ბატონო შალვა, მაგ როკისოდენა „ტროსტს“ რატომ ატარებთო! უპასუხებდა: ჯოხი კი არა, „ბერდენკა“ უნდა მეჭიროს ხელში, ადამიანებშიც იმდენი მგელი მხვდებაო.

ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტი რომ გავხდი, შალვა ნუცუბიძემ ლექცია დასავლეთ ევროპის ლიტერატურით დაგვიწყო. მისგან კი ფილოსოფიის კურსს ველოდით.

ჩემთვისა და, ალბათ, ჩემი თანაკურსელებისთვისაც, დაუვიწყარია შალვა ნუცუბიძის პირველი ლექცია. შემობრძანდა პროფესორი, პორტფელი კათედრაზე დადო, გადმოგვხედა, ჩვენ დავწყნარდით, ის კი მიაცქერდა ჭერს ქვეშ კედელს, ხელები წინ წამოსწია და იფეთქა მჭევრმეტყველებამ. საამისოდ მას ჩინებული ხმა და ყველა სხვა მონაცემიც ჰქონდა, ორატორობა იყო მისი სტიქია.

ლექციას ევროპის ლიტერატურის განვითარების მიმოხილვითი ხასიათი ჰქონდა და კონკრეტული იყო. საერთოდ, შინაარსიანი გახლდათ შ. ნუცუბიძის ლექციები და გამოსვლები, თუმცა გვახსოვს შემთხვევებიც, იგი ბრწყინვალედ ლაპარაკობდა, მაგრამ ზოგადად, არაკონკრეტულად, შინაარსის გაგება და ჩაწერაც ჭირდა.

დაიწყო დონჟუანების ისტორია. პროფესორი აღვივებდა ჩვენს ახალგაზრდულ ვნებებს; ზოგჯერ სიცილითაც გვხოცავდა, თვითონ კი არ იღიმებოდა!

ერთ-ერთი ლექციის შუაში გვითხრა: ვატყობ, მოგწონთ ჩემინაამბობი; დეპერიეს ნოველებზეც გეტყვით, „დეკამერონითა“ და „ოქროს ვირით“ არ ამოიწურება ევროპის სატრფიალო გატაცებაო.

იცოდა სიტყვათა გათამაშებაც: გემრიელი და გემბრიელი, თხლიშა და სთხლიშა და ა. შ. გემბრიელს მეტი გემო ახლავს, სთხლიშა

უფრო ეფექტურია, ვიდრე თხლიშა! ამიტომ, პრეფიქსების ხმარებაში შანიძის წესებს ვარლვევ ზოგჯერო...

ერთი სტუდენტი ატყდა და ხელს უშლიდა პროფესორს. შალვამ მისკენ გაიშვირა ხელი, ჩვენი მერხებისაკენ შემობრუნდა და მე მომმართა: ლინგვისტო, (იცოდა, ამ განყოფილებაზეც ვსწავლობდი) ლათინურად ვირო კაცს ნიშნავს, ქართულად კი ერთი ცხოველისადმი მიმართვითი სიტყვაა; ვირობა განყენებული ცნებაა. ზოგი აქაც ჩემობს ამასაო და ისევ დამნაშავეს მიაცქერდა...

1929 წელს ბერლინიდან ახალდაბრუნებულმა შ. ნუცუბიძემ ლექცია ასე დაიწყო: იქაური დიდი კაცი გარდაცვლილიყო; აკადემიკოს ლუნაჩარსკის თხოვეს, სიტყვა ეთქვა. მან მე მიმიშვა. ვილაპარაკე კლასიკურ გერმანულზე, გოეთეს ენით. გაოცდნენ. ლუნაჩარსკიმ მადლობა მითხრა: რომ სცოდნოდათ, ფარცხანაყანევიდან მოვდივარ, კიდევ უფრო გაოცდებოდნენო. თუმცა არც მთლად მაგრეა საქმე,— ამ სოფლიდან წასული პეტერბურგში ვცხოვრობდი და გერმანიაშიც ვყოფილვარო.

ოცდაათიანი წლების ლენინგრადსა და მოსკოვში, სადაც მე მაშინ ვცხოვრობდი და ვმუშაობდი, მრავალჯერ მომისმენია ანატოლ ვასილის ძე ლუნაჩარსკის (1875-1933), იოსებ აბგარის ძე ორბელის (1887-1961), ოტია იულის ძე შმიდტისა და სხვების მჭევრმეტყველური გამოსვლები. პირველი ამ მხრივაც განსაკუთრებულ მოწონებას იმსახურებდა. თვითონაც იცოდა თავისი ფასი. მან რომ სიტყვა სხვას დაუთმო და შემდეგ აქო კიდეც, ეს საყურადღებო ფაქტია.

1932 წლის ივლისში ან. ლუნაჩარსკი და მე ერთი ვაგონით მოვდიოდით ლენინგრადიდან თბილისში. იგი ფილიპე მახარაძის სტუმარი იყო. მას გზაში მოვუთხრეთ შ. ნუცუბიძის ნაამბობი. მან იგი დაადასტურა და დაუმატა: ნუცუბიძემ იქ მართლაც ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბაო.

დოკუმენტურია და აქვე აღვნიშნავთ: ლუნაჩარსკის მეუღლე ნ. ა. ლუნაჩარსკაია-როზანელმა, სათაურით „გულის სახსოვარი“, გამოაქვეყნა მოგონებები (მოსკოვი, 1930), რომელშიც ვკითხულობთ: ერთი მოღვაწის დაკრძალვაზე ბერლინში, ანატოლ ვასილის ძემ თავის მაგიერ ერთი თბილისელი ახალგაზრდა ალაპარაკა, მან დიდი შთაბეჭდილება მოახდინაო.

კოსმოპოლიტიზმის წინააღმდეგ ერთ-ერთ კამათში, უნივერსიტეტის კლუბში ყველაზე მეტად კორნელი კეკელიძე გააკრიტიკეს — თურქულ გავლენაზეც კი ლაპარაკობს ქართულ ლიტერატურაშიო...

შალვამაც წარმოთქვა სიტყვა და გაკრიტიკებულს მიმართა: „ბატონო კორნელი, კოსმოპოლიტობას მიტროპოლიტობა არ გერჩივნათ?“... ვინც იცის, რომ კ. კეკელიძე თეოლოგიის მაგისტრი იყო და ამის გახსენება არ უყვარდა, მისთვის ამ მიმართვის აზრიც უფრო გასაგებია.

უნივერსიტეტში რომ ლექციების მაგიერ „კოლექტიური მეთოდით“ სწავლება და საგნების კოლექტიურად ჩაბარება დაიწყეს, შ. ნუცუბიძე კიდევ უფრო მეტ დროს უთმობდა არასალექციო საკითხებზე საუბარს. ერთხელ, სხვათა შორის, დანტეს „ჯოჯოხეთის“ ბორბლებზე ალაპარაკდა.

მე შევნიშნე: ნიკო მარი ბორბლის მაგიერ ხალხურ სიტყვა გოგორას წერს-მეთქი. პროფესორმა მიპასუხა: შენ გოგორა პური გელანდებოდა ალბათ, მარის ნაწერში რომ გოგორას მიაქციე ყურადღებაო. მარი ბლის წვერშია, ბლისა, შენ ძირში ხარ!... რომ ლინგვისტობ გურულ კილოზე (მოხსენება მქონდა იმ დღეებში ამ კილოს შესახებ), მარს ენების შეწავლაშიც მიბაძეთ სტუდენტებმა, და შემდეგ ილაპარაკა, თუ როგორი დიდი შრომით დაძლია მან (შალვამ) რუსული, გერმანული, ფრანგულადაც ვკითხულობო და სხვ. გვირჩია ენაზე სისტემატიური მუშაობა, ერთმანეთში ილაპარაკეთ რუსულად და უცხოურადაცო. ლექციის საკითხზე მხოლოდ შემდეგ გადავიდა.

რესპუბლიკის მთავრობისა და ლენინგრადიდან მოწვეული ნიკო მარის ხელმძღვანელობით, 1930 წლის 6 მაისს დაარსდა „მეცნიერებათა ინსტიტუტი საქართველოში“ (გაზ. „კომუნისტი“, 1930 წ. 8 მაისი, № 105), რომელიც იმავე წლის 8 სექტემბერს „საქართველოს სამეცნიერო აკადემიად“ გადაკეთდა (იხ. „კომუნისტი“, 1930 წ. 18 სექტ., № 128). პირველის ხელმძღვანელი და მეორის პრეზიდენტი გახლდათ ნიკო მარი. მე მაშინ უკვე პირადად ვიცნობდი მას. პეტერბურგის უნივერსიტეტის ყოფილი სტუდენტი შალვა ნუცუბიძე იმავე მარს, რაღა თქმა უნდა, ჩემზე ადრე და ახლოს იცნობდა. ერთ-ერთი თათბირის შემდეგ, რომელსაც ფილიპე მახარაძე, გერმანე მგალობლიშვილი, მაშინდელი განათლების კომისარიატთან არსებული მეცნიერების განყოფილების უფროსი კიტა მეგრელიძე, მარიამ ორახელაშვილი, თენგიზ ჟღენტი, მიხა ცხაკაია და ზოგი სხვებიც ესწრებოდნენ, მარმა მითხრა: ახლა თენგიზ ჟღენტის ოჯახში მივდივართ, შალვა ნუცუბიძე მონახეთ და სთხოვეთ, საღამოს 8 საათზე ჩემთან, ბინაზე მოვიდესო!.. მარის დავალება ვაუწყე შ. ნუცუბიძეს. იქვე ბრძანდებოდა შალვას მეუღლე აგნესა ფილიპოვა. მან სთხოვა ქმარს: ნუ წახვალ, მარის მტრები გადაგეკიდებიანო. შალვა მაინც წავი-

და. მე აღარ შევდიოდი მასთან. შალვამ მთხოვა და შევყევი. უაღრესად კმაყოფილი დაბრუნდა, მითხრა: ნიკო მარი არა მარტო უდიდესი მეცნიერია, არამედ უდიდესი მოქალაქეცააო.

ამის შემდეგ შ. ნუცუბიძე ზემოხსენებული აკადემიის ნამდვილ წევრად აირჩიეს. ჩვენი ცნობილი მეცნიერებიდან ისტორიის სექციაში აკადემიის ნამდვილ წევრად აირჩიეს ივ. ჯავახიშვილი, სიმონ ხუნდაძე და ზოგი სხვაც. ფილოსოფიაში: — მალაქია ტოროშელიძე, შალვა ნუცუბიძე, კიტა მეგრელიძე, დიმიტრი უზნაძე... მატერიალური კულტურისა და ხელოვნების ისტორიის სექციაში — კორნელი კეკელიძე, ალექსანდრე დუდუჩავა და ა. შ.

აკადემიის გახსნის საზეიმო წვეულება სასტუმრო „ორიანტის" რესტორანში გაიმართა. შ. ნუცუბიძე მარიამ ორახელაშვილის გვერდით იჯდა. შალვამ შესანიშნავი სიტყვა თქვა მარის სადღეგრძელოზე. შემდეგ მარიამ ორახელაშვილმა დაიწყო: ამხანაგი ნუცუბიძის სიტყვის შემდეგ რაღა უნდა ვთქვაო. ახლა შალვამ დაიწყო მარიამის სიტყვისა და პიროვნების ქება. მარს იუმორიც ეხერხებოდა საჭირო დროს და ქალს მიმართა: „მარი პლატონოვნა, ამხანაგი მამია (ორახელაშვილი) რას იტყვის, თქვენ აქ რომ ნუცუბიძეს ამკობთო!..

შალვამ დაუყოვნებლივ უპასუხა: ბატონო ნიკო, ორახელაშვილები მიცავენ, თორემ ცალქალამანიძეები შემჭამდნენო...

ამას წინ უსწრებდა საოცარი ამბავი. ივლისის პირველ დეკადაში თბილისში ჩამოვიდა ნიკო მარის ყოფილი მოწაფე, ჰარვარდის (ამერიკა) უნივერსიტეტის პროფესორი რობერტ ბლაიკი. სწორედ ამ დღეებში გაძარცვეს თბილისის უნივერსიტეტის ძველი ქართული ხელოვნების მუზეუმი (იხ. გაზ. „კომუნისტი", 1930 წ. 12 ივლისი, № 162). ბოროტმოქმედთა მიერ გატაცებული ძველი ქართული ხატების მინანქრები და სხვა ნივთები მალე აღმოაჩინეს, მაგრამ ზოგი უძვირფასესი ნივთი დაზიანებული აღმოჩნდა. ნ. მარი ხსენებულ ბანკეტზეც კი ამ საკითხზე ალაპარაკდა. იგი უშეღავათო იყო ასეთ შემთხვევებში ისევე, როგორც ექვთიმე თაყაიშვილი.

მარი მოულოდნელად მიდგა შ. ნუცუბიძეს, — პირადად თქვენ და ჩუბინაშვილი (გიორგი) გერმანიაში ქართული ხელოვნების გამოფენაზე ხახულის ხატის წაღებას რომ აპირებდით, აგრე არ შეიძლებაო. მე მაშინვე მივმართე ამხანაგ მახარაძეს (ფილიპე): აკადემიას მახსნევინებთ და სააკადემიო ნივთებს კი საზღვარგარეთ გზავნით, ეგ დაუშვებელია-მეთქი. კარგი, რომ დამიჯერეს, თორემ ვინ იცის, რა მოხდებოდაო!..

ამის შემდეგ ერთხანს ნაწყენი იყო შალვა მარზე და კიდევ უფრო უკმაყოფილო გახლდათ გიორგი ჩუბინაშვილი, რომელიც თავიდანვე მოითხოვდა, რომ გამოფენაზე უნიკალური ნივთებიც გამოფენილიყო. ორივე კი გრძნობდა, რომ მარი ამჯერადაც გულწრფელი და მართალი იყო.

ზემოხსენებული აკადემია რომ დაარსდა, და მის პირველ შემადგენლობაში გ. ჩუბინაშვილი არ აღმოჩნდა, ამან უსიამოვნო მითქმა-მოთქმა გამოიწვია. მარს უთხრეს ამის შესახებ. მან უპასუხა: მთავრობა არ ადგენს, მე რა უნდა ვქნაო...

1931-1939 წლებში მე ლენინგრადიდან თბილისში ჩამოვდიოდი და შ. ნუცუბიძესაც ვხვდებოდი. სარგის კაკაბაძე, გრიგოლ კალანდარიშვილი და მე მას ბინაზეც ვსტუმრებივართ. ამ დროის ზოგი ფაქტიცაა მოსაგონარი, მაგრამ მათზე აქ ვეღარ შევჩერდები. აღვნიშნავ მხოლოდ ერთს; 1933 წლის დასაწყისიდანვე დიდი მზადება იყო თბილისში, სამეცნიერო ექსპედიციის პალესტინაში გასაგზავნად, რუსთაველის შესახებ იქ არსებული ცნობების მოსაპოვებლად. შალვა ნუცუბიძე ექსპედიციის წევრი უნდა ყოფილიყო. იმ დროს თბილისში ვიყავი, სპეციალურად ვნახე შალვა და ვუთხარი: იქაური ხელნაწერები მარმა აღწერა 1902 წელს; თუ გამოქვეყნებულ ცნობებს გარდა მათში კიდევაა რაიმე ცნობა, მოგაწვდით-მეთქი. შალვამ უიმედობა გამოთქვა: ჩანს, არაფერი გამოვაო. შემდეგ ვუკოლ ბერიძე ჩამოვიდა ნ. მართან ლენინგრადში, ექსპედიცია მიდის პალესტინაში, შალვა ნუცუბიძესთან ერთად მეც გამგზავნონო. (დაწვრილებით იხ. ჩვენი „რუსთველოლოგები", თბ., 1970, გვ. 259). ექსპედიცია მაინც არ შედგა. შემდეგ ჩამოსვლაზეც ვნახე შალვა. ვკითხე, რატომ ვერ წაბრძანდით-მეთქი. პირდაპირ არ მიპასუხა, გადაკვრით თქვა: იერუსალიმში ჩემი მტერი წავიდესო...

1937 წლის დეკემბრის ბოლოს თბილისში რუსთაველის საიუბილეო ზეიმი მიმდინარეობდა. ამ სტრიქონების ავტორი საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის დელეგაციის წევრი იყო; საქმიან პრეზიდიუმში შეიყვანეს და სიტყვაშიც ჩასწერეს. შ. ნუცუბიძეც იყო სიტყვაში ჩაწერილი. მისთვის სიტყვა 26-ში უნდა მიეცათ, მაგრამ 27-სა და 28-შიც კი არ მისცეს! დარბაზში გავიარე. შალვამ შემაჩერა და მითხრა: ამბობენ, სიტყვას არ მაძლევენ, იქნებ გამიგოთ, რაშია საქმეო! ერთ-ერთი სიტყვის წინ, იმ სხდომის თავმჯდომარე სანდრო ეულმა გამოაცხადა: მოემზადება აკადემიის დელეგატი მეგრელიძეო. მე ხმამაღლა დავიძახე: შალვა ნუცუბიძეა ჩემზე ადრე ჩაწერილი, ჯერ იგი გამოვა-მეთქი. სანდრო სახტად დარჩა და შალვაზე შეჩერდა.

შალვამ შესანიშნავი სიტყვა წარმოთქვა. ოვაციების შემდეგ ორატორი ჩემთან მოვიდა

და მითხრა: მე მამაკაცებს არ ვკოცნი, მაგრამ თქვენ უნდა გადაგკოცნოთო და მადლობით ამავსო.

თედო ბეგიაშვილი და მე ვმეგობრობდით. მან წამიყვანა თავის აგარაკზე გლდანში. იქვე მის ცოლისძმას — შ. ნუცუბიძესაც ჰქონდა აგარაკი და მასაც ვეწვიეთ. შალვა ხილითა და არაყით გაგვიმასპინძლდა და გვითხრა: არაყი ამ ეზოს ხილისაა, ჩემი გამოხდილიაო. მაჩვენა ბარი, თოხი, სამეურნეო სხვა იარაღები და დასძინა მე თვითონ ვმუშაობ იმდენს, ერთი დაქირავებული ყაზახი რომ ვერ გამიკეთებსო. ძალიან გატაცებული იყო იმ მეურნეობით...

უნივერსიტეტის პრორექტორად დიდხანს მუშაობდა პროფ. სერგი ჟღენტი. მის განკარგულებაში იყო უნივერსიტეტის დასასვენებელი სახლი ციხისძირში. შ. ნუცუბიძემ მითხრა: თქვენს მეგობარ ჟღენტს, ზღვისპირზე, ჩვენს სახლში გამგედ ვიღაც ლომთათიძე დაუნიშნავს. ამბობენ, კარგი მომსახურებაა, განსაკუთრებით მაშინ, ჟღენტიც რომ იქააო. აგვისტოში ჭირს იქ მოხვედრა და უთხარით ჟღენტს წაგვიყვანოსო. სერგიმ თხოვნა შეასრულა. მატარებლით წავედით. ერთ კუპეში ვიყავით შ. ნუცუბიძე, სერგი ჟღენტი, იასე ცინცაძე და მე. ზესტაფონში შალვამ მითხრა: გავიდეთ კორიდორში, გადავხედოთ იმერეთსო. იგი აღფრთოვანებას გამოთქვამდა: ქუთაის-ვანისა და გეგუთის ფასი ბევრი კუთხე არა გვაქვსო. იმერელი კაცი რომ სალორია-საფიჩხიას გაივლის და ქუთაისს გადახედავს, ავადაც რომ იყოს, მორჩებაო. თანაც იმერულ ყველსა და კეცის მჭადებს აქებდა. დასძინა: ნამდვილად კარგია კახური ღვინო, მაგრამ მე სვირის მირჩევნიაო...

სამტრედიას რომ მივუახლოვდით, მითხრა: დავიძინოთო. მე ვუპასუხე, არა, ბატონო შალვა, ახლა უკეთესად ჩანს არემარე, გურიას გადავხედოთ-მეთქი. ლანჩხუთამდე მოითმინა და დაწვა.

ციხისძირში დიდი ამბით შეგვხვდნენ. ლომთათიძემ გოჭი დაკლა. სანთლის არაყი და კარგი „ადესა" გააჩინა და ცალკე დაგვსვა. სადილზე შალვამ უთხრა სერგის: ამიტომაც ვამჯობინე თქვენთან წამოსვლა, თორემ ფაფას უთქვენოდაც არ მოგვაკლებდნენო...

სანდრო ახმეტელის იუბილეზე რუსთაველის თეატრში შ. ნუცუბიძემ შეუდარებელი სიტყვა წარმოთქვა. სამწუხაროდ, იგი შემოკლებითაა დაწერილი და ასევე გამოქვეყნდა (იხ. კრებ. „სანდრო ახმეტელი", თბ., 1977, გვ. 406-410; რუსულ ენაზე). აქ შალვა ნუცუბიძემ ქართული გვარები ჩამოთვალა რუსულ ყაიდაზე. შენიშნა, მაშინ არ ხდებოდაო ასე და განაგრძო: „ახმეტელი წავიდა პეტერბურგში, დიდ ხანს იყო იქ და ახმეტო-ვად გინდ ახმეტელოვ-ად არ დაბრუნებულა. წავიდა ახმეტელი და დაბრუნდა ახმეტელი.

ამ გამოთქმებზე განსაკუთრებით დიდხანს გრძელდებოდა ოვაციები.

1958 წელს, ერთი ჩემი მეგობრის გამო, უსიამოვნო ლაპარაკი მოხდა ბატონ შალვასა და ჩემ შორის. შემდეგ, მას რომ შევხვდებოდი, ცალყბად მელაპარაკებოდა...

მოსე გოგიბერიძის კრებული „რუსთაველი, პეტრიწი, პრელუდიები" რომ გამომცემლობა „საბჭოთა მწერალს" წარვუდგინე (1960 წ.), დირექტორმა ამ. გაბესკირიამ და მთავარმა რედაქტორმა გრ. ჩიქოვანმა გარეშე რედაქტორები მოითხოვეს და კანდიდატებიც დამისახელეს.

მე შალვა ხიდაშელი დავუსახელე. დედანი მას გადასცეს. მან გულდასმით წაიკითხა იგი და რეცენზიაში აღნიშნა: პეტრიწზე მ. გოგიბერიძის ნაშრომი ადრე იყო გამოცემული და განმეორება აღარაა საჭირო; მით უფრო, რომ ავტორი შალვა ნუცუბიძეს ეხება მწვავედ და ეს შალვას გაალიზიანებსო.

მე არ დავეთანხმე ამაზე. რეცენზენტს გამომცემლობის ხელმძღვანელობაც მიემხრო და საქმე გამწვავდა. მათ ვუპასუხე: მე თვითონ ვთხოვ შალვა ნუცუბიძეს, იყოს რეცენზენტი, მკვდარს არ აუხირდება, მით უფრო, რომ მასზე მწვავე ორი წინადადება ტექსტიდან ამოვიღე-მეთქი...

ვნახე შალვა ნუცუბიძე და ეს ვუამბე. თანაც ვუთხარი, რომ ნურავინ ცდილობს, ზოგი დოკუმენტი გავახმაურო-მეთქი...

შალვამ მიპასუხა: რაკი თქვენ მაგრე გინდათ მოსეს „პეტრიწის" განმეორება, ვეტყვი ხიდაშელს, დაიბეჭდოსო, ოღონდ გამაფრთხილა: ისეთი არაფერი დატოვოთ შიგ, პირადად თქვენ მოგდგეთო.

წიგნი ერთი წლის შემდეგ გამოვიდა; ნუცუბიძეს მაინც ემწვავა შიგ ზოგი ფრაზა, შემხვდა და მითხრა: ბატონო იოსებ, მაინც რას მატებს მეცნიერებას ჩემი აუგად მოხსენიებაო!..

გვიან დაიბეჭდა შ. ნუცუბიძის წერილი, რომელიც „სიბრძნე სიცრუის" სათაურის გაგებას ეხებოდა. ამაზევე ჩემი სპეციალური წერილი შალვას არ დაუსახელებია. შემხვდა შ. ნუცუბიძე და ვუთხარი: ინგლისელი დ. ლანგი მასახელებს ამ საკითხში და თქვენ როგორ გამოგეპარათ-მეთქი! მან მიპასუხა: რამ წაგაკითხათ წერილი ჟურნალში, მონოგრაფიებს აღარავინ კითხულობსო!..

1961 წლის შემოდგომა იყო. შემხვდნენ შალვა ნუცუბიძე, ილია თავაძე და გრიგოლ კალანდარიშვილი. მე შალვას ვუთხარი: გუშინ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩამოველი მოსკოვიდან და აკადემიკოსი იოსებ კონრადი იზიარებს თქვენ თეორიას აღმოსავლური რენესანსის შესახებ. ახალ ნაშრომში გამოგეხმაურებათ-მეთქი... შალვამ გრიგოლს მიმართა: ე, გრიშა, გააგებინე ეს იმ კრეტინებს, აქ რომ მეწინააღმდეგებიან, მსოფლიოში გავიტანე ქართული კულტურის დიდება და შინ მტრობენო!

ერთი დოცენტი სადოქტორო დისერტაციას იცავდა პეტრე იბერიელზე. იგი სასტიკ წინააღმდეგობებს წააწყდა. მე დისერტანტის ნაშრომზე ვრცელი და დადებითი რეცენზია დავბეჭდე („მნათობი“, 1961 წ. № 12). თავი გამოიდო შ. ნუცუბიძემ და ბოლოს და ბოლოს მაძიებელს დისერტაცია დააცვევინა. ამ ბრძოლების დროს შალვა მიუთითებდა ჩემ რეცენზიაზე: ობიექტურმა რეცენზენტმა მოიწონა ნაშრომი, ჩემი მტრები კი სდევნიან ჩემს მოწაფე დისერტანტსაო. შალვამ ამ ბრძოლებში რამდენიმეჯერ მითხრა: მე თქვენზე ნაწყენი ვიყავი, ახლა ყველაფერს ვივიწყებო.

1968 წლის ბოლოს შ. ნუცუბიძე რუსთაველის ძეგლთან შემხვდა. მკითხა: ინსტიტუტიდან მოდიხართ, ალექსანდრე (ბარამიძე) იქ აარ? — კი მეთქი, — ვუპასუხე. მან დასძინა: — გთხოვთ დაბრუნდეთ და მიმყვეთ!

ლიტერატურის ინსტიტუტი ახლოს არის რუსთაველის ძეგლიდან (ლენინის №5); ინსტიტუტის გვერდითვე დგას შალვას სახლიც. დაწესებულების კარებთან შალვამ მომმართა: თქვენ შებრძანდით, მე ეხლავე მოვალო. მე პირდაპირ დირექტორ ალ. ბარამიძის კაბინეტში შევედი. იქვე, გ. ციციშვილი იჯდა. შალვამ მოიტანა „ვეფხისტყაოსნის“ თავისი თარგმანის პირველი გამოცემის (მოსკოვი, 1941 წ.) სასიგნალო ეგზემპლარი; იგი ჩვენი თანდასწრებითვე გადასცა ინსტიტუტის დირექტორს, სეიფში შეინახეთო. იქვე მოგვითხრო იოსებ სტალინთან სათანადო შეხვედრის შესახებ და გვიჩვენა წიგნში ჩასწორებები. მათ შესახებ ალ. ბარამიძემ გამოაქვეყნა სპეციალური წერილი (იხ. მისი „ნარკვევები...“, V, 1975, გვ. 94-100) და სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.

ამის შემდეგ, სულ მალე გახდა შ. ნუცუბიძე ავად, იგი და პროფესორი ვარლამ დონდუა ერთდროულად იწვნენ სამკურნალო კომბინატში — უნივერსიტეტის გვერდით. ვარლამთან ხშირად დავდიოდით აკაკი შანიძე და მე. ზოგჯერ შ. ნუცუბიძესაც ვნახულობდით ან მის ამბავს ვგებულობდით, იქვე მყოფი მისი მეუღლის ქეთევან კლიმიაშვილისაგან ან ასულის — თამარისაგან.

ერთხელ ვარლამთან მივიყვანე უროლოგი ლევან ცისკარიშვილი. თურმე, ლევანი მეთვალყურეობდა შ. ნუცუბიძესაც. ექიმი ორივე ავადმყოფზე უიმედობას გამოთქვამდა. ვარლამის ნახვის შემდეგ ლევანმა შემიყვანა შალვასთან. იგი ძალიან ცუდად იყო... სწორედ ორი დღის წინათ დაკრძალეს შალვას ასული ქეთევანი; ეს ამბავი მისთვის არ ეთქვათ და გამაფრთხილეს, არ წამოგცდესო.

შ. ნუცუბიძე მინახავს ძალიან მწუხარე მდგომარეობაშიც, მაგალითად, მაშინ, პირველი მეუღლე რომ გარდაეცვალა, მაშინაც შვილიშვილი გურამ ფანცხავა რომ მოუკვდა და კიდევ უფრო მწვავე დღეებში, როცა შალვა ნუცუბიძის საქართველოს აკადემიის ნამდვილ წევრად არჩევის სასიხარულო დღეს — 1944. 11.22-ს დაბადებული ვაჟი შალი, (შალვა) 5 წლის რომ გარდაიცვალა. (იგი გლდანში დაკრძალა მამამ თავის აგარაკზე). აღნიშნული მწუხარების დღეებში არ შემცოდებია ის, როგორც ამ ავადმყოფობის დროს. იგი ერთ კვირაში გარდაიცვალა... აუარებელი ხალხი დაესწრო მის დაკრძალვას უნივერსიტეტის ეზოში.

შალვა ნუცუბიძეს უაღრესად დიდ პატივს ცემდა მშობელი ხალხი. იგი ერთი უპოპულარესი მეცნიერთაგანი იყო საქართველოში და მისი ლიტერატურული მემკვიდრეობა უზრუნველყოფს მისივე სახელის უკვდავებას. მით უფრო, რომ მან ჩვენიეროვნული დიდების „ვეფხისტყაოსნის“ ერთი საუკეთესო თარგმანი გვიანდერძა და ამით თავისი სახელი რუსთაველის უკვდავ სახელს დაუკავშირა.

## ლია ბედოშვილი

# ინტერვიუ სკულპტორთან

**სახელოსნოში** ისეთი უჩვეულო სიმშვიდე სუფევს, რომ ვგრძნობ, ცოტა ხანს თუ არ შევეჩვიე ყველაფერს, კითხვების თავმოყრა და სიზუსტე გამიჭირდება.

უხერხულობა გაჰქრა. ნამუშევრებს ვათვალიერებ. ერთმანეთის გვერდით ჩამწკრივებულან ფიგურები, პორტრეტები, ესკიზები. — „ქალი დრაპირებით", „რობერტ ბერნსის პორტრეტი" დამახასიათებელი ბრიტანული თავითა და სადა, ჯენტლმენური იერით, ქალბატონ ნათელას წყობილი, ლამაზი ნაკვთები, ქართული ზღაპრის გმირები, „კაცი, რომელიც ზის", ფოტოები... და გალაკტიონი.

ვეკითხები: — რას ანიჭებთ პრიორიტეტს ქანდაკებაში სულის მოძრაობის გამოსახატავად?

— მე ცოტათი კონსერვატორი გახლავართ — ამბობს გიორგი, ქანდაკების სპეციფიური ენა არის ფორმა. გამოცდილებიდან ჩანს, რომ იმ მოქანდაკეებმა, ვინც ფორმის პრიორიტეტის პრინციპს პატივს სცემენ, შექმნეს „ჭეშმარიტი" ქანდაკება.

შედევრები ქანდაკებაში, რაც კი პირველ რიგში გამახსენდება, იმ პრინციპით არის შექმნილი, სადაც ქანდაკების ენა წამოწეულია პირველ პლანზე. ე. ი. ქანდაკება ფორმითაა ნაძერწი? ქვაში. მაგალითისათვის, ბერძნული ქანდაკების რომელიმე ფრაგმენტიც კი უპოსტამენტოდ, არქიტექტურის გარეშე თვით უდაბნოშიც კი თავის ღირსებას არ კარგავს, არსებობს გარემოსაგან დამოუკიდებლად და მის წარმოჩენას საგანგებო პირობები არ სჭირდება. საწინააღმდეგო პრინციპებზეა შექმნილი ქანდაკება, სადაც სულის მხარეა წამოწეული და უსწორებს მის ფორმას.

როდენის ქანდაკების რომელიმე ფრაგმენტში, ეგ. წ. სულიერი საწყისი ქრება, თუ სპეციალურად არ მოვამზადეთ მისთვის ორგანიზებული გარემო, მასშტაბი, ფერი, სპეციალური განათება და ამინდიც კი. ყველა ეს კომპონენტი მოქმედებს მის მხატვრულ ღირებულებაზე. ეგვიპტურ და ბერძნულ ქანდაკებებზე ეს სრულიად არ მოქმედებს. აქ საერთოა ფორმისადმი მოწიწება. ფარაონების გრანიტში გათლილი ქანდაკებები მომღიმარე სახეებით, თავისი ზომის მიუხედავად, უფრო დიდ შთაბეჭდილებას ტოვებენ, ვიდრე გერმანული კლასიციზმის დროინდელი ამხედრებული კურფიურსტები, თავისი აფრიალებული აბადებითა და შეიარაღებით, როდესაც პორტრეტითაც კი უნდა იმოქმედოს მოქანდაკემ მნახველზე. ამ გამოცდილებაზე დაყრდნობით, შეიძლება აღვნიშნოთ, რომ ქანდაკებას არ უყვარს ზედმეტი თხრობა. ეპოქის გამოხატვისას ქანდაკება შეიძლება უფრო სიმბოლოს წარმოადგენდეს.

— პირადად თქვენი პოზიცია ფორმის მიმართ?

ბევრმა მხატვარმა XX-ს-ში, მათ შორის გენიალურმაც, თითქოს შეიზღუდა თავი, განსწავლის პერიოდი არ გაიხანგრძლივა და მარტო პირადი ნიჭის ექსპლუატაციას მიჰყო ხელი. პიტ მონდრიანმა თავისი ხელოვნება იმდენად დახვეწა, რომ ყველა სხვა ამოცანა მოიცილა თავიდან და თემად დაიტოვა გეომეტრიზმი, მართკუთხა ფორმების კომპოზიცია. კარგია გავიხსენოთ ლეონარდო და ვინჩის ტრაქტატში

მოყვანილი აზრი: „რა მხატვარია ის, ვინც ყვავილს ლაფერს ხატავს და ზღვას კი — ვერა“.

შემეძლო ერთი თემა ამელო, ამ გზით წამეყვანა ჩემი ხელოვნება და ამით ჩემეული სტილი სრულმეყო. მე კი მიმაჩნია რომ ნებისმიერ ნამუშევარში შინაგანი არსი თავისთავად უნდა ჩანდეს, ამიტომ არ ვერიდები ფორმათა სითამამეს, რომელსაც თემა მკარნახობს. მაინტერესებს ფორმის „აფსტრაგირებაც“. შეიძლება მოხდეს ისე, რომ შემოქმედების მრავალფეროვნების მაგიერ, მივიღოთ ერთფეროვანი უსახურობა, ამასაც არ გამოვრიცხავ.

ჩემი აზრით, ყალბია ეგრეთწოდებული „ქართული“ ფორმის ძიება ქანდაკებაში. ეს ერთ-ერთ ყველაზე დიდ შეცდომად მიმაჩნია, რომელიც ეწინააღმდეგება ჭეშმარიტად ქართული ქანდაკების განვითარებას. მრავალფეროვანია ჩვენი ბუნება, მრავალფეროვანია ქართველი კაცის ბუნება — მრავალფეროვანია ქართული ხელოვნება, ამიტომაც ქართული ქანდაკების ფორმა მდიდარი უნდა იყოს. ქანდაკებაში ფორმა ქართულია მაშინ, როდესაც მას ქართული სული და ქართული ტემპერამენტი ჰქმნის.

ჩემი ქანდაკებაც ქართულია იმდენად, რამდენადაც ქართველი ვარ. მე არ უნდა ვიეშმაკო იმისთვის, რომ „ქართულად“ ვიმუშაო. ჩვენ უნდა მივაჩვიოთ ყველა, რომ ქართული სახვითი ხელოვნება ეს მარტო ფოლკლორი, შავი კერამიკა, ოქრომჭედლობა, ლამაზი ქუჩა და მოჩუქურთმებული ყანწები კი არ არის, არამედ ეს არის თანამედროვე, XX საუკუნის ქანდაკება, ფერწერა და არქიტექტურა, რომელიც იკვებება უძველესი და ძნელად ამოსახსნელი ქართული სულის ფენომენით.

ერთ მაგალითს მოვიყვან: აფრიკისა და აზიის ბევრ განვითარებად ქვეყანაში ფეხი მოიკიდა მათივე დიდი, ძველი ხელოვნების ექსპლოატაციაზე აშენებულმა ხელოვნებამ. მას თანამედროვე ბირმის, ან თანამედროვე ნიგერიის, ან თანამედროვე ეგვიპტის ხელოვნებას ეძახიან. ეს ხელოვნება ვერასდროს ვერ მიაღწევს ძველის დონეს და ვერც ახალ, მაღალი ღირებულების ნიმუშს მოგვცემს.

ამგვარ ეკზოტიურობას ადგილი აქვს ზოგჯერ ჩვენშიც, და მოდით, თვითკმაყოფილება ნუ დაგვეუფლება, როცა ევროპის რომელიმე დიდ ქალაქში გამოფენებზე წარმატება აქვს ხოლმე ჩვენს გამოყენებით ხელოვნების ნიმუშებს; მნახველი ეკზოტიკასა და ჩვენს გემოვნებას უკრავს ტაშს, ანიჭებს ოქროს მედლებსა და ლამაზ დიპლომებს და ხშირად არ იცის, რომ ჩვენ გაგვაჩნია საკმაოდ საინტერესო თანამედროვე ქანდაკება და ფერწერა. გემოვნება არასდროს ყოფილა წამყვანი ელემენტი დიდ ხელოვნებაში.

— რის მიხედვით ირჩევთ შემოქმედების თემას?

თემის არჩევისას უპირატესად გულის კარნახს ვენდობი.

— „სულის სიმშვიდის თემა“, თუ შეიძლება ამგვარად ითქვას, გამორიცხავს განცდათა წარმოჩენის სირთულეს?

ლაოკოონის სულის მოძრაობა ჩემზე, როგორც მნახველზე დიდი ხანია არ მოქმედებს. მასში სული კარგა ხანია მოკვდა ფორმის ზედმეტი ექსპლოატაციისა და მთლიანობის დარღვევის გამო. როგორც ჩანს, სიმშვიდე ქანდაკებას უხდება, მეტ სიღრმესა და წონას ანიჭებს. მირონის „დისკოს მტყორცნელსაც“ დიდი მოძრაობა აქვს, მაგრამ ფორმა არ არის დარღვეული და მთლიანია. მოქანდაკე მიხვდა, რომ ფიგურის პორტრეტი არ უნდა მონაწილეობდეს დისკოს ტყორცნაში. ჩემის აზრით, თვითკმარობის და სიმშვიდის გამოხატვა უფრო ძნელია, ამის მშვენიერი მაგალითია „ბუდა“.

— რას იტყვით საქართველოში აღმართული მონუმენტების მასშტაბის შესახებ?

როდესაც გალაკტიონის ძეგლზე დავიწყე მუშაობა, ექვსი წლის წინათ, მე თავისთავად მივიჩნიე, რომ გალაკტიონის ფიგურის ზომა შეიძლება ყოფილიყო 3-3,5 მეტრი. ამ დროს მომიწია იტალიაში წასვლამ და იქ აბსოლუტურად დავრწმუნდი, რომ ჩემი გადაწყვეტილება სწორი იყო.

ჩამოსვლისთანავე უნდა დამეწყო ძეგლის მოდელის შესრულება და მივხვდი, მცირერიცხოვანი ერის კერპი სამშობლო მთებივით მაღალი და ზვიადი უნდა იქნეს, რადგან ქართველი მოქანდაკე მარტო ფორმალური ამოცანის გადაწყვეტის წინაშე კი არ დგას, რათა წესრიგიანად გადაწყვიტოს მისი კომპოზიცია და მასშტაბი, არამედ უფრო დიდი და მამულიშვილური პრობლემაა წარმოსაჩენი.

ქართველი კაცის თვალსაწიერზე უნდა აღიმართოს მცირერიცხოვანი ერის ტიტანთა ტიტანური ქანდაკებანი. ხომ უნდა დაიდგას საქართველოში აღმაშენებლის, თამარის, რუსთველის მონუმენტები. და ვინ წარმოიდგენს ამ ქანდაკებათა მასშტაბების პედანტურ დადგენას და მისი ზომების დღევანდელი ქალაქის არქიტექტურასთან „წესიერ“ მისადაგებას.

იტალიისა და საქართველოს X-XII ს.ს. მონუმენტური ხელოვნება (განსაკუთრებით კედლის ფერწერა და მოზაიკა) თითქოს ერთნაირად ვითარდებოდა. XII საუკუნის მერე იტალიაში გრძელდება ეს პროცესი და გადადის აღორძინებაში. საქართველოში კი ეს პროცესი გაუთავებელმა ომებმა და შინა აშლილობამ შეაჩერა.

ჩემის აზრით, ქართულმა მონუმენტურმა ხელოვნებამ ერის წინაშე ის ვალიც უნდა იტვი-

რთოს, რაც მას XII-XIX საუკუნეების წინაშე მართებს. ქართული სული თანამედროვე დღით და ისტორიით არსებობს და ისტორია და თანამედროვე დღე — ძეგლებში ცოცხლობს.

— ორიოდე სიტყვა თქვენს ბოლო ნამუშევრებსა და მომავალ გეგმებზე.

1977 წელს კომკავშირულ ქალაქ — ბორის ძნელაძეში დაიდგა მირზა გელოვანის ძეგლი. 1979 წლის ოქტომბერში იმავე ქალაქში გაიხსნა შინმოუსვლელთა მემორიალი, ვაგრძელებ მუშაობას გალაკტიონის ძეგლზე, იგი აღიმართება რიონის პირას, ქუთაისის ძველ ნაწილში. რაც შეეხება ჩემს მომავალ გეგმებს, ზუგდიდში უნდა გაიხსნას მეგობრობის პარკი, რომლისთვისაც ვასრულებ ქანდაკებებს არქიტექტორ თემურ მიქაშავიძესთან ერთად. პარალელურად ყოველთვის ვმუშაობ სხვადასხვა ხასიათის დაზგურ ქანდაკებებზე.

— რას ფიქრობთ ძეგლთა ადგილის შერჩევაზე?

მიმაჩნია, რომ ის საშუალებები, რაც გააჩნია რესპუბლიკას ძეგლთა შექმნისათვის, არ უნდა იყოს კონცენტრირებული დედაქალაქში. კულტურის სხვა დარგებთან ერთად, როგორიცაა, ვთქვათ, სახალხო უნივერსიტეტი, გასვლითი კონცერტები, პოეზიის საღამოები, რომელნიც იმართება ჩვენთვის ძვირფას და საამაყო ადგილებზე, ქანდაკებასაც თავისი საპატიო და დიდი მისია უნდა ენიჭებოდეს რესპუბლიკის ტერიტორიის კულტურული ათვისების თვალსაზრისით.

ძეგლების დადგმისას დედაქალაქს არ უნდა ენიჭებოდეს პრიორიტეტი. რომი ქანდაკებების რაოდენობის ან ხარისხის მიხედვით არ არის იტალიის დედაქალაქი. ქანდაკებები გაფანტულია იტალიაში, მთელს მის ბედნიერ ტერიტორიაზე. ქალაქი პადუა ცნობილია მსოფლიოში პირველ რიგში ქანდაკებით — დონატელოს მიერ შესრულებული გატამელატას მონუმენტით. ამ ქმნილებამ გააცნო ეს პატარა იტალიური ქალაქი მსოფლიოს და იგი თანაბრად იზიდავს იტალიელსაც და ჩამოსულ ტურისტსაც. თუნდაც ამ მიზეზის გამო, რომის მოქალაქეს შეუძლია თავის დიდ ქალაქს ადვილად შეელიოს და საცხოვრებლად პადუა არჩიოს.

— რას ემსახურება ქანდაკება?

ჩემის აზრით ქანდაკება არ შეიძლება იყოს მოსამსახურე. იგი არ შეიძლება გახდეს ყოველდღიური წვრილმანი მოვლენების მსახური, რამეთუ თავისი სათქმელით ყოველთვის უსწრებს ეპოქის მაჯისცემას. კოსმოსური ერის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე, ფრენისა და უწონადობის თემა უკვე იყო ქანდაკებაში. მაგალითად მფრინავი ნიკე, უწონადობა მიქელანჯელოს „საშინელ სამსჯავროში“, კანდინსკის, კოლდერისა და ჯაკომეტის ხელოვნებაც ხომ წინ უძღვის კოსმოსის ერას.

— რას ფიქრობთ ხელოვანის ბედნიერებაზე?

ხელოვანისათვის ჩემი აზრით ბედნიერებაა სამშობლოსათვის რაიმე ფასეულისა და სასახელოს შექმნა და ამით საკუთარი არსებობის გამართლება. თუ ჩემი შემოქმედების სიხარული სხვისი სიხარულიც გახდა, მაშინ მეც ბედნიერი ვარ.

— თქვენი საყვარელი მხატვრები?

ფიდიასი, რემბრანდტი, ნიკოლოზ კანდელაკი.

— პოეზია და მუსიკა თქვენს ცხოვრებაში?

მიყვარს კლასიკა, განსაკუთრებით მოცარტი. არ დამავიწყდება ის დიდი სიამოვნება, როდესაც ბაჩანა ბრეგვაძე დანტეს კითხულობდა ორიგინალში და მე თვალს ვადევნებდი თარგმანს. პოეზიაზე და სიყვარულზე ლაპარაკი ძნელია და არც ღირს.

— როგორ ატარებთ თავისუფალ დროს?

თავისუფალ დროს ოჯახი შთანთქავს, ან უფრო სწორედ, თავისუფალი დრო არ არსებობს.

— გაქვთ თუ არა სურვილი, რომელიმე ქალიშვილი თქვენს გზას გაჰყვეს?

არჩევანი მათზეა, ისე კი მინდა უყვარდეთ და ესმოდეთ ხელოვნება.

— რას აფასებთ ხელოვანში ყველაზე მეტად?

სიმართლეს და სიწრფელეს.

— რა არის მოქანდაკისათვის მთავარი?

პოეტური განცდისა და პატიოსანი ხელოსნის შრომის ერთიანობა.

საუბარი დამთავრდა, მაგრამ გვერდით ოთახში სასიამოვნო სიურპრიზი მელოდა. მასპინძელს სწვეოდნენ მისი მეგობრები გიორგი ოჩიაური, ალეკო რატიანი, ჯემალ შანშიაშვილი და გიგლა სარიშვილი. სასიამოვნო განწყობილება სუფევდა. სიკეთით გამთბარმა დავტოვე ეს მშვენიერი ოჯახი და დავემშვიდობე მოქანდაკე გიორგი შხვაცაბაიას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არჩილ გოგელია

# მარადიული ბავშვი

ხელოვანი — მარადიული ბავშვი. ეს მეტაფორას უფრო მოჰგავს. ალბათ ამ მეტაფორაში ის იგულისხმება, რაც მოწიფულ ადამიანს იშვიათად გაჰყვება ცხოვრების გზაზე. განა ცოტაა ისეთი რამ, რაც ბავშვობის უშუალო შთაბეჭდილებებს აუფერულებს და აფერმკრთალებს? იქნებ აქედან წარმოდგება ნოსტალგია ბავშვობაზე, არა კონკრეტულად ასაკზე, არამედ სიყმაწვილის ფერადოვან და ფანტაზიით აღსავსე სამყაროზე. „დღეები, ბავშვობის დღეები“...

ის მარადიულ ბავშვად დარჩა და ალბათ ამაშია მისი ნახელავ-ნამოღვაწარის უპირველესი ხიბლი. ამიტომ ნუ გაგიკვირდებათ, თუკი ექსკურსს შემოგთავაზებთ და ჩვენი საერთო სიყმაწვილის ბილიკზე გაგატარებთ. უამისოდ, ჩემი აზრით, მისი პორტრეტი არ იქნება დამაჯერებელი.

ვახტანგ რურუას მასწავლებელი არ ჰყოლია, არავის უსწავლებია ხატვა. თავადაც ვერ გეტყვით, ვინ მიუთითა პირველად, ვინ შეახედა სამყაროს, რომელიც მის წარმოდგენაში თითქოს რეალურ მონახაზს კარგავდა და ახალბედა მხატვრის პრიზმაში გატარებული არავის და არაფერს არ ჰგავდა. ეს მისი სამყარო იყო, სადაც მხოლოდ თავად შეეძლო შესვლა, სადაც ტოვებდა ნაოცნებარს, ნაფიქრს. ეს იყო ფანტაზიით შეპყრობილი ადამიანის თვითგამოხატვის საშუალება.

მე ახლაც მგონია, რომ მისი პირველი მასწავლებელი ბებია იყო, მანდილოსანი, რომელმაც საუცხოოდ იცოდა მწერლობის, მხატვრობის, საერთოდ, ხელოვნების, მშვენიერების ყადრი. ქალი, რომელიც აღმერთებდა ტოლსტოისა და დოსტოევსკის, ჩეხოვსა და დიკენსს, მთელი დღეობით ქარგავდა, — ეს არ იყო მისთვის ახირება, მისთვის ქარგვაც თავისებური ხელოვნება გახლდათ.

ბებიასა და შვილიშვილს ერთი პატარა ოთახი ჰქონდათ. ახლა მიჭირს გადმოვცე ის ინტიმი, რომელიც ამ სენაკში იყო დაბუდებული. განა იმიტომ, თითქოს დღესაც ცხადად არ ვხედავდე ოჯახის ყოველ დეტალს. უბრალოდ, ძნელია იმის გადმოცემა, რასაც წლების მანძილზე შეისისხლხორცებ და გაითავისებ. ეს პარადოქსია, მაგრამ რამდენადაც უფრო ახლოა და ნაცნობი ადამიანი თუ საგანი, იმდენად რთულია, სხვებისათვის ბოლომდე საცნაური გახადო იგი. თითქმის მთელი ოთახი მხოლოდ ორ ფარდაგგადაფარებულ ძველებურ ტახტსა და მომცრო მაგიდას ეჭირა. და მაინც, რამდენი სივრცე იყო მათ ოჯახში, რა თავისუფლად, უშუალოდ, გრძნობდა თავს სტუმარი. ტახტი და მაგიდა თითქოს ორგანულად იყო შერწყმული ბებია-შვილიშვილთან. ეს იყო ორი მონათესავე სული, ხოლო ოთახის სიმცირე თითქოს ხაზს უსვამდა იმას, რომ საგნების გარდა მათ ბევრი საერთო ჰქონდათ სულიერი თვალსაზრისით. ორივე ერთსა და იმავე საქმეს აკეთებდა, ოღონდ სხვადასხვა საშუალებით. აი, ბინდი ეცლება მოგონებათა მწკრივს... ტიპიური სურათი: ღუღუნებს ბუხარი, ფანჯრის ფარდას ეთამაშება კატა კრისპა, ფრანცოვნა (ასე ვეძახდით ვახტანგის მეგობრები მის ბებიას ელენე ბეთანელს) ქარგავს და დროდადრო გადმოიხედავს სათვალის ზემოდან, ხოლო ვახტანგი მომცრო დაფას დაჰყურებს, დაწყებულ ნახატს ჩაჰკირკიტებს. ჩვენ კი ამ მშვიდ, რომანტიკულ გარემოში შემოგვაქვს ყმაწვილკაცური ჟრიამული და ანცობა, ქუჩის რიტმი და ქარიშხალი... და ერთმანეთს ერწყმის ფრანცოვნას მიერ შექმნილი მედიდურ-სალონური (კარგი გაგებით) გარემო, უფრო წინა საუკუნის განწყობილებით აღსავსე, და ჩვენი უმიზეზო სიხალისე.

ასე იბადებოდა მხატვარი, რომელიც თითქოს შეუთავსებელს ათავსებდა: ერთი მხრივ, ბავშვებისათვის უჩვეულო სიდინჯესა და სერიოზულობას, ხოლო მეორე მხრივ, ყმაწვილურ სიკისკასესა და ანცობას.

ადრეულ ასაკში თითოეულს გამოგვივლია პერიოდი, როცა, რადაც უნდა დაგიჯდეს, გინდა იყო ორიგინალური და დარდიმანდი. მეტწილად ეს ბავშვური კაპრიზით აიხსნება, თუმცა, საფუძველი მას ქეთილშობილური და წმინდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქვს. მაგრამ, გნებავთ ისე აიღეთ, გნებავთ ასე, მას მაინც შეუგნებელი და გაუთვითცნობიერებელი მამლაყინწობისა და ამპარტავნობის ბეჭედი აზის. ვახტანგს არ სჭირდებოდა ასეთი მოგონილი თავისთავადობა, რადგანაც ის სინამდვილეში იყო ორიგინალური. მთელი კლასი ვხატავდით. ეს მაშინ ზედმიწევნით მოდურ გატაცებად ითვლებოდა. ჩვენ შორის იყვნენ ისეთი თვითნასწავლი მხატვრები, რომლებიც ამა თუ იმ ცნობილი სურათის უზუსტეს ასლებს ქმნიდნენ. ასეთებს კლასიკოსებად მივიჩნევდით. და ალბათ ვერასოდეს გავიგებდით ჭეშმარიტი მხატვრობის ყადრს, კლასში ვახტანგ რურუა რომ არ გვყოლოდა, ალბათ თანდაყოლილ ნიჭთან ერთად ძვალსა და რბილში ჰქონდა გამჯდარი სამყაროს დამოუკიდებელი აღქმის უნარი. მან იმთავითვე შეიგნო, რომ ასლი მუდამ ორიგინალზე უარესია.

ვახტანგის ორიგინალობა სულ სხვადასხვანაირად ვლინდებოდა. მახსოვს, ყველა აღფრთოვანებული რომ ვიყავით მესხითა და მეტრეველით, მისი კერპი კი იმთავითვე ბარქაია იყო. ვაჟა მარტო ქრესტომათიიდან არ ჰქონდა ნასწავლი, მთელი მისი შემოქმედება თითისტოლა ბიჭს საფიცრად და სახატედ ჰქონდა გამოცხადებული. ფიროსმანს ალბათ წამბაძველობით ყველა ვაღმერთებდით, მაგრამ გულის სიღრმეში გამოუცდელ ყმაწვილებს მისი გენიალობისა აგრე როდი გვჯეროდა. მან კი ფიროსმანი შეითვისა და ბავშვობაში მიღებული შთაბეჭდილებანი სამუდამოდ გაიყოლა. ახლაც, როცა დიდ ნიკალაზე ჩამოვარდება ლაპარაკი და ვახტანგს ვუსმენ, ასე მგონია, რომ მის ოდინდელ თვალსაზრისს თითქმის არავითარი ტრანსფორმაცია არ განუცდია. ნუ დაგავიწყდებათ, როცა ჩვენი სიყმაწვილის დროზე მოგახსენებთ, მაშინ არც ვაჟა და არც ფიროსმანი დღევანდელივით დაფასებული არ ყოფილან.

ის მხატვარი იყო იმთავითვე. მე ხაზს ვუსვამ სიტყვა მხატვარს, რადგანაც ვახტანგ რურუა თავიდანვე მახსოვს ფანქრით, ფუნჯით, ქაღალდითა და ტილოთი. არც ბავშვურ გატაცებებს არიდებია, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება მექმნებოდა, რომ ყველაფერს — თავის იდეაფიქრს, თავის უპირველეს სიყვარულს მხატვრობას უკავშირებდა. ჩვენთან ერთად თამაშობდა, რომ შემდეგ ეხატა, ჩვენთან ერთად ცურავდა, რომ ისევ თავის მაგიდას დაბრუნებოდა... ყველაფერი, აბსოლუტურად ყველაფერი ემორჩილებოდა რკინის კანონს — მხატვრობა, უპირველეს ყოვლისა! არავის, მათ შორის მეც, როცა თავზე დავდგომივართ, არ გვინახავს უფანქროდ და უქაღალდოდ. მას შეეძლო ერთდროულად ელაპარაკა ჩვენთან ,,მსუბუქ თემებზე“ და ერთდროულად ეხატა კიდეც. თავიდან ეს ვახტანგის ახირებას მივაწერეთ, მაგრამ თანდათან შევეჩვიეთ და ბოლოს მივხვდით, რომ ჩვენ შორის იყო მომავალი ხელოვანი.

სერიოზულობა და თვით ფანატიზმი, რომლითაც იგი ეკიდებოდა მხატვრობას, საოცარ კონტრასტს ქმნიდა საკუთარი ნახატების მისეულ საჯარო შეფასებასთან. რატომღაც ცდილობდა, რომ მისი უსაყვარლესი სამუშაო ჩვეულებრივ გატაცებად მიგვეჩნია. და თუ მაინც დაგვებადებოდა სურვილი აზრის გამოთქმისა, მოხერხებულად აგვიგდებდა სიტყვას ბანზე (იცოცხლეთ, ფანტაზია ამოუწურავი ჰქონდა). არ ვიცი, მოგვწონდა თუ არა მისი კომპოზიციები. ისინი საოცრად არ ეთანხმებოდა ერთხელ და სამუდამოდ შემუშავებულ-აღიარებულ შეხედულებებს. ამ მხრივ ჩვენ ვერ ვიყავით ისეთი კვალიფიციური მსაჯული, როგორი მხატვარიც იგი იყო. ახლა ძნელია გადმოსცე იმ ადრეული ნახატების ხიბლი, მაგრამ, რამდენადაც მახსოვს, მათ აერთიანებდა ერთი საერთო რამ — განწყობილება.

მე მწამს, რომ შემოქმედს პირველ რიგში უნდა სიამოვნებდეს თვით შემოქმედების პროცესი, ხოლო აღიარების სურვილმა მასში არ უნდა ჩაკლას ხალასი ფანტაზია. რა ვუყოთ, თუკი ზოგიერთისათვის ჭეშმარიტი მოწოდება ხელოსნობად იქცევა. ყველა დროსა და ეპოქაში ხელოვნებას ჰყავდა ასეთი მსხვერპლი. ვახტანგ რურუას ტილოები წლების მანძილზე ფრანცოვნას ოთახში ეკიდა და მისი ერთადერთი შემფასებლები ამხანაგები ვიყავით. არასოდეს უძებნია გზები გამოფენებისაკენ, არც სარფიან დაკვეთას დახარბებია.

კინოში იგი მოულოდნელად მოვიდა. შესაძლოა იგი არასოდეს გამხდარიყო პროფესიონალი კინომხატვარი, მაგრამ ამას უნდა ვუმადლოდეთ ისევ მხატვრების უანგარო მეგობრობას. რადგანაც ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ავთო ვარაზის სახით ჩვენს მხატვრობას დიდი შემოქმედი ჰყავდა. ყველაფერი სჯეროდა მისი. მხოლოდ ნიჭიერი ადამიანი, რა პროფესიისაც უნდა იყოს იგი, შეიძლება იგულო ნამდვილ მეგობრად, რადგანაც ნიჭია სიყვარულის, ურთიერთგატანის, მამულიშვილობის უნარი... ყველა ეს თვისება ვახტანგ რურუას აზრით მომადლებული ჰქონდა ავთო ვარაზს.

დაუსრულებელი საუბარი მხატვრობაზე, ლიტერატურაზე, მუსიკაზე და... კინოზე. ისინი ერთდროულად მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ მხატვარი ორგანული ნაწილია ხელოვნების ახალგაზრდა დარგისა. მათ იზიდავდა ჯერ კიდევ შეუნელებელი, გაუთვითცნობიერებელი შესაძლებლობანი კინოხელოვნებისა, რომელიც, ჩვენდა საბედნიეროდ, უდიდეს სარბიელს წარმოადგენს ნებისმიერი პროფესიის ხელოვანისათვის. მივიდნენ კინოში იმიტომ, რომ მათში მომწიფდა საამისო სურვილი. შესაძლოა, ვარაზმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და რურუამ ვერ გააკეთეს კინოხელოვნებაში ის, რა ჩანაფიქრიც ჰქონდათ. მაგრამ ესაა ხელოვანი მაქსიმალისტების მუდმივი უკმაყოფილება თავისი თავითა და ნამუშევრით. და მაინც, როგორი საგულისხმო გამოდგა მათი დებიუტი „ფიროსმანში“. მასპინძელიც სანაქებო დაუხვდათ. რეჟისორმა გიორგი შენგელაიამ ორი ურთულესი უბანი მიანდო დებიუტანტებს — ერთს თავად ფიროსმანის როლი და მხატვრობა, ხოლო მეორეს ავთო ვარაზის პარტნიორობა. ეს ფილმი მათთვის ჩვეულებრივი კინონაწარმოები არ იყო. ამით მათ შეძლებისდაგვარად გამოხატეს თავიანთი დამოკიდებულება სათაყვანებელი ხელოვანისადმი. და თუ ჩვენ ეკრანიდან გადმოგვეცა ფიროსმანის სულის ძახილი, ამაში მათი წვლილიცაა.

ფილმის დამთავრების შემდეგ მათი გზები არ გაყრილა, მაგრამ კინოხელოვნებისადმი დამოკიდებულება კი რამდენადმე შეიცვალა. ავთო ვარაზი ჩვეულ საქმეს დაუბრუნდა... ხოლო ვახტანგ რურუა დღემდე კინოხელოვნების მსახურად რჩება.

მას ერთნაირად იზიდავს დრამატული და კომედიური ჟანრი. იქნებ ამიტომაც მისი თანდაყოლილი ნიჭი სხვადასხვა ფილმში სხვადასხვანაირად ვლინდება, ისევე, როგორც ცხოვრებაში, კინოშიც გვერდი-გვერდაა სიხარული და სევდა, რწმენა და უიმედობა, წარსული და აწმყო. მოძრავი ფიგურები და გრიგალისებური რიტმი მხოლოდ აძლიერებენ ცხოვრებასთან კინოს კავშირის ილუზიას. თვით კინოგმირები და გარემო ვახტანგ რურუასათვის მისი ნახატების გაცოცხლებული არსებები არიან. თუნდაც ამიტომ ღირს მხატვრობისათვის კინოს სამყაროში ტრიალი. ცოცხლდება ნახატი: თუშეთის პირქუში ბუნება და ამ ბუნებასავით ნაღდი ადამიანების სახება, ადამიანებისა, რომლებიც სიტყვაძუნწობის მიუხედავად მჭევრმეტყველებად გვეჩვენებიან, რომლებიც სულით ხორცამდე შეზრდიან და შესისხლხორცებიან მამა-პაპათა სამკვიდროს, რომლებიც არასოდეს ლაპარაკობენ უქმად და არც ვინმეს გაუღიმებენ და არც გულს გაუხსნიან, თუკი ეს არ უნდათ. ასე შეიკრა და ჩამოყალიბდა კინოფილმ „თუში მეცხვარის“ უცნობი, მაგრამ სულითხორცამდე შემძრავი და ახლობელი სამყარო. თუნდაც ამიტომ ღირს მხატვრისათვის კინოს სამყაროში ყოფნა...

„პასტორალი“ სხვა მხატვრის ნამუშევარი გეგონებათ. ეს უკვე სულ სხვა გარემოა, მაგრამ ისევე უცნობი, როგორც თუშეთი იყო. კადრიდან კადრამდე იქმნება განწყობილება, რომელიც სამუდამოდ მიგყვება. და თუმცა, მაყურებელი თითქოს პირველად შედის კოლხურ სოფელში, რეჟისურისა და მხატვრობის წყალობით მისთვის ეს სამყაროც ჩვეული და ნაცნობი ხდება. და რაც ყველაზე მთავარია, ჩვენ გვავიწყდება, რომ ფილმში ასახულ ცხოვრებას მისი დამდგმელების თვალით ვუყურებთ. იქმნება ყველაზე მთავარი, რაც, საზოგადოდ, ხელოვნებას უნდა ახასიათებდეს: მნახველის, მაყურებლის მონაწილეობა მომხდარ ამბავში.

„ვერის უბნის მელოდიები“, „ლაზარე“, „ბათა ქექია“, „კოლხური ბალადა“, „ქვიშანი დარჩებიანო“... ერთმანეთისაგან დიამეტრულად განსხვავებული კინო-ნაწარმოებები, რომელთა მხატვრობა ვახტანგ რურუას ეკუთვნის. ალბათ, კინოში განსაკუთრებით მკაფიოდ გამოიკვეთა მისი დამოკიდებულება წარსულთან თუ აწმყოსთან. ძველ თუ ახალ ცხოვრებასთან. და ისევე როგორც ოდესღაც, ბავშვობაში, განცვიფრებული ვიყავი მისი სურათების სამყაროთი, ახლაც გამაკვირვა ჩემი მეგობრების სიახლოვეშ ყოველდღიურობასთან, მისმა დამოკიდებულებამ პოზიტიურისა და ნეგატიურისადმი. და ბოლოს, თუმცა ვახტანგს ეს ხმამაღალ განცხადებად მოეჩვენება, მან ცხადად გამოხატა კინოში თავისი მოქალაქეობრივი მრწამსი და პოზიცია.

იგი ბევრს ფიქრობს მკითხველზეც. კარგად იცის, რომ გუსტავ დორე მოკრძალებული თანაავტორი გახდა გენიალური სერვანტესისა და რაბლესი. გრაფიკა მისთვის იმდენად ხელობა არ არის, რამდენადაც თავისი დამოკიდებულების გამოსახვა მწერლობის ამა თუ იმ ნიმუშისადმი. ნახეთ მის მიერ დასურათხატებული „ძველი ქართული მოთხრობა“, „ბაბლის „მარია“, ბაჩანა ბრეგვაძის „პასკალი“, გურამ დოჩანაშვილის „სამოსელი პირველი“... ჩემი ღრმა რწმენით, ასეთი გრაფიკული ნახატების შექმნა ხელეწიფების მხოლოდ მხატვარსა და ლიტერატორს.

...ის თავისი ბავშვობიდან მოვიდა; ისე, რომ არაფერი დაუკარგავს, არაფერი გაუფლანგავს, ოღონდ დახარჯა კი თავისი ნიჭის ერთი ნაწილი, გაცხადებული მის ფერწერულ ტილოებსა და გრაფიკულ ნახატებში, წიგნების ილუსტრაციასა და კინომხატვრობაში. ამ სიტყვებს პათეტიკური იერი დაჰკრავს, მაგრამ მკითხველი მაპატიებს, რადგანაც მეგობრის შეფასებაში ასე თუ ისე მუდამ სუბიექტურნი ვართ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

### განცხადებები

● სოფლებიდან ქალაქში გამოქცეული ახალგაზრდების თხოვნით ვაწყობთ გადაცემას თემაზე: „რა კარგია ჩვენი სოფელი!“

● მოსწავლეები, რომელთაც სწავლაში მშობლების იმედი აქვთ, ვალდებულნი არიან მაინც დაესწრონ გაკვეთილებს.

● „მწვანე ოქროს“ კრეფის ცხარე დღეებში ვატარებთ მოწინავე მეჩაიეთა ათდღიან შეკრებას დევიზით: „ვკრიფოთ ჩაის ფოთოლი!“

### ფარმაცევტული ქარაგმებიდან

● აფთიაქარმა პაციენტს წამალი მისცა, მაგრამ ენით მოწამლა.

● აფთიაქარმა სიფრთხილეს თავი არ სტკივაო და თავის ტკივილის წამალი თავისთვის შეინახა.

### დიალოგებიდან

— რატომ კოჭლობს პროფილაქტორიის უფროსი?
— თავისმა ძაღლმა უკბინა გუშინ!
— ეს როგორ, კაცო?
— როგორ და, ამ პროფილაქტორიაში, თურმე, ძაღლი პატრონს ვეღარ ცნობს.

### ფრაზები

● რომანი იმით დაასრულა, რომ ცოლი შეირთო.

● კრიტიკოსმა ხელზე მწერლის ენა დაიხვია.

### ანდაზებიდან

● ურემი რომ გადაბრუნდება, გზის შეკეთებას მერე იწყებენო.

### რჩევა-დარიგებანი

● ნუ ენდობით ყველა ქალს, ის, შეიძლება, თქვენი მეუღლე გახდეს.
● პირველ ცოლს ნუ აჩუქებთ გულს, შესაძლოა მეორესთან დაგჭირდეთ.

**ვანო ცინცაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გაბროვოული იუმორი

●

გაბროველების ოჯახს სტუმარი ეწვია, დიასახლისის დედამ ერთი კვერცხი მოუხარშა სტუმარს. პატარა შვილიშვილი ხარბად მისჩერებოდა კვერცხს.

— ნუ იყურები ასე, გენაცვალე, — დაამშვიდა ბავშვი ბებიამ, — ბიძია კამეჩი ხომ არ არის, კვერცხი მთლად შეჭამოს, შენც უეჭველად გიწილადებს.

●

— ხუთი კვერცხი მომეცი, მაგრამ უეჭველად შავი დედლისა, — ეუბნება გაბროვოელი გამყიდველ ქალს.

— წაიღეთ, გეთაყვა, მაგრამ თვითონ მოგიწევთ არჩევა, მე ამისი არა გამეგება რა.

— გაბროვოელმა ყველაზე სადი და მსხვილი კვერცხები აარჩია. ფული გადაიხადა და წავიდა.

●

— წარმოგიდგენია, ტოტეს წერილი დავუტოვე, სადილად შენთან ვარ-მეთქი, მოვედი და შინ არ დამხვდა.

— ეგ იმას ნიშნავს, რომ წერილი ნამდვილად წაუკითხავს.

●

გაბროვოს საავადმყოფოში ერთ დაშავებულ უცხოელს სისხლი გადაუსხეს. ავადმყოფმა უკეთ იგრძნო თავი და დონორი-გაბროვოელი ფულით უხვად დაასაჩუქრა.

დაშავებულს მალე მეორედაც გადაუსხეს სისხლი, მაგრამ ამჯერად დაზარალებულმა დონორს გაცილებით ნაკლები გადაუხადა.

სისხლი მესამედაც რომ გადაუსხეს, უცხოელს დონორისთვის აღარაფერი მიუცია, — ძარღვებში უკვე გაბროვოელის სისხლი ედგა.

●

ერთ გაბროვოელს ტელევიზორი გაუფუჭდა, — გამოსახულება ჩანდა, ხმა კი არ ისმოდა.

— ქალო, — უთხრა გაბროვოელმა ცოლს, — მეზობლებიც უყურებენ გადაცემას, თხოვე, ტელევიზორს ხმა აუწიონ.

თარგმნა ლენა ლონდაძემ

---

გარეკანის მე-2 გვერდზე ლია სვანიძის ნახატი „ბედნიერება“.

---

კრიტიკისა და პუბლიცისტიკის განყოფილება მასალებს მიიღებს არა უმეტეს ერთი საავტორო თაბახისა.

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380007, დადიანის ქ. № 2.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 99-85-81, მთ. რედაქტორის მოადგილე — 72-26-32, მდივანი — 72-44-78, განყოფილებათა გამგეები — 72-26-35, პროზის — 72-26-30, ლიტერატურული თანამშრომლები — 72-47-62, „ცისკრის“ დამატება — 72-17-81, ხაკორექტორი — 72-48-75.

გადაეცა ასაწყობად 21. 1. 80 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 11. 3. 80 წ., ქაღალდის ზომა 70×108. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 14. სააღრ-საგ. თაბახი 15.85. შეკვ. № 195. უე 00640. ტირაჟი 40.322.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის 14
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საბჭოთა საქართველოს

რა გვიჭირს, ვიდრე ვმაღლდებით ასე,
ან სისხლი ჩვენი როგორ დაშრება!
მრავალჟამიერ, მამულის ცაზე
ძლევის დროშების აფრად აშვებას!

გაზომილია კიდით-კიდემდის
სივრცე-სიგანე საფიცარ მხარის
და მის დროშათა სიმაღლე დღემდის
განუზომელი იყო და არის!

მუხლჩაუხრელად გასავლელ გზების —
მომავლის გზების ჩირაღდნად მნათი,
ძლევამოსილი რწმენით და გზნებით
მზისკენ გვეწევა სიმაღლე მათი.

გაცრილი ცათა ლურჯი მერდინით
მათ კალთებს ათოვს ვარსკვლავთა ავლი,
კვლავაც იდინებს, მარად იდინებს
მათზე ფერუხვი სინათლის ჭავლი!

ხეს თებერვალი სინედლით ავსებს,
სიცოცხლის წყარო როგორ დაშრება!
მრავალჟამიერ საქართველოვ,
შენს მაღალ ცაზე
ძლევის დროშების აფრად აშვებას!

იმედი ჯახუა

ფასი 60 კაპ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ინდექსი 76236

*ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ*

**«ЦИСКАРИ»**

ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ